

ზაზა აბზიანიძე

## ალექსანდრე ყაზბეგი

ილუსტრირებული პიოგრაფია 13

ჩანაწერებში ამოკითხული პიოგრაფია



გამომცემელი  
მარინე ცხადაია

რედაქტორის:  
გიორგი კაკაბაძე  
გია ჯოსაძე


დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა  
ლია სულაქველიძე

© ზაზა აბზიანიძე, 2021  
© გამომცემლობა „პეგასი“, 2021


ვიზუალური მასალა:

- © საქართველოს ეროვნული მუზეუმი
- © საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
- © საქართველოს ეროვნული არქივი
- © გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი
- © ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
- © სტეფანწმინდის მუზეუმი

წიგნი გამოიცა მწერალთა სახლისა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით.



გამომცემლობა „პეგასი“  
თბილისი, ედ. მაღალაშვილის ქ. №5  
ტელ.: 568 105467  
ელ-ფოსტა: bookpegasus@gmail.com  
ვებგვერდი: www.pegasus.ge



ვახტანგ კოტეტიშვილი – ალექსანდრე ყაზბეგის ბიუსტი

ადამიანი, რომელსაც სულ  
რომ არაფერი დაეწერა, მხოლოდ  
ბიოგრაფია შეინახავდა მკაცრი  
ისტორიის ხსოვნაში.

ვახტანგ კოტეტიშვილი

**ნინაპრები:** ყაზბეგიანთ ნინაპრები ჩოფიკაშვილები ყოფილან: „ალექსანდრეს პაპის მამა, ყაზბეგი XVIII საუკუნეში სტეფანწმინდის მოურავად ითვლებოდა. ამ სამოურავოში შედიოდა თვითონ სტეფანწმინდა, გერგეტი და დარიალის ხეობა.

ამრიგად, საქართველოს ჭიშკარი ყაზბეგ ჩოფიკაშვილს ებარა. „ამ ვინწოდების პატრონს, – წერდა ალექსანდრე ფრონელი, – მუდამ შეეძლო ებატონა მთელს კავკასიაზე; ვისაც საქართველოში ბედი მის კლიტე-გასაღებს ჩაუგდებდა ხელში, ის მცირე მფლობელიც რომ ყოფილიყო, უძლიერეს ფეოდალად გადაიქცეოდა. მაშინ სწორედ მის ნებაყოფლობაზე იქნებოდა დამოკიდებული ვინ გაატაროს და ვის შეუკრას გზა.

ე ყაზბეგ ჩოფიკაშვილისა, ალექსანდრეს პაპა – გაბრიელი, მალე უძლიერეს ფეოდალად იქცა. რუსეთის საქართველოში შემოსვლისთანავე მან აზნაურის წოდება და მაიორის ჩინი მიიღო, მამის სახელი გვარად დაიმტკიცა და ასე დაიწყო ყაზბეგების გენეალოგია“.<sup>1)</sup> (უფრო დაწვრილებით – იხ. „დამატება“).



გენერალ-მაიორი გაბრიელ ყაზბეგი — ალ. ყაზბეგის პაპა  
© (ლე)

**1848 წლის 8 იანვრის გამოწვისას, 2) სტეფანწმინდაში, ხევის გამგებლის – მიხეილ ყაზბეგის საგვარეულო სასახლის აივნიდან თოფის გრიალმა მოხვევთ ამცნო პირმშო-მემკვიდრის დაბადება. თოფის ხმას რუს ოფიცერთაგან ნაჩუქარი მაშვალების ზალპი დაერთო – პირველი და უკანასკნელი ფოიერვერკი ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებაში...**

თუკი არსებობს რაიმე სიტყვა, რომლითაც შეიძლება ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიის სიმბოლური მახასიათებელი აღინიშნოს, ეს იქნება – „ფატალური უილბლობა“: „უმეტესობა მაიმედებელ ცხოვრებისეულ წამოწყებათაგან, როგორც წესი, საპირისპირო შედეგით მთავრდება და ნაბიჯ-ნაბიჯ, ულმობლად აახლოებს აღსასრულს.

**ვახტანგ კოტეტიშვილმა, ყაზბეგის ბიოგრაფიის ყველაზე გულმტკიფანმა მთხობელმა, მიანიშნა ამ უიღბლობის პირველმიზეზზე: „იგი განწირული ადამიანი იყო, და მას ვერავითარი საშუალება ვერ იხსნიდა. შეიძლება უკეთეს პირობებში გარდაცვლილიყო, ან ერთი თუ ორი წლით მეტი ეცოცხლა, მაგრამ განა ეს შეანელებდა მისი სიცოცხლის თუ სიკვდილის საშინელებას? რასაკვირველია, ვერა.**

პირველულად ალ. ყაზბეგი ისეთივე ფატალური თოკით იყო შექრული, როგორითაც ითანხებოდნენ მისი ატეხილი გმირები. მასაც იგივე სცილა და ქარიბდა ჰუპავდა, რომელთაც ჩანთქეს მისი ძმადნაფიცები. და ვინ იცის, იქნებ ალ. ყაზბეგს პირველი ხსნა არც კი უნდოდა...“<sup>3)</sup>

ეს „ზეგარდმო სასჯელი“ (ყაზბეგისავე მტკიცებით, მამა-პაპათაგან ბაგრატიოვანთა ტახტის ღალატისათვის) მისი ბავშვობიდან იწყება და საფლავამდე გასდევს.

**სანდრო ყაზბეგის პირველი ცხოვრებისეული ნაბიჯების რამდენიმე აღნერა არსებობს:** „სანდრო გახდა თავის დედ-მამის მზე და მთვარე. უამისხილვოთ მამას ერთი დღეც არ შეეძლო დარჩენილიყო, ისე უყვარდა. შვილს რაც უნდა ეთხოვნა, ყველაფერს აუსრულებდა. მაგალითად, იმ დროს, რუსეთიდამ მოსულა ერთი გლეხი კაცი, რომელსაც რუსეთიდამ საქართველოში „კანარეიკები“ მოჰყვანდაო. ეს კაცი სანდროს მამას გამოეცხადა, მოწმობა უჩვენაო; მას ნება მისცეს საქართველოსკენ წამოსვლისო. ამ კაცს სანდროს მამისთვის ორი კანარეიკა უფეშქაშებია უფულოდ, თავის გალიით. სანდროს როგორც დაუნახავს კანარეიკები მამისთვის დაუწყის მუდარას: – მამა ხუთი კანარეიკა მიყიდე, თორემ ვიტირებო! მამას უყიდია ხუთი კანარეიკა, 25 მან. მიუცია.

იმავე ლამეს სანდროს ჩიტები კატამ დაჭამა. ახლა  
ამაზე ატეხილა ტირილი: მოკალით კატაო!

გავიდა ხანი. ერთ დღეს ჩამოუვლიათ აქლემებს.  
სანდროს დაუნახავს თუ არა აქლემი, მისულა მა-  
მასთან და დაუწყია ხვეწნა:

– მამა, აქლემი მიყიდეო!

იძულებულმა მამამ უყიდა აქლემიც, რის წვა-  
ლებით, ხვეწნით და მუდარით რამდენიმე თუმანი  
მისცა ფასად. ეს აქლემი მოიყვანეს შინა და დაბეს.  
ერთი კვირა ჰყანდათ შინა და სანდრო მათ შეექ-  
ცეოდა, ხშირათ აწვალებდა, მოსვენებას არ აძლევდა.  
მეორე კვირას აქლემი კლდიდამ გადაიჩეხა, დაიმ-  
ტვრა და მოკვდა“ (ზაქარია ჭიჭინაძე). 4)



სტეფანემინდა. შეფერადებული საფოსტო ბარათი

**წერილი გამზრდელს:** ყოველივე ზემოთქმულის წამკითხველს, რაღა თქმა უნდა, დააინტერესებს, როგორ აღიქვამდა ამ გროტესკულ სურათს თავად ალექსანდრე ყაზბეგი?! ყოველივე ამის ზნეობრივი შეფასება მან თავის გამზრდელს – ნინო ფიცხელაურს გაანდო წერილში, რომელიც სტეფანწმინდაში გაუჟზავნა საერთო რვეულში თავმოყრილ მოთხოვნებთან ერთად:

„ჩემო საყვარელო გამზდელო ნინო!

ჩემისთანა ლარიბ კაცს რა ექნება, რომ შენ დაგიგდოს ან სახსოვრათ და ან მოგიძლვნას?! ამაზედ უძვირფასესი მე არა მქონდარა და ამის გამოისობით შენ გიძლვნი ემ რამთვენიმე ჩემი გრძნობისა და სულის მოძრაობას, რომლის ალზრდაშიც შენ ისეთს მონაწილეობას იღებდი. აბა, მოიგონე ის დროება, როდესაც მე ბავშვობაში მივლიდნენ ისე, როგორც მეფის შვილს. მანებიერებდნენ უკანასკნელ გარეუნილებამდინ. მასწავლიდნენ შურს, ამპარტაცნობას და სიძულვილს! ხელის-ხელ ამას-თან მოიგონე შენი ზღაპრები... რომლებსაც უფრო ვენდობოდი და რომლების შინაარსიც უფრო იძეჭდებოდა ჩემს თავში, ვიდრე დარიგება სხვა პირებისა. გახსოვს რა თანაგრძნობით მიამბობდი მოსამსახურის და ყემბის მდგომარეობაზედ ბატონის ხელში?... გახსოვს შენმა სიტყვებმა რამთენჯერ დამაღვრევინა მდუღარე ცრემლები და თანამაგრძნობინა ტანჯული, ხალხის უსამართლობისაგან პირებისათვის.

შენი სიტყვები არ დაიკარგა მუქთათ და აქ დაიმარხა ჩემს გულში... და ეხლა ამთვენი ხნის განმავლობის შემდეგ, როდესაც შემიღლიან ანგარიში მივცე ჩემს მოძრაობას, შემიღლის სიამაყით გითხრა, შენს გაზრდილში თუ იპოვება რამე რიგიანი ბავშვობიდანვე ჩანერგილი, ამის მიზეზი შენა ხარ, რომლისათვისაც გმადლობს წარმოუთქმელად.

შენი ა კ ა კ ი ა მ ო ჩ ს უ ბ ა რ ი ძ ე“. 6

**მტრები:** ამ წერილით თუ განვსჯით, ბავშვს დაბადებიდანვე ორი მტერი ჰყავს.

– დედა და მამა.

გავეცნოთ ამ „მტრებს“, მათ ყოფას და შევეცადოთ გავერკვეთ, რა არის სანდრო ყაზბეგის ეგზომლვარძლიან დასკვნაში სიმართლე და რა – განაწყენებული შვილის დაუნდობლობა.

**დედა:** თავად ესტატე თარხნიშვილის ქალი – ელისაბედ (მინაურთათვის – კეკე), „თავადის თუმანიშვილის ნაქვრივალი“ (პირველი ქორწინებიდან ელისაბედს სამი ქალიშვილი დარჩა).

ელისაბედი „საკმაოდ სიმპატიურ შთაბეჭდილებას ახდენს, თუმც თავისი წრის მედიდურობა მასაც საკმაოდ ჰქონია... – ეს არც თუ გაუგებარია, თუ მამით ალექსანდრეს დედა ეკუთვნოდა დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის მოდგმას, დედით – ბატონიშვილ სოფიოს, გიორგი XII-ის ქალის შვილის-შვილი იყო, და მასში ჯერ კიდევ ცოცხლობდა სამეფო სახლის სიამპარტაცნე“ (ვახტანგ კოტეტიშვილი). 7)

თავად თარხნიშვილებს და მათ შორის ელისაბედ თარხნიშვილის ოჯახს მამულები ქართლში, ახალქალაქში, ჰქონდათ. აქ ისინი (როგორც ნინო ლუკას ასული თარხნიშვილი იგონებდა) „სხვა და სხვა შერქმეულ სახელებით იხსენებოდნენ, როგორც, მაგალითად იორამიაანი, გლახაანი, ბერაანი და ბეციაანი. ამ ბეციაანთ-თარხნიშვილებს ეკუთვნოდა ალ. ყაზბეგის დედაც, და ალექსანდრესაც ეს სიბეცე დედის გვარიდან გამოჰყოლია“. 8)



ალექსანდრე ყაზბეგის დედა – ელისაბედ თარხნიშვილი  
© (ლმ)

**იოსებ გრიშაშვილი:** „ყაზბეგის დედა თარხნიშვილის ქალი იყო, ქართლელი. კარგად იცოდა ჩვენი ძველი ლიტერატურა და მშვენიერი სასიმღერო ხმა ჰქონდა. ა. ყაზბეგის ბოიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ამ ჩინებულ მანდილოსანს ალ. ჭავჭავაძის მუხამბაზები ზეპირად სცოდნია. 12 წლის ყაზბეგიც ამ გავლენას განიცდის და ზემორე პატარა ლექსიც (ციტირებული იყო 12 წლის ყაზბეგის „ცისკარში“ გამოქვეყნებული ლექსი „ნანა მიხეილ გიორგის ძე ყაზბეგზე“ – ზ.ა.), ყაზბეგისათვის უჩვეულო წყობით, მუხამბაზის ზე-გავლენით არის თქმული“. 9)

**ლიზა ყაზბეგის** ოვალით დანახული „კეკე-ბიცოლას“ პორტრეტი გაცილებით უფრო კონტრასტულია: „... იყო მაღალი ტანისა, სასიამოვნო შეხედულებისა... უფრო ლამაზებში ჩაითვლებოდა. შინაურათ, ქართულათ გაზრდილი ქალი იყო, ბუნებით ჭკვიანი... ძალიან ბევრი ლირსება ჰქონდა. მაგრამ საშინელი ბოროტი და შურიანი იყო. მეტისმეტად მედიდური ხასიათი ჰქონდა, თავის გამოჩენა მეტისმეტად უყვარდა... ძალუა ჩემი, ბიძაჩემზე ბევრად უფრო ჭკვიანი იყო და განვითარებული. ბუნებრივი ნიჭი შესწევდა და კითხვაც ძალიან უყვარდა, საღმთო წერილი კარგად იცოდა და სახარებას და დავითნს ხშირად კითხულობდა... „ქართლის ცხოვრება“, „ვეფ-ხისტყაოსანი“ გავარჯიშებული ჰქონდა, „ცისკარი“ მოსდიოდა და საზოგადოდ თვალ-ყურს ადევნებდა ქართულ ლიტერატურას. ალექსანდრე ჭავჭავაძის ზოგიერთი ლექსი ზეპირად იცოდა და ხშირად დამ-დეროდა ხოლმე... ამისთანა განვითარებულს მან-დილოსანს, დიდ ლირსებასთან ერთად, ფრიად დიდი ნაკლულებაც ჰქონდა“. 10)

**შამა:** მიხეილ ყაზბეგი – გაბრიელ ყაზბეგის უფროსი ვაჟი გახლდათ. ისე რომ, მიხეილს თანამდებობა მემკვიდრეობით ერგო. აი, შემდგომ კი, დესპოტური სასიათის მიუხედავად (ანდა – სწორედ ამიტომ), მამის კვალდაკვალ იგი ადვილად შეეწყო ახალ „ნაჩალნიკებს“ და არმიის პრაპორშჩიკობით (1819) დაწყებული სამხედრო კარიერა გვარდიის გენერალმაიორობით (1859) დაასრულა.

„მიხეილი იყო მაღალი, ნარმოსადეგი და მშვენივრად შეყრილი ყმაწვილი კაცი, გვარდიის პოლკოვინიკი, რომელსაც მთავრობა ძალიან სწყალობდა. კარგი ცხენოსანი, მოთამაშე და მაშინდელი ყმაწვილი კაცის ლაზათს რაც შეადგენდა, ყველაფრით შემკობილი... სწავლა არსად დაემთავრებინა... რუსულში ძალიან კოჭლობდა... ძალიან უჭირდა მწიგნობრობა... სტუმრის მიღება-მასპინძლობა და უხვობით თავის გამოჩენა სავსებითა ჰქონდა შესწავლილი... სტუმრის თავის სასარგებლოთ დამონავებას მშვენივრად ახერხებდა“.<sup>11)</sup>

მიხეილ ყაზბეგის პირველი ცოლი ქეთევან საგინაშვილი გახლდათ (ცნობისათვის: ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილი). შვილი მათ არ მისცემიათ. „როცა საგინაანთ ქალი გარდაიცვალა უშვილოდ, ბიძა-ჩვენმა მიხეილმა შეირთო თარხნიშვილის ქალი, თუმანიანთ ქვრივი, რომელსაც ჰყავდა სამი ქალი პირველი ქმრისაგან“, – იგონებდა ალ. ყაზბეგის ნათესავი ქალი, სოფიო თარხნიშვილი. იმსანად ამგვარ ქორწინებებში, როგორც წესი, მაჭანკლების ხელი ერია, რომელთაც, ეტყობა, „ბედგამონაცვალთა“ დაწყვილება გადაწყვიტეს.



სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი (1978 წ.)

© (სკმდება)

**„მადლიერი ვაჟიშვილის“** თვალით დანახული დედ-მამა ასე გამოიყურებოდა: „მამა ჩემს და დედა ჩემს განსაკუთრებითი თავისებური ხასიათი ჰქონდათ. უყვარდათ დიდ-კაცობა და მდიდრულად ცხოვ-რობდნენ, მაგრამ ყველგან თავისებური პირადობა ეტყობოდათ. მაგალითად: სამი მზარეული გვყვადა, ორი მეჯინიბე, ორი კუჩერი, ექვსი ლაქია, ორი კიდევ პატარა ბიჭი ხელზე მოსამსახურე, ხუთამდის „მცველები“ (სხვა სახელი ვერ მომიგონებია იმ ხალხისათვის, რადგანაც მათი საქმე მხოლოდ შეი-არალებული გაყოლა იყო მამიჩემისა, როდესაც მი-დიოდა სადმე), შეიდი მოახლე და ერთი ბაზიერი, თავის ურიცხვ ქორ-მეძებრით. ჩვენი წასვლა სადმე ერთი ორომტრიალი იყო, რადგანაც ამოღენა სახ-ლობის დასაძრავად მთელი თვეები მზადება გვინ-დებოდა“.

მიხეილის ეპოლეტები, როგორც ჩანს, არაფრით ხიბლავდა მის ვაჟს, რომელმაც სარკასტულად ჩახატა მამის პორტრეტი თავის ყველაზე უსიმპათიო პერსონაჟთა შორის („...დაბალი, ჩასუქებული, კი-სერჩაძვრენილი, უშნო კაცი“).

არანკლებ „კომპლიმენტარულია“ ავტობიოგრა-ფიული პასაჟი ყაზბეგის ერთი დაუმთავრებელი მოთხოვნიდან: „მამა იყო ძველებური კაცი, სახლიც და ცხოვრებაც ძველებურადა ჰქონდა მოწყობილი. ურიცხვი მოსამსახურენი, რომელიც უსაქმოდ დაეთრეოდნენ, ჩვეულებისამებრ მთელის საათობით დაადგებოდნენ ბატონს თავსა და რომელსამე მათგანს რისთვისმე შეძლებულ გლეხეაცს აპეზ-დებდნენ. ან კიდევ ბატონის გულის მოსაგებად და მის წინ ერთგულების გამოსაჩენად, რომელსამე მეზობელთან დავის ასატეხად აქეზებდნენ. დაპეზ-დებული გლეხი ისჯებოდა. მეზობელს დავა აუტ-ყდებოდა და ისეც მძლავრი მებატონე თანდათან უფრო მძლავრდებოდა, ძლიერდებოდა“ („განდევ-ნილი“).<sup>12)</sup>

სამაგიეროდ, იმავ ლიზას სიტყვით, მიხეილ ყაზ-ბეგს „...გაგიუებით უყვარდა თავისი შვილი და მხოლოდ იმით ამტკიცებდა, რომ ანებივრებდა და მეტისმეტად რყვნიდა“.

რას იზამ?! მამის გული ვერ უძლებდა პირმშოს ცრემლთაღვრას! არადა, რა გაკაუებული გული ჰქონდა?! – არც შინაუმების დასჯა-დაზიოკებაზე შე-ტკოცებულა, არც მოხევეთა სასონარკვეთილ საჩივ-რებზე... არ უყვარდათ ხევში „მრისხანე ბატონი“.

ძნელია, რამე სანუგეშო თქვას კაცმა ამ „ოჯახური პორტრეტის“ შემყურემ. და არც რა იყო სანუგეშო: ორი ზრდასრული ადამიანი ფანატიკური მონდომე-ბით ცდილობდა თავისი პირმშოს „კეთილშობილ ბატონად“ გაზრდას; იმ დროს, როცა მთელი მათი ანტიპედაგოგიკა კლასიკურ ეგოცენტრიკს და გან-სხვავებულ სოციუმში არსებობისათვის სრულიად მოუმზადებელ ადამიანს ძერნავდა. მთლად უშე-დეგოდ მათ „მონადინებას“ ნამდვილად არ ჩაუვლია: ალექსანდრე ყაზბეგის ზემოთ მოყვანილი წერილი ძინისადმი ისევე, როგორც მისი სუსხიანი წერილები დედისადმი, ან სრულიად გამაოგნებელი საქციელი (თან ხევში!) – მამის საფლავზე (ცხვრის საძოვრად წასხმა იმაზე მეტყველებს, რომ სხვაზე ადრე სწო-რედ მან გააცნობიერა თავის ხასიათში დედ-მამის ეს ავბედითი ნაძერწი და შემდგომ ყველა თავისი მარცხი, წარუმატებლობა თუ შეცდომა (შესაძლოა, უკვე გადამეტებითაც კი) სწორედ თავის საცოდავად ნეტარ მშობლებს გადააბრალა.



ალექსანდრე ყაზბეგის მამის – მიხეილ ყაზბეგის პორტრეტი  
© (სკმდეს/სიმ)

„მამის საფლავთან“ დაკავშირებული უსიამოვნი ეპიზოდი, სტეფანშინდელი გიორგი თოფაძის მიერ აღნერილი, ჩვენ ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნიდან გვახსოვს: „სტეფან-წმინდაში, ალ. ყაზბეგმა ცხვარი ჩამორეკა. ფარა მოედო ეკლესიის ეზოს, სადაც დასაფლავებულო იყო ალ. ყაზბეგის მამა მიხეილი. ეს ამოდენა (ცხვარი დადიოდა მიხეილის საფლავზე, აბინძურებდა იქაურობას, რაც ვერ მოითმინა ალ. ყაზბეგის დედამ, და შვილს აივნიდან გადმოსახახა, რომ ცხვარი გამოერეკა იქიდან. ალექსანდრემ პასუხი არ გასცა. დედა კვლავ სთხოვდა ალექსანდრეს, პატივი ეცა მამის საფლავისათვის, და როცა ალ. ყაზბეგი გამოიყვანა მოთმინებიდან, ამ უკანასკნელმა საჯაროდ დედას ასძახა: მამა ჩემი ისეთი კაცი იყო, ცხვარი კა არა, ძალლები უნდა დადიოდნენ მის საფლავზეო, და ცხვარი მაინც არ გამორეკა“<sup>13)</sup>.

**ყაზბეგთა სასახლეში:** „სასახლე“ – მისი უმცროსი ბინადრის აღნერით, ესაა: „დიდი, ორსართულიანი სახლი, უხერხულად და უშნოდ აშენებული, როგორც ყველა ძველი მებატონის სახლები“, – მაგრამ, ასეა თუ ისე, ხევის მოურავისაა და ჩვენც „სასახლედ“ მოვიხსენით.

„სასახლის საჯინიბოში ყოველთვის 50 ცხენი ება, – სიღარიბეში გაზდილი ადამიანის გაოგნებით წერდა ზაქარია ჭიჭინაძე, – ასევე უხვი იყო სხვადასხვა პირუტყვთა რიცხვი, თვით ირემ-კანჯარი და შინაურ და გარეულ ფრინველებითაც კი სავსე იყო ამ სასახლის საჯათმები და ბოსლები. მოსამსახურეთ რიცხვი ხომ დაულეველი ყოფილა. სამზარეულოც დიდად იყო მოწყობილი, მარხვასა და ხსნილში ყოველდღიურად კეთდებოდა ცხრა თავი საჭმელი, სულ ძვირფასეული. ხშირად გარეული ნადირის ხორცი, ნამეტურ ფრინველების, თევზეულობა და ევროპული საჭმელიც. დღეში კეთ-

დებოდა 30 კაცის სადილი. სუფრის ჭურჭელი სულ ვერცხლისა იყო. როცა ყაზბეგი თბილისში გადმოვიდა საზამთროთაო, მაშინ ეს ვერცხლის ჭურჭელი ერთი საძნე ურემი გამოვიდა, ნუ დაივიწყებთ, რომ ყველა იარაღიდამ ორ-ორი ან სამ-სამი ცალი მთაშიც დასტოვესო, მაგრამ მაინც იმოდენა ვერცხლის ჭურჭელი ჰქონდათ, რომ რაც თბილისში წამოიღეს, ერთი ამდენი გამოვიდაო“.<sup>14)</sup>



ყაზბეგების სახლი და კარის ეკლესია  
© (სკმდეს/სიმ)

**ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1859 წლის დასაწყისი**  
– სანდრო მშობლებს ჩამოჰყავთ თბილისში და აბარებენ ჰაკეეს ვაჟთა კერძო პანსიონში.

„პანსიონს მაშინ განაგებდა მხოლოდ ერთი ჰაკეე. ჰაკეე გერმანელი იყო, ყოველმხრივ განათლებული კაცი. გერმანიდან დაიპარა მაშინდელმა კავკასიის ცალკე კორპუსის კომანდორმა ნეიტგარტმა თავის შვილების აღსაზრდელად. ხოლო ნეიტგარტის შემდეგაც ტფილისში დარჩა და ჰედაგოგ რაევსკისთან ერთად პანსიონი დაარსა. ჰაკეე სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმოდენად მამობრივს მზრუნველობას იჩენდა თავის შეგირდების მიმართ, იმოდენას სცდილობდა და ყურს უგდებდა მათს ზნეობრივსა და გონებრივ განვითარებას, რომ თითქმის მთელს თავისუფალ დროს, კლასში მეცადინეობის შემდეგ, იმათ ანდომებდა, ხან ემუსაიფებოდა, ხან ართობდა მუსიკით და მართავდა ხელდახელ კონცერტს როიალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოვოდ იცოდა“. (ილია ჭავჭავაძე).<sup>15)</sup>


**ჰაკეეს პანსიონი** მართლაც საუკეთესო იყო თბილისში, მაგრამ ყაზბეგთა არჩევანი უფრო იმან განაპირობა, რომ ამ პანსიონში მასნავლებლობდა და იქვე, შორიახლოს სახლობდა თავის პატარა ვაჟიშვილთან ერთად სანდროს ყოფილი გუვერნიორი კორბო, რომელთანაც ბინა დაიდო მისმა შეგირდმა. სწორედ ეს კეთილისმყოფელი დამთხვევა აღმოჩნდება პირველი ყაზბეგის ბიოგრაფიის იმ ფატალურ უილბლობათა მწკრივში, სადაც ნებისმიერ სასიკეთო ჩანაფიქრს საპირისპირო შედევგი მოაქვს: ერთ მშვენიერ დღეს სანდრო (მსახური ბიჭის – იელუბას „ასისტენტობით“) მიეპარა სადილის შემდგომ ჩათვლემილ კორბოს, ბალიშზე, მელოტ თავთან თოფის წამალი დაუყარა და ცეცხლი წაუკიდა....

როგორც მოსალოდნელი იყო, ალექსანდრე ყაზბეგის ოჯახში არავის აღუქვამს ადამიანური ლირსების შეურაცხყოფად ეს ეპიზოდი; შემდეგაც სიცილით იხსენებდნენ და კორბოს ლანძლავდნენ – ბავშვის საცემად გაიწავთ „უკონტროლო სიყვარულის“ ამ ინერციით, ვახტანგ კოტეტიშვილიც კი გულაჩუქებით წერს, რომ „ალექსანდრეს მოუსვენარ ბუნებას მონდომებია ახალი სიცელქეო“. არადა, ამ „სიცელქეში“ უკვე მკაფიოდ მოისმის რაღაც საგანგაშო ნოტი... აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ კორბოს შეურაცხყოფის საზღაურად სანდრო ჰაკვეს პანსიონს გამოეთხოვა, რითაც მთელ მის შემდგომ სწავლა-განათლებას მყარი საფუძველი გამოეცალა, ხოლო მის ფსიქოლოგიურ განვითარებას დააკლდა ის სოციალიზაცია უცხო გარემოცვაში, რომელიც ესოდენ აუცილებელი იყო სწორედ გარდამავალ ასაკში და რომლის არქონამ კიდევ არაერთი სიურპრიზი განუმზადა „ყაზბეგიანთ სასახლის“ ჭირვეულ ბინადარს.

1862 წლის ოქტომბერში მშობლებს ალექსანდრე ქსენოფონტ კანონიჩის პანსიონში გადაჰყავთ, ხოლო ერთი წლის შემდეგ – თბილისი | კლასიკური გიმნაზიის მე-4 კლასში.

**„თბილისში დიდკაცურად მიეცა ცხოვრებას ალ. ყაზბეგის მამა, კუკიაში ბინა დაიჭირა, მორთული ძვირფასი ხალებით, ატლასებით და სხვადასხვა ძვირფასი სურათებით და ოქროსა და და ვერცხლის იარაღებით. ოთახს ამშვენებდა სხვადასხვა ყვავილები. როგორც მთაში, აქაც უხვი იყო ყველაფერი, მოსამსახურეთ რიცხვი, სადილი ისევ 30 კაცისა კეთდებოდა. მოსამსახურებს გარდა მალე შეიძინეს ეტლი, ორი ცხენი საჯდომი და მრავალიც სხვა ცხენი სტუმართათვის, მეწველი ძროხები და სხვა. მთელს თბილისში სახელი გაითქვა ყაზბეგმა, როგორც კარგმა მეპურმარილემ.**

თბილისში ალ. ყაზბეგს დაუჭირეს ორი გუვერნანტკა, ერთი რუსი და მეორე ფრანგი ქალი, მათ გარდა რამდენიმე მასწავლებელი. ქართული ენის მასწავლებლად „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე მოიწვიეს. მასწავლებლის მოსაყვანად ხშირად ეტლს ჰგზავნიდნენ ხოლმე. მასწავლებლებზე დიდი ფული იხარჯებოდა, მამა არას დაგიდევდა. მიხეილ ყაზბეგი ხშირად მასწავლებლებსაც უმართავდა ნადიმს. ივანე კერესელიძე იტყოდა: „ეტლი მოვიდოდა, დღეს მობრძანდი სადილათაო. მეც დავჯდებოდი ეტლში და წავიდოდი დიდი გაბერვითაო, აქ კაი ქეიფს, კაი სადილს გეახლებოდი და საღამოზე ვბრუნდებოდი შინაო“.



ივანე კერესელიძე  
© (ლმ)

სოფელში ცხოვრებას დაჩვეულ სანდრო ყაზბეგს ორმ არ მოსწყონდა ქალაქში, მას შეუკერეს ორნაირი ტანსაცმელი; ევროპული და ქართული, ძვირფასი ოქრო-ვერცხლით მორთული. ამას გარდა მოუყვანეს ორი კარგი ცხენი, ერთ ცხენზედ სანდრო ჯდებოდა, მეორეზე მისი გამდელი მოსამსახურე კაცი და ქალაქის ქუჩებში დადიოდნენ სასეირნოდ. წვიმიან დღეებში სანდრო სასეირნოდ დაჰყავდათ გუვერნანტებს ეტლით. სანდროს მამამ ეს არ აკმარა შვილსა, მან მოინდომა თავიანთი უბნის მდაბიო ოჯახის შვილების დაახლოვება თავის შვილთან; მთელი უბნის ბიჭები იყრიბებოდნენ მათ ეზოში და სანდროსთან ერთად თამაშობდნენ. სანდროს დედმამა აივნიდან უმზერდნენ. თამაშობის გათავების შემდეგ სანდრო აივანზე ავიდოდა, ჯიბეში ჩაიყოფდა ხელსა და რამდენიმე მუჭა ვერცხლის ფულს გადაუყრიდა თავის ტოლ ამხანაგ ბიჭებს, ესენი საჩეაროდ აპერეფდნენ და მადლობით წავიდოდნენ. [...] ხანდისხან თურმე სანდრო ყაზბეგიც იღებდა კრივში მონაწილეობას, მაგრამ კრივის დასაწყისში, როცა პატარა ბიჭები დაიწყებდნენ ხოლმე, ყველა პატარა ბიჭი ერიდებოდა სანდროსთვის დარტყმას, იგინი ნელა არტყამდნენ თურმე ისე, რომ სანდრო არც კი გრძნობდა დარტყმასა. მის მამას კიდევ უხაროდა უსაზღვროდ: ჩემი შვილი ჯანიანი ბიჭი გამოდის, კრივში მარჯვედ იქნევს ხელებს და იმედი მაქვს რომ დღეგრძელი გამოვაონ“ (**ზაქარია ჭიჭინაძე**).<sup>16)</sup>

„**ცხოვრების რინგზე**“ მოჩეუბარიძის ბიოგრაფიის თვალმიდევნებისას, ცრემლი რომ მოგერევათ პოლემიკურ ორთაბრძოლებში აკრძალული იღლეთით დარეტიანებული, გამიზნული აგრესიის ასაცდენად ფსიქოლოგიურად აბსოლუტურად მოუმზადებელი „ბედის ნებიერას“ დანახვისას, კი გაიხსენებთ თანაუნელი „სპარინგ-პარტიიორებისაგან“ დანდობილ პატარა „მოკრივეს“ კუკიდან და მის ნეტარ მამას...

აյ ხაზგასმით ვგულისხმობ სწორედ ფსიქოლოგიურ ორთაბრძოლაში განცდილ მარცხს – სასიყვარულო ასპარეზზე იყო ეს, ლიტერატურულზე თუ თეატრალურზე, ანუ იქ, სადაც სანდროს შვიდნლიანი მეცხვარეობისას გამუღავნებული ალალი, კაცური თვისებები გვერდზე დარჩა...

**ზაქარია ჭიჭინაძის** მონაყოლს დავუბრუნდეთ, საინტერესოა: „სანდრო სახლიდან სასწავლებელში ეტლით დაჰყავდათ. გიმნაზიაში ყოფნის დროს სანდროს უფრო დაუწყეს მშობლებმა პატივისცემა და სიყვარული, მათი პატივისცემა საზღვარს აღმატებოდა. ვინც კი უმზერდა ამ სიყვარულს, ყველას უკვიდა და მრავალნი ამბობდნენ, რომ ასეთის გარდამეტებულის სიყვარულით ესენი ყმანვილს გარყვნიანო, სამუდამოდ გააფუჭებენო. შინ მოსვლისას სანდრო გიმნაზიის ფორმას გამოიცვლიდა, ჩაიცვამდა ჩერქეზულ ტანასაცმელს, შეიმოსებოდა იარაღით, შეჯდებოდა ცხენზე და გააჭენებდა თბილისის ქუჩებში. სადილობამდის ასე დასეირნობდა, ვიდრე შინ არ დაბრუნდებოდა, მანამდის სადილს არ გაშლიდნენ, მშივრებიც რომ ყოფილიყვნენ, სანდროს ეწყინებაო. სანდროს წყენა კი მისის მშობლებისათვის ძვირფასად ღირდა. საღამოთი სანდრო ევროპულს ტანასაცმელს იცვამდა.

სახლში კარგ დროსა და ლხინების გატარებას დაჩვეული ალ. ყაზბეგი ნაცნობთა სახლებშიც დაიარებოდა სტუმრად. ნამეტურ კვირა დღეობით. დღესასწაულებში და თავისუფალ დროს მით უფრო ჰპატიურებდნენ, რადგან იგი ადრითვე შეეჩინა ჩინებულად ლეკურის თამაშსაც. უკანასკნელად იმ ზომამდის მივიდა, რომ 1880-იან წლებში ქართული თეატრის სცენაზე, ხანჯლებითაც დაიწყო თამაში, რაც დიდად აკვირვებდა ქართველ საზოგადოებას“. <sup>17)</sup>




თბილისის კლასიკური გიმნაზია © (სკმდეს)

**ლიზა ყაზბეგი**, თავის მხრივ, იგონებდა: „გიმნაზიაში სანდრომ უკეთ დაიწყო სწავლა და დიდად უხაროდა ფორმის ჩაცმა. თავისი სურათი გამომიგზავნა და მწერდა: „აბა, ნახე, როგორ მიხდებაო“, ეხლაც თვალწინ მიდევს ეს სურათი და მაგონდება ჩემი სანყალი, ლამაზი სანდრო...“

გიმნაზიოდან ზაფხულში რომ დაპრუნდა, სანდროს ცვლილება ეტყობოდა, უფრო მუყაითი იყო სწავლაზე, რაღაცა ლექსების წერა შევამჩნიე, მაგრამ კი არავის გვიჩვენებდა, როდესაც ლექსების წერაში შევასწრებდი და ვსთხოვდა, რომ ეჩვენებინა, ის დამიმალავდა ხოლმე და მეტყოდა: „ამგვარი ლექსები ქალების ნასაკითხად არ ვარგაო“. 18)

**გარეშე თვალით.** ნაწყვეტი ვახტანგ ორბელიანის ქალიშვილის, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის, მოგონებიდან: „ნალჩიკიდან კავკავში წავედით, სადაც მამაჩემი სამუშაოდ გადაიყვანეს. კავკავში გატარებული დრო ძალიან ცუდად მახსოვს და ვერ ვიტყვი, რამდენ ხანს დავყავით იქ. იქაური ჩვენი ნაცნობებიდან მახსოვს გენერალი ყაზბეგი, მისი შვილი სანდრო (შემდეგში ჩვენი ცნობილი მწერალი), რომელსაც სასონარკვეთილებამდე მიჰყავდა მამამისი თავისი აუტანელი ქცევით და მისი მამიდაშვილი სოფიო ესენოვა – ოსის ქალი. სანდროს ძალიან ხელგაშლილად უყვარდა ცხოვრება, რაც ძალიან აწუხებდა მამამისს, რომელსაც შვილის ქეიფები კისერზე აჩვებოდა. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ეს დარდიმანდი ყმაწვილი ასეთი სასახელო მწერალი გამოვიდოდა!“ 19)



ვლადიკავკაზი. XIX ს-ის ბოლო  
დ. ერმაკოვის ფონდი © (სემ)

**1865 წლის შემოდგომა სტეფანემინდაში** შფოთიანი იყო. კვლავ ლიზა ყაზბეგს მოვუსმინოთ: „ბიძაჩემმა ერთ შემოდგომაზე თბილისში წასვლა ველარ მოახერხდა: თითქმის ზამთრის პირამდენ ყაზბეგში დარჩნენ და თუმცა შემდეგ მაინც წავიდნენ, მაგრამ ამ დაგვიანებამ სანდროს სწავლა ძალიან შეაფერხა: გიმნაზიიდან გარიცხეს: შესვლისათვის ხელახლა ეგზამენია უნდა დაეჭირა და ეს კი ვერ შეძლო. ეს დაგვიანება მთლად დედ-მამის ბრალი იყო: სანდრო ძალიანა წუხდა და თბილისისკენ ილტვოდა, მაგრამ ამაოდ...“

სანდროს სწავლაზე მუყაითობა ეტყობოდა, წერის ხალისიც შევამჩნიე, იმ დროს დაიწყო თავისი პირველი კომედია „ალმზრდელები“, რომელსაც ეხლა იმის ქაღალდებში გადაკეთებულებს და სათაურშეცვლილებს ვხედავ. კომედიაში თავისი დედ-მამა ჰყავდა მიზანში ამოღებული. იმათი უსწავლელობა და უვარგისი ანტიპედაგოგიური მოქმედება, პირველი თავი, რაც დაწერილი ჰქონდა, ყველას გვაჩვენებდა და გვაკითხებდა, გარდა თავის დედ-მამისა. ერთ დღეს მთელი ოჯახობა ერთად ვსადილობდით, კარგ გუნებაზედაც ვიყავით, სანდროს თავის დედ-მამამ შეურჩიეს ისეთი მომენტი, როდესაც შესაძლებლადა სცნეს გაბედვა: „აბა, რომ ამბობ კომედიასა უსწერო, ჩვენ რომ არ გვაჩვენებ, ე ბიძაშენს და შენ ბიძაშვილებს მაინც წაუკითხე!“ სანდრომაც შეგვისრულა სურვილი: გამოიტანა თავისი რვეული და დაიწყო კითხვა. პირველივე სტრიქონების წაკითხვაზე, სადაც დედ-მამამ თავიანთი სურათი იცნეს, – ძალუამ ღრიალი მორთო. „ვაი, ჩვენი ბრალი, რომ შენი სასაცილონიც გავხდით! რაც შევძელით არას ვიშურვებდით: გასწავლიდით, გემუდარებოდით და შენ თუ გიუ, დამთხვეული ხარ, ვისი რა ბრალია?! ეგ არის შენმა მზემ, თუ ჩვენ სასაცილოთ გაგზავთ, ქვეყანა მოგიწონებს!..“

ამგვარი საყვედურებით აავსეს მშობლებმა სანდო. სანდრომაც რამდენიმე მკვახე სიტყვა მიუერ და კინაღამ კრივი გაიმართა. ამითი გათავდა კომედიის კითხვა (საწყალი დიმიტრი ბევრს იცინოდა ამ მართლა და კომედიაზე).

სანდრომ სიყმანვილიდანვე შეისწავლა მშობლების ხასიათი, იმათ სუსტ მხარეებს ალლო აულო და იმათთან გამოხმაურებით, ხშირათ თავის წადილს ასრულებდა.

აი, რა მოიმოქმედა: რადგანაც იმისი მშობლები თბილის წასვლას აგვანებდნენ და ამით იმის სწავლას აფერხებდნენ, იმან ერთ დღეს თავის პატარა ჩამადანს ლაგება დაუწყო, თბილის მივდივარო. მნახველებმა ისე მიიღეს, რომ წინადვე ალაგებს ბარგსაო და არაფერი ყურადღება არ მიაციის. როდესაც სადილად მოიკითხეს სანდრო, მაშინ ვეღარც სანდრო იპოვნეს და ვეღარც იმისი ჩამადანი ნახეს. შეიქმნა ერთი ალიაქოთი, სანდრო ტფილის გაიპარაო. შეატყობინეს მამაჩემს და სთხოვეს: „არიქა, ნიკოლოზ, სანდრო ტფილის გაგვეპარა, და შენს მეტს არავის გაუგონებს, გვიშველე, დააბრუნეო“. მამაჩემიც ცხენით გაიჭრა, რადგანაც ეგონა, იქნებ შორს მომიხდეს მიწევაო, მაგრამ იქვე სტანციასთან როგორცვე მივიდა, სანდრო ჩვენის დუქნის კედელთან ატუზული ნახა. როდესაც მამაჩემი გამოხმაურა, მაშინ შესჩივლა: რა ვქანა, სწავლა მინდა და არ მივყევარო, და მეც მინდა შევაშინოვო“. მამა ჩემი დაპირდა: თუ მშობლები არ წაგიყვანენ, მე თითონ წაგიყვანო და ამ რიგად პატარა ყაჩალი შინ დააბრუნა“. 20)

საბოლოოდ, სანდრომ მეცადინეობის რამდენიმე თვე გააცდინა, გამოცდები ველარ ჩააბარა და გიმნაზიიდან გაირიცხა. ამჯერად საშინლად გამწარდა: შესაძლოა, გულის სილრმეში კი უკავშირებდა ამ მარცხს „კორბოს ეპიზოდს“, მაგრამ ისევ და ისევ მშობლებისაკენ მიმართა მთელი თავისი რისხვა.

**რისხვა:** „ჩემი შიში, რომ არ დაგეგვიანებინეთ გიმნაზიაში, და წადილი ისეთი ძლიერი იყო, რომ შინიდან ჩემოდანაკიდებული, ქვეითი გამოგექეცით, ცივს ყინვაში. თქვენ გამოგზავნეთ კაცები, დამიჭირეთ, მომათრიეთ და, მკაცრის მოქცევის შემდეგ იანვრამდინ დამაგდეთ. რა გამოვიდა იქითგან?.. გამომრიცხეს გემნაზიიდგან და როდესაც ისევ მინდოდა შესვლა, მაშინ ეგზამენია მომთხოვეს იმაში, რაც გაევლოთ ჩემს ამხანაგებს ჩემს იქ უყოფელობაში. ეგ აშკარა იყო, რომ 8 თვე ნადირობაში და უსაქმო გატარების შემდეგ, ყოვლათ შეუძლებელი იყო ეგზამენის დაჭერა. ამ უბედურებას მიემატა მამიჩემის ავადმყოფობა, რომელსაც წადილი იმ სურვილათ გადაექცა, რომ გვერდიდგან ალარ მოვშორებოდი. ასე რომ, არამცთუ თქვენის მიზეზით გემნაზიის სწავლა დავკარგე, ისიც კი ალარ იფიქრეთ, რომ სხვა რომელსამე გზაზედ დაგეყენებინეთ“. 21)

**ნიკოლოზ ბარათაშვილი** ხომ არ გაგახსენდათ ამ წერილს რომ კითხულობდით?! დედ-მამის უგულის-ყურობას რომ შესჩივის ბიძამისა – გრიგოლ ორბელიანს: „ვსთხოვე უნივერსიტეტში მაიც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურების გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰედავ შენის სახლის გარემოებასო, იქნება მე ალარც კი გავანიო ამ სწავლებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში, განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმცა სანდისხან ჯავრით ვაპირებ მასთან შებმას...“ 22)

**ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1866** – ალექსანდრეს ოჯახის მდგომარეობა უკან და უკან მიდის. მამის ჯანმრთელობა უარესდება.

„მამაჩემის შემოსავალი შემცირდა სხვადასხვა მიზეზებით. ამის გამოისობით, მამულს მოუნდა თვალყურის მჭერელი, რომელიც ბიჭების ხელში იყო და რომელსაც თვალყურს არ ადეკვებდა არავინა, რადგანაც მამაჩემს სხვა შემოსავლები ჰქონდა. მამაჩემი დარჩა ფასანაურში სანამლებლად და მე კი წავედი სოფელში, რომ არც შეიძლება თვალყური მედევნებინა მამულისათვის“ (აღ. ყაზბეგი).

**მიხეილ ყაზბეგი**, მელიტონ ბარათაშვილისაგან განსხვავებით, ეტყობა, მართლაც გრძნობდა მოახლოებულ ალსასრულს და გარდაიცვალა კიდეც წყალმანკით ფასანაურში **1866 წლის 18 ივლისს**, 64 წლის ასაკში.

„გარდაიცვალა იმ დროს, როდესაც, შინ ერთი გროში არა გვქონდა, გარდა იმ ათის თუმნისა, რომელიც მე ჩამოვუტანე ამ უბედურსა სიკვდილის წინა დღით და რომელიც იყო ნაყოფი პირველის ჩემის ოფლისა“ (აღ. ყაზბეგი).

**მამამისის პანაშვიდზე** სანდრომ ერთი უცნაური მიზანსცენა გაითამაშა, რომელსაც ლიზა ყაზბეგი ასე აღნერს: „გულგადალელილი, საყელოჩაკეცილი, მოკუზული სანდრო ცხედარს გარს უვლიდა და მათრახს ძალზე იცემდა! ნინო თავპირში ცემით წინ მიუძღვდა, ძალუაჩემი თმაგანენილი, წინანდელზე უფრო თავგამოდებული ხმითა ტიროდა და დიდის უნარით ცხედარს ჩასძახოდა სანდროს თავგანწირულებას და დიდს მწუხარებას. მაყურებლები ერთიანად ატირდნენ და საერთო ვაი-ვაგლახი გამართეს.

სანდრო ძლივს მოაშორეს კუბოს. დიდი მადლობით და ქება-დიდებით შემოიყვანეს მეორე ოთახში კისერდასიებული, დასისხლიანებული. ჩვენ ჯერ გონის ვერ მოგსულიყავით, გაშტერებით ვუყურებდით და ასჯერ ვეკითხებოდით, რათა ქნა ეს საქმე?..

– მართალია, მათრახით ტყავის გაძრობა დიდი მხეცობა არის, მაგრამ მე ასე მოვიქეცი ხალხის გულისათვის: ასე რომ არ მოვქცეულიყავ, იტყოდნენ, რომ მამის სიკვდილი უხარიანო“, – თავს იმართლებდა ეს უცნაური ჭირისუფალი. 23)

რა ხდება სინამდვილეში ამ 18 წლის ჭაბუკის გულში, რომელსაც ამიერიდან „ოჯახის უფროსი“ ერქმევა, მაგრამ დედა-ბატონის ბრძანებით, ღამ-ღამობით ჭიშკარს უკეტავენ, – დილამდე რომ არ იჯდეს „ლიტერატურულ სალამოებზე“ ლიზასთან, იმხანად მის ერთადერთ მეგობარსა და მესაიდუმლესთან (რაც ასე არ მოსწონს უფროს ელისაბედს!). და, მაინც, რა ხდება?! რატომ არ შეუძლია დარბაისლური იერით იდგეს მგლოვიარეთა შორის და სამძიმარს იღებდეს ყოველგვარი ექსცენტრულობის გარეშე, ისე, როგორც ამას ნებისმიერი სხვა ახალგაზრდა არისტოკრატი გააკეთებდა?!

დიახაც რომ არ შეუძლია! არ შეუძლია ეგზომ „თეატრალიზებული“ რიტუალის ჩვეულებრივი მონაწილე იყოს, რადგან გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად არ აიგივებს თავის თავისივე გარემოცვასთან.

„– აკი არ გიყვარდათ მამაჩემი?! თეატრს ან-ყობთ?! თეატრს მე განახებთ!“ – იტყვის გულში და მართლაც გაითამაშებს პაროდიულ მიზანსცენას მათრახით, დასისხლიანებული ზურგითა და კისრით... კიდევ კარგი, განსვენებული ამას ვერ ხედავს, წევს ვალმოხდილი...



ყაზბეგების კარის ეკლესია და სახლის ჩრდილო-დასავლეთი  
ნაწილი © (სუმ)

**„მეუე მოკვდა. გაუმარჯოს მეუეს!“** – აქ კი გაი-  
ფიქრებთ, რომ არის ამ წარმართულ, დასისხლი-  
ანებულ როკვაში განსვენებული მამის გარშემო  
რაღაც ქვეცნობიერი პლასტი, გაცილებით უფრო  
ღრმა, ვიდრე ის პირველი სიტუაციური გაღიზია-  
ნება... გაიფიქრებთ, რომ მემკვიდრეობ უნებლიერთ  
დაუკავშირა სრულწლოვანების აღსანიშნავი სიმბო-  
ლური ინიციაცია (სისხლსა და თვითგვემას რომ მო-  
ითხოვს) „ბელადის“ სიკვდილს და პრეისტორიული  
რიტუალი არქეტიპული სიზუსტით აღასრულა...

**ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1866, ივლისის 25 – დაქ-  
რძალვა მიხეილ ყაზბეგისა სოფელ სტეფანწმინ-  
დაში.**

[მამა] „როდესაც მოკვდა, ეგ ფულები გადასატანად  
თავის სასაფლაოზე დ ძლივს გვეყოფინა და დამარ-  
ხვა მოვგიხდა ვალზედ. ჩვენში დამარხვა ხომ სხვა  
ქვეყნების დამარხვას არ ემსგავსება? მთელი ხევი  
შეიყარა...“ (აღ. ყაზბეგი).

**საქორწინო ხაფანგი:** ელისაბედ ყაზბეგი საგონებელ-  
ში იყო ჩავარდნილი: თან უნდოდა სანდროს სათა-  
ნაოდ განათლება მიეღო, რისთვისაც ის რუსეთს უნდა  
გამგზავრებულიყო; თან, გუმანი უკარნახებდა, რომ  
არაფერი კარგი ამ წამოწყებიდან არ გამოდნებოდა  
და ჯობდა ვაჟიშვილი აქვე დაექორწინებინა. ამ მიზ-  
ნით, ნათესავ-მეგობრებთან ერთად 1867 წლის გა-  
ზაფხულზე მთელი საიდუმლო გეგმა შეიმუშავეს:  
სანდრო უნდა ჩასულიყო მამამისის გასესხებული  
ფულის ამოსალებად ახალქალაქში, სადაც მისი მას-  
პინძელი და შემწე მისივე ბიძა (ელისაბედის ძმა)  
უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში „ვალები“ მიზეზი  
იყო და დაძმას სანდროსათვის „საბედოს“ გაცნობა  
ეწადათ.

ვისაც კი სანდრო ყაზბეგის ახალგაზრდობის დროინდელი ფოტოსურათები უნახავს, ადვილად წარმოიდგენს, რა ეფექტს მოახდენდა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ჭაბუკი მხედრის გამოჩენა მასპინძლების ჭიშკართან. სიტუაცია, ვგონებ, სწორედ ისეთი იყო, შემდგომ თავად სანდრომ რომ ჩაიწერა ფოლეკლორული ნიმუშების შეგროვებისას:

ყმანვილო, ტურფად აღზრდილო,  
დიდს გორას აეწონები,  
ვინც გნახავს, დედით ნაშობო,  
ყველას შენ მაეწონები.

აღტაცება – აღტაცებად, მაგრამ, მასპინძლებმა რაღაც ნამდვილად ვერ მოზომეს და, ყაზბეგისავე თქმით, ყოვლად უტითორად ცდილობდნენ მის საქორწინო მახეში მომწყვდევას. ამ ეპიზოდზე იგი დაუფარავი სარკაზმით ჰყვება: „ბიძაჩემის ცოლის დას ჰყვანდა ერთი ქალი, რომელიც უეჭველათ უნდოდათ ჩემთვის შეერთოთ და ამ აზრის აღსრულებისათვის ყველა წესიერს და უწესო მოქმედებას არა შურობდნენ. მატარებდნენ იმ ქალის საზოგადოებაში, სმაში ღვინოს მაძალებდნენ და იმ ქალს კი ამღერებდნენ, აალერსებდნენ ჩემთან, მელაპარაკებდნენ იმის მზითევზედ, სილამაზეზედ, სითეთრეზედ, მიხატავდნენ სხვადასხვა ამამღლელვარებელს უპატიოსნო კარტინებს და ერთის სიტყვით ცდილობდნენ, რომ როგორმე წავეცდინეთ და ეთქმევინებინათ, რომ მამწონს ანუ მიყვარს (ეს „მამწონს ანუ მიყვარს“ კალმის წაცდენა არ გეგონოთ – ძალიან მრავლისმეტყველია და ჩვენ აუცილებლად დავუპრუნდებით ამ თემას – ზ.ა.). ისინი კარგათ იცნობდნენ ჩემს ხასიათს და იცოდნენ, რომ თუ ერთხელ რამე წამომცდენიყო ამ გვარი, მაშინ უარის თქმას ვეღარ მოვახერხებდი და ჯვარს გადამწერდნენ. მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ გამამაგრა როგორც სალი კლდე და მოატყუა ჩემი მდევნელები თავის ანგარიშებში. მე დღე და ღამე

საფიქრელათ სწავლა შემექნა, მე მოსვენებას არ მაძლევდა სტუდენტების ცხოვრება, რომელსაც ისე ცოცხალის ფერებით მიხატავდა ხოლმე ერთი ჩემი ნასტუდენტარი ნათესავი.

ამ დროებაში ჩემი მასპინძლები იქამდე მივიღნენ, რომ დაინყეს პირდაპირ ჩემთან ლაპარაკი იმ ქალის შერთვაზედ და მითხრეს გადაწყვეტილი, რომ თავს არ დამანებებენ. ჩემი მდგომარეობა სასაცილოზე უარესი იყო!“ 24)

19 წლის სანდრომ, მისდა სასახელოდ, ამჯერად გონივრულობა და ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა და დამშვიდობებისას, მასპინძლების ხმაში გაულერებული მუქარის პასუხად, თანმხლებ მოხევესთან ერთად უკვე ცხენზე ამხედრებულმა, უკმეხად განუცხადა, რომ თავისი ნებით თუ არ გაუშვეს სახლიდან, ძალით გაიკაფავენ გზას: „...მაშინათვე თავი დაგვანებეს და, სწორე გითხრათ, კარგიცა ჰქინეს“, – იგონებს კმაყოფილი...




ალექსანდრე ყაზბეგი ახალგაზრდობისას. XIX ს-ის 70-იანი წლები. ვლადიკავკაზი © (ლმ)

„საგანმანათლებლო გეზი“ ელისაბედ ყაზბეგს უკვე მივიწყებული ჰქონდა, მაგრამ მისი, „საქორნინო ხაფანგს“ თავდალწეული შვილის შინ მიბრუნებამ შეასენა – რაღაც უნდა ეღონა. ამასობაში „მატრიმონიალური პათოსიც“ გაუნელდა და ბუნდოვანი იმედებიც აკიაფდა რუსეთში საუნივერსიტეტო განათლების მიღებასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ბატონიშვილ დავით ბაგრატის ძესთან (ენათესავებოდნენ ერთმანეთს) გაგზავნილ წერილს სანდროსათვის მოსკოვში ხელშეწყობის თაობაზე დელიკატური უარი მოჰყვა.

„მამიჩემის სიკვდილის შემდეგ, – იგონებდა ყაზბეგი, – მე დამრჩა მხოლოდ ერთი მეგობარი, ნამდვილი მეგობარი, ბაზუტაშვილი], რომელიც იყო მოსკოვის უნივერსიტეტში. მე მივსწერე მას ჩემს გამოურკვეველს მდგომარეობაზედ და ვთხოვდი რჩევას. ჩემს წიგნში ჩაუმატე, რომ მსურდა რუსეთს წასვლა და უეჭველათ სწავლა. ამაზედ იმან მიპასუხა პირდაპირ როგორც შეეფერებოდა სვინდისანს კაცს შემდეგით: „უკეთუ შენ გინდა წამოხვიდე, რომ აქ იქეიფო, მდიდარი საცოლე მონახო, როგორც ზოგიერთი ყმანვილი კაცები მოდიან, მაშინ შენ გირჩევ, რომ არ წამოხვიდე. გარდა უპატიოსნებისა მაგ გვარ მოქმედებაში უანგარიშობა არის, და ეს უანგარიშობა იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის მდიდარი ქალი ჩვენს ქართულს ცხოვრებას და ჩვეულებას ვერ მოეწყობა და, მაშასადამე შენი მომავალი მონამლული იქნება. და თუ შენ გინდა ნამდვილათ სწავლისათვის წამოხვიდე, იმედი გაქვს შენის ძალისა, რომ აღსრულებაში მოიყვან შენს სურვილს, მაშინ წამოდი. მხოლოთ გახსოვდეს, რომ სწავლის გაგრძელება კაცისათვის, ვინც ერთხელ შესწყვიტა, ისე ადვილი არ არის, როგორც შენ უყურებ“. 25

პასუხი, მომავალი „სტუდენტის“ ხასიათის გათვალისწინებით, ყოვლად ადეკვატური იყო, მაგრამ

პატივმოყვარე მოხევეს მაინც საწყენად დარჩა: „ამ წიგნმა რამდვენათაც გამახარა, როგორც მე-გობრის გულწრფელმა წიგნებმა, ისე მაწყენინა კიდეც. მე ვერ შევრიგებიყავ იმ აზრებს, რომ ჩემმა მეგობარმან ერთს მინუტს ცილი მნამა უპატიოსნო აზრებში. მე მივეც ჩემს თავს სიტყვა, რომ წავიდე და დავუმტკიცო როგორც ბაზუტაშვილ]-ს, ისე მთელ ქვეყანას, რომ ჩემმა წინანდელმა წებიერათ აღზრდამ იმდენათ არ გამრყვნა, რომ სწავლის გაგრძელება არ შემეძლოს“.<sup>26)</sup>



აღ. ყაზბეგის მეგობარი – ალექსანდრე ბაზუტაშვილი  
© (ლმ)

**გადაწყვეტილება მიღებულია და 1867 წლის ზაფ-ხულში 19 წლის სანდრო მოსკოვში გასამგზავ-რებლად ემზადება:** „...დედაჩემს მოველაპარაკე ჩემს გადაწყვეტილებაზედ და დედაც თანახმა გამიხდა ჩემს წასვლაზედ რუსეთში... ას თუმანს თან წავიდებ და როცა ფული გამომელევა, მაშინ თვეში 50 მან. გამომიგზავნის. მოვემზადე ძალიან ჩეარა და წავედი ქალაქს ვ[ლადიკავკაზის], სადაც ადგილი უნდა ამეღო დილიჯანში... გამომიცხადეს, რომ ერთ კვირაზედ ადრე ჩემი გასტუმრება არ იქ-ნება, რადგანაც... ადგილები სულ დაჭერილი იყო. კიდევ ერთი კვირა ლოდინი!.. ეს ხანი საუკუნოთ მეჩვენებოდა, მაგრამ რას ვიზამდი?.. აქ ცოტაოდენი ვალები მქონდა მამიჩემის დამარცხეაში დახარჯული და, რასაკვირველია, ამ ვალებს გასტუმრება უნ-დოდა... გავუსწორდი ამ ვალებს და დამრჩა მე ფუ-ლი ორმოცდათი თუმანი“. <sup>27)</sup>

რას იფიქრებდა ალექსანდრე ყაზბეგი, რომ საუ-კუნენახევრის შემდეგ რა საინტერესო იქნება მის თაყვანისმცემელთათვის. სტრიქონ-სტრიქონ, ყველა მარშრუტისა და „პრეისკურანტის“ დეტალების აღ-ნუსხვით, ჩაიკითხონ ეს გულუბრყვილო, საყვარელი და მრავლისმთქმელი –

#### „საბუღალტრო ჩიმონათვალი“.

- „ამ ფულიდან დამეხარჯა: ვლადიკავკაზიდგან როსტოვამდინ დილიუანი – 28 გ. პურის ჭამა – 7 მან როსტოვიდგან ცარიცინამდე] გემით – 7 გ. ცარიცინიდან კალაჩამდინ გემით – 1 გ. კალაჩიდან ნიუნი-ნოვგოროდამ. გემით – 14 გ. ნიუნი-ნოვგორ. მოსკოვამდინ – 10 გ. პურის ჭამა და სხვადასხვა ქალაქების ნახვა – 25 გ. მოსკოვში სანამ დავბინავდებოდი – 25 გ. 6 პერანგი – 3 გ. – 18 გ. 3 ზენარი – 6 გ. 1 საბანი – 12 გ.

სხვა თეთრეული – 12 გ.  
 3 პირსახოცი – 3 გ.  
 12 ცხვირსახოცი – 4 გ.  
 3 გალსტუკი – 2 გ.  
 1 საათი – 25 გ.  
 1 წყვილი შავი ტანისამოსი – 45 გ.  
 1 წყვილი უბრალო ტანისამოსი – 37 გ.  
 1 წყვილი წალები – 6 გ.  
 ერთი მაღალ ყელიანი წალები – 10 გ.  
 ერთი ქუდი – 6 გ.  
 ერთი შუბა – 45 გ.  
 წიგნები – 25 გ.  
 მასწავლებლები – 25 გ.  
 წვრილათ დამეხარჯა – 25 გ.

---


423 გ.

გამოვიდეთ – 500 [დგან]  
 დარჩება – 77

ამ ფულით ვიცხოვო ორი თვე და, რასაკვირველია, მამინევ მივსწერე დედაჩემს ჩემი ჯიბის მდგომარეობა“. 28)

**მოსკოვში** ალექსანდრე თავისუფალ მსმენელად (გიმაზიის დასრულების დამადასტურებელი ატესტატის არარსებობის გამო) ჩაირიცხა ორი წლით ადრე დაარსებულ პეტროვო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში (ან „ტიმირიაზევკის“ სახელით რომაა (ცნობილი)). თავდაპირველად, ბახუტაშვილის წაბაპვით, მას ერჩივნა უნივერსიტეტში ესწავლა, მაგრამ ეს გეგმა ჩაითუშა: „უნდა გამოგიტყდეთ, – იგონებდა ყაზბეგი, – აქედგან რომ წაველი, მე არამც გიმაზიიდგან ატესტატი არა მქონდა, არამედ ძალიან ცოტათ ვიყავ მომზადებული, მაგრამ ჩემი ამხანაგის მოცალინეობამ და ჩემმა თავაუღებელმა სწავლამაც იქამდისინ მომამზადა, რომ შემეძლო აშკარათ გამეგრძელებინა სწავლა უნივერ-

სიტეტში. მაგრამ, საუბედუროთ, ლათინური ენის გაზეპირება, ნამეტნავათ მაშინ, როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ წერა და კითხვის მეტი არ დაგჭირდება ექიმობისათვის რათაც ვემზადებოდი მე, ძალიან გამიძნელდა. მაშასადამე, მე უნივერსიტეტში შესვლის ნება არა მქონდა და შემეძლო მხოლოდ შესვლა პეტროვსკის აკადემიაში, სადაც არავითარ გემნაზიის დოკუმენტს არ ითხოვენ. აქედან კი ასობით ამგვარი ხალხი გადადიოდა მედიკო-ხირურგიის აკადემიაში, რომლების ოსტატებიც ამბობდნენ, რომ ჩვენ კი მივიღებთ, მაგრამ კურსიდგან კურსში კი გაუჭირვებთ ეგზამენებით. მეც მინდოდა ამ გზაზე დავმდგარიყავ და ამისათვის მინდოდა პეტერბურლს წასვლა. ჩემი ამხანაგიც ამას აპირებდა. წავილეთ ამისი პალტო, უკანასკნელი „მეტი“ განძი და დავაგირავეთ თხუთმეტ მანეთად. ამ ფულით წავედით პეტერბურლში“. 29) (ეს ამხანაგი, რომელიც ერთადერთი ინიციალით („ქ“) მოიხსენიება, როგორც პროფ. ივანე ლოლაშვილმა დაადგინა, იყო სტუდენტი ლევან სპირიდონის ძე ჭავჭავაძე. იგი მოსკოვში ყაზბეგთან საცხოვრებლად გადმოსულა 1869 წელს).



მოსკოვის პეტროვო-რაზუმოვსკის სამეურნეო აკადემია  
 © (სუმდეს/სიმ)

**პეტერბურგში** უაზროდ გატარებული რამდენიმე დღე: ჯერ – ბიძაშვილის, გიორგი ყაზბეგის (რომელიც იმხანად გენერალის სამხედრო აკადემისს კურსანტი იყო), უშედეგო ძებნა, მისგან ფულის სესხების იმედით. შემდგომ: ამ იმედგაცრუების „საპირნონედ“ – გემით გამგზავრება ახლომდებარე პეტერგოფში (შიც: ამ დროს ლევან ჭავჭავაძე პეტერბურგში რჩება თავისი საქმების მოსაგვარებლად!), უსაზღვრო აღტაცება რუსეთის იმპერატორთა ამ დიდებული რეზიდენციის დეკორატიულ მშვენებათა ხილვისას („პეტერგოფი არის ერთი ისეთი ქალაქი, რომელშიაც კაცი გამტერებას მიეცემა ხელოვნებაზედ“). არცერთი სიტყვა პეტერბურგში წამოსვლის თავდაპირველ მიზეზზე: მოსკოვის სამეურნეო აკადემიდან პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში გადასვლის შესახებ!

უკვე ნათლად იკვეთება, რომ სტეფანწმინდაში ჩაფიქრებულ „საგანმანათლებლო ეპოპეას“ სრული კრახი ელის.



პეტერგოფი

**მოსკოვში** თავიდანვე ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ბახუტაშვილმა იწინასწარმეტყველა (სხვათა შორის, პირველი ოთხი თვე სანდროს თავისთან აცხოვრებდა – თან თავის სტიპენდიას უყოფდა). თავად სანდრო, გამწარებული სტეფანწმინდაში შეპირებული ყოველთვიური თანხის გამოუგზავნელობით, ასე აღწერდა ამ სურათს: „გაიარა თვემ, მეორემ, მოაღწივა იმ დღემაც, როდესაც ფული უნდა მომსლოდა, მაგრამ მე ალერსიანი წიგნების მეტი არა მომდიოდარა, დავრჩი სრულებით უფულოთ, გამოუცდელი, მოუმზადებელი ამგვარი ცხოვრებისათვის. მე იქ ვიდექ ერთს ჩემ მეგობარ სტუდენტთან ერთათ უფ. ბახუტაშვილი] რომელიც მედიერი იყო და ამ წელიწადს ათავებდა. ის იყო სტიპენდიანტი და თვეში ოცდახუთს მანეთს იღებდა. დავრჩით ამ ოცდახუთს მანეთზედ მე და ჩემი ამ-სანაგი. ბახუტაშვილს] თავის დღეში არ შეუმრნევინებია, რომ მე იმას უშლი და ის ჩემთვის ვიწროვდება რაშიმე, მაგრამ წარმოიდგინეთ თქვენ ჩემი სატანჯველი, როდესაც კი წარმომიდგებოდა კაცი, რომელიც ოთხის წლის განმავლობაში დაეჩვია და მოეწყო თვეში ოცდახუთი მანეთის ხარჯს, ერთბაშად შუაზე ეყოფა ეს ხარჯი. ამ გვარათ გაიარა ოთხმა თვემ, ყოველ მინუტას მოველოდით ფულსა და ჩვენ კი გროში არ მოგვიღოდა ერთი იმ წიგნების მეტი, რომელსაც ავსებდა დედაჩემი ჩემთან ტრიფიალით. მოახლოვდა ზაფხული, დავაგირავეთ შუბები, მეტი ტანისამოსი წინათვე გვექონდა დაგირავებული და გამოსყიდვის ნებაც კი გვექონდა დაკარგული“. 30)

**მოსკოვიდან სტეფანწმინდაში** ამგვარი შინაარსის წერილები რომ იგზავნება, არაა გასაკვირი:

„საყვარელო დედავ!

მეყოველივეთქვენიმოქმედებაგანსაცვიფრებლათ მიმაჩნია! აგერ ხუთი თვე შესრულდა და მეექვსე თვეში ჩავდექით რაც ოთხის თუმნის მეტი ფული

არ გამომიგზავნია. ერთი ეს შემატყობინა რითი უნდა ვიცხოვორ? თქვენი მოქმედება ვერ გამიგაა, რას სჩადით! უკეთუ ამ წიგნის უკან ჩემს ფულს არ გამომიგზავნით, ესეიგი, ანგარიშით ოცდაერთს თუმანს, აქ საცა იქნება ვიშოვი ფულებს და წა-მოვალ. რა გავაკეთო, რისთვის დავრჩე უკეთუ ფულს არ გამომიგზავნი. არა ერთი, რასა ფიქრობთ, თუ ღმერთი გნამსთ, ერთი შემატყობინეთ. იძახით ხუთი თუმანი ბევრი არისო, აბა როგორ ბევრია? აი თვეში რა გვეხარჯება ოცდახუთი მანეთი სადილი და ოთახი, ხუთი მანეთი ჩაი და შაქარი, სამი მანეთისა სანთლები თვეში ორი მანეთი წალებისათვის უნდა გადაიდოს. ერთი თუმანი წიგნები. დარჩა ხუთი მანეთი. ეგეც ან ბულეს იყიდი, ან რძესა. აბა რაღა რჩება ერთი მითხარ! ჩქარა შემატყობინე, მიგზავნი ფულებს თუ არა. მომიკითხეთ ყველანი, დანარჩენს ბახუტოვი გიამბობსთ. მე პეტერბურგში გადაველ. უნივერსიტეტში უნდა შევიდე და თუ ფული არ მომივა, ჩემი ამთვენი ჯაფა ჩაივლის. მაშინ მაინც აღარ დავრჩები აქა რაც უნდა იყოს.

ა. ყ ა ზ ბ ე გ ი". 31)

ან კიდევ:

„საყვარელოვ დედავ!

1869-ს იანვარს 7-სა

აგერ ექვსი თვე შესრულდა, რაც ველი ფულს და ოთხი თუმნის მეტი არ მომსვლია. მე განსაც-ვიფრებლათ მიმართ თქვენი მოქმედება მისთვის, რომ თქვენ ძალიან კარგად იცით ჩემი აზრი და სურვილი. განვიმეორებთ, მე აქ მოვსულვარ სას-წავლელათ და არა თუ ფულების მოსაგებათ. ერთი ეს ჰეკითხეთ თქვენ თითონ თქვენს თავს: კაცს, რომელიც ისე უკან არის დარჩენილი როგორც მე, შეუძლიან კიდეც ისწავლოს და თავის თავისც გაიკვებოს? თქვენის გამოისობით კინაღამ აქ პე-ტერბულში სასწავლებელში შესვლას მოვცდი.

ილაჯი რომ გამიწყდა, გიორგისთან მოველ და ვთხოვე დეპეშა მოგწეროს. ჩვენს დეპეშაზე პასუხი მივიღეთ, რომლის მიზეზითაც ვჩქარობ პასუხი მოგწერო დეპეშით კი არა და წიგნით, რადგანაც სათქმელი ბევრი მაქვს. ჩვენ მოგწერეთ, რომ ოც-დაათი თუმანი გამოგეგზავნა. მე გწერდით იმის ძალით, რომ ექვსი თვე არის ფული არ მომსვლია და იანგარიშეთ თვეში ხუთი თუმანი, რამდენი გამოვა? ოცდაათი თუმანი განა? მასუკან მაგ ოცდაათს თუმნითგან მე მივიღე ოთხი თუმანი. მე იმ ოთხს ანგარიშში არ ვაგდებ ამიტომ, რომ ყოველისფერი დაგირავებული მაქვს და მარტო სარგებელი რვა თუმანი არის, უნდა მივცეთ. თუმცა ეგ რვა თუმანი გამოგეგზავნა. მე გწერდით იმის ძალით, რომ ექვსი თვე თქვენის გამოისობით, ესე იგი, თქვენის უ..... გამო, მაგრამ მე ოთხი თუმანი ვიკმარე, მადლო-ბა მითხარით. თქვენ კი ჩვიდმეტი თუმნის მეტს არ მიგზავნით. მაგ ოთხი თუმნისთვისაც თავი და-მინებებია. ანგარიშით ცხრა თუმანი კიდევ მერ-გება. რისთვის არ მიგზავნით? არა, ერთი, რომ დაგიკრეფიათ გულ-ხელი, რას ფიქრობთ? იცით რა მოვალეობაში დგებით? ყველაზედ უპირველესი ესა არის, რომ კაცი, რომელსაც გაეხსნა გონება და აქამდისინ დაბმული თვალები ძლივს აეხილა, დადგა სიმართლის გზაზე, თქვენ ასე ურევთ გზასა. რომ შიმშილით არ მოვკვდე, უნდა ყველაფერს თავი დავანებო. აქამდისინ მძინარემ ძლივს გავიღვიძე და თქვენ თქვენის მოქმედებით ლამის არის დამაძინოთ ისევ ხელმეორეთ და თუ კიდევ დამეძინა, ესე იგი, დამეკარგა სურვილი სწავლისა, ძნელადღა მო-მივლის. ახლა შევხედოთ სხვა მხრით, ესე იგი, მატერიალურადა. მე მაქვს შეძლება, თქვენ არ მიგზავნით. გარდა ამისა, რომ არ მიგზავნით, დღეს-ხვალიობითა და რაღაც ზღაპრულის ლექსებით მატყუებთ. მეც, რასაკვირველია, გიჯერებთ და სწავლის მეტს არას ვაკეთებ. მეც მოველი დღეს და

ხვალ. ამ მდგომარეობაში ზამთარს რომ მოესწრო ხომ გამყინავდა! თქვენ იქნება ეს სიტყვები ხუმრობა გგონიათ, მაგრამ, როდესაც სანდრო ლაპარაკობს ამისთანა საქმეზედ, დამიჯერეთ ის არ იხუმრებს. თქვენ სრულებით არ გენდომებოდათ და ძალიან ადვილათ შეიძლებოდა, რომ ჩემი მქვლელები გამხდარიყავით. მე განა გავძედავ რომა ვთქვა, არ გიყვარვარ? არა, მე დარწმუნებული ვარ ძალიან გიყვარვარ, მაგრამ ეს იმიტომ მოგდისთ – ამ ცხოვრებაში გამოუცდელი ხარ. ახლა გთხოვთ ესე წიგნი რაწამს მოგივიდესთ, ცხრა თუმანი გამომიგზავნეთ მისთვის, რომ ჩვიდმეტი თუმანი არ მყოფნის. ახლა თავი დავანებოთ წარსულს და მოვიფიქროთ მომავლისათვის. წარსულს ვეღარ დაიიბრუნებთ, მხოლოთ ვეცადნოთ, რომ ეს აღარ გამეორდეს. აბა მოვიფიქროთ როგორ ემჯობინება. – მე ამას გთხოვ და ვამჯობინებ კიდეც, რომ თქვენი პენსია აქ გადმომცეთ, რადგანაც აღარც მე და აღარც თქვენ იმის ფიქრი არ გვექნება, რომ ან მშიერი ვიქნები და ან მწყურვალი. თუ რომ ეს აზრი აასრულე, დიდათ და დიდათ დამავალებთ და დიდს სიკეთეს იზამთ. და უკეთუ არა იზამთ ამას, მაშინ თვეში ხუთ თუმანს ნაკლებ ვერ ვიცხოვრებ, ისიც თუ ყოველ თვე და თვე დროზედ მომივა. გნერთ ახლა, რომელი გირჩევნიათ: პირველი თუ მეორე. თუ რომ არც ერთს არ იზამთ, მაშინ მე მრჩება ორი გზა: ან შინ მოვიდე, რომელსაც რაც უნდა იყოს არ ვიზამ, და ან ზღვის სამსახურში შევიდე და დაგშორდე ყოველს ჩემს ნათესავს და მინაწყალს. ზღვის სამსახურში თუ შეველ, ჯამაგირს დიდს მომცემენ. ახლა თქვენ თითონ მოიაზრეთ და ჩქარა შემატყობინეთ. ნინო, ბარბარე, სალომე, პავლე, იაგო, როსტომა, სოლომონ და სხვანი ძალიან, ძალიან მომიკითხე და დამიკოცნე დედუშკა და გიგიტა თავიანთ სახლობით. ლუკამ სრულებით დამივიწყა, თუმცა ეგ იმედი არ მქონდა. მაინც დავშთები შენი სიკვდილამდის მონა

და მყვარებელი

შვილი ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, დაგიკოცნი ხელებს“. 32)

**სტეფანწმინდიდან – მოსკოვს თავსშეფარებულ „უძლებ შვილს“ არანაკლებ დრამატული ეპისტოლებით პასუხობენ:**

„1869-ს, ნოემბრის 14-ს.

„ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო შვილო ალექსანდრე!

მოგეხვევი აღგრძნებულის დედა შვილურის სიყვარულით და დაგიკოცნი ურიცხვათ მშვენიერს სახეს და მოგილოცავ, შვილო, შენის დაბადების დღეს. [.....] შვილო, თუმცა დიდს ტანჯვას ვითმენ, შენთვის ყოველს მწუხარებას და ტანჯვას ვიტვირთებ, მაგრამ შენი წიგნის დაგვიანება კი მკლამს. რა არის, შენს კეთილს გულს ვენაცვალე, რომ ამთენს წიგნებს გწერ და ერთი წიგნის პასუხი არ მამწერე?! არ ვიცი, რა მიზეზია! არც ამ მუხრანსკის ვალისა-საც არას პასუხს მწერ. ოთხმოც თუმანსა გვთხოვს. შენი ვექსილი აქვს გევედრები, შვილო, რომ ყველა შენი ანბავი მამწერო და შეიბრალო შენი შეწუხებული მშობელი. ან შენი სნავლისა რა ქენ? ეგზამენია დაიჭირე თუ არა? ან რას აპირებ? ან, შვილო, მაგთენს ვალს რომ იღებ, რაზედ ხარჯამ? განა არ იცი, რომ შენს ოჯახს არაფერი შეძლება არ აქვს? პირში სულს ვიძრობ და ისე გიგზავნი ფულს. რა შემოსავალი გვაქვს, შენი ჭირიმე? ვერას მოგწერ ამის მეტს, რომ დიდს სიღარიბაში ვარ. გეფიცები ყოვლად ძლიერ ღმერთს, და აბა ვალი საიდან გადავიხადო? რაც პენცია მაქვს ამას შენ გიგზავნი და სხვა არა მაქვს შემოსავალი. [.....]. ათს თუმანს ახლა შენ გიგზავნი. ღმერთი მამიცია შენთვის თავდებათ და მამიშენის სულს გეფიცები, რომ უკაპე-იკოთ დავრჩი ყოვლის ნაკლებულებით. გეხვეწები, გევედრები, რიგიანათ მოიქცე, სნავლის ბეჯითი

იყავ. შენს ტოლსა და ამხანაგებში შენც უკან წუდარჩები. შენის მშვენიერის თავის ჭირიმე, წუ გახდი შენს თავს და შენს სახელს მტრის გულისათ, მაცოცხლე, შვილო. თვეში ერთხელ შენის წიგნით ყოველი შენი ანბავი შემატყობინე. ჩემი სიცოცხლე შეინირე არამც თუ მე შეძლება მექნება რამ, ოლონდ წურას დამიმალამ. ოლონდ თვეში ერთხელ წიგნი მამწერე, შენი ანბავი შემატყობინე შენი ჭირიმე. გეხვენები ცრემლით შენი მშობელი წიგნი მამწერო და ესეც მამწერო, რა მიზეზია შენი ამთენს ხანს წიგნის მოუწერლობა: ესეც მამწერე, მართლა ცოლს ირთავ? ისე ღმერთმა შენი თავი გამიბედნიეროს, როგორც გამახარებ მაგითი, მაგრამ ამას კი გთხოვ, რომ კარგი იყოს და მტრის გულისათ არ გახდე. ჩემს ლეჩაქსაც გავყიდი შენთვის თუკი შენ ყოველს შენს ანბავს დაწვრილებით შემატყობინებ. კიდევ მოგეხვევი და კეთილს გულს დაგიკუცნი შენი ბედნიერების ღვთის წინაშე მთხოველი

დედა ე ლ ი ს ა ბ ე დ ყ ა ზ ბ ე გ ი ს ა.

ნინო დიდის სიყვარულით პირსა კოცნის და გილოცვენ ერთობ შენი ხალხი შენს დაბადების დღეს...“. 33)

„**ვნებიანი ზღვა**“ – მეტაფორაა, რომელითაც ამ წერილის ადრესატის ყველაზე ლმობიერი ბიოგრაფი – ვახტანგ კოტეტიშვილი წარმოსახავს ყაზბეგის ცხოვრების ყველაზე დაუკავებელ პერიოდს: „ახალგაზრდა არისტოკრატი, რასაკვირველია, იგრძნობდა განთავისუფლებას იმ მრავალ მზრუნველ თვალებისგან, რომელიც მის ოჯახში ერთგვარად აბრაზებდნენ კიდეც, და უკვე თავისი ნებით გაქანდებოდა იმ დარდიმანდობის და „დროს გატარების“ დაქნილ ლიანდაგზე, რომელზედაც აქამდე ოჯახის ტრადიციები მაინც იოკებდნენ.


ალ. ყაზბეგს თან გაჰყვა ოჯახის ის უხილავი ძალა, რომელიც მედიდური და ხელგაშლილი

ცხოვრების სიყვარულს გაუძლიერებდა, უოჯახობა კი ყოველგვარ ზღუდის გადალახვის წებას მისცემდა და როგორც სჩანს, ალ. ყაზბეგი მოსკოვში მადა აწყვეტილია, არაფერს არ ჰზოგავს, და „დიდი ცხოვრების“ ვნებიან ზღვაში თავდაყირა ეშვება დიდი განცდების მაძიებელი. ასეთ პირობებში დიდი რამ ძალის გამოჩენაა საჭირო, რომ ადამიანში მოხდეს შინაგან თვალთა ახელვა, და იმ უჩინარ ბორკილების დაწყვეტა, რომელსაც ცუდად გაგებული თავისუფლება ჰქვიან. ალ. ყაზბეგის ცხოვრებაში ასეთი დიდი რამ და უეცარი არაფერი მომხდარა. მობრუნება მოხდა იშვიათი, რის ახსნაც ასე მეჩვენება:

ადამიანი, რომელიც სავსე იყო დიდი და ნაირი შთაბეჭდილებების წყურვილით, რომელიც ხარბად სვამდა არისტოკრატობის მახვილ ცხოვრებას, თითონაც არისტოკრატი და დაუზოგავი მფანტავი, თურმე ამ ეფექტიან გარეგნობაში ატარებდა ბელ და ესთეტიურ სიძულვილს ამ ცხოვრების მიმართ. თურმე მისი ბუნება შეკრული ყოფილა შინაგან განდეგილობის სილამაზით და რომანტიკის ტრალიზმით. ვინ წარმოიდგენდა რომ, თითოთ საჩვენებელი ფრანტი, თითქოს ქარატაცებული მხოლოდ აფარებული სახე ყოფილა, რაც ჰმალავდა უბედურ რომანტიკოსს, დაკარგულ მეოცნებეს უცხო ეპოქის კალთაზე დასალუპად განმზადებულს. ერთად ერთი ახსნა, რომელიც ალ. ყაზბეგის ბუნებას უდგება, ჩემის აზრით, ეს არის ამ თავბრუდამსხმელ სადარაბაზო ცხოვრებაში, მხოლოდ იზრდებოდა ის ზნეობრივი ულელტეხილი, რომელიც ყრმობის უამს ბატონურ სახლიდან მწყემსებში გააქცევდა ინსტინქტურად, და დავაუკაცებულს კი ხევს ჩააჭიდინებდა ხელს შეგნებულად, სადაც იგი ეძიებდა უკანასკნელ იმედს, რომ ამ ცოტა დედამიწაზე მაინც გადაერჩინა სხვაგან დაკარგული სიცოცხლის აზრი“. 34)

არცერთი სხვა მკვლევარი ასეთი ცნობისწადილით და იმავდროული სიფაქიზით არ ჩასწვდომია ალექსანდრე ყაზბეგის „შემოქმედებითი სამყაროს ონტოლოგიურ კავშირს მისი რომანტიკული ნატურის სიღრმისეულ თვისებებთან. რა უიმედო რეალისტებად მოჩანან ამ ფონზე ალექსანდრე ჭავჭავაძე ან გრიგოლ ორბელიანი!

**ალექსანდრე ყაზბეგი „ვნებიან ზღვას“ ერთ დაუმთავრებელ მოთხრობაში („კაცის წადილი“) ასე იხსენებდა: „მოსკოვში განთქმულს „ტვერსკო“ ბულვარზედ ჩვეულებისამებრ ურიცხვი ხალხი დასეირნობდა... აქ მოდიოდნენ გუნდ-გუნდათ ყმანვილი მუშა ქალები... ყმანვილობა გულლიაობა არის, მთვარე მომზილავად გამლვიძებელი გრძნობისა, გული დაუცხრომელი ტოლს ექებდა, სული შფოთავდა და მიიბრძოლებოდა პატრონისაგან გაუგებარს საგნისკენ. ...ყველა ყმანვილი კაცი დაეძებდა ტოლად ქალსა, ყველა მიდიოდა ლამაზ მუშა ქალებთან, მდაბლად, კოხტად. სიამოვნების ლიმილით ეუბნებოდა: საღამო მშვიდობისა M-ლე, ნებას მომცემთ თქვენთან ვიარო?“ და პასუხად ესმოდა: „დიდის სიამოვნებით!“ და ცოტა ტიტინის შემდეგ, ქალი, კაცითგან მიპატიუებული, ხელგაყრილი კავალერის მკლავში, ჩაის დასალევად მიდიოდა. ჩაის მოსდევდა შტოფი არაყი და სელიოტკა, სიმღერა და შემდეგ... შემდეგ დამეგობრება, რომელშიაც ილეოდა ყმანვილობის მილტოლვილება!...“<sup>35)</sup>**



მოსკოვი. ტვერსკაია ქუჩა. XIX ს-ის ბოლო

ღმერთო, რამდენი წლის უნდა გახდეს კაცი, რომ მიაგნოს ამ „გაუგებარს საგანს“ და არ განიხილოს, „ყმაწვილურ გულლიაობას“ ცოტა გონიც დაატანოს და მართლაც „გაუგებრობის მსხვერპლი“ არ გახდეს, როგორც ეს რუსეთში ალექსანდრე ყაზბეგს დაწმართა...

ამ ბოჭემურ ფონზე, საბედნიეროდ (ან – პირიქით) ალექსანდრე ყაზბეგს ის ყოვლისწამლეკავი გრძნობა ატყვევებს, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ფიქიცურ გადახრებს მიაკუთვნა, იმ დროს კი „სიყვარულს“ ეძახდნენ...

დედისათვის განკუთვნილ წერილში ალექსანდრემ დეტალურად აღწერა სიტუაცია, რომელიც წინ უძლოდა ნიშნობის ცერემონიალს სოფელ ჩერვლიონოეში (მოსკოვის სიახლოევეს):

„[საყვარელო დედავ!]

ათასჯერ ბოლიშს ვითხოვ, საყვარელო და დაუკინებარო დედავ, რომ აქამომდის ჩუმად ვიყავი და ჩემი დაწვრილებითი ამბავი ვერ შეგატყობინე. ვფიცავ ყველა ციურს და მიწიურს, რომ ჩემი გული და გონება მხოლოდ იმ აზრში არის, როგორც მოვაგვარო, მოვახერხო საქმე ისე, რომ ამ თქვენს სიბერეში, მოგცეთ მშვიდობიანი ცხოვრება, პატივი და დიდება, როგორც შეეფერება თქვენს შთამომავლობას. ხელის-ხელდაჭრით ამ აზრს მოზღვეს, აზრი ჩემი ოჯახის ამაღლებისა, რომელიც გსურსთ თქვენცა. დამიჯერე, მუდამ დაუვიწყარო დედავ, რომ მზათა ვარ ყოველისთვისინ ჩემი თავი მსხვერპლად მოგიტანოთ თქვენა და ზემოხსენებული აზრების აღსრულებას. აქამდისი ჩემი საქმეები იმ მდგომარეობაში იყვნენ, რომ ჩემი სიტყვები არაფერი სანუგეშო იქნებოდნენ. ეხლა კი შემიძლიან წარმოვსთქვა თავამაღლებულმა, რომ ჩემი აზრები თავდება და ძლივს ჩემსა ბებერს დედას და ძველს

ოჯახს ავაყვავებ იმ ბედნიერებით, რომლითაცა ჰყვაოდა მამიჩემის და პაპიჩემის დროს. ეხლა საქმეები იმ მდგომარეობაში არიან, რომ ყოველს ჩემს კეთილს მყოფს შეეძლება პქონდეს იმედი ჩემზედ. ნამეტნავად შენ, ჩემო მარტო ერთო ნათესავო, შენა, ჩემის მამის სახსოვარო!

წიგნი თავისით არის მცირე ხმაურობა, მცირე სიტყვები იმასთან, რაც ჩემს გულში ტრიალებს, – გახსენი და ნახავ ამავე კარტინებს, მხოლოდ გაჩაღებულებს პატიოსანის ნათელით წმინდისა, როგორც მთის დაუშლელელი ბროლი და ცისკრის ალიონი, თეთრი და პატიოსანი, როგორც უპირველესი ყაბყი ზამთრისა, – უმტვერო, სპეტაკი და პატიოსანი, მუდამ ფარული უწმინდურობისგან, მიხეილ მთავარანგელოზის ძალით. მაინც მაგის ფრთას უფარავს ყოველთვისინ ჩემი ოჯახი იმ უბედურობის და დასანგრევის ქარებისაგან, რომელიც რამთვენჯერმე დასტრიალებდა თავზედ ჩენს ოჯახს.

დიდება მაგის სახელს! დიდება მაგის ძალას! მუდამ ყველა კეთილ სურვილში დამხმარებელს. საკვირველმა სიზმარმა გამომიყენა იმ მდგომარეობიდგან, რომელსაც ეძახიან დავარდნას, მხნების დაკარგვას. ვითომ ყაზბეგში ვიყავ ჩენს ეკლესიაში, იქავ ვლოცულობდი და ცრემლითა ვსთხოვდი, რომ რაღაც საქმე ესრულებინა ჩემთვის ღმერთსა (ეს იყო ის დრო, როდესაც გავიცანი ღენერალი გრაფი ჩერნიშოვი-კრუგლიკოვი თავის შეუდარებელის ქალით მოსკოვის პატიოსანთა სობრანიაში). ვითომ მთავარანგელოზმა გამოშალა თავისი ფრთა და მითხრა: „დედაშენის ლოცვა მივიდა ღმერთამდის, რომელმაც შეინყალა იმისი მდგომარეობა და თხოვნა. გასწი და ჩემი ფრთა არ გაგიშვებს თავის მფარველობიდგან“. ნამოვდექი რაღაც კეთილ გუნებაზედ და ვიზითით წაველ. აქ ჭავჭავაძეები არიან ორნი, ძალიან მდიდრები, რუსის ქალები ჰყავთ

ცოლებად, – იმათთან, რომელთაც ძალიან უყვარვარ და ყველა საქმეში ხელს მიმართავენ. ჩერნიშოვი-კრუგლიკოვი იქ იყო. თურმე ერთი ჭავჭავაძეთაგანი ისეთი დაახლოებული მეგობარი ყოფილა, როგორც ძმა. რასაკვირველია, ქალიც იქ იყო. რასაკვირველია, მივესალმე როგორც სახლის პატრონებს, რომლებიც ის იყო სოფლიდგან მოვიდნენ და საშინლად გაეხარდათ ჩემი ნახვა, ისე ჩერნიშოვ-კრუგლიკოვს თავისის ქალით. სულ მესამე დღე იყო, რაც ვიცნობდი უკანასკნელებს. სობრანიაში ნარმადგინა იმათთან ერთმა ჩემმა ნაცნობმა ყმაწვილმა კაცმა კნიაზ გაღიცინმა. მე, რასაკვირველია, ვთხოვე ქალს კადრილი, რომელზედაც მივიღე სრული თანხმობა. მაგრამ იმისმა მშევნიერმა სახემ და ტანმა კინაღამ იქვე არ დამათრო. ქალმა შემამჩნია. მხიარულათ იყო და მთხოვა რომ ვიარო იმათას. კიდევ რამთენჯერმე ვიტანცევით ერთად და წავედით თავთავის სახლში. ამ შეხვედრის უკან ყოველთვისინ ვემზადებოდი რომ ვიზიტი გამეკეთებინა, მაგრამ როგორლაც ბევრსა ვფიქრობდი და არ ვიცოდი როგორ მივსულიყავი. ჭავჭავაძეებთან რომ ვნახე იმან გამამიყვანა ფიქრიდგან და შევიწროებიდგან. აქ სუყველანი სადილათ დავრჩით და პირობა შევკარით, რომ საღამოზედ თიატრში ერთად წავსულიყავით. კაცები ვიყავით კრესლებში, ქალები კი ლოუაში. პირველი აქტის უკან სამს ქალთან გადაველ ლოუაში და მთელი თიატრი მხოლოთ იმის ყურებაში გაგატარე. თავისუფალ დროში კი ლაპარაკი არ გაწყვეტილა ჩვენში. აქეთგან ჩავარდა საძირკველი ჩვენის დაახლოვებისა. თიატრი როცა დაიშალა და სტუმრები წავიდნენ, მე ჭავჭავაძეანთას წავედი ვახშმათ. მე დარწმუნებული ვიყავ, რომ ჩემი მდგომარეობა არავის არ შეემჩნივა, მაგრამ ვახშმის წინათ ერთმა ჭავჭავაძის ცოლმა გამიყვანა ცალკეოთაში და პირდაპირა მკითხა: „ძალიან გიყვარს გრაფის ქალი?“ მე საშინლათ გავწითლდი. ბოლოს

ლაპარაკი იმითი დათავდა, რომ მითხვა: „ძალიან მდიდარი არის, მაგის მეტი არავინა ჰყავს მაგის მამას. ეხლა აქვს მზითად დანიშნული ოცი ათასი თუმანი და მამის სიკვდილის უკან დიდი მამული და ფული დარჩება. ნახეთ, გაიცანით ერთმანეთი და თუ მოგეწონებათ საქმე შეიძლება!“. ისეც მოხდა. მეორე დღეს გაუჟეთე ვიზიტი, მერე კვირაობით დავიწყე სიარული, მერე უფრო ჩქარ-ჩქარა. ამასობაში საშინლათ დავახლოვდით. ერთ დღეს ჭავჭავაძეებთან მოიყვანა ქალი მამამ და თვითონ ისევ წავიდა. იმ საღამოზედ მეც მიველი. მე ვთხოვე ქალს დაეკრა ერთი სონატა ფორტოპიანზედ, რომელიც მე მომწონდა ძალიან. ქალი გამოვიდა და დაუწყო ფორტოპიანის კლავიშებს გადარბენა. მე კედელზედ მიყუდებული გულმლელვარებით უყურებდი ქალს. აქ უნდა აგინეროთ იმისი სახე, რომელმაც ისე დამიმონავა და ნება აღარ მომცა თავისუფალი აზრისა. მშვენიერის მაღლის ტანისა, ამაყურათ ამაღლებულის მკერდი სუნთქამდა იმ სუნთქვით, რომელიც ამტკიცებს მცირე მღელვარებას. მშვენიერს თეთრს უმტვერო პირსახეზედ ეშლება ვარდსავით სინითლე, ტუჩები ასის ფერი მარჯანსავით მომღელვარე, პატარები და მუდამ მოცინარი. ნიკაპი რგვლათ მოყვანილი, ცხვირი სწორე და რიგიან პირის სახესთან მშვენიერი დიდი ლურჯი თვალები, მოელვარე თითქო ცეცხლი ეს არის უნდა ამოხდესო, რომელსაც იფარავენ გძელი მშვენიერი წამხამები. ზემოდან მშვენიერათ წამოსდგომიან შვილდსავით მოხრილი წარბები, მაღლი შუბლი და ხუჭუჭი თმები ამგზავსებენ ანგელოზს, დაუდარებელს გრაფინიას. მშვენიერი თითქო, გრძელი და თეთრი როგორც ბროლი უფრო მშვენიერდებიან ალის ფერის ფრჩილებით. უკანასკნელი ამბავის დროს იყო თეთრს უმტვერო ტანისამოსში მქრქალის ლენტებით მორთული და თმა გაშვებული ლოკნებით. არა, არ შემიძლიან აგინერო იმისი



Саხли Сопот. Киррвиллионненштадт, Сафадау Киррдэбондад  
Аллејсаандринг ყაზბეგი © (лк)

Барнеба фогтвиллераатчег, დიდი ალბათობით, ნინო  
Кирнинშევ-კრუგლიკოვას ეკუთვნის

მშვენიერება. ეს არი ციური უმანკოება! ამასთან  
სიკეთე იმისი, რომელსაც საზღვარი არა აქვს!..  
ეს იჯდა და უკრავდა ფორტოპიანს, რომელმაც  
ერთბაშად სრულებით დამავიწყა ჩემი თავი და  
მივარდი ხელზედ საკოცნელათ სიტყვებით: „ნინო,  
მიყვარხარ, ნუთუ არა გრძნობ ამ ამბავს?“ ცოტათი  
შეკრთა ამ სიტყვებზედ, განითლდა, მაგრამ  
ხელი არ ნამართო. მე დაუწყე ლოშნა და კიდევა  
ვკითხე: უყვარვარ მეცა თუ არა? ამაზედ მიპასუხა  
მღელვარებით: „ისე როგორც ჩემს სიცოცხლეში  
არავინ მყვარებია“. ამის უკან ნამოდგა და ჩემ  
გულზედ გამოდო თავისი თავი. ერთმანერთი გვეს-  
მოდა ორთავ. მე მეჭირა ერთი ხელით იმისი ხე-  
ლი და ვკოცნიდი, მეორე ხელი მეონდა შემოხვე-  
ული ტანზედ, აღგზნებულის თვალებით უყურებდი  
პირის სახეში. ნარმოიდგინე ჩემი ბედნიერი მდგო-  
მარეობა იმ ნამს. ქალი, რომელსაც თითქმის

ლმერთადა ვთვლიდი, ქალი რომელისაც თითქმის  
მეშინოდა, რომელთანაც ვერ ვბედავდი მეტი სიტ-  
ყვის თქმას, ეხლა იყო მოკრული ჩემ გულთან,  
იმისი ხელი მეჭირა ხელში და ვკოცნიდი იმთვენს,  
რამთენიცა მსურდა! ქალმა, რომელსაც გრაფებიც  
დასდევდნენ, თავადებიც, ლენერლებიც და სხვე-  
ბიც ამოარჩია კაცი ბევრით სხვებზედ ლარიბი,  
ბევრით სხვებზედ ულამაზო, ბევრით სხვებზედ  
უარესი! ჩემს სიხარულს არა ჰქონდა საზღვარი.  
ამ მდგომარეობაში მოგვასწრო ჭავჭავაძის ცოლმა,  
რომელმაც ნამდვილის მეგობრულის შხიარულებით  
მოგვილოცა. მაშინვე ყველამ შეიტყვეს, რომ მე და  
ნინოს ერთმანერთი გვიყვარს და გამოუცხადეთ  
სიყვარული. ყველამ თვითეულად მოგვილოცეს.  
ორი საათის განმავლობაში, ვიდრე მამა მოუვიდოდა  
ნინოს, მარტოკეები ვისხედით ერთს ოთახში, რო-  
მელშიაც სიჩუმეს დაშლიდა ხოლმე ალერსიანი სი-  
ტყვები და გატაცებულ ცეცხლით სამსე კოცენა..  
ორმა საათმა გაიარა ჩქარა, ნამეტნავათ ამ დროს  
და მოვიდა, რომელსაც ჭავჭავაძე ელაპარაკა. შეგ-  
ვატყობინებ, რომ მამა თანახმა არის და თვითონ მო-  
დის გასტინაში, რომელშიაც გამოველით. შემოვარ-  
და მამა და ცრემლიანის ალელვებულის თვალებით  
ჯერ ქალი დაჲკოცნა მერე მე. მერე ცოტა ხანს უკან  
მითხრა: „აი, შვილო, ალმიზდია ჩემი ქალი კეკლუ-  
ცობაში და სიყვარულში ჩემი სიცოცხლე გამიტარე-  
ბია იმაში, რომ იმ ცოტა დღეების უკან, რაც მე  
დამრჩა საცხოვრებლათ, ჩემმა ნინომ იმავე მხ-  
იარულებაში გაატაროს. ლმერთს უნდოდა, რომ მე  
ჩემს სიბერეში შენ გამჩენოდი პატრონათ და ნინოს  
საყვარელათ“. ამ დროს გამოართვა ხელი ქალს და  
მე, შეაერთა და სთქვა: „აი ჩემი ქალის ხელი. ოცი  
ათასი თუმანი აქვს მზითვათ და მაგის გარდა, როცა  
მოკვედები, სულ თქვენი იქნება. ნინოს მშვენიერო-  
ბა და კეთილ-გულობა არის შენთვის უკეთესი სიმ-  
დიდრე. ლმერთმა ისე გაგაბედინიეროთ, როგორც

ჩემი ბებერი დაფერფლილი გული სთხოვს“. ეს სიტყვები გაწყვიტა შამფანსკის პროპკების ხმაურობამ და რამდენსამე მიზუტს უკან ყველამ მოგვიღლოცეს ბედნიერობა. ეხლა ამ მდგომარეობაში ვარ, არავინ სხვებმა ჯერ არა იცის რა. შობის მესამე დღეს დღიდი ბალი ექნება ჩერნიშოვ-კრუგლიკოვს, რომელშიაც გამომაცხადებენ ამჟარა სასიძოთ.

მაქვს იმედი, რომ თქვენი ლოცვაც არ მამაკლდება ამ სრულს და ნამდვილს ბედნიერებასთან, რომელზედაც თქვენის ნების დართვისაც უნდა ჩეა-რა შემატყუბინოთ. კიდევ გაგიმეორებ და დაგარ-წმუნებ, რომ რამთვენსაც ჩემს სიამოგზებაზედა ვფიქრობ, იმთვენს თქვენზედა და ჩემს ოჯახზედ. ეხლა უნდა გითხრათ, რომ ჩემი მდგომარეობა იმ მიმართულებაში არის, რომ ძალიან ძნელი იქნება ჩემი გამოცხადება შენთან, რომ ამ საქმისთვის ერთი ასი თუმანი მომინდება. გეფიცები პატიოსანს სიტყვას, რომ უკეთუ შეიძლებოდეს როგორმე სხვა მხრიდან შოვნა, მე შენ არ შეგანუხებდი. აქ ყველანი მიყურებენ მეც როგორც შეძლებულს კაცსა და, უკეთუ სომხებისაგან ვისესხე, მაშინვე ხმა გავარდება და შენი მტერი. ჭავჭავაძები მაძლევენ, მართალია, ფულს, მაგრამ იმათიცა მრცხვენიან. არც იმათ უნდა შეიტყონ ჩემი მდგომარეობა. იან-ვრის გასულს ქორწილი იქნება და მაშინ ნახავთ რა პატივით გადაგიხდი მაგ ხელის გამართვას. ანგარიშში მიიღე, აგერ იანვრიდეგან არა მომსვლია აქ ფული. ისესხეთ, დააგირავეთ, თუ ძალიან გაჭირდა გაყიდეთ რაც შეგხვდესთ. უთუოდ ასი თუმანი გამომიგზავნეთ. ამასთან გამომიგზავნე ბეჭედი პრინც-ალბერტმა რომ მაჩუქა და შენი ბროშკა თუ არ გენანება, რომ ნიშნათ მივცე. ესენი ყველაფერი ჩემთვის ისე საჭირო არის, როგორც ავათმყოფი-სათვის ნამალი. უკეთუ ესენი არ გამომიგზავნე, ჩემი საქმე საშინლად გაძნელდება, მაგრამ თუ სულ ჩაიფუშა, გაძლევ პატიოსანს სიტყვას, რომ ჩემს

თავს ავუტებავ რასმე. ვიცი, საყვარელო დედავ, რომ როგორც ძნელი უნდა იყოს შენთვის ფულისა და ბროშკის გამოგზავნა, ჩემს დალუპას არ მოინ-დომებ. დაგიკოცნი იმ ტკბილს ძუძუებს, რომე-ლიც ყოველთვისინ მახარებდნენ ხოლმე და გთხოვ უქველათ გამომიგზავნო ნივთები და ფული.

შენი სიკუდილამდის ა. ყ ა ზ ბ ე გ ი“. 36)

მართლაც გამორჩეულად საინტერესო წერილია ალექსანდრე ყაზბეგის ეპისტოლარულ მემ-კვიდრეობაში. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ბიოგრაფიის ესოდენ რომანტიკულ დეტალებს მის-განვე ვისმენთ. არანაკლებ საინტერესოა ადრესატის მოსანუსხავად შერჩეული ფსიქოლოგიური პალი-ტრა, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან გულწრფელი გრძნობები და ენატკბილობა (ნინა წერილების კატე-გორიული ტონი გავიხსენოთ!); სამომავლო დაპირე-ბანი – „სატყუარების“ მთელი კოლექციით! დიპლო-მატია (ადრესატის პატივმოყვარეობის გათვლით) და შეუფარავი შანტაჟი („გაძლევ პატიოსანს სიტყვას, რომ ჩემს თავს ავუტებავ რასმე“). მოკლედ, 22 წლის ავტორის კვალობაზე ეს ეპისტოლური ჟანრის თავ-ისებური „შედევრია“.

**ბიოგრაფიული ქრონიკიდან – 1869-1870 წლები:** ეს წლები ალ. ყაზბეგისათვის აღმაფრენისა და სასონარკვეთის, ამასთან, შემოქმედებითი მოღვა-ნეობის დასაწყისის წლებია. ამ წლებში დაიწყო დამარცხით დამთავრდა ალექსანდრე ყაზბეგისა და ნინო ჩერნიშევ-კრუგლიკოვას ხანმოკლე რომანი; ამ წლებშიალ. ყაზბეგი მოთხრობებს წერს: „აკაკია მოჩხუბარიძის თავგადასავალი“, „თავის მახეში“ (დაუმთავრებელი); ამავე პერიოდში ალექსანდრე თარგმნის შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“, გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“.

ამ ნლებში ალექსანდრე წერს ავტობიოგრაფიულ რომანს „საქართველოს პომონდი“ („ცხოვრების ჩარხის“ პირველი ვარიანტი). აქ ავტორს შეაქვს სოფ. ჩერვლიონოები მიღებული შთაბეჭდილებანი და ბოლო მოქმედებაც იქვე მიმდინარეობს. ამ რომანის პერსონაჟებია: თეიმურაზი – ალ. ყაზბეგი, ლიდია – ნინო კრუგლიკოვა, გიორგი შაბათაშვილი – ალ. ბახუტაშვილი, პავლე სვეტლიცეკი – გრაფი ჩერნიშევ-კრუგლიკოვი, თეიმურაზ-ყაზბეგის კონკურენტები არიან იგნატიჩები – დიდი ფულის პატრონები და თალღითურ საქმეებში გაენილნი. თეიმურაზ-ყაზბეგი მათთან მარცხდება და სატრფოსაც კარგავს”.

„ჩერვლიონოეს დრამის“ მიზანსცენები ალექსანდრე ყაზბეგმა მართლაც ჩახატა თავის ავტობიოგრაფიულ ნარატივში (რომელშიც, გულწრფელი თუ ვიქებით, მომავალი დიდი პროზაიკოსის კალმის მონასმიც კი არ იგრძნობა): სულმდაბალი, მდიდარი მეტოქენი განუწყვეტელ ინტრიგებს ხლართავენ ქართველი სასიძოს წინააღმდეგ; ჩერნიშოვებთან სტუმრობისას – კონფლიქტი ქართველების შეურაცხმყოფელ მხურვან გენერალთან და ა.შ. ეს მიზანსცენები მოგონილი არ იყო. უთურდ არსებობდნენ მეტოქენიც (თუმცა თავდავიწყებით შეუყარებული ნინა კრუგლიკოვასათვის ქვეყნად ერთადერთი მამაკაცი არსებობდა, და ეს სანდორ ყაზბეგი გახლდათ!); გრაფის ოჯახისაგან დარცხვენილმა გენერალმაც საჯაროდ მოუხადა ბოდიში ქართველ სასიძოს...

ისე მგონია, რეალური დრამის ფონი ყაზბეგმა უმთავრეს მიზეზად წარმოსახა, ხოლო ჭეშმარიტ მიზეზზე სიტყვაც კი არ დაუძრავს და სწორადაც მოიქცა! არც მოპასანს (რომლის გარდაცვალების წელიც (1893) და პარიზის ფსიქიატრიულ კლინიკში დასმული დიაგნოზიც (ცუდად ნამკურნალევი

ათაშანგი) ასე ფატალურად ემთხვევა ყაზბეგისას) აღუწერია თავისი სენი ავტობიოგრაფიულ პროზაში, თუმცა პირად წერილებში არაფერს მაღლავდა. დანარჩენი უკვე მისი ბიოგრაფების აღსანერი იყო და საფრანგეთში არავის მოსვლია აზრად ამ ფატალურ გარემოებათა მიჩუმათება.

XIX საუკუნის დასასრულის ქართველი საზოგადოება არც იმდენად ჩამორჩებოდა ფრანგულს (სადაც მოპასანს „ზურგს უმაგრებდნენ“ პოლ გოგენი, ძმები გონკურები, ალფონს დოდე და ა.შ.), როგორც ამას პარიზიდან დაბრუნებული (და ყაზბეგის მოძულე) იონა მეუნარგია ამტკიცებდა. მაგრამ ცხადია და ბუნებრივიც, რომ ევროპის შუაგულში და კავკასიაში –

„ტოტემი“ და „ტაბუ“ განსხვავებული ინტენსივობით მოქმედებდა და მოპასანის სენს პარიზში არ ახლდა ის სტიგმატიზებული „კუდი“, როგორც – იმავე დიაგნოზს სტეფანნმინდასა თუ თბილისში. დღესაც კი ქართული მწერლობის მკვლევარს ურჩევნია, დავით კარიჭაშვილის მკითხველების მსგავსად, ამოხიოს ლიტერატურის ისტორიიდან ნებისმიერი გვერდი, ოღონდ აირიდოს ის დისკომფორტი, რომელიც ტაბუირებული ტოტემის/მითის „ხელყოფას“ მოაქვს. რაღა თქმა უნდა, საბჭოთა „წნებმაც“ კარგად იმუშავა და გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ვახტანგ კოტეტიშვილის ბიოგრაფიული თხრობის მანერა – მწერლისადმი დაუკავებელი ინტერესის, პატივისცემის, თანაგრძნობის და, იმავდროულად, სულისშემძვრელ ტრაგედიათა მიზეზებისა და შედეგების დაურიდებელი წარმოჩენისა – ნელინელ დავიწყებას მიეცა...

**ამოხეული ფურცლები:** ახლა ჩავხედოთ დავით კარიჭაშვილის იმ წინასიტყვაობას 1904-1905 წლებში გამოცემული ყაზბეგის ერთგომეულისათვის, რომელიც ბიბლიოთეკებში შემონახული ამ წიგნის ეგ-

ზემპლარების უმეტესობიდან საგულდაგულოდ ამო-  
უხვიათ „მორალისტ“ მკითხველებს: „1870 წელს  
რუსეთში ყოფნის დროს ყაზბეგი ავად გახდა ავის  
სწორობით და საქართველოში დაბრუნდა ავად-  
მყოფი. დედა მისი აღნიშნავს, რომ სანდროს მორ-  
ჩენაზე თხუთმეტი თუმანი დაიხარჯაო“. 37)

**სკანდალური დატოვება** ჩერნიშოვ-კრუგლიკოვთა  
ოჯახისა ქართველი სასიძოს მიერ, ცხადია, რაღაც  
ინტერპრეტაციის მოითხოვდა. პირველი ვერსია  
თავად ამ დრამის „გმირმა“ შეგვთავაზა თავის  
ავტობიოგრაფიულ ნარატივში; მეორე ვერსია ჩვენს  
კოლეგას – როსტომ ჩხეიძეს ეკუთვნის; მის ვრცელ  
და ნამდვილად საინტერესო ბიოგრაფიულ რომანში  
(„ყაზბეგიანა“) შეყვარებული სანდრო ყაზბეგის „სა-  
ქორწინო გვირგვინისაგან“ თავდახსნა მიჩნეულია  
იმ ფობიად, რომელიც ოჯახური ცხოვრების გა-  
უცნობიერებელ, პანიკურ შიშს გულისხმობს და  
რომელსაც „გამეტოფობია“ ჰქვია.

**როსტომ ჩხეიძემ**, გოგოლის, მოპასანის, კაფუას  
ანალოგიურ ფობიათა მაგალითების მოხმობით,  
თავის „ყაზბეგიანაში“ სცადა დაესაბუთებინა ეს  
მოსაზრება: „ერთი წეუთითაც არ შეიძლება და-  
ვეჭვდეთ მისი სიტყვების გულწრფელობაში, – წერს  
ავტორი ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ, – ჩამლილ  
ქორწილს ეთნიკურ შეუთავსებლობას რომ და-  
აბრალებდა, გვარტომობის სხვადასხვაობას, მაგ-  
რამ დამაფიქრებელი ისაა, რომ ნინო ჩერნიშოვ-  
კრუგლიკოვას ნაცვლად, სასძლო ქართველი ქალი  
რომ ყოფილიყო, ნიშნობა მაინც სავალალოდ დას-  
რულდებოდა. მოტივი სხვა გამოიიქნებოდა, ცნო-  
ბიერება სხვა მიზეზს მოიდებდა, მაგრამ სინამდვი-  
ლეში იდუმალი ინსტინქტი ნარმართავდა ყოველივეს  
და ის ააღებინებდა ხელს დანიშნულზე.

რუსი არა ყოფილა ძიძია, ვისი ხატებაც „ხევისბერ  
გოჩაში“ გადავიდოდა. რუსი არა ყოფილა მაკრო

მაღალაშვილი. არც ის უცნობი ქალი ყოფილა რუსი,  
მარიდ რომ გარდაისახებოდა „განკიცხულში“. 38)

აյ ავტორი წერტილს სვამს. გულწრფელად უნდა  
ვაღიარო, რომ რაღაც მომენტამდე ეს პასუხი ჩემ-  
თვისაც სავსებით დამაჯერებლად უდერდა, მაგ-  
რამ ყოველივე ზემოთქმულთან მორიგმა მიბ-  
რუნებამ (ისეთი დეტალის ჩათვლით, როგორიცაა  
იმ ავადსახესნებელი სენის კატასტროფული შედე-  
გები შთამომავლობისათვის, რაც იმ დროს უკვე  
საყოველთაოდ ცნობილი იყო) მაფიქრებინა, რომ  
როსტომ ჩხეიძის ფრაზაში: „სინამდვილეში იდუ-  
მალი ინსტინქტი ნარმართავდა ყოველივეს და  
ის ააღებინებდა ხელს დანიშნულზე“ – „იდუმალი  
ინსტინქტის“ ნაცვლად – „იდუმალ მიზეზს“ თუ ჩავ-  
წერთ, რეალობას უფრო დაუუახლოვდებით.

**ალექსანდრე ყაზბეგი** თავის მეგობრებთან ბედს  
რომ უჩიოდა უცოლობისა და არგაჩენილი მემკვიდ-  
რის გამო, ეს სპექტაკლი როდი იყო! იგი სრულიად  
გულწრფელად მისტიროდა შეუმდგარ „ოჯახურ  
სიამტკბილობას“, ოლონდ, რაღა თქმა უნდა, მიზეზად  
ხან ვის ასახელებდა და ხან – ვის. მთავარი მიზეზი  
თვითონ რომ იყო – ეს შესანიშნავად იცოდა და,  
ასე მგონია, ამანაც შეუწყო ხელი მისი ცხოვრების  
უკანაკენელი წლების თვითგანადგურების ულმობელ  
პროცესს...

ახლა იმ აღსარებას მოვუსმინოთ, „ჩერვლიონოეს  
დრამიდან“ ოცი წლის შემდეგ რომ გაანდობს ზა-  
ქარია ჭიჭინაძეს: „რომ იცოდე, ზაქარია, თუ  
რანაირად მინდოდა ცოლის შერთვა, თუ რანაირად  
მიყვარს ყმანვილები და როგორ მსურდა, რომ მე  
ჩემი საკუთარი შვილი მყოლოდა, მაგრამ, ჩემდა  
საუბედუროდ, ამ ბედნიერებას მოვაკლდი. ეხლა  
ბევრს ვდარდობ, ბევრს ვნანობ, მაგრამ რაღა  
დროს? ვსწყევლი მხოლოდ იმ პირებს, ვინც ჩემს  
ასე დარჩენას ხელს უწყობდნენ, ღმერთმა ჰკითხოს  
იმათ, ისინი იყვნენ ჩემი პასუხისმგებელნი“. 39)

ვინ არიან ეს ანონიმი პერსონები? ეგებ მისი სიჭა-  
ბუკის დროის „ერთადერთი მეგობარი“ ალექსან-  
დრე ბახუტაშვილი („ბ“), რომელმაც შეაგონა, რომ  
„...მდიდარი რუსის ქალი ქართველს ვერ შეეწყობა  
და მომავალი მონამლული გექნება“-ო და ახლა  
ჩერვლიონოეს მთელი დრამა იმას ბრალდებოდა?  
თუ ლიზა ყაზბეგი („განკიცხულში“, „სოფიოდ“ მო-  
ნათლული), რომელიც ესოდენ უცერემონიოდ ერ-  
ოდა ბიძაშვილის ინტიმურ ცხოვრებაში? თუ ლიზას  
ძმა – დიმიტრი („მიტკა“), თავისივე ცქრიალა ოსმა-  
მოახლემ შვიდი შვილი რომ გაუჩინა და მთელი  
შემდგომი თანაცხოვრება სისხლს უშრობდა „ჯვარ-  
დაუწერლობის“ გამო?..

**ჩემს ინტერეტაციას** წარვუმძღვარებ ქართლში „საქორნინო ხაფანგს“ გადარჩენილი სანდროს მონა-  
ყოლს „საპატარძლოს“ უტიფარ ნათესავებზე, რომ-  
ლებიც „ცდილობდნენ, რომ როგორმე წავეცდინეთ  
და ეთქმევინებინათ, რომ მამწონს ანუ მიყვარს“, –  
და ყაზბეგისეული სიმტკიცით წარმოთქმული მისი  
„კრედო“: „ისინი კარგათ იცნობდნენ ჩემს ხასიათს  
და იცოდნენ, რომ თუ ერთხელ რამე წამომცდენიყო  
ამ გვარი, მაშინ უარის თქმას ვეღარ მოვახერხებდი  
და ჯვარს გადამწერდნენ“.

თუ არმონინებული „საპატარძლოს“ გაქნილი  
ნათესავების უშმაკური წაქეზებით წამოცდენილი –  
„მამწონს ანუ მიყვარს“ – ყაზბეგისეული მამაკაცური  
ეთიკით – ჯვრისნერისა და ქორნინების უპირობო  
გარანტიაა, – შეყვარებული ქართველი არისტოკრა-  
ტის მიერ გრაფ ჩერნიშოვ-კრუგლიკოვების ოჯა-  
ხისათვის მათი წარმტაცი ქალიშვილის ხელის  
თხოვნა და უკვე საჯაროდ გაცხადებული მშობელ-  
თა თანხმობა იმავ არისტოკრატს არაფერს ავალ-  
დებულებს?!

და, რაც მთავარია, ეს ხელის თხოვნა იყო არა  
მაჭანკლების მონადინებით შედგენილი სცენა-  
რის ფინალური აქტი, არამედ – ერთმანეთზე შეყ-

ვარებული ორი ადამიანის გაცნობიერებული ნაბიჯი!  
მგონია, ალექსანდრეს ავტედითობანი მოსკოვში  
სწორედ იმ დაწყევლილი დღით დაიწყო, როდესაც  
მას ექმიშა განუმარტა, რომ ბულვარზე გაცნობილი,  
კისკისა, „ლამაზი მუშა ქალები“ არც ისე უვნებელი  
იყვნენ, როგორც მას ეგონა და „ავი სენის“ (ანუ –  
ათაშანგის) მსხვერპლი შეიქა...“

ამ თავზარდამცემი აღმოჩენის შემდეგ, მოსკოვში  
სანდროს აღარაფერი ესაქმებოდა. რა მიზეზს მოქებ-  
ნიდა ეს უგონოდ შეყვარებული მეტროე საქორნინო  
გეგმების ჩასაშლელად, ამას მნიშვნელობაც აღარ  
ჰქონდა... ალბათ, ერთადერთი, რასაც ევედრებოდა  
ღმერთი – სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას, რა-  
თა მშობლიურ კერას შეფარებულს, რამენაირად  
მეხსიერებიდან წაეშალა ესოდენ ზღაპრულად დაწ-  
ყებული და კოშმარულად დამთავრებული „მოს-  
კოური სიზმარი“...

### სამშობლოში დაბრუნება.

**ანტონ ფურცელაძე** იგო-  
ნებდა: „მე ვიცნობდი ალ-  
ყაზბეგს პატარაობიდანვე;  
ვიცოდი რა აღზრდაცა ჰქონ-  
და, რა გზაზედაც იყო დაყე-  
ნებული. დედის-ერთა, ნები-  
ერი, ხიფიჭიდანვე ლამაზ  
გამზრდელებში გართული...“  
და მერე უკვე მის დაბრუნებას  
რუსეთიდან, საიდანაც:  
„...გამოისტუმრეს მთლად  
მოშლილი, ჩაფუშული სახით,  
მოშვებული ტანით, მოლებული  
ჯანით, ჩამქრალი თვალებით.  
ასე რომ, დაბრუნებული თავის ქვეყანაში, ის ჩრდი-  
ლიც არ იყო იმ მშვენიერი, ცოცხალი და მალხაზი  
ყაზბეგისა, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით წინად“.<sup>40)</sup>



ანტონ ფურცელაძე  
© (ლმ)

**ვახტანგ კოტეტიშვილმა** ეს ყოფითი დრამა შემოქმედებითი ფსიქოლოგიის იშვიათი წვდომით (განსწავლულობითაც, რაღა თქმა უნდა), დიამეტრულად განსხვავებული განზომილებით დაინახა: „მე მგონია, რომ ალ. ყაზბეგის მზგავს ადამიანებს, შემოქმედებამდე და შემოქმედების პროცესშიც, თუ არ დაემტვრათ ცხოვრება, ისე შეუძლებელიც არის მათი შემოქმედება“.<sup>41)</sup>

როგორი გაბედულებაა საჭირო ამ ერთი პარადოქსული ფრაზის წარმოსათქმელად! ცხადია, მრავალი მაგალითი მოჰყავს და ლომბროზოს „გენია და შეშლილობაც“ მაგიდაზე უდევს, მაგრამ მაინც, როგორ გინდა ამდენ კლიშეში მომწყვდეული მკითხველი დაარწმუნო, რომ სვებედნიერი, ამჩატებული ყმანვილი სულისშემძვრელი ნაწარმოებების ავტორი ვერ გახდება, თუ მთელი თავისი ილუზიები თავს არ დაემხო! მხოლოდ ამ კატასტროფის შემდეგ, გარეშემოთაგან ზურგშექცეულმა, მარტოდმარტომ უნდა მოიცალოს და თავისი სულის სიღრმეში ტკივილისაგან გადახსნილ ნაპრალში დაინახოს მასავით უიღბლო, შმაგი, საკუთარი თუ თვისტომთა ბედით გულდათუთქული, განკიცული არსებანი...

**სტეფანწმინდაში** მოგვინევს შეყოვნება, მოსკოვიდან დაბრუნებულ სანდროსთან ერთად, რომელიც დედამისს გამაოგნებელ სიურპრიზებს უწყობს და ისეთ დრამებს აყურებინებს, სცენაზე რომ არაფრით გამოსდიოდა...

ყაზბეგების სიძე, ივანე ფურმანი, რომელსაც 1870 წლის ნოემბერში სანდრო მოსკოვიდან სტეფანწმინდაში უნდა ჩამოეყვანა, ცოლს გზიდანვე უგზავნიდა „ინსტრუქციას“: „...გააფრთხილე დედა, რომ მოერიდოს არამც თუ საყვედურს, არამედ მეტს კითხვებსაც. სთხოვე ჩემ მაგიერ, ასე მოიქცეს საერთო სარგებლობისათვის“.



სადგური ყაზბეგი © (ლმ)

მთავარი კითხვა, რომლის ამოთქმასაც ვერ ბედავდა ვერც ერთი შინაური, რაღა თქმა უნდა, სანდროს რუსეთში არშემდგარ დაქორწინებას ეხებოდა: მაინც რა მოხდა ისეთი ამ სოფელ ჩერვლიონოეში, რომ უკვე დანიშნული ჯვრისწერა ჩაიშალა; ვინ იყო ის წარმტაცი ნინა ჩერნიშოვ-კრუგლიკოვა, სანდრო რომ მოაჯადოვა; და, საერთოდ, იყო კი? თუ მთელი ეს ლამაზი ზღაპარი სანდრომ დედისათვის ფულისა და ძვირფასეულობის გამოსატყუებლად შეთხა?! მერამდენედ ფურცლავდა ლამლამბით ცრემლმორული ელისაბედ ყაზბეგი სანდროს რომანტიკული წიაღსვლებით სავსე წერილს და პასუხი ვერ გაეცა ამ კითხვებისათვის – ხან ერთს დაასკვნიდა, ხან იმის საპირისპიროს. და განა მარტო ელისაბედი?! ყაზბეგის ბიოგრაფიოსთა დიდი ნაწილი დააბნია ამ კითხვამ... საბოლოო პასუხი კი 1949 წელს ივანე ლოლაშვილის პუბლიკციით გახდა ცნობილი, საიდანაც ჩანდა, რომ ჩერნიშოვ-

კრუგლიკოვის ქალის ისტორია სრული სიმართლეა.

აქვე უნდა ითქვას, რომ დღეს ძნელია დავეთან-ხმოთ ლოლაშვილის ეულ ინტერპრეტაციას, რომე-ლიც ყაზბეგის „ავტოპიოგრაფიულ ნარატივს („სა-ქართველოს ბომონდი“, 1870) ემყარებოდა, სადაც მთავარ გმირს სიყვარულს ეროვნული თავმოყვა-რეობა დაათმობინებს. მიუხედავად ამისა, რომან-ტიკული დრამა ჩერვლიონოეში მაინც შეუწელებელ ინტერესს იწვევს და პირდაპირ მიუყავართ იმ თე-მასთან, რომელსაც ჰქვია:

**შეყვარებული ყაზბეგი:** ოლონდ, ჯერ „შეყვარებული“ ალექსანდრე ყაზბეგის ორი ლექსი გადავიკითხოთ. ნინნკლები „შეყვარებულთან“ გამიზნულად დავტო-ვე, რადგან ყაზბეგის პროზის ექსპრესიული ერო-ტიკული ჰასაუებისაგან განსხვავებით, ფოლკლო-რულ ნიმუშებზე ამოზრდილ მის სასიყვარულო ლირიკას გზნების ნატამალი არ ამჩნევია და მხო-ლოდ ერთგან, სადაც ის გრძნობამოძალებული ბე-სიკის კვალშია ჩამდგარი, ეჭვი აღარ გეპარებათ ავტორის გულწრფელობაში.

ორივე ნიმუშს გაგაცნობთ. პირველი, „ფოლკლო-რულია“, სათაურით – „ლამაზო“:

ლამაზო! ქმარი გყოლია  
კაცი არ მოგეგზავნება,  
მაგრამ, მერწმუნე, შენებრივ  
ვარდისგან გულსა ევნება.  
გაქსუვდებოდის ცხოვრება  
თუ ესე სატრაფოს ენება,  
ყვავილი დაჭკნეს, თუ მზესა  
მას შუქი აღარ ექნება. 42)

ალეგორია გასაგებია, თუმცა საფიქრებელია, რომ „ლამაზოს“ რეპუტაციას არაფერი ემუქრებო-და. აი, მეორე ლექსი, „ბესიკური“, ალბათ, მთლად



გერგეტის სამება  
შალვა ლეჟავას ფოტო


გულგრილს არ დატოვებდა ორ მეტრფეს შორის  
აღმოჩენილ ერთ არსებას...

ლექსის ადრესატი პოეტის რაყიფია (ბესიკის ენა-  
ზე თუ გადავალო), სახელად – „დათა“, რომლის  
დამუქრებითა თუ ვედრებით ჩამოცილებასაც ლა-  
მობს წარმტაცი ვერას „შავი ხალით“ გულდადალუ-  
ლი პოეტი:

გულისა ძერა, უუჟუნა ვერა,  
უცხო ხილია!  
გსურს მიიპარო? მსურს დავიფარო,  
ჩემი თვალია!  
მტრად გაგიხდები, მისთვის მოვკვდები,  
ჩემი ვალია!  
ნუ მეცილები, უკან ხელები...

ჩემი წილია!  
მაგას ვერ მოგცემ, გსურს, კიდეცა გცემ,  
თუნდა მკალია!  
შენ ვერ იხილო, მე არ გიწილო,  
სხვის სამკალია!..  
შენ თუ იქარებ, მეცა ვიჩქარებ...  
შეგხვდე ხმალია!  
შენ ვინ რას მოგცემს? მე კი გულში მცემს  
შავი ხალია.  
ის ჩემი ღმერთა და ერთად ერთა,  
მწველი თვალია,  
სული დაგული, მისგან დაგული  
დაუკვალია.  
ლამაზი ვერა, თუმც გულის წერა  
უცხო ხილია,  
ნუ მეცილები, იქით ხელები,  
ჩემი წილია.

(„დათას“) 43)



დარიალი ლიკაბე

სურათი.

ფასი 80 კუ.

„დაუბეჭდავი ლექსები“  
© (ლმ)


პუშკინისაგან განსხვავებით, ყაზბეგს თავისი „დონიუანური სია“ არ დაუტოვებია. არც ჟან-ჟაკ რუსოსათვის მიუბაძავს და ნახევარი საუკუნის შემდეგ თავის „ალსარებაში“ არ გამოუმზეურებია „ბავშვური ეროტიზმის“ დაუჯერებლად დრამატული სამყარო.... სანდროს პირველი ვნებების ისტორიას ხევში ჩამოწლილი ნისლი ფარავს; სიჭაბუკის წლებზე კი ერთადერთი მონაყოლია შემორჩენილი, და თან ძალიან სევდიანი: 18 წლის სანდროს შეჰყვარებია ძიძიშვილის მული – ძიძია, სოფელ გარბანიდან... აბა, რომელი 16-17 წლის სოფლელი გოგოს გული არ შეტოვებოდა თვალებანთებული, მომხიბლავი ახალგაზრდა ბატონის დანახვაზე... ძიძიაც, რა გასაკვირია, სანდროს ყოვლისწამლებავი ემოციურობის ტყვეობაში მოექცა და მხოლოდ ულმობელ ადათს დამორჩილებული, უფროსი ძმების დაუინებით (ეგ შენი მომყვანი არ არისო!) გამოესალმა თავის სატრფოს... მალევე დაჭლექდა... „სანდროს სახელის სხენებით დალია სული ხევის ჯულიეტაზ“. იმავე გადმოცემით, მის საფლავზე სანდრომ ფიცი დადო, რომ სხვას არავის შეირთავდა ცოლად... აკი შეასრულა კიდეც (თუმცა, ვეონებ, სხვა მიზეზის გამო...). ერთი კი ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პროზის „თავადიშვილ“ პერსონაჟთაგან განსხვავებით, სანდრო ყაზბეგი მართლაც შეძრა ამ ტრაგედიამ, რაც აისახება კიდეც მის მომავალ ნანარმობებში.

ყაზბეგის ახლობელთა მოგონებებში ვერაფერს ამოიკითხავთ ძიძიას გარეგნობაზე, მაგრამ აქ ის თვითონ შეეშველა „ბიოგრაფოსებს“ და დაგვიტოვა ქვეყანაზე ყველაზე სასურველი, ყველაზე მაცდური, ყველაზე მომხიბლავი ყმანვილი ქალის პორტრეტი, რომელიც ჩვენ სკოლის მერჩიდან გვახსოვს: „ძიძია იყო თექვსმეტის წლისა, მაშასადამე ასაკზე მოსული ქალი, სრულიად გაშლილი და გადაფურჩქნული, სიტყვით, იმ ხანში, როდესაც ძარღვებში

აღელვებული სისხლი ქაფდება, სდულს და ჩუხჩუხით მომდინარეობს, როდესაც გული მიიღვის რაღაცა ჯერედ უცნობი ბედნიერებისაკენ და თრთოლვით შესთამაშებს ყვავილებს და ბუნებას, სიცოცხლე ედემად ეშლება, ცხოვრება სიამოვნების ნექტარს ექადის. ის იყო ტანადი, ლამაზი, მშვენიერის დაკურებულის ლამაზის თხელის ტუჩებით, რომელნიც თითქოს საკოცნელად მომზადებულიყვნენ...“

„შეყვარებული ყაზბეგის“ ბიოგრაფიიდან „მოსკოვური“, „დარდიმანდული“ პერიოდი მეტ-ნაკლები მიახლოებით შეგვიძლია ნარმოვიდგინოთ; „ჩერვლიონოეზე“ მან თვითონ უამბო დედამისს რაღაც ინფანტილური გულგადახასნითა და აღტაცებით... აი, მთელი დანარჩენი მისი ინტიმური ბიოგრაფია ისეთი იდუმალია, ისეა ფრაგმენტებად მიმობნეული მისივე პროზასა და თანამედროვეთა მოგონებებში, რომ მხოლოდ ნარმოსახვას თუ შეუძლია, შეავსოს ის ავისმომასწავებული სურათი, რომელზეც სულიერი სიფაქიზე და ავზნეობა უცნაურად და ამოუხსნელად მეზობლობენ ერთმანეთთან.

როდესაც გახსენდებათ ონისეს პირველი რეაქცია ძიძიას დანახვაზე, რაღა თქმა უნდა, 18 წლის გრძნობადაუკებელი სანდრო ყაზბეგი ნარმოგიდგებათ თვალწინ და გაიფიქრებთ, რომ ბევრი რამ ალექსანდრე ყაზბეგის ჭაბუკ გმირთა იმპულსურ ხასიათში უთუოდ ავტობიოგრაფიული შტრიხებითაა ნაკარნახები: აქ „მომენტნა“ – „შემიყვარდას“ სინონიმია, ხოლო სიყვარული ისეთივე აბსოლუტური ცნებაა, როგორც მასთან დაწყვილებული სიკვდილი. სასიყვარულო არჩევანი, როგორც წესი, ფატალურია, რადგან გამორიცხავს უკანდახევას ან გადაფიქრებას: როგორ ნარმოგიდგენიათ ელბერდი, რომელიც განუცხადებს ენდის, რომ მისი შერთვა გადაიფიქრა და ნიშნად მიცემული დამბაჩის დაბრუნებას ითხოვს... მთაში მიღებული



ალექსანდრე ყაზბეგის ხელნაწერი  
© (ხეც)

არ არის ერთმანეთით დაინტერესებული ქალ-ვაჟის ურთიერთობის ის, ჯერ კიდევ უწყინარი, ეროტიკანარევი თამაში, რომელსაც „ფლირტი“ ჰქვია და რომელშიც ჩვეულებრივი რამაა „უკანფლიქტო უკანდახევა“. ყაზბეგის „კავკასიურ საგაში“ ეს შეუძლებელია: რადგან ეს მთაა, რომელსაც არ უყვარს შეყოვნება და გადაფიქრება, რადგან ეს კავკასიაა და არა ვერსალი...

იმავეს არ გაფიქრებინებთ ელგუჯასა და ძიძიას გამაოგნებელი, პირველყოფილი ეროსით დამუხტული ურთიერთლტოლვა?!

„ელგუჯამ მიიყვანა ქალი „საწოლში“, აუნთო ჩირალი და, რა შეჰედა ქალს, გაშტერებული დარჩა. იმის თვალს წარმოუდგა ისეთი მშვენიერი, მიმზიდავი თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ქალი, რომელმაც მოულოდნელად გული აუცახცახა და ძარღვებში სისხლი აუდუღა. რასა შვრებოდა, სად იყო – იმას სრულებით გარდაავინყდა. ის შეეპყრო მარტო ერთს სურვილს, რომ ასე განუწყვეტლივ ეყურებინა ამ ქალის მშვენიერებისათვის და დამტკბარიყო იმ გრძნობით, რომელსაც პირველად გაეღვიძა იმის გულში. ქალი კი იდგა ფერმიხდილი, დაღონებული, თვალებდაშვებული და გატაცებული რაღაცა ღრმა ფიქრით.

ელგუჯას ანუხებდა იმისი მდგომარეობა. უნდოდა დასამშვიდებელი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ენა არ იცოდა, თუნდა სცოდნოდა კიდეც, ძნელად შეეძლო იმას სიტყვის წარმოთქმა. არის ხოლმე ისეთი მდგომარეობა კაცის ცხოვრებაში, როდესაც გრძნობ, იტანჯები, გინდა წარმოსთქვა რამე, მაგრამ ენა ალარ გემორჩილება და სიტყვა ვეღარ გიპოვნია. სწორედ ამგვარს მდგომარეობაში იყო ელგუჯაც.

ბოლოს, როგორც იყო, გონს მოვიდა, გაამაგრა კედელში „ჩირალი“ (კვარი), უჩვენა იქვე დალაგებულ საბან-გობანზედ და ანიშნა იმათი გაშლა. კიდევ ცოტა

ხანს დარჩა, შეჰქედა, ამოიოხოდა და გამობრუნდა. კარებთან რომ მოვიდა, ერთი კიდევ მიიხედა, დაინახა, რომ ქალის თვალები ელგუჯასაკენ არის მოქცეული და ისეთი სახით უყურებენ, თოთქოს იმათაც უგრძვნიათ მოხევის გულის მოძრაობა და ისინიც თანაუგრძნობენ, მადლობას ეუბნებიანო...


ელგუჯამ ველარ მოითმინა, გადახტა და გულში ჩაიკრა ქალი, რომელიც შეშინებული და აღელვებული, რაღაცა გამოუცდელის გრძნობისაგან დამონებული ძალზედ ეკვროდა მკერდზედ.

ამ წუთებში გამოიხატებოდა წადილი, შიში, სიყვარული, ბრძოლა აღძრულ გრძნობასთან, მაგრამ იმათგან ვერც ერთი კი ვერ გეტყოდათ – რა მოსდით, რასა შვრებიან, ან ასე რად იქცევიან და სხვა რიგად არა?

ღმერთმა იცის, დიდხანს გაგრძელდებოდა ეს იმათვის სანატრი წამები, ან სადამდის მიაღწევდა, თუ ისინი ამ თავის დავიწყებიდან არ გამოეყვანა ხმაურობას, რომელიც მოისმა სასტუმროს კარებიდგან.

ელგუჯამ უკანასკნელად ძალზედ მოუჭირა მკლავები, აღზინებულად აკოცა, გამოვარდა გარედ მთვრალსავით, გიუსავით და გულის ძგერით მიწვა კარებთან“. 44)

ალექსანდრე ყაზბეგის პროზის ამ ერთ-ერთ ყველაზე ექსპრესიულ პასაუში „ელგუჯას“ მაგივრად „სანდრო“ რომ ჩასვათ, ზედმინევნით სიზუსტით აღნერთ ერთ-ერთ ეპიზოდს ალექსანდრე ყაზბეგის ახალგაზრდობის დროინდელი იმ სასიყვარულო თავგადასავლებიდან, რომლებიც მან თავის „გამოშირულ“ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში არც კი ახსენა, მაგრამ მთელი მისი არსება, ყველა ძარღვი თუ უჯრედი გაჯერებული იყო იმ ოდინდელი, ტკბილი წამების ნექტარით: მათ წლების მერე შეერთა თვითგანაჩენის შეამი, ვითარც საზღაური უპატიქებელი ყმაწვილური სიმჩატისა...



სტეფანწმინდა 1933 წ.

**ტახო გიგაური** („ჩეკიენთ სვიმონას“ რძალი) იგონებდა: „ახალგაზრდა ქალები შურით უყურებდნენ, ჩუმად ჩურჩულებდნენ, ათას სასიყვარულო ამბავს გადასცემდნენ ერთიმეორეს სანდროს ცხოვრებიდან და თანაც თვალს არ აშორებდნენ მას. აქვე ყური მოვეკარ, რომ თავისი ძიძის – ნინოს ქალიშვილის მული ჰყვარებიაო, გარბანელი ქალი ძიძია, მაგრამ ნათესაობა აღდგომიან წინაო და ქორწინებაც ჩაშლილაო. ცონბისმოყვარე ქალების ლაპარაკმა უფრო მეტად დამაინტერესა და სმენად გადავიქეც. მერე კვლავ იმავე ამბავს მიუბრუნდნენ და თქვეს: სანდრო, როდესაც რუსეთიდან დაბრუნებულა და სტეფანწმინდას დასახლებულა, ნინოს ქალიშვილი უკვე გათხოვილი ყოფილა, სანდრო თურმე ხშირად დაიარებოდა გარბანში და ნახულობდა თავის

ძიძიშვილს, რომლის ოჯახშიც ხვდებოდა ახალგაზრდა ყმანვილ ქალს, ძიძიას. ძიძია მას მოკრძალებით ექცეოდა, როგორც ბატონის შვილს, მაგრამ სანდროს ეს მოკრძალება კიდევ უფრო ახელებდა და მისდამი ინტერესს უღვივებდა.

სანდროს და ძიძიას სიყვარული შეუმჩნეველი არ დარჩენილა ძიძიას ძმებისათვის და ამის გამო თავის დას აუკრძალეს სანდროსთან შეხვედრა. იმას თურმე ეუბნებოდნენ, სანდრო ბატონის შვილია, თანაც ნასწავლი, ჩვენ უბრალო გლეხები და აბა შენ რას გიყადრებსო, შერცხვენილს დაგტოვებსო. ამ აუხდენელი სიყვარულის გამო ძიძია ტუბერკულოზით დაავადებულა. [სანდროს] ხშირად თავის ძიძიშვილიც ეტყოდა თურმე: „სანდრო, აბა რა შენი საქმეა გლეხის ქალი, განა არ იცი, რომ შენი ნათესაობა ამის ნინააღმდევნი არიან?“ „ვიცი, ჩემო ყველავ, კარგად ვიცი, მაგრამ გულს ხომ ვერ ვუკარნახებ: წმინდა არსება ნუ გიყვარსო? მომწყინდა ის არისტოკრატებიც, მათი ბალ-მასკარადები, მათი გარყვნილი ცხოვრება, სწორედ რომ ვიცი ყველაფერი ეს, იმიტომ მინდა წმინდა ქალი და წმინდა ოჯახიო“.

ვერ მოახერხა სანდრომ იმ ქალის შერთვა, ჯვარს არ დასწერდნენ და უკანონო ცოლი კი იმას არ უნდოდა. აი, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ძიძია გარდაიცვალა სანდროს დარდით და დღეს ეს ბეჩავიც მარტო დადისო.

— ჰო, მართლა, წასჩურჩულა მეორემ, — სანდრომ ძიძიას საფლავზე ფიცი დასდო, რომ შენგან მეტს მექალს არ შევირთავო და აი, ხედავ, ახლაც მარტოა, ქალიც თავის ხარჯით დაუსაფლავებია.

მე ეს ამბავი მაშინ პირველად გავიგე, მაგრამ ამის შესახებ შემდეგაც ჰყვებოდნენ ხოლმე ხევსა“. 45)

„იმ ფაქტს, ალექსანდრე ყაზბეგი თავის პიესებში ბიოგრაფიულ ელემენტებსაც რომ ურთავდა, თანა-

მედროვენიც აღნიშნავდნენ. ვფიქრობთ, ამ კუთხით საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის მოგონების ერთი ეპიზოდი: „გიმნაზიიდამ გამოსვლის შემდეგ ალ. ყაზბეგი გაპყვა ქეიფებს, ლხინებს, ქალების არშიყობას და ცეკვა-თამაშს. ერთი ქალი ისე მოხიბლა ფულით, რომ ბოლოს ეს ქალი ცუდ დღეში ჩავარდა, ამას ალ. ყაზბეგი ხშირად მოიგონებდა ხოლმე და თავის თავსაც სწყველიდა და გმობდა, ყველაფერს სულ თავის მშობლებს აბრალებდა, მათვან მის გალალებას და ცუდად აღზრდას. ამ ქალის ამბავი ალ. ყაზბეგმა გამოხატა ერთ თავის პიესაში, რომელიც 1879 წელს თბილისის სცენაზე დადგეს, ეს პიესა ბიოგრაფია არის ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა, მისი აღზრდისა და სხვადასხვა საქმეების“. სავარაუდოდ, აქ საუბარია ალ. ყაზბეგის პიესაზე „ერთი უბედურთაგანი“, რომელიც 1879 წელსაა შექმნილი, მაგრამ დაიდგა 1880 წელს, მაკო საფაროვას ბენეფისზე (გაზ. დროება, 1880 წ. №103) და რომელსაც საქმიან უარყოფითი გამოხმაურება ჰქონდა“ (ია ლადუა). 46)



ზაქარია ჭიჭინაძე  
© (ლმ)



დარიალის ხეობა – სოფ. გველეთი  
დ. ერმაკოვის ფონდი © (სემ)

**„მთიელთა ფარი“:** სტეფანწმინდაში დავბრუნდეთ, სადაც ალექსანდრე ყაზბეგი მისთვის ნანატრი საქ- მიანობითაა გატაცებული – მეცხვარეობით! თუმცა, ამ მეცხვარეობისას, სანდროს კიდევ ერთი ბავშვობის დროინდელი ოცნებაც ახდა – უსამართლოდ დაჩაგ- რული თანასოფლელების თანადგომა. ყაზბეგის მეცხვარეობის წლების მოგონებები სავსეა ეპი- ზოდებით, სადაც იგი თავგამოდებით იცავს თავი- სიანებს ხან იმდროინდელ საგზაო პოსტებზე მო- დარაჯე მუნდირებიანი მძარცველებისაგან, ხან უცხოტომელი კაზაკებისაგან. ხევში თაობიდან თა- ობას გადაეცემოდა ჩეჩენეთისაკენ ცხვრის გამოსა- ზამთრებლად დაძრულ მოხვეთა დამცველად მოვ- ლენილი „ბატონიშვილის“ თავგამოდება.

იაგორ ლუდუშაურის მოგონებაში აღწერილია, რა ვითარებაში შეარქვეს მოხევე მეცხვარეებმა ალექ-

სანდრე ყაზბეგს **მთიელთა ფარი:** „...რამდენიმე ხნის განმავლობაში ყაზბეგის მოქმედებამ თვალსაჩინო გავლენა იქონია ჩეჩენებ-ყაზახებში, რადგან ყველა მათმა სოფლებმა შეიტყვეს ყაზბეგის ვინაობა, რადგანაც ყაზბეგის საჩივრის გამო, თერგის თემის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ უკეთუ მეცხვარეს შეურაცხყოფას მიაყენებდა ვინმე, ის მახლობელი სოფელი უნდა მისცემოდა სასტიკ პასუ- ხისგებაში და მის შემდეგ ნაცვლად გაჯავრებისა თავაზიანად დაიწყეს ცხვარ-მეცხვარეთ გაცილება თავ-თავიანთ საზღვარზედა, რის გამოც მთიელმა მეცხვარეებმა სანდრო ყაზბეგს მთიელთა ფარი უწოდეს. [...]

ერთხელ, მუშაობის დროს, როდესაც [ალ. ყაზ- ბეგი] თავის ნაწერებს, ერთ და მთლიან წიგნში მა- ნერინებდა, შევიდა ღენერალ გ. ყაზბეგის ოთახში, სადაც რუსეთის ხელმწიფის სურათი კედელზე ეკი- და, ჩამოილო, გამოიტანა ჩვენს სამუშაო ოთახში, ლანძლვა-გინებით და ფურთხილით, გადმოაბრუნა სურათი და უკანა მხარეზე დააწერა შემდეგი:

დაგწვი შენი სამართალი,  
შენი კანონ-დებულება,  
შენი აზრი, მოთიქრება,  
შენი მირონ-ცხებულება-ო.

...შემდეგ მოისროლა და შიგ ანთებულ ბუხარში შაგდო ამ სიტყვებით: დაიწოს თქვენი შთამომავ- ლობა, თქვენი კანონი, თქვენი მთავრობის ძალა-ო“.

იმავ მოგონებაში, რამდენიმე გვერდის შემდეგ, კიდევ ერთ მრავლისმთქმელ ეპიზოდზეა მოთ- ხრობილი: „ალ. ყაზბეგის მამის დროიდან, სოფ. გერგეტს და ცდოს ჰერიტე დადებული ხარჯი თითო კომლზე ხუთი კონა ფიჩი და ორი ჩარე- ქი ერბო, რომელსაც თვით ალ. ყაზბეგის დროსაც სცდილობდნენ ყაზბეგის სასარგებლოდ. ეს ძალ- მომრეული ყალანი, განსვ. ალ. ყაზბეგმა სცნო

უწესოთ, ნაძალადევ ყალანად, რომლის გადახდევინებაზე უარი განაცხადა და ამ სოფლებს მიჰმართა შემდეგი სიტყვებით: „ძმებო და მეგობრებო! თქვენი ცოდვა პქონდეს თქვენ უსამართლოდ შემანუხებელსა, ჯოჯოხეთის ცეცხლში იტანჯოს იმისი სული, ვინც თქვენს ნაწვავ-ნადაგზე ითბობდა ხელსა იპოხავდა ყელსაო, ცეცხლად შეარგოს იმის ჩამომავლობას, ვინც დღეის შემდეგ თქვენს ნაოფლარ-ნაშრომს ხელი ახლოსო“. – ეს განზრახვა აღსრულებაში მოიყვანა, და იმ დღიდან განთავისუფლდა ამ ხარჯისაგან სოფ. გერგეტი და ცდო... განსვენებულ ალ. ყაზბეგს ბევრი ასეთი კეთილი საქმე აქვს დანერგილი ჩვენს ხევში“. 47)

**„ნამწყემსარის მოგონებანი“** ალექსანდრე ყაზბეგმა იმ თავგადასავლებიდან ათი წლის შემდეგ დაწერა. ჩანს, ნოსტრალგია მოეძალა „მთიელთა ფარს“ და მოგონებებს მიეცა: „მე 18[71] წელს გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო. მომევლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემს განუშორებლივ თან სდევს.

მე თვითონ, როგორც მთის კაცს, მყვანდა რაოდენიმე ცხვარი, ცოტაოდენი კადევ ზოგიერთს მიწებში გაცვლით მოვაგროვე, მივუმატე ჩემს ფარას, ავიღე ჯოხი და თოფი და ამგვარად შევიქენ მეცხვარე.

რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი ყველამ, განურჩევლად, ყველამ მასხრად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან სახელიანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრებაო, მაგრამ მე ჩემი მიზანი მქონდა, ჩემი სურვილი და ეს იქამდის ძლიერი იყო, რომ არავითარს რჩევას ყური არ ვუგდე; მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემ თავზედ გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკან სდევს მუშა ხალხს,



ხევი  
© (სეგ)

და რაღა დამაყენებდა შინ. [...] ერთის მხრით ლანძლვა იმიტომ, რომ იმათ გაკვეთილს ბილიკზედ არ მივდიოდი და მიზნად არ გამტხადა „ჩინი და პატივი“: მეორე მხრით ლანძლვა იმისათვის, რომ განუწყვეტლივი ჭრიჭინის მაგივრად ძნელი საქმისთვის მომეკიდნა ხელი, და მესამე მხრიდგანაც უნდობლობა, რადგანაც იმ ხალხს, ვისაც გულით ველტოდი, ვერ წარმოედგინა კაცი, რომელსაც იმათი ძარცვა შეეძლო და ძარცვის მაგივრად იმათთან ერთად მუშაობას და ძმობას აპირებდა: ასე დაიწყო ჩემი მეცხვარეობის დებიუტი, რა ხელობაშიაც შვიდი წელინადი გახლდით და რაც ვნახე, გავიგონე და ვიგრძენ, შემდეგიდგან დაინახავთ. [...]

მოვიდა შემოდგომა. მწყებსებმა და დანარჩენმა ხალხმა ნახეს, რომ მთელი ზაფხული მთაში ცხვართან გავატარე, ნახეს, რომ არც სახლი, არც კარი მქონია იქ და, როგორც უმეტესობა მოელოდა, არც შაქარსავით დავმდნარვარ, არც მომწყენა და არც ავად გავმხდარვარ, თუმცა კი ბევრი შხაპუნა წვიმა დამდენია თავზედ.

ყველანი წყნარ-წყნარად დარწმუნდნენ. რომ გულით გამოვეკიდე ამ საქმეს და ადვილად თავს არ დავანებებდი. ამ ხნის განმავლობაში მე დავუმეგობრდი რამდენსამე მეცხვარეს და ყველაზედ მომეტებულად ერთს სტეფანწმინდის მცხოვრებს სვიმონა გიგაურს, რომელიც პირველსავე შეხვედრის შემდეგ მაკვირვებდა თავის მოსაზრებით და ჭკუის გამჭრიახობით.

სვიმონა სწორედ წარმომადგენელი იყო ნამდვილი მთის მეცხვარეებისა. მარდი, გონიერი, სამართლიანი, რომელიც უბრალი ჭიასაც არ ანუენინებდა, მაგრამ, თუ უსამართლობას ნახავდა, იმის გული აიმღვრეოდა ჯავრით და ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, გადასახდელად საშუალება ეპოვნა.

ლამაზი, ტანადი, სამართლიანი და ყმაწვილი სვიმონა ყველასაგან საყვარელი იყო, ყველას ჰსურდა



დარიალის სიმაგრე და ციხე („თამარის ციხე“)  
© (სეა)

იმისი „ნამგალაობა“ და, რასაკვირველია, ასეთი კაცი ჩემთვის სხვაზედ მეტად ფასობდა: იმის გა-მოცდილება და ცხვრის ხელის შეწყობა ხომ ხევში სამაგალითოდ იყო გამხდარი.


როგორც ზევითა ვთქვი, მოვიდა შემოდგომა, მაგრამ მე ნამგალა ვერ ავიჩინე და ვერ ავიჩინე სწორედ უნდობლობა იყო მიზეზი და გადავწყვიტე, მარტოდ ჩემის მწყემსებით წაგსულიყავ ჩეჩენში, სადაც ზამთრობით მთის ცხვარი იკვებება: და რამდენად ძნელია იმ აუარებელი რიცხვის ყაზახის სტანიცების გავლა მარტო ერთის ფარისათვის და ხუთიოდ-ექვსის კაცისთვის – იმას თითონ ჩვენის მოგზაურობიდგან შეიტყობთ. [....]

მთელი ჩვენი მოგზაურობა მინდორზედ, ვიდრე ბრაგუნს გავიდოდით, ერთგვარად მიდიოდა. ყაზა-ხების ურიცხვი სტანიცების ადგილებზედ ისე არ გაგვივლია, რომ შარი არ მოედოსთ და ჩხუბი არ აეტეხათ, მაგრამ მწყემსები სიმარდემ უფრო მეტად დაგვაკავშირა ერთმანეთს და ზურგი გაგვიმაგრა.

თუ საჭიროება მოითხოვდა ხოლმე, ბრძოლით და ჩხუბით ვიკვალავდით გზას, რომელიც სიმართლით ჩვენთვის თავისუფალი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ მაშინ გავიგე, რა მდგომარეობამაც ათემევინა ჩვენს მწყემსებს, „ლმერთო, გვარიდე რუსის შარს“, რად-განაც მშვიდობიანობის დამცველი ყაზახები უშფო-თოდ და შარმოუკიდებლად ფეხს არ გვადგმევი-ნებდნენ.

მაგრამ რა განსხვავება იყო იმათ და ჩეჩენთ სოფლებ შეა, რომელთ ავკაცობაც, შეუბრალებელი გარეგნული ხასიათი ბავშვობიდგანვე ყურში გვქონ-და ჩაწვეთებული!

ესენი დაგვიხვდებოდნენ თუ არა, ზრდილობიანად სოფლის ბოლოს მოგვესალმებოდნენ, თითქოს დიდი ნაცნობები არიანო, აიღებდნენ ხელში წერპლებს და გვშველოდნენ სოფლის გაცილებას. ღიმილით და



ვაინახების სამოსახლო



ჩეჩინეთი – „მთის მეომრები“

მზრუნველიანად გვკითხავდნენ ჩვენს მოსავალზედ, მშვიდობიანობაზედ და საზოგადოდ „გურჯეთის ხაბარზედ“, რომლის შეტყობა ისე უნდოდათ.

ხალხში აშკარადა სცოცხლობდა ამ ხალხთან მეზობლობის რწმუნება, უყურებდა გურჯებს როგორც რაღაც მოძრავს ძალად, რომლის ბედილდალიც თითქოს ენათესავებოდა ამ სიკეთით სავსე ხალხის ცხოვრებას.

თქვენ ვერა ნახავდით ჩეჩინის სოფლებში ისეთ გალექებულს დამთვრალს ხალხს, როგორც რუსის ყაზახებს, რომელიც დილით საღამომდე დღეს ატარებდნენ დუქნებში, სადაც ყაზახები არამც თუ თავიანთ საცხოვრებელს ჰქონდავთ, არამედ ჰყიდიან თავის ტანისამოსს და ბევრჯერ ცოლებსა და ქალებსაც კი აშიშვლებენ და თავის გაღორებულს მუცელს აკმაყოფილებენ.

თქვენ ვერა ნახავდით ჩეჩენში ქალებს, რომლებიც აშკარა გარეუნილი ღიმილით, შეხუმრებით და ნიშნებით შეგინვევდნენ სახლში; ვერა ნახავდით არამც თუ დამთვრალს დედაკაცს, არამედ ნასვამსაც, როდესაც რუსის დედაკაცები, ბევრჯერ ხანში შესულებიც, გალაჯული დგანან დუქნის კარებში, გადაჭარბებულს „ვოტკას“ არწყევენ და გონება-დაკარგულნი, რაღაცას ლუდლულებენ.

ბევრჯერ იქვე გვერდით უდგასთ რუსის ყაზახები, რომლებიც ან გულგრილად, ან სიამოვნების ღიმილით უყურებენ ამ შესაზარს, სამარცხინო სურათს, რადგან მოელიან იმათთან სასიამოვნო დროსგატარებას. ისინი იგინებიან, ილანძღებიან უშვერის პირით, ათრევენ ერთმანეთს თმებით, მაგრამ ყაზახებზედ ამას არავითარი მოქმედება არა აქვს, თითქოს ეს ასე უნდა იყოს, თითქო იმათი ცხოვრება მიდიოდეს წესიერს, ადამიანის საკადრის კვალობაზედ.

ბევრჯერ შემხვედრია ასეთი სურათი: როდესაც

ჩეჩენის გაუვლია ყაზახების დუქნის წინ და, რა დაუნახავს შესაზარებელი სურათი: დედა-კაცისაგან დაქარგვა ნამუსისა, პატიოსნებისა და ადამიანის დანიშნულებისა, – გაუთლელს ჩეჩენს, როგორც ისინი ჩვენა გვევნია, პირი მოურიდებია, ზიზლით გადაუფურთხებია და თვალების ცისკენ მიქცევით წამოუძახნია: იალაპ! მაგრამ ეს „იალაპ“ უნდა გაგეგონათ, რა ხმით წარმოუთქვამს იმას, რომ გაგეგოთ, რამდენად აღელვებულა გაურყვნელი ბუნება ამ კაცობა-დაკარგულის სურათის ნახვით...



ჩეჩენები ქორწილში. XIX ს-ის ბოლო  
ფოტო ჯორჯ კენანის

ჩვენი მგზავრობა, ვიდრე ადგილზედ ჩავიდოდით, გაგრძელდა სწორედ ხუთი კვირა, წყნარი და ზობინით სიარულითა. ამ ხნის განმავლობაში ორი დღე ზედიზედ მზე არ გვინახავს, რადგანაც არაჩეცულებრივი წვიმა განუწყვეტლივ თავს გვესხმოდა.

წარმოიდგინეთ, რა სიხარულით მივაღწიეთ გროზნას, სადაც იმ ხანში ნაჩალნიკობდა თავადი ნ. ერისთავი, რომელიც მშობლიურის ზრუნვით ეკიდებოდა ამ საცოდავს და დაჩაგრულს ხალხს; მარტო იმას მიაჩნდა ჩეჩენელი ადამიანად, სხვებისთვის კი ეს სახელი გაიგებოდა როგორც ავაზაკი, უჭიველად მტყუანი და ლირსი მათრახისა, გარდახდევინებისა და ბოლოს სარჩობელისა, ან ციმბირისა.

გამოვლილმა გზამ დამანახვა, რამდენი ხათაბალა სდევს ჩემგვარს მგზავრს ყაზახებთან შეხვედრის დროს, და მე მინდოდა მეთხოვა ნაჩალნიკისათვის ქალალდი, რომლითაც სტანიცების მმართველებს შემწეობა მოეცათ წესიერების აღსადგენად იმ ხალხში, რომელიც დაესახლებინათ განათლების გასავრცელებლად. [....]

მე მივიღე სასურველი ქალალდი, რომლითაც ეცხადებოდა სტანიცების ატამანებს, რომ კანონიერი შემწეობა მოეცათ ჩვენთვის და ამ ქალალდის ძალით დანარჩენ მგზავრობაში ისე აღარავის შეუწებივართ, როგორც იქამდინ.

ბრაგუნის მახლობლად მახან-იურტის სტანიცის ადგილი, რომელიც ჩვენ გვქონდა დაქირავებული, შეადგენდა მდიდარს საძოვარს, შემკულს ველ-ტყიანებით და წყლით.

თივა და ჯერი იაფად ისყიდება ჩეჩენების სოფლებში, რომლებიც გარს შემოხვეული აქვს ამ ადგილს და სადაც ისე ხშირად დავდიოდი ხალხის და ჩვეულების გასაცნობლად, რომელიც მაკვირვებდა და მაოცებდა.



Թյունզարնցերո ռևետուս մերօდան

ეს მგზავრობა გათავდა ფარებების შენებით, რომელიც მნახველს გააკვირვებს, ნამეტურ მწყემსებისგან შრომის გაწევა და მოუღალავობა. [...]

ათასში ერთხელ ცხვრის საძოვრად გამრეკი მწყემსი მიჯნაზედ თუ შესვდებოდა მეორე სასარქლე მწყემსი. ისინი დასხდებოდნენ და ერთმანეთს გაუშლიდნენ გულს, უამბობდნენ თავიანთ თავგადასავალს და ამით ატარებდნენ დროს.

ხანდისხან ლამის სიმშვიდე დაირღვეოდა ჩეჩების მოტაცებულის (ცხენების ბრაგი-ბრუგით და მდევრის თოფის სროლით, თორემ ცვლილებას ვერასა ნახავდით.

მაგრამ კიდევ ერთი დროს გატარება დამავიწყდა, რომელიც მე ისე გამართობდა ხოლმე და დროს მატარებინებდა: ეს გახლდათ ზღაპრები, ამბები, რომელიმე სახელგანთქმული მწყემსის ან ყაჩალის ცხოვრებიდგან და სხვადასხვა ლეგენდური მოთხოვანი.

აქ ვწყვეტავ ამ წერილებს, რადგანაც, რაც ვნახე და გავიგონე, როგორც ეს ყველა ჩავისმინე და გავიგე, გადავწყვიტე მოთხრობებად გადმოგცეთ და გაგაცნოთ იმ ხალხის ჩვეულება, ხასიათი და წესები, რომელიც ან საქართველოს ნაწილს შეადგენს, ან არა და, იმის აუცილებელს დამოყვრებულს მეზობლებს, რომლებთანაც უფრო მკვიდრი კავშირი არ აგვცდება მომავალში“.48)

„ჩეკიანთ სვიმონა“: ერთ-ერთი ამ წარუშლელ მოგონებთაგან განსაკუთრებით გულშიჩამწვდომი და ნოსტალგიურია – ესაა ალექსანდრეს წერილი მწყემსობის დროინდელ ყველაზე ახლობელ და ერთგულ მეგობართან – სვიმონა ჩეკიაშვილთან („ჩეკიანთ სვიმონასთან“), რომელიც „ნამწყემსარის მოგონებაში“ სვიმონა გიგაურის სახელით არის გამოყვანილი:

„ძმაო სვიმონა!

გახსოვს რამდენი ღამეები გაგვიტეხია მე დ შენ ერთად. რამდენი ავდრიანი დღე, ჭექა, ქუხილი.

რამდენი შარი მოუკიდნიათ ყაზახებს, რამდენ-ჯერ წინააღვდეგომილვართ იმათ უსამართლობას?..

გახსოვს, როგორ გაკვირვებდა შენ და დანარჩენს ჩვენს ამხანაგებს, რომ მე, ნებივრათ აღზრდილმა მებატონებმ, კაცმა, რომელსაც შემეცლო მოსვენებით ცხოვრება, შინაურს კერას ვირჩიე მოუსვენარი მინდორში და მთაში ხეტება, ხეტება, სავსე განსაცდელით და შემთხვევებით. მაშინ ბევრს არ ესმოდა მიზეზი ჩემი ამგვარი ცსოვრებისა. ბევრნი მძრახამდნენ ამისთვის და მიგონებდნენ ათას ცილის წამებას. მაშინ შენ, ჩემო მევობარო, მაშინ-აც გესმოდა ჩემი გულის მიმართულება და ეხლაც კიდევ მოიგონებ. თუ ჩემს ნაწერებს კითხულობს ვინმე, თუ პოულობს იმაში რასმე გულის გასართობს, თუ არა სწყინდება და ბოლომდის ჩადის, ყველა ამის მიზეზი ჩემი წარსულია, ჩემი მეცხვარეობა და თქვენთან ცხოვრება შეიძი წლის განმავლობაში, რომელმაც ერთი და იგივე გვაგრძნობინა, ერთი და იგივე კვენსით დააკვენესა ჩვენი გული, ერთი და იგივე მიზანი დაგვანახვა.

არ ვისი ძმაო, შენ და დანარჩენი ჩვენი ნაამხანაგრები რასა ჰერძნობთ. მაგრამ მე კი ბევრს საღამოს მომაგონდება ჩეჩინის მინდვრები, გაჩალებული ცეცხლი, რომელსაც გარს შემოსხდომიან მწყემსები და მთელი დღის სიჩუმისა და დუმილის შემდეგ, გამხიარებული, მოლაჟდანდარენი... იქვე დაყრილი ცხარი და იმათ იქით. აქა-იქ, ყარაულად მდგარი მწყემსები, რომლებიც გაქვავებულ სურათებს მიემზგავსებოდნენ. გახსოვს ერთგული ბროლია, მურა, ფარეხა, რომელიც ისე ფრთხილად გვინახავდნენ ჩვენც და ჩვენს საქონელსაც, რომ არც ერთი ჩვენთაგანი პირში ლუკმას ისე არ ჩაიდებდა, რომ პირველი ლუკმა ამ ძალებისათვის არ მიგვეცა.

მერე?... დამშვიდებული ჩუმი ლამე, მთვარე, რო-  
მელიც გედსავით მიცურავდა ცაზედ და ნაზს, მო-  
ალერსე სხივებს გვესროდა ჩვენ, თეოზედ გასულს  
მწყემსებს. ღმერთო, რაოდენი გრძნობა იღვიძებდა  
მაშინ, რაოდენი სურათები იხატებოდა თავში?! აი  
იმ დროს ითქმოდა: „კაცის გული ზღვაა, რას რა  
გაჰფიქრებს?“

გახსოვს ჩეჩინელი ელბერდ, ჩვენი მასპინძელი?  
გახსოვს იმისი სახლობა? გახსოვს ყაზახების სტან-  
იცები, ჩეჩინთ სოფლები, გროზნა, მინდორი, მთა,  
ტყე? გახსოვს რამდენი მშვენიერი სურათებად ეხ-  
ატებოდა ჩვენს თვალებს და ისე აკვირვებდა ბუნე-  
ბის სიმდიდრე? მე ყველა ეს ისე ცხოვლად მეხა-  
ტება თვალწინ, ისე ცხოვლად მაგონდება თითქოს  
გუშინ იყოს მომხდარი!

მშვიდობით, ჩემო სვიმონა, გულითადს მშვიდო-  
ბას გეუბნება ის კაცი, ვინც ინატრის შენთვის და  
შენთან ერთად ყველა შენის მეზობლისათვის ყოველ  
გვარს მშვიდობას და ცხოვრებაში უკეთეს პირობას.

თქვენი სიკვდილამდე ა ვ ტ ო რ ო“. 49)

ალექსანდრე ყაზბეგის ყველაზე ულმობელმა  
ბიოგრაფიმა, დავით კარიჭაშვილმაც კი არ გაატ-  
რიზავა ეს პათეტიკური მონოლოგი: „...1871-1878  
წლებში ყაზბეგი ტრიალებდა და მოქმედებდა მარ-  
ტო ხევში... ხევის ბუნება, მისი სტიქიონურის მოვ-  
ლენებით, მოხევეთა ზნე-ჩვეულებანი, მათი ჭირი  
და ლხინი, სიძულვილი მოხევეთა გაჭირვების და  
შეწუხების მიზეზებისა, ღრმად ჩაიბეჭდენ ყაზბეგის  
გულსა და გონებაში და წაუშლელნი დარჩნენ მისი  
სიცოცხლის დასრულებამდე...“. 50)

თუმცა ულმობელი, რისი ულმობელია, თუ იქვე  
იმასაც არ დასძენს, რომ ალექსანდრეს „საქმია-  
ნი“ წამონებები სტეფანწმინდაში, ყაზბეგის „მე-  
დუქნეობა“ იქნებოდა ეს, თუ „ფოდრიადჩიკობა“  
(როგორც მაშინ იტყოდნენ, ანუ – იჯარა) – კატას-

ტროფული შედეგებით დამთავრდა.

„ბიოგრაფიული ქრონიკიდან“: 1876 – მეცხვარეობის  
შემდეგ ალექსანდრე ხელს ჰკიდებს ახალ საქმეს,  
მედუქნეობას.

„მედუქნეობა“: ამ ახალმა „ინიციატივამ“ გარეშე-  
მოთ საერთოდ გადავავიწყა ბატონიშვილის მწყემ-  
სობა და წლების მერეც კი ვერ ივიწყებდნენ პირველ  
შთაბეჭდილებას (ანუ – შოკს!) ჯერ „სანდროს  
დუქნისა“ და მერე თვით „მედუქნის“ ხილვისაგან.


ანდრია კობაიძე, ყაზბეგის იმდროინდელი ნაც-  
ნობი, იგონებდა: „თიბათვის თუ მკათათვის თვე  
იყო, მე არ მახსოვს, როდესაც ჩემი ცხვრებით მი-  
ვუახლოვდი სოფ. აჩხოტის მახლობლად ერთ მი-  
ნურს, ბელტებისაგან აშენებულს პატარა ქოხსა  
(ბალაგანას). რომელიც აეშენებინა ალექსანდრე  
ყაზბეგს თავის მამულის ეკლიანში. ამ ქოხში მოწ-  
ყობილი იყო დუქნის ყაიდაზედ ყაფაზა და თა-  
როები. ყაფაზაზედ ედგა ორი პატარ-პატარა  
არყის „ბოჩა“ და ლვინო, რომლების გარშემო  
ელაგა რუსულ-ქართული საწყაო ჭურჭელი: კა-  
სუშკიანი, შკალიკიანი, პოლკვარტინი, კვარტიანი,  
თუნგიანი, ჩეთვერიანი, ნახევართუნგიანი და ვედ-  
როიანი რუსული ჭურჭელი. ღვინისთვის იყო თუნ-  
გიანი, ნახევარ თუნგიანი, ჩარექიანი და ნახე-  
ვარჩარექიანი, ქართული თიხის საწყაოები. დაზგა  
ანუ დარაბი იყო ერთიანის ფიცრის თარო, რო-  
მელზედაც ჭერიდან ჩამოეჯვლივა ძველი და-  
უნგული ულლიანი სასწორი, რომლის ფიალაზედ  
ელაგა: ათიოდ სხვადასხვა წონის თუჯის გირები  
რუსულის ციფრებით და ასოთი აღნიშნულნი. ხის  
ორ თაროზე ეწყო რაღაც კოლოფები, საიდანაც  
აძლევდნენ მუშტარს თამბაქოს პაპიროსს, ასანთს,  
მესამე თაროზედ იდგა სამი თუ ოთხი შუშის ქილა,  
რომელშიაც ეყარა ხმელი ხილი და კამფეტები, ქვეშ  
ჭურჭელში იყო ერთი ჭილობის ტომარა (ჯული)  
თამბაქოსა, საიდანაც შეკრულ წეკოებს იღებდნენ



დარიალის ხეობა – სადგური ყაზბეგი – მოხეური სახლი  
დ. ერმაკოვის ფონდი © (სემ)

და მზეზე გასაშრობად აწყობდნენ გარეთ. ერთ ბალაგანის კუნძულში ტომარათი იდგა კავკავიდან ახლად მოტანილი კიტრი. ამ სავაჭრო ქოხის შესავლის კარების თავს ეწერა ფიცარზედ „სავაჭრო ალ. ყაზბეგისა“ რუსულად: „Торговля Алек. Казбека“ ვდეს ვინი“. 51)

ანდრია კობაძის ჩანაწერების კითხვისას სულ უფრო და უფრო გიკვირთ, როგორ დაუმახსოვრებია ამ მწყემს ბიჭს ბელტებისაგან აშენებული „ბალაგანას“ მთელი „ასორტიმენტი“ და თვითონაც რომ ვერ ხვდებოდა ისე, როგორი სამსახური გაუნია გენიალური „მედუქნის“ იმ გადარეულ თაყვანისმცემლებს, რომელთაც მთელი ეს „ბალაგანი“ უფრო აინტერესებთ (და, რაც მთავარია, უფრო



ქართული დუქანი. მლეთა  
დ. ერმაკოვის ფონდი ⑥ (სემ)

მოსწონთ!), ვიდრე ნებისმიერი უდიდესი და უმდიდრესი სავაჭრო კომპლექსი მსოფლიოში...

არანაკლები სიზუსტით აღწერს ეს დაკვირვებული მეცხვარე „სანდროს დუქნის“ მებატრონის გამო-

ჩენას და მის იერს: „...წელზედ, როგორც მეცხვარეს, დანა მება და დუქნის გარეთ, ველზედ კიტრებს თლა დავუწყე; ამ დროს ყაზბეგიდან მოვიდა თეთრცხენიანი ახალგაზრდა მხედარი, ტანწვრილი ვაჟკაცი, რომელსაც თეთრი ჩოხა ეცვა, თეთრძვალა მასრებიანი. ქეჩიზე შეეგდო თუშური ნაბდის ქუდი. ნოქარმა დანახვის უმალვე დაიძახა; – ოპ! სანდრო მოვიდაო. მაშინ მივხვდი, რომ ეს ის სანდრო იქნება, რომელზედაც ხალხი იძახდა; მიხეილის შვილი რუსეთით მოვიდა და ძალიან სწავლული არისო. [.....]

მე არ ვიცი მას შემდეგ რამდენი ხანი განაგრძო ალექსანდრე ყაზბეგმა ამ მიწურის ქოხში ვაჭრობა! არც ის ვუწყი, თუ რა ჰქმნა იმ სავაჭროთი, იზარალა თუ ისარგებლა, მხოლოდ, შემდეგში ამავე ხელობას განაგრძობდა თავის მამა-ბიძების სავაჭრო დუქანში სოფ. სტეფანწმინდაში და ვნახე, რომ კარგად მოწყობილი დუქანი ჰქონდა“.

ისიც მრავლისმეტყველია, როგორ „აგვირგვინებს“ უკვე სანდაზმული ანდრია კობაძე „სანდროს დუქანთან“ დაწყებულ მოგონებათა ციკლს: „ალექსანდრე ყაზბეგი იყო ამხანაგი და ნამგალა მთიელ მოხევეებისა და გუდამაყრულებისა; მას ხალხი კარგათა ჰყანდა გაცნობილი, იგი აკვირდებოდა მათ ზნე-ჩვეულებას, იწერავდა ხალხურ ლექსებსა, მას ვაჭრობა ჰქონდა ხალხთან, მან იცხოვრა და დრო გაატარა მთის ხალხთანა. მან თავის თავზედაც ის გამოსცადა, რაც ჭირი ენახა ჩვენს ხალხსა, მან დასწერა და შეთხზა ისე, როგორც და რაც თვალით ნახა“. 52)

**„ბიოგრაფიული ქრონიკიდან“: (1876-1878) – ამ წლებში ალ. ყაზბეგი ენევა „ფოდრიადჩიკობას“, საქართველოს სამხედრო გზაზე ტვირთის გადაზიდვა-გადმოზიდვას. ყაზბეგს უმეტესად სამხედრო უნივერსიტეტი აქვს ხელშეკრულებები გაფორმებული (ალ. ყაზბეგის ხელნაწერთა ფონდში,**

რომელიც დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, არსებობს მასალები, რომელებიც მის ამ საქმიანობას ადასტურებს, ხელშეკრულებები, ხელნერილები, ქვითრები, მოწმობები და სხვ.)

**„ფოდრიადჩიკობა“ (ანუ – მეიჯარეობა):** „მგონი 1877 თუ 1878 წელი იყო, ალექსანდრე გზით კონტრაგენტს „ხანშას“ რიზეს და უპრავლაუშჩ მამედ უსენ იბრაგიმოვს ნოტარიუსით შეეკრა: ჩემი მამულების თივას 1500 თუ 2000 ფუთს დაგიდგამო სადგურ\* ყაზბეგში. იმ დროს ომიანობა იყო, ყოველ სადგურზე „ხანშას“ 50-70 ცხენი ჰყავდათ და მრავალი ეკიპაჟები, სამხედრო გზაზე დიდი მოძრაობა იყო, თივა ბევრი იყო [.....]. სანდროს, როგორც გენერლის ვაჟს, ენდნენ და მისცეს წინდანინვე 800 მანეთი. სანდროს სადა ჰქონდა თივა?! ერთი ფუთი არ ებადა. იმ დროს კავკავში, სამოქალაქო ბალის გვერდზე, სასტუმრო „ლონდონი“ იყო. აქ იყრიდნენ თავს ოსის მემამულიე ნააფიცრალი ვოენები, აფიცრები და სხვა მოქეიფე ხალხი. ახმედ დუდაროვი, ყარუბეგ დუდაროვი, ტორჩინოვი, პრისტავი გლახა მამსუროვი და ჩვენი ალექსანდრე. მთელ ღამეებს კარტის თამაშში კლავდნენ. ალექსანდრემ კარტში წააგო ის 800 მანეთი. კონტრაგენტსტვონ უჩივლა ალექსანდრეს და მერე ისპოლნიტელნი ლისტი გამოიტანა. გაიგო ეს სანდროს დედამ. წაიშინა თავში და კავკავში ჩავიდა. მასხოვს, მდიდრულად იყო ჩაცმული, ძვირფასი ხავერდის პალტო ეცვა. მივიდა მამედ უსეინ იბრაგიმოვთან, მერე „ხანშასთან“ და სთხოვა ნანილ-ნანილად გადაეხდევინებინა ეს ფული.

გააგზავნეს ბოქაული სტეფანწმინდაში, გაყიდეს ცხვარი. თითო კარგი დედალი ცხვარი ორ მანეთად გაიყიდა. ცხვარი იმდენი არა ჸყავდა, რომ ვალი დაეფარა, გამოართვეს ძვირფასი ხალიჩები და სხვადასხვა ნივთები. სხვათა შორის, ყაზბეგის ბუფეტჩიკმა ფონკენშტეინმა იყიდა ხუთ თუმნად

შესანიშნავი სილამაზის ვერცხლის ბოკალები“ (იოსებ ბურდულის მოგონებიდან). 53)

**გიორგი მოზდოკელის მონათხრობა:** „ბოქაულის გამოჩენა რა შედეგს გამოილებდა, არაა ძნელი მისახვედრი. ალწერით კი, მიხეილ მოზდოკელმა აღწერა, რომელსაც ალექსანდრე ყაზბეგის სახელი ყურთ ჩაესმოდა ბავშვობის დროიდან. დუშეთელ მოზდოკელების ოჯახს რაღაც ნათესაური კავშირი ჰქონიათ ყაზბეგებთან და რამდენჯერმე შეხვედრიან კიდეც ხევის გამგებლის დუშეთში ვიზიტისას... ისე რომ, მიხეილ მოზდოკელის გულდამამდიმებელი მონათხრობის მოსმენა მოგვინევს: „ვალებმა ძირს დასცეს ერთ დროს განთქმული მდიდარი ოჯახი მიხეილ ყაზბეგისა. იგი საგვე ყოფილა უნიკალური ნივთებით. ბოლოს, ალექსანდრე წამოვიდა ყაზბეგიდან თბილისში და ხელი მიჰყო სცენას და ლიტერატურას. მის დედას ტვირთად დააწვა სახლკარის მოვლა და ვალების გადახდა. ჩავარდა საწყალი ელისაბედი გაჭირვებაში. ამ გარემოებით ისარგებლა მიხეილის ძმისშვილმა გიორგი ყაზბეგმა, რომელიც იმ დროს უკვე პოლკოვნიკის ჩინს ატარებდა. ის ასესხებდა ელისაბედს ფულს და საბოლოოდ იმ თანხების ანგარიშში შეიძინა ალექსანდრეს უძრავი ქონება, მიწები და სახლი.

ერთადერთი დიდი წყალობა გიორგი ყაზბეგის მხრივ იყო ის, რომ მან ნაყიდ სახლიდან არ დაითხოვა საცოდავი და უბედური ქვრივი, რომელმაც თავის ჭერ-ქვეშ დასრულა ტანჯული სიცოცხლე. არ მასხოვს, სწორედ რომელ წელს იყო ეს, ცნობილ რუსეთის არქეოლოგ ქალს, გრაფინი უვაროვას, მოსკოვიდან მომავალს საქართველოში სამხედრო გზით, უკითხავს მიხეილ ყაზბეგის ქვრივი. უვაროვა მოვითხრობს, რომ ელისაბედი უკვე მოხუცი, სრულიად გათეთრებული იმყოფებოდა თავის სახლში და თავის მოსამსახურეებთან ერთად

მატყულს ართავდა, როგორც ამას აკეთებდნენ ძე-ლად საპერნენის მეფის ცოლები. ყველა ეს ნათ-ქვამია რომელიღაც რუსულ უურნალში”. 54)

„ყაზბეგიანთ სასახლეში“ სიტუაცია ამკარად დაი-ძაბა: მამულების მეტი წილი გაყიდული; ფოსტას ხან სასამართლოდან გამოგზავნილი უწყებები მო-აქვს, ხან – მევალების წერილები და აქედან, ყვე-ლაზე უსიამოვნო, ჩერვლენოედანაა – სანდროს ოდინდელი კეთილისმყოფელის, მამუკა ჭავჭავა-ძისაგან – ვალად აღებულ 2000 მანეთს (ვერცხლით!) ითხოვს: „Сообщаю Вам, что мною написано письмо к Душетскому Мировому Судье кн. Илико Чавчавадзе, чтобы он предварил Вас скорей уплатить от которого жду ответа; вместе с тем я предупреждаю Вас, что через полторы недели поручаю своему брату взыскать с Вас долг с процентами и судебными издержками, со дня протексации векселя; последняго я никогда не предполагал делать; но когда Вы меня сами к тому вынудили [...] не надо забывать что 2000 руб. мне должны около 3-х лет, пора и честь знать!“. 55)

**ცნობისათვის:** მამუკა ერთ-ერთია იმ ჭავჭავაძეთა-გან, რომლებიც ალექსანდრემ თავისი მეგობრის, ლევან ჭავჭავაძის, საშუალებით გაიცნო. მაზრის თავადაზნაურობის წინამძღვრლის, უმდიდრესი მე-მამულის, ნიკოლოზ შატიხინის ოჯახში ჩასიძებული მამუკა და მიხეილ ჭავჭავაძენი მეუღლებითურთ განსაკუთრებული სითბოთი „მეურვეობდნენ“ ყაზ-ბეგს (დედამისაც ხომ უყვებოდა წერილში: „აქ ჭავჭავაძენი არიან ორნი, ძალიან მდიდრები, რუსი ქალები ჰყავთ ცოლებათ... რომელთაც ძალიან ვუყ-ვარვარ და ყველა საქმეში ხელს „მიმართავენ“-ო). აქვე დავუმატებ, რომ ცოტა ხანში „ჩერვლიონეს ჭავჭავაძეთა“ რიცხვი გასამდა, რადგან ახლა უკვე თავად ლევანმა შეირთო შატიხინების ოჯახის მესა-მე, უმცროსი ასული.

ლიზამ, თავატკიებული და გესლადქცეული „ბი-ცოლას“ შიმით, სტუმრობას უკლო; მოკლედ, „ქალ-ბატონო, სახლში სუჟინობაა!“ – როგორც ყაზ-ბეგების სახლიკაცი, იორდანე იმეორებდა ხოლმე...

**სანდრო,** თავის ოთახში ჩაკეტილი, ფანქარმო-მარჯვებული, ცდილობს გაიხსენოს რაში გაიხარჯა წინასაქორნინოდ ნასესხები, „ჭავჭავაძიანთ“ ორი ათასი მანეთი?! ვინაა ახლა მაგ თანხის დამბრუ-ნებელი?! ამ დროს – ცოლ-ქმრის მოტყუება ხომ არასოდეს უფიქრია – რამდენი სიკეთე ახსოვს მათგან... აი, ასეა – ჩერვლიონეში ჩასიძებისას, რაღაც ზღაპრულ მზითვსა და მომავალზე რომ გელაპარაკებიან, ის ნასესხები ორი ათასი უკვე გასტუმრებული გგონია...

ან იმ ძაუგის დაწყევლილ კაზინო „ლონდონში“ საიჯარო 800 მანეთის წაგება რა იყო?! რომელ ახალ-ბედა „კარტიოუნიკს“ მოუგია ვისტი იქაურ მრავალ-ნაცად, გაქნილ, პროფესიონალ მოთამაშებთან – დუდაროვი იქნებოდა ეს თუ ტორჩინოვი...

მერე იმ თავის, ერთსა და იმავ, მთავარ საფიქრალს უბრუნდება: რაა პირველმიზე იმისა, რომ მისი ჩერვლიონეში მოამაგე ცოლ-ქმარი განბილებუ-ლი დატოვა და ახლა სასამართლოში უჩივიან; რომ კიდევ ერთი სასამართლო ელის, რადგან თივის შეს-აძენად აგანსად აღებულ ფულს ვერ აბრუნებს; რომ რამდენიმე წელინადში ჯერ გააპარტახა და მერე კი გაანიავა მამისეული დანატოვარი?! რით აიხსნება ყოველივე ეს: მასზე გადმოსული „შთამომავლობითი სასჯელით“?! თავისივე არაპარაქტიკული ბუნებით?! ქართულ ხასიათში ესოდენ ამოუძირკვაცი დაუდევ-რობით?! თუ ყოველივეთი ერთად?!

**იგივე სიტუაცია ლიზა ყაზბეგის თვალით:** „სან-დრო, 1870 წ. ოქტომბრის გასულს დაბრუნდა სტეფანწმინდას, სადაც დახვდა ბებერი დედა და შერყეული ოჯახი. თვითონ ავათმყოფი და ძალზე

გამხმარი. რაღა თქმა უნდა, ძალუა კეკეს ჩაშხამდა წუთი სოფელი: გაუქრა წარმოდგენილი ტკბილი იმედები და საზარელმა აწმყომ, ცხოვრების სინამდვილემ საწყალს მოხუცს შეუხუთა სული... ძალუა კეკეს შერყეული ოჯახი თანდათან ენგრეოდა, საქონელს უყიდდნენ, (ქმარი რომ მოუკვდა, ვალი დარჩა) მამულებს უუხუთავდნენ, ერთი სიტყვით, სანდროს მოვალეები სხვა და სხვა ნაირათ ავიწროვებდნენ... გაჭირვებაში იყო საწყალი!...

სანდრო რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც დაჰყო სამი წელიწადი (წავიდა 1867 დაბრუნდა 1870 წ.) – ავათმყოფობდა და თუმცა სტეფანწმინდის მცხოვრებლათ ითვლებოდა, მაგრამ თბილისში და კავკავში ხშირად დაირწებოდა თავისი შინაური საქმეების მოსაგვარებლათ. შინ სულ მუდამ ფათურობდა: პოდრადებს იღებდა, ცხენებს და ურმებს ამუშავებდა და სხ. და სხ. ამ გვარ საქმესა ჰკიდებდა ხელსა მაგრამ... ვერა ეშველა რა, იმის საქმეები მუდამ დაუსრულებელი და უნაყოფო რჩებოდნენ: ვერ გამაგრდა მუხლში, ვერ მოიკიდა ნიადაგი.

სწორედ ამ ხანებში სანდროს (1871-1879) მდგომარეობა ისეთი საძაგელი და დომხალივით არეული იყო, რომ არამც თუ გარეშე პირი, უეჭველია, თითონაც წინასწარ ვერ იტყოდა, თუ ეს აუარებელი აწენილ-დაწენილი საქმეები როდის და როგორ დამთავრდებოდა?...

ჩვენს საყვარელ სანდროს 8-9 წელიწადი სხვა და სხვა ტომის, ზნეობის და ხელობის ჩარჩ-პოდრაჩიკებთან ჰქონდა საქმე დაჭრილი და რაღა ჩიჩინი უნდა, ერთმანეთი უნდა ხერხივით გაეტან-გამოეტანათ...

რადგან ამისთანა უსიამოვნო დროს აღწერას აღარ მინდა დაუბრუნდე ამისთვის აქვე აღვნუსხავ თუ რა საქმეებში იყო და მდგომარეობაში რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ იმ დღემდე, როდესაც მწერლათ გამოგვეცხადა.

...როდესაც ჩვენს მხარეს ე. ი. სახელმწიფო გზა-ტკეცილზე მომატებული მოძრაობა შეიქნა და მუშაობა და ფულის შოვნა შესაძლებელი გახდა, მაშინ, ალბათ, სანდროსაც იმედი მიეცა თავის მდგომარეობის გაუმჯობესებისა. როგორც საქმის ქალალ-დებიდანა სჩანს, სანდროს ამისი დიდი სურვილი ჰქონდა: თავისებურად დაფათურდა, ურმები და ცხენები ბლომათ გააწყო, რამდენიმე ფოდრათი აიღო, მაგრამ თავის ჩვეულებას არ უმტყუვნა: ვერც ერთი საქმე ვერ შეასრულა, მოგების მაგივრად პასუხის-გებაში ჩავარდა!“<sup>56</sup>



დარიალის ხეობა – „გველეთის ხიდი“  
დ. ერმაკოვის ფონდი © (სემ)

ბუნებრივია, რომ მთელ ამ ისტორიას ჩვენც ვუბრუნდებით და თუ ძალიან შევყევით, რაღაც „ემპათიური პათოსით“ შეპყრობილნი, „ყაზბეგისული დილემის“ განსჯისას ისეთი სიმძაფრით ვუპირისპირებთ ერთმანეთს არგუმენტებსა და კონტრარგუმენტებს, თითქოს ეს 150 წლის წინანდელი დრამა კი არ არის, არამედ ახლა, ჩვენ თვალწინ, ჩვენთვის უახლოეს და უსაყვარლეს ადამიანს თავს დამტყდარი უბედურებაა, რომლის აცდენა არც შეგვეძლო და ვერც შევძელით, მაგრამ, რატომლაც, როგორც ხდება ხოლმე, მაინც ვიდანაშაულებთ თავს...

და სწორედ მაშინ, ეს სულიერი დისკომფორტი თავის პივს რომ მიაღწევს, უეცრად, თავისით, რაღაც ელემენტარული ჭეშმარიტება „გამოგინათდებათ“: მოიცა, რას დავტირით – გვინდა კი „წარმატებული მოიჯარადე ალექსანდრე ყაზბეგი“?!

**ვახტანგ კოტეტიშვილმა** ამ „ბიოგრაფიულ პარადოქსს“ ბრწყინვალე მეტაფორა გამოუძებნა: „მაშასადამე, ალ. ყაზბეგი 1879 წელს სტოკებს ხევს, იქაურ საქმიანობას, და ტფილისში გადმოდის, ახალ, სულ სხვა ცხოვრების დასაწყებად. პრაქტიკულ ცხოვრების გზაზე ალ. ყაზბეგი სასტიკად დამარცხდა. იდეალისტურმა გატაცებამ, რეალურ „კეთილდღეობის“ საფუძველი გამოაცალა, და მამის სავსე ოჯახი ვალებში დაილია. აბა, მოუსმინეთ გიგო ყარანგოზიშვილს, რომელიც განგაშით სავსე წერილს სწერს ალექსანდრეს 1877 წ.: „ცხვარი გაგიყიდეს ნახევარ ფასად, და შენი უძრავი მამული აწერილი არის. რატომ არ მოხედავ ძმაო, და შენს თავს არ უშველი? სწორე გითხრა, ძალიან მეწყინა მეცა და ყოველს შენს მოკეთეს და მეგობარსაც ეს ამბავი. თუ რომ შენ არ შეგიძლიან ანარმოვო, და როგორც იყოს გაათაო ეს საქმე, ერთი რწმუნების ქალალდი მაინც გამომიგზავნე!-ო“.



ვახტანგ კოტეტიშვილი  
© (ლმ)


მაგრამ ალ. ყაზბეგს რომ ამისთვის ყურადღება მიექცია, მაშინ ხომ მთელი მისი ბიოგრაფია ასეთი აღარ იქნებოდა. ეს დაუდევრობა არის, რომ დროშა-სავით წინ უძლვის მის პოეტურ ცხოვრებას, და კერა ჩამქრალი, ვალებში გაყიდული, ქართულ სცენაზე თავ-დავითყებით და იმვიათი ექსტაზში უვლიდა „ჩეჩინურს“ – ხანჯლებით. მის არქივში კი დაცულია ცნობა, რომ 1880 წელს, ივნისის 6, ყაზბეგში მივიდა სასამართლოს ბოქაული, ალექსანდრე ყაზბეგის მამულების ჩასაბარებლად.

აიგავა სანდროს ოჯახი, რომლის მოხუცებული დედა, მოკუნტული ტახტზე იჯდა, და თავის დახავ-სებულ ჩანგს უკანასკნელად აუღერებდა“. 57)

**თბილისისაკენ:** ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ 1879 წლის გაზაფხულის ერთ სალამოს ალექ-სანდრემ გადაწყვიტა, რომ, გადარჩენა თუ უნ-დოდა, სტეფანწმინდას უნდა გასცლოდა და თან – დაუყოვნებლივ! დაინყო კიდეც ჩემოდნის ჩალა-გება, რათა მეორე დღეს თბილისისაკენ მიმავალ დილიუანსა და მგზავრებოდა (გავიდა ის დრო, სამ-სამი ეტლი რომ ელოდებოდა სახლის კარებთან!) და სამუდამოდ ამ ქალაქში დამკვიდრებულიყო. თბილისში იქამდეც ჩადიოდა, ცხადია; უყვარდა ახალ ნაცნობებთან თავმოწონება – კეთილშობილი იერით, თეთრი ჩოხით... იმ „მოსკოვური ჩამოდვენ-თილობის“ ახლა უკვე აღარაფერი ემზინება; მისივე მთამ მოასულიერა და დაუბრუნა ჩვეული ხილი. გარეგნულად ის „თბილისის დასაპყრობად“ მზად იყო.

აი, რამდენად მზად იყო თბილისი სანდრო ყაზ-ბეგის „გულში ჩასაკრავად“, კიდევ საკითხავია...

ჯერ კიდევ 14 წლის ყმაწვილს ილიასათვის უჩ-ვენებია თავისი პირველი პიესა – „ალმზრდელნი“. თვითონ რომ ვერ მივიდოდა ილიასთან, ცხადია; მშობლებს რა რეაქცია ჰქონდათ ამ „დრამატურგიულ



ალექსანდრე მირველოვი – გასეირნება თბილისში  
მე-19 საუკუნის ბოლო

დებიუტზე, ხომ ვნახეთ. ახლა ვიმარჩიელოთ: თავ-მოყვარეობას პატივმოყვარეობამ სძლია და დიდი მნიერლისაგან „გზის დალოცვას“ ელოდნენ, თუ რო-მელიმე ნათესავმა გამოიჩინა ინიციატივა?!

თუ ინიციატორები მაინც მშობლები იყვნენ, ნე-ტაც სცოდნოდათ ამ თავგადაკლულ აღმზრდელთ, რა დათვურ სამსახურს უნევდნენ მართლაც ზე-გარდმო ნიჭით ცხებულ შვილს თავიანთი „პრო-ტექტორობით“: ჯერ იყო და ივანე კერესელიძეს (ერთხანს ქართულში რომ ამეცადინებდა სანდროს) „ცისკარში“ (1859 №11) დააბეჭდინეს ბიძამისის

სანდროსადმი მიძღვნილი ყოვლად უნიჭო ლექსი და ორი წლის შემდეგ – ასევე გაუნაფავი ლექსი თავად სანდროსი – „ნანა მიხეილ გიორგის ძე ყაზბეგზე“ („ცისკარი“, 1861, №12).

ოჯახური პატივმოყვარეობა დაკმაყოფილებულია, ეფექტი, როგორც ყოველთვის – ჩანაფიქრის საპირისპირო! იმდროინდელი პატარა ტფილისას კიდევ უფრო მცირერიცხოვანი ქართველი მკითხველი ხომ ყველაფერს იმახსოვრებს; ყველა ახალ სახელს თავისი პირველი წარმატება-წარუმატებლობის ელფერი ახლავს და, საფიქრებელია, „ჩვენი მწერლობის ალაყაფის კარების გაღებაში“ ალექსანდრე ყაზბეგს არც ეს უწიფარი დებიუტი დახმარებია და არც ილიასთან მიტანილი „ალმზრდელნი“. პირიქით თუ იქნებოდა...

**„პიოგრაფიული ქრონიკიდან“: 1879** – „თბილისში ჩამოსული ახალგაზრდა ყაზბეგი (იგი ამ დროს 30 წელს იყო გადაცილებული) პირველ ხანებში დაბინავდა ჩუღურეთის ერთ-ერთ მეორე-ხარისხოვან სასტუმროში.

**სტამბა:** აბა, რომელ დამწყებ მწერალს არ უოცნებია, რომ საკუთარი გამომცემლობა ჰქონოდა?! გამონაკლისი არც ალექსანდრე ყაზბეგი გახლდათ. ეს სურვილი მას ზაქარია ჭიჭინაძისათვის გაუნდვია. ზაქარიას თქმით, მას ალექსანდრესათვის გაუცნია მესტამბე არსენ კალანდაძე, რომელიც დაინტერესებულა თანამფლობელობის პრინციპზე დაარსებული სტამბის იდეით. პირველი ნაბიჯები გადაუდგამთ კიდეც: სათანადო ნებართვაც მიუღიათ (არქივში ინახება თბილისის ვიცე-გუბერნატორის 1879 წ. გაცემული ნებართვა „მიხეილის ხიდთან სტამბის გახსნის“ თაობაზე).

„ყაზბეგმა 300 მ. ასოები შეიძინაო, – იხსენებდა ზაქარია ჭიჭინაძე, – მაგრამ, რადგანაც ხვედრი ფული ვერ იშოვნა“, ვერც ეს პრაქტიკული ჩანაფიქრი განხორციელდა...

თბილისი. მთავარმართებლის სასახლე და „სობორო“



**თეატრი – საბედისწერო ლტოლვა:** თბილისში იყო ერთი ადგილი, რომელიც ამ გამოუსწორებელ მეოცნებეს ანდამატივით იზიდავდა და ეს თეატრი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მთელი მისი „რომანი თეატრთან“ ნებისმიერ სხვას გამოაფხიზებდა, ყაზბეგი მთვარეულივით მიუყვებოდა ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ გეზს და არ იყო ქვეყნად ძალა, რომელსაც შეეძლო, თეატრისადმი მისი საბედისწერო ლტოლვა გაენელებინა...



თბილისი. სათავადაზნაურო ბანკის თეატრი © (სკმდეს)

ყაზბეგის თანამედროვეთა მოგონებებიდან გვახსოვს, როგორ ახალისებს პროვინციული ყოფის ერთფეროვნებას სანდროს „მონოსპექტაკულები“, როგორ უყვარს ეს მომენტალური გარდასახვანი: უბირი მწყემსიდან ან მედუქნიდან – ბრწყინვალე არისატოკრატამდე და როგორ ტკბება მოხდენილი ეფექტით. რაღაცას მსგავსს უთუოდ თეატრის არენიდანაც მოელოდა: დაუკებელი წარმოსახვის პატრონს, ეტყობა, ნეტარების წუთებს ჰეგრიდა კოლოსალური ემოციური მუხტის სცენაზე გახარჯვა.

ამიტომ თბილისში ახალჩამოსული სანდრო ყაზბეგისათვის (ეს 1879 წელია), თეატრი ნამდვილი ხსნა იყო – როგორც დამწყები დრამატურგისათვის; როგორც არტისტული ნატურისათვის, რომელიც ფარვანასავით იღტვის სცენის განათებული წრისაკენ; როგორც უცხო სოციუმში მოხვედრილი ადამიანისათვის, რომელსაც ადაპტაციის პროცესში რჩევა და დახმარება სჭირდება.

აქ არის ერთადერთი „მაგრამ“ – ყურადღების ცენტრში აღმოჩენილი ახალბედა ვინმეს პოტენციური კონკურენტი არ უნდა იყოს. ლვთის მადლით, ეს პრობლემა მსახიობ „მოხევის“ (ყაზბეგის სასცენო ფსევდონიმი) პირველივე სპექტაკლის შემდეგ მოიხსნა.

დაინტე „თბილისის დრამატული დასის“ ყოველდღიურობა – თავისი რეპეტიციებით, პრემიერებით, ბენეფისებით, გასტროლებით, პატარ-პატარა ინტრიგებით („აუცილებელი კომპონენტი“ – თუკი ეს მართლა თეატრია!) და ალექსანდრე ყაზბეგმა უკვე იგემა ის მაცობრებელი „კულისების მტვერი“, რომლის გარეშეც უკვე ვეღარც კი წარმოედგინა ცხოვრება...

მალემრწმენ მოხევეს აბედნიერებდა მაყურებელთა ტამი (მეტწილად დივერდისმენტებში ვირტუოზულად შესრულებული „ლეკურისათვის“), მაგრამ, მეტწილად, იმავ მაყურებელთა და განსაკუთრებით კი, რეცენზენტთა ცინიზმი უბრალოდ კლავდა! თუმცა, განებივრებული ბავშვის სიჯიუტით, იგი ისე ჩააფრინდა „საყვარელ სცენას“, რომ თავისი სამსახიობიო კარიერის დასასრულს დაემსგავსა რომაული კოლიზეუმის მაყურებელთაგან ათვალწენებულ, დასასჯელად განწირულ გლადიატორს...

იოსებ გრიშაშვილი: „ა. ყაზბეგი 1880 წლამდე უჩინარი ადამიანი იყო. იგი მაშინ გამოჩნდა ჩვენს სა-

ზოგადო ასპარეზზე, როცა ერთი მუჭა მონინავე ქართველი ინტელიგენცია მუდმივი ქართული თეატრის საფუძვლის ჩაყრაზე ოცნებობდა. ეს მოხდა 1879 წელს. მუდმივი დასის სეზონი გაიხსნა შემოდგომაზე ბარბარე ჯორჯაძის პიესით „რას ვეძებდი, რა ვიპოვე!“, ხოლო ალექსანდე ყაზბეგს 1880 წლის დასასწყისში ვეძედავთ ქართულ სცენაზე“. 58)

**„დრამატული ისტორიები“.** ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიის ამ ეტაპზე ძეველი თეატრალი, **გიორგი თუმანიშვილი** ჰყვებოდა: „ყაზბეგს მე გავეცანი 1879 წელს... ამ წელს საქართველოს ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ლირსშესანიშნავ მოვლენას: ჩამოყალიბდა მუდმივი ქართული დრამატული დასი... რეპერტუარი კი შეიძლება ითქვას სრულებით არ იყო. ერისთავისა და ანტონოვის პიესებმა ყველას საკმაოდ მოაბეზრა თავი, ახლები კი თითზე ჩამოსათვლელი იყო... სწორედ ამ მომენტში დ. გ. ერისთავმა, როგორც თვითონ ირწმუნებოდა, გამონახა პროვიდენციალური არსება, რომელსაც შეეძლებოდა ქართული თეატრის გადარჩენა. ამასთან მან დაასახელა უცნობი ალ. ყაზბეგი. ყაზბეგს, როგორც გადმოსცემდა დავით ერისთავი, ჰქონდა 25-მდე თარგმნილი პიესა ქართულ ენაზე. გავიგერა ამის შესახებ, გაშმაგებით დავუწყე ძებნა მოგზავნილ კეთილმომქმედს. ბევრი ძებნის შემდეგ კეთილმომქმედი ნახული იქნა რომელიღაც ნომრებში ჩუღურეთში... ეს იყო გამხდარი და ფერმიხდილი ახალგაზრდა, მაგრამ მეტად სიმპათიური ლამაზი ფიზიონომითაც კი. მან განაცხადა, რომ მართლაც ბევრი თარგმნა, არც კი ახსოვს სახელდობრ რამდენი. მაგრამ მას ყველაფერი უზესრიგოთ აქვს. ამასთან მან გამოთქვა თავისი მზადყოფნა გასამრჯელოს გარეშე ემსახუროს ქართულს თეატრს, რითაც კი შეუძლია და ამხანაგობის სრულ განკარგულებაში გადასცა ხუთმოქმედებიანი დრამა „ცხოვრების მე-

გობარი“... ვთვლიდი მას შინაარსის მიხედვით სრულიად შესაბამისად ქართული ცხოვრებისათვის და აღტაცებული ვიყავი, როდესაც მივიღე დიდი რვეული, სუფთად დაწერილი თვით ყაზბეგის მიერ. მე შევპირდი მიმეცა ის გადასაწერად და დამებრუნებინა ორი-სამი დღის შემდეგ. ქართულმა რეპერტუარმა მისგან [ყაზბეგისაგან] სერიოზული დახმარება მიიღო. ის კიდეც თარგმნიდა, კიდეც გადმოაკეთებდა და კიდეც წერდა ორიგინალურ პიესებს“. 59)



გიორგი თუმანიშვილი  
© (ლმ)

**ალექსანდრე ყაზბეგი** ამ ისტორიას გიორგი თუმანიშვილისაგან ერთობ განსხვავებული ტონაღლობით მოგვითხრობს: „ლაპარაკი იყო რეპერტუარის უქონლობის გამო. ესევე იყო მიზეზი, რომ თითო-ოროლა სპექტაკულებიც დიდი გაჭირვებით იმართებოდა, რადგანაც ერისთავისა და ანტონოვის თხზულებათა თავი საკმაოდ მოეძულებინა საზოგადოებისათვის. მე წავედი შინა და მოუდექ პიესების წერას, თარგმნას და გადმოკეთებას. მოკლე ხანში შევადგინე ოცდაერთი პიესა და თბილისისაკენ გამოვწიე, დარწმუნებულმა, რომ ქართულ თეატრზედ მზრუნველი საზოგადოება სიამოვნებით მიიღებს ჩემს შრომას.

წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც მადლობის მაგიერ ცხვირნინ ფრუტუნი დამიწექს და მასხრად ამიგდეს, როდესაც ერთს კრებაზედ დრამატულს საზოგადოების მმართველობას შევატყობინე ჩემის შრომის შესახებ. „რამდენი პიესა? როგორ, რა სთქვი?!” განუწვეტლივ მესმოდა აქეთიქით მსხდომებისაგან და მას თან დაჰყევებოდა უზრუნველი ხარხარი“. 60

დიახ, აქ უკვე საცოდავ მშობლებს ველარაფერს გადააბრალებდი – სანდრო, თავისივე ინიციატივით, სავსე ხურჯინით მიადგა „დრამატულ კომიტეტს“ და სტეფანწმინდიდან წამოლებული „ნობათი“ – თერთმეტი „დრამაკომედია“ (ზაქარია ჭიჭინაძის ნეოლოგიზმია!) გადმოულაგა მაგიდაზე: „მათ განიხილეს პიესები, მაგრამ სასცენოდ არც ერთი არ მოიხინეს და ხელნაწერები უკან დაუბრუნეს, – იგონებდა ზაქარია, – ალ. ყაზბეგს დიდად ეწყინა, ამბობდა: აქ თუ მტრობა არ არის, ნუთუ თერთმეტ პიესაში ერთი პიესა მაინც არ აღმოჩნდა ღირებული: ეს მე არ მჯერაო!“

წარმოდგენაც კი გიჭირს ამ სურათის: ამპარტავანი ახალგაზრდა მოხევე, დაზაფრული, როგორ დგას

მაგიდასთან და დასტა-დასტად როგორ ალაგებს იმ თავის ხურჯინში დაწუნებულ პიესებს...

ქვეყნად ვერავინ და ვერაფერი დაარწმუნებდა ალექსანდრე ყაზბეგს, რომ მისი ავტორიტეტული შემფასებელნი ტენდენციურნი არ იყვნენ; ზუსტად ისევე, როგორც იმათ ვერ გადაარწმუნებდი, რომ კიდევ ერთ ახირებულ გრაფომანს გადააწყდნენ.

განამნარებ ალექსანდრე ყაზბეგს კი ეს სიტყვები აღმოხდა: „დავდიოდი ჩემს დედაქალაქში, ჩემს მოძმეთ შორის, ჩემს საყვარელთ შორის, რომელთაც ელტვოდა, ისე განუსაზღვრელად ეახლოებოდა მთელი ჩემი არსება და ამ ყოველს ჩემთა შორის დავდიოდი მარტო, განცალკევებული, როგორც გზადა-კარგული უდაბნოსა შინა!“ 61

ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამგვარ აღსარებაზე ცრემლი არ მოადგეს.

**ცრემლისმომგვრელი ისტორია:** საბედნიეროდ, მაინც გამოიჩნდა ერთი ლვთისნიერი არსება, რომელსაც გული აუჩუპა ამ დიდი, გაბუტული ბავშვის ყურებამ. რალა თქმა უნდა, ქალი იყო – **მაკო საფაროვა-აბაშიძისა:** „გარეგნული შეხედულება ისეთი ჰქონდა სანდროს, რომ სილამაზით იმასთან ჩვენს დასში ვერავინ მოვიდოდა, – იგონებდა მაკო საფაროვა, – ტანადი, დიდრონი, მომცინარე, უუ-უუნა თვალები, მშვენიერი ტუჩ-ქბილი, ჩაცმული ხომ ისე იყო, რომ ჩვენს ღარიბ სცენას თავის დღეში არ ჰქონდია ისეთი მორთული არტისტი თვით წარმოდგენის დროსაც. ამასთანავე წრეს გადასული ზრდილობიანი იყო. აი, ასეთი იყო გარეგნულადა ახალგაზრდა სანდრო, როდესაც ერთხელ ჩემი ავადმყოფობის დროს ჩემმა ქმარმა, ვასო აბაშიძემ შემოიყვანა ჩემთან სანოლ ოთახში და თან დაუმატა: – ეს არის სანდრო ყაზბეგი, რომელსაც ჩვენთან ერთად უნდა მუშაობა ქართულ თეატრში და, აბა, შენ იცი, როგორ შეუწყობ ხელსო... მე ცოტა არ



ვასო აბაშიძე  
© ლმ

იყოს ავიმრიზე, რომ ლო-  
გინში მწოლარეს თავს  
დამაყენა ასეთი ფრანტი,  
მაგრამ შემდეგ, როცა შინა-  
ურულად გავიცანი, დილით  
საღამომდე ჩვენსა იყო  
ხოლმე, მიზიდავდა აუარე-  
ბელ ხილს და ყოველის  
ლონით ცდილობდა ჩქარა  
მოვლონიერებულიყავ, რად-  
განაც უნდოდა ჩემთვის წა-  
ეკითხა თავისი პიესა, არ  
მახსოვს „ალმზრდელები“  
თუ „თუ ცხოვრების თანა-  
მოგზაური“, 62) ამ ორში ერ-  
თი. — როდესაც წამიკითხა,  
არ ვიცი პიესის შინაარსშა  
თუ ჩემი ორგანიზმის სი-  
სუსტემ, ისე იმოქმედა ჩემ-  
ზე, რომ ისტერიკა მომივიდა. სანდრო წამოხტა  
ალტაცებული, ცრემლები გადმოსცვივდა, თან ტი-  
როდა და თან იძახოდა: — ლმერთო ჩემო, აი როდის  
ვიგრძენ მე პირველი ბედნიერება, ჩემმა პიესამ ტი-  
რილი გამოიწვიაო“. 63)

მაკო საფაროვა მარტო ამ ერთი გულსაკლავი მი-  
ზანსცენისათვის სამუდამოდ ეყვარებოდათ ალექ-  
სანდრე ყაზბეგის თაყვანისმცემლებს; ეყვარებოდათ  
ქალური გუმანის გამო, რომელმაც უკარნახა, რომ  
ამ მოკრძალებულ, თეატრალთაგან განაწყენებულ,  
ახალგაზრდა კაცს, მომხიბლავს, მაგრამ რაღაც  
ტრაგიკული ნაჭდევით დათრგუნულს, სწორედ იმ  
წამს სჭირდებოდა თანაგრძნობა და გამხნევება,  
მთლად რომ არ დაეკარგა რწმენა — თავის თავისაც  
და ზოგადად — ადამიანებისაც; პიესა როგორი იყო და  
რა ერქვა — ამას უკვე აღარც ჰქონდა მნიშვნელობა.  
ცრემლისმომგვრელი კი იყო ეს ყველაფერი...



მაკო საფაროვა-აბაშიძისა  
© ლმ

### **ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1880 წ. მაისის 13**

- თბილისის საზაფხულო თეატრის შენობაში იმართება მაკო საფაროვას ბენეფისი. ქართული დრამატიული დასი პირველად წარმოადგენს ა. მოჩხუბარიძის ოთხმოქმედებიან დრამას „ერთი უბედურთაგანი“.

„ერთი უბედურთაგანი“: ახლა მოვუსმინოთ, როგორ იხსენებს მართლაც რომ ერთი უბედურთაგანი იმ საღამოს და ოთხმოქმედებიან დრამას, რომლის „სცენისშემდგომი გაგრძელება“ სულ უფრო და უფრო ემსგავსება ტრაგედიას: „...პიესის გათავების შემდეგ საზოგადოებამ კიდევ რამდენჯერმე გამომიწვია ტაშის ცემით. გამომიწვია და ამით გათავდა ჩემი სიამოვნება, რადგან ამ გვარის მიღებით ჩემი მონინაალმდეგენი კიდევ უფრო გააპრაზა და განაზრახა ლიტერატურაში, გაზეთების საშუალობით, გამოელაშქრათ ჩემზედ. მე ჯერ კიდევ კულისებს უკან ვიდევ და ანგარიში ვერ მიმეცა ჩემის თავისთვის, როდესაც ერთბაშად გამოვფხიზლდი სცენის მოსამსახურების ბრახაბრუნვები... მარტოკა, სრულიად ობლად, დარჩენილი ვიდექი მე... გულს რაღაცამ მოუჭირა, ვიგრძენ სიმარტოვე და ამონხვრასთან ერთად გავწიე შინისკენ“. 64) როგორ ჰეგავს ყაზბეგის ეს შინდაბრუნება საიუბილეო საღამოს დამთავრების შემდეგ (ოპერის თეატრში, 1958 წლის 29 დეკემბერს) ელბაქიძის დალმართზე სახლისაკენ ეულად მიმავალ, მხრებჩამოყრილ გალაკტიონს... როგორ ჰეგავს ერთმანეთს ეს ორი უცნაური, მარტოსული და იჭვნეული პოეტი. რა გასაკვირია, რომ სწორედგალაკტიონთან ამოვიკითხავთ ყაზბეგის სულიერი სამყაროს იშვიათად ფაქიზ ჩანახატს: „არცერთს მის თანამედროვეთაგანს არ განუცდია ის შემაშფოთებელი სიცოცხლის დრამა, რომელიც წილად ხვდა ალექსანდრე ყაზბეგს, ნახევრად შეშ-

ლილს, ნახევრად წმინდანს. არავის უტარებია ისე, როგორც მას, ეკლის გვირგვინი, რომლის წვეტები ჩხვლეტენ მის გაფითრებულს, მაღალ, გონიერ შუბლს“. 65)

ალბათ არსად ისე მწარედ და მტკიცნეულად არ უგრძნია ყაზბეგს გალაკტიონის ნახსენები „ეკლის გვირგვინის წვეტების“ ჩხვლეტა, როგორ იმ „საბედისწერო სატრიფოსაგან“, თეატრი რომ ერქვა.

საზაფხულო თეატრის „დრამებს“ დავუბრუნდეთ: 13 მაისს რომ ინინასნარმეტყველა ყაზბეგმა თეატრალური რეცენზიენტების „გამოლაშქრება“, 16-ში აუხდა:

**ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1880 წ. მაისის 16 – გაზეთი „დროება“ (№ 103) ბეჭდავსმიმოხილვას – „საფაროვას ქალის ბენეფისი“, სადაც „მიმოხილვის“ ავტორი წერს: „...ესრედ წოდებული დრამა მოჩხუბარიძისა, ესრედ წოდებული-მეთქი, რადგან ნამდვილად მოჩხუბარიძის პიესაში არავითარი დრამა არ მოიპოვება. თუ იყო რაიმე დრამატიული ნინოს ცხოვრებაში, ავტორმა დამალა ანტრაქტებში“. და იქვე რეცენზიენტი დასძენს: „აქტიორებმა როლები კარგად იცოდნენ უფ. მოხევის გარდა“.**

**1880 წ. ივლისის 2 – გაზ. „დროება“ (№ 139) „დამსწრის ხელმოწერით ბეჭდავს რეცენზიას 29 ივნისს არწრუნის თეტრში დადგმულ ა. ყაზბეგის ნათარგმნ ვოდევილზე – „ორი ქორწილი ერთად“.**

რეცენზიენტი სპექტაკლის გარჩევისას იწუნებს პიესის ენას და შენიშნავს, რომ იგი დანერილია ქართული სიტყვებით და რუსული ფრაზებით... და ამის დასამტკიცებლად მოყავს შესაფერისი ადგილები.

**1880 ნ. ივლისის 3 – „დამსწრის“ რეცენზიით წონასწორობადაკარგული ა. ყაზბეგი „დროების“ რედაქციაში საპასუხო წერილს აგზავნის, რომელშიც შეურაცხმულფელი ეპითეტებით ამკობს რეცენზენტს. წერილს ამთავრებს ასე: „თქვენ ან ცილისნამებით გინდათ დაამციროთ ჩემი შრომა, ან და მოხევის ხანჯლების ტრიალს და მისი თვალების ბრიალს უხუმროდ შეუშინებიხართ და თქვენ თოთონაც აღარ გაგეგებათ რას წერთ“, და იქვე იშველიერს ი. ჭავჭავაძის სიტყვებს:**

„გვიან თუ მაღვ,  
დღესა თუ ხვალე,  
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,  
მაგრამ კი თქვენი  
მრუდე საქმენი  
ისევ და ისევ მრუდედ დარჩება“.

**1880 ნ. ივლისის 6 – გაზ. „დროება“ (№ 143) აქვეყნებს ა. ყაზბეგის (მოჩხუბარიძის ხელმოწერით) საპასუხო წერილს – „პ. რედაქტორო“ და ურთავს შემდეგ შენიშვნას: „ვბეჭდავთ ამ პილპილმოყრილ წერილს მოჩხუბარიძისას იმის გამო, რომ ქართულად მხოლოდ ერთი გაზეთი გვაქვს და არ გვინდა რომ მიფერება დაგვნამოს ვინმემ“.**

„როგორც ეტყობა მოჩხუბარიძეს თავისი ფსევდონიმის თვისება იმიტომ გამოუჩენია, რომ ენა დაუწუნეს. ჩვენ მოვთხოვეთ მოჩხუბარიძეს მისი პიესა. გვინდოდა დოკუმენტით დაგვემტკიცებინა მისი ტყუილი გაცხარება და დაგვერწმუნებინა, რომ ძალიან შეგვეცოდა მოჩხუბარიძე... თორებ უფრო მძიმე შეცდომას უჩვენებდით მის პიესაში, ვიდრე ჩვენს რეცენზიაში იყო ნათქვამი. მოჩხუბარიძე არ მოგვცა. ამ ერთის „დოკუმენტის“ უქონლების გამო მეორეს მივმართეთ, აი, ამ წერილს: ხელმეორედ

გადავიკითხეთ და ენის გამალაზათიანებელს ალაგებს ხაზი გავუსვით. გირჩევთ თქვენც გადაიკითხოთ დროის გასატარებლად“.

ესეც „მთარგმნელობითი დებიუტი“! ორიგინალურ პიესას რაც შეეხება, თეატრალური კრიტიკის შემოტკევებით დაბნეულმა ავტორმა „ერთი უბედურთაგანი“ ხუთჯერ გადააკეთა და, საბოლოოდ, 1881 წლის 1 თებერვალს დრამა წარმოადგინა უკვე როგორც ორმოქმედებიანი კომედია. ამ დადგმას „დროება“ (1881 წ. № 25) კიდევ უფრო სარკასტული რეცენზიით გამოეხმაურა, რასაც წყობიდან გამოსული ყაზბეგის გალიზიანებული პასუხი მოჰყვა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ასეთი „ნაცნობობის“ შემდეგ, სწორედ „დროება“ შეიფარებდა ამ აძაგრულ მოხევეს, მაგრამ სწორედ ასე მოხდა.

**ალექსანდე ყაზბეგი „დროებაში“. სოსიკო მელიქიშვილის თვალით:** გაზეთ „დროების“ თანამშრომელი სოსიკო მელიქიშვილი (ამასთანავე, რედაქტორის, სერგეი მესხის ცოლის ძმაც გახლდათ) იგონებდა: „მე ძალიან დაახლოებული ვიყავი და მეგობრულად ვიცნობდი სანდრო ყაზბეგს როგორც ახალგაზრდობაში, ისე უკანასკნელ დროს. 1880 წლებში სანდრო ყაზბეგი იდგა პლეხანოვის ქუჩაზე, სომხების ეკლესიის გვერდით, ზარაფიშვილის სახლებში, სადაც საცხოვრებელი ნომრები იყო გამართული. აქ სანდროს ერთი ნომერი ეჭირა. მე და ასიკო ცაგარელი, ჩვენი დრამატურგი, თითქმის ყოველდღე დავდიოთ სანდროსთან. სანდრო გვი-



ავქსენტი ცაგარელი  
© ლმ

კითხავდა თავის ლექსებს. ასიკო უქებდა, მე კი ვუ-ნუნებდი, არ უვარებოდა ლექსი, ხორცლიანი იყო, არ იყო ლექსად შეკრული, არც რითმი, არც აზრი. გზაში ვეტყოფი ასიკოს: „ბიჭო, არა გრცხვენიან, იმ უხეირო ლექსებს უწონებ?“ ასიკო მეტყოდა: „სანდროს ერთი სპილოს ძვლის ხანჯალი აქვს, ოქროს ჩუქურთმიანი, მინდა ის დაცუანცლოვო“.

ერთხელ სანდრომ მორცხვად გვითხრა: მოხევე-ებზე მაქვს დაწერილი წერილები, ჯერ კი სულ არა მაქვს დათავებული, წაგიკითხამთ.

წაგიკითხა, მოგვენონა: „დააბეჭდინე, ჩვენი ხალხი გაიცნობს თავის თანამოძმე მოხევების ცხოვრებას, ძალიან საინტერესო იქნება“.

მოუტანა „დროების“ რედაქტორს სერგეი მესხს, რომელმაც მოუწონა და რამდენიმე ფელეტონად დაბეჭდა 1880 წლის „დროებაში“ № 56-დან.

ერთხელ მარტოკა შევედი სანდროსთან. სასა-მართლოს ბოქაულს აუწერია ნომრების პატრონის ვალში მთელი მისი ქონება, სანდრო გაფითრებული იდგა. მაშინვე დაიკიარე ნომრების პატრონი, მივე-ცი ჩემი საკუთარი ფული ხუთი თუმანი. დანარჩე-ნი ცხრა თუმნის (სულ თოთხმეტი თუმანი დასდე-ბოდა) ბარათი ჩამოვართვმევინე. მე შევპირდი: ამ ფულსაც მალე მოგცემთ და ყაზბეგს სხვა ბინაზედ გადავიყვანთ, მხოლოდ ნივთები გაათავისუფლეთ. გადავსინჯე აღწერილი ნივთები მთლათ და აღ-მოჩნდა: ექვსი თუ შვიდი შექსპირის ნაწერები – სა-მი თუ ოთხი პატარა რვეულები თავისი ლექსებისა. სანდრომ მაგიდის უჯრიდან ამოალაგა სხვადასხვა პირთა და თავის დედის წერილები, რომელთაც ფა-ქიზად ინახავდა. ყველა ესენი შემაკვრევინა, ერთი ყუთი ჰქონდა, იმაში ჩამალაგებინა და მე მომაბარა. იყო კიდევ ჩემოდანი, რომელშიც ელაგა სანდროს საცვლები, ჩოხა-ახალუხი და სხვა ტანსაცმელი. ეს ყუთი წიგნებით და მისი ნაწერებით მე წამოვიდე და სტამბაში შევინახე.


რედაქციაში ვუამბე სანდროს გაჭირვება. მითხ-რეს, აქვე, ახლოს სდგას გიგო ყარანგოზიშვილი, შეიძლება თავისოთან გადაიყვანოსო. გიგო დაყ-აბულდა; მივუტანეთ ნომრის პატრონს დანარჩენი ფულიც და სანდრო თავის ჩემოდნით, რომელზედც ზემოთ ვსთვით, გადმოვიყვანე ყარანგოზიშვილთ-ან, მაგრამ ყარანგოზიშვილი მალე გადავიდა იმ სახლიდან; სანდროს კი სად ჰქონდა შეძლება თვით ეძლია ქირა. მაშინ მოვუხერხეთ ბინა „დროების“ რედაქციაში, რომელიც იმ დროს იყო რუსთაველის პროსპექტზე, მუხრანბატონის სახლში (შემდეგ მან-თაშვისა). ოთახი პანია იყო, მაგრამ რა გაეწყობო-და. აი, აქედან იწყება მისი გამუდმებული ლიტერა-  
... მანა მანა ...



ივანე მუხრან-ბატონის (მუხრანსკის) სახლი გოლოვინის პროსპექტზე © (სემ/სიმ)

1880 წელს დაბეჭდა „მოხევეები და მათი ცხოვრება“. 1881 წლის ივნისის 18-დან დაიწყო ბეჭდვა „ელგუჯასი“ „დროებაში“. ივნისში დაიბეჭდა რვა ფელეტონი, 18 ივლისიდან სექტემბრამდე ბეჭდვა შესწყვიტა, ვინიდან სანდრო ქართულ დასთან, როგორც მსახიობი, წასულიყო საგასტროლოდ. ენკენისთვიდან განაგრძო ბეჭდვა და წლის დამლევამდე დაბეჭდა თვრამეტი ფელეტონი.

1882 წელს დაიწყო ბეჭდვა „დროებაში“ „მამის მკვლელი“-ს. [.....] ამ წელშივე დაიბეჭდა მისი წვრილი მოთხოვბები: „ჩინოვნიკი ილურიძე“ (№№ 238, 239), „ელბერდ“ (№№ 248, 250, 252), „მწყემსის მოგონება (№№ 268, 271), „ციცა“, „ფათი“ და „ერთი სამწუხარო შემთხვევა“ (ქუთაისიდან).



სად და როდის სწერდა სანდრო ყაზბეგი? სანდრო სწერდა შიგ „დროების“ რედაქციაში, მთელი რედაქციის შემადგენლობის წინაშე. იყვნენ ხოლმე თითქმის მუდამ თვით სერგეი მესხი და მისი მეუღლე კეკე (ჩემი დაი), აკაკი, პეტრე უმიკაშვილი, ასიკო ცაგარელი, პოეტი სოსიკო ბაქრაძე, გ. თუმანიშვილი, ა. ლულაძე, მე და კიდევ სხვებიც. სწორედ იმ დროს, როცა აკაკი კითხულობდა თავის მოსწრებულ, მახვილ ფელეტონებს, მსმენელნი მხიარულობდნენ, იმ დროს სანდრო ყაზბეგი წაკუზული იჯდა, წინ ეწყო „ელგუჯას“ ან „მამის მკვლელის“ წინა ფელეტონები, გაგრძელებას წერდა ხოლმე და იქვე გადასცემდა ს. მესხსა. ამ მუშაობის შემდეგ მთელი რედაქცია სანდროთი მივდიოდით ალექსანდრეს ბალში და შენინგის პავილიონში“. 66)

**დავით მესხის თვალით:** „მაშინ რედაქცია გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტზე იყო, მუხრანბატონის სახლში. იონა მეუნარგიაც გვაწვდიდა იმ დროს წერილებს... სერგეის მუშაობა აუკრძალეს. გულის ანევრიზმა თანდათან უმაფრდებოდა. რედაქციაში ვმუშაობდით: სანდრო ყაზბეგი, სტ. ჭრელაშვილი (სანო), დავით კეზელი (სოსლანი), პეტრე უმიკაშვილი, ილია ხონელი (ბახტაძე) და მე. მუდმივად რედაქციაში ჰეტრე, სანდრო და მე ვიყავით. დანარჩენები შემოივლიდნენ და მასალას გვაწოდებდნენ. „დროება“ მაშინ დიდი ტანის გაზეთი არ იყო და ამდენს მომუშავეს მასალის დაგროვება არ უნდა გაგვჭირვებოდა... მასალის შემოკლება მაინც ხდებოდა, უფრო ხშირათ ცენტორის წყალობით. და ყველას გვიკვირდა: ისეთი დროც იყო ხომ, როცა სერგეი თავის რედაქტორობაში მარტო უძღვებოდა გაზეთს. გვიკვირდა და ვგრძნობდით, რა ჯაფაც უნდა დასდგომოდა. უნდა ეწერა, გადაეკითხა მასალა, შეესწორებია, მერე კორექტურა, ცენტორთან ხშირი დავიდარაბა და ზოგჯერ ასოთამწყობობაც...“



დავით მესხი  
© (ლმ)

ზევით რომ მასალის შემოკლება ვახსენე, ყოველ ასეთს დროს ჩვენი გაჭირვების ტალკვესი სანდრო ყაზბეგი იყო.

ჩვენს პრესასა და საზოგადოებაში ამ მწერლის თაობაზე ატებილი განგაშის გამო, აქ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა.

ჯერ იმ ხანებშიც, როცა ყაზბეგი რედაქციაში ჩვენთან ერთად მუშაობდა, კანტიკუნტად ხმა გაისმოდა, რომ მისი ნაწერები იმის ბიძაშვილს დიმიტრის ეკუთვნის, რომ ამ დიმიტრის სიკვდილის შემდეგ სანდრომ ეს ნაწერები ხელთ იგდო და ამზეურებსო... ეს ხმები მწერლის დასნეულებისა და უფრო კი სიკვდილის შემდეგ გახშირდა, გაიზარდა. ადასტურებდნენ და კვერსაც სცემდნენ საზოგადოებაში ზოგიერთი მწერლებიც და გარეშენიც... და რომ ეს ხმები შეთხული ჭორებია, ამის მოწმედ, სხვათა შორის, მეც გამოვდგები.

ვფიქრობ – ეს ხმები იმითაც უნდა იყოს გამოწვეუ-

ლი, რომ ას. ყაზბეგი ჩვენს მწერლობას უეცრივ, გრიგალივით მოევლინა: იგი არც ისე ახალგაზრდა იყო, მთიდან რომ ჩვენს ლიტერატურულ წრეში ჩაება. მაშინდელ ამ წრეს არც უნახავს, არც რამ სმენია და უეცრივ ოციოდე დრამატული ნაწერები ჩამოიტანა და ზედიზედ მოთხრობებიც მიაყოლა...

ეს ეჭვები უნიადაგო და უფხოა იმათვის, ვინც ყაზბეგის ყოველდღიური მუშაობის მოწმენი ვიყავით. სამწუხაროდ, ასეთი მოწმეების სია დღეს ერთობ შემცირებულია.

მე და სანდროს საცხოვრებელი ბინა რედაქციაში გვქონდა და, აი სწორეთ ამ დროს დაინერა და დაბეჭდა კიდეც „ელისო“, „ელგუჯა“ და სხვ.

ვიმეორებ – თუ ისეთი რამ დროული საგაზეთო მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, მაშინ, სანდრო თავისუფალი იყო. ხოლო როცა ასეთი მასალა გვისუსტებდა, ანდა ცენზორის ნითელი მელანი ულმობლად გადახაზავდა ხშირად ვრცელ წერილსაც, მარქაფად სანდრო გვყავდა... ჩაუჯდებოდა, ჩვენ ვუცაცხანებდით, თავს კიდევ გზირი – ასოთამწყობი ადგა, ფარატინის ფარატინზე თავისი დიდი მოთხრობებისას, და ასეთი ნაწყვეტები სტამბაში ხშირად გადაუკითხავადაც იგზავნებოდა. ხშირად ვეტყოდი ხოლმე: სანდრო, კაცო, არ დაგვლუპო, მოთხრობა მალე არ გაათავო!..

– რა გინდათ, რა ვქნა! თუ ამას მოვრჩები, სხვა ვეღარ დავიწყე! – იტყოდა ხოლმე.

დილით ძილი უყვარდა და გალვიძებული ლოგინში ნებივრობდა და თავის ცუცქნა მაიმუნს – უკანს ეალერსებოდა. უაკო მუდამ უბეში ჰყავდა, წერის დროსაც, ხანდახან აცმუატებოდა, ატყდებოდა, სტაცებდა თათს დაწერილ ფარატინს და ანაკუნებდა. სანდროს ხელახლა უხდებოდა დაწერა..

აღარ ვიცი – რა მახსოვრობისა უნდა ყოფილიყო, რომ იმოდენა ტანის მოთხრობა-რომანები გაეზეპირებინა – თუკი ისინი მართლა სხვას ეკუთვნოდა“. <sup>67</sup>

**ლიტერატურული დებიუტი და ილია ჭყონია:** ალექსანდრე ყაზბეგის დებიუტი „დროებაში“ არაერთი თვითმხილველო ჰყავდა, მაგრამ ამათგან ერთ-ერთი, უურნალისტი ილია ჭყონია, რომლის მოგონებასაც ახლა გავეცნობით, ერთგვარი ინსპირატორიც აღმოჩნდა ამ დებიუტისა: „ალექსანდრე, ანუ როგორც იგი თავის თავს და აგრეთვე მისი დროინდელი საზოგადოება უწოდებდა, სანდრო ყაზბეგი მე გავიცანი 1880 წელს გრიგოლ ჩარკვიანის იმ წელშივე გახსნილს წიგნის მაღაზიაში, რომელშიც თავს იყრიდა მოცლილობისას ქართველი ინტელიგენცია, მათ შორის მესვეურნი მწერლობისა, აკაკი, რაფიელ ერისთავი, ნიკო ლომოური, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. ხშირად შემოდიოდნენ იქვე ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, სერგეი მესხი, ანტონ ფურცელაძე და სხვ.

სანდროს გაცნობამდე გავიცანი ერთი მისი სასცენო ნაწარმოები – პატარა ვოდევილი, რომელიც გადმომცა პირველმა პროფესიონალმა – გამომცემელმა ქართული წიგნებისამ – ზაქარია ჭიჭინაძემ, რომლის წაეჭირით გრ. ჩარკვიანმა გახსნა ის თავისი პირველი ქართული წიგნის მაღაზია.

ვოდევილის გადმოცემისას ზაქარიამ მითხრა: აი, ეს ახალი მწერლის ერთი მრავალ ნაწარმოებთაგანი, წაიკითხე, გაეცანი, ჯერ არაფერი დაბეჭდილა მისი, მარა სერგეი გაიცნო ამ ცოტა ხანში და იმედი აქვს, „დროებაში“ დაუბეჭდავს რასმე. კეთილი გულის კაცია, ძალიან უყვარს ჩვენი ქვეყანა და მწერლობა, იცის ფრანგული ენაც. [.....]

...ამ დროს მაღაზიაში შემოვიდა სანდრო ყაზბეგი. მაღალი ტანის, კარგი ტანადი, წვერ მოპარსული, მაღალი ცილინდრიანი ქუდით. ქუდი მოიხადა და მე დავინახე მისი მაღალი შუბლი, მოგრძო, სწორი ცხვირი და მოწაბლისფრო თმა, ოდნავ შეთხელებული. მივიდა პირდაპირ ზაქარიასთან, რომე-

ლიც იმ დროს წიგნებს ითვლიდა და აწყობდა ზოგს დახლზე და ზოგს თაროზე და გაუმართა საუბარი ერთ თავის სასცენო ნაწარმოების შესახებ, რომლის სცენაზე დადგმის იმედს აძლევდნენ თურმე რაფიელ ერისთავი და კოტე ყიფიანი. სხვა პიესებს კი რეჟისორები და აქტიორი (სიტყვა მსახიობი მაშინ არ იხმარებოდა) წუნს სდებდნენ თურმე.

– წუნს მდებენ ისეთებიც, აღელვებით ამბობდა სანდრო, რომელთაც არ წაუკითხავთ იმდენი, რაც მე დამიწერია. მთელი ზანდუები მაქვს სავსე ჩემი პიესებით. ერთი შეკვრა მათი რომ ამოვილო და თავზე დავაბერტყო რომელსამე მათგანს, თავის ქალა ოთხად გაუსქდებათ და ისინი კი თავხედობის სიამაყით იწუნებენ ჩემს დრამატულ გემოვნებასა და ნიჭს. თუმცა თავად არც გემოვნება აქვთ და არც ნიჭი.

ბოლოს სანდრომ ზაქარიას დაუწყო ჩურჩული, რაც მე აღარ მესმოდა, რადგანაც მოშორებით ვიკექი მოსაუბრეთავან.

ცოტა ხნის შემდეგ სანდრო წამოვიდა პირდაპირ ჩემსკენ, მომიახლოვდა და გამეცნო, ხელში ქონებიდა ჩემგან წაკითხული მისივე ვოდევილი, გადაშალა და მითხრა: თქვენ ეს კუპლეტი მოგწონებიათ, გულითადად გთხოვთ გამაგონოთ ის ხმა, რომელზეც თქვენის აზრით უპრიანია დამღერება.

მე გამეცინა და ვუთხარი: სასიმღერო სმენა არ დამყოლია და არც არასდროს მიმღერია, რის გამო თქვენს თხოვნას ვერ შევასრულებ მეთქი. [.....].

რაღა თქმა უნდა, ასეთი მიზნით ჩვენ აღარ შევკრებილვართ, თუმცა ერთმანეთს იმ დღიდან მუდამ ვხვდებოდით, უმთავრესად „დროების“ რედაქციაში, სადაც სანდრო ჯერ ხშირად და შემდეგ ყოველდღე დადიოდა, მეტადრე მას შემდეგ, რაც მისი ნაწერების ბეჭდვა დაიწყო. ყველაზე ადრე ის მოდიოდა რედაქციაში და ყველაზე გვიან ის გადიოდა,



ილია ჭიქოვია  
© (ლმ)

მოქვეყნდა „რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოების კავკასიის განყოფილების ცნობებში“. რამდენიმე წელი შემდეგ დაიწყო მისი ბელეტრისტულ ნაწარმოებთა ბეჭდვა და 1885 წლამდე მან დაწერა და დაბეჭდა ყველაფერი, რაც კი შექმნა მისმა ნიჭმა. [.....].

ერთხელ, „დროების“ „ივერიასთან“ შეერთებამდე, სერგეი საჩქაროდ უნდა წასულიყო ორი დღით სადლაც. რედაქციაში ჩემს მეტი აღარავინ იყო დატოვებული. ორივე ნომრის მასალა თავად გადასცა ასოთამწყობს, ხოლო მეორე დამიტოვა და მე მითხრა: თუ რამ დააკლდეს, საქრონიკო მასალა გადათარგმნე რუსული გაზეთებიდან და სტამბას ისე გადაეციო. მეც პირველი ნაწილი დაბარებულისა შევასრულე და უფროს ასოთამწყობს დავეკითხე, იკმარებდა თუ არა ის ნომრისათვის. ამწყობმა მხოლოდ დილის ათი საათისათვის გამცა პასუხი: ფელეტონის მასალა კიდევ მომაწყდეო.

ის-ის იყო შევუდექი საჭირო თადარიგს, რომ ჩემთან რედაქციაში მოვიდა სანდრო და იკითხა სერგეი.

რადგანაც უფრო ხშირად, ის რედაქციაში სწერდა თავის ნაწარმოებებს. წერას არ უშლიდა მას არავითარი ხმაურობა.

რედაქტორი „დროების“, სერგეი მესხი იყო მისი მწერლობის ნათლია, ლალაცა და ნამქეზებელიც. პირველად სანდროს ნაწერებთაგან დაიბეჭდა „დროების“ ნომრებში მისი ეთნოგრაფიული მიმოხილვა ხევისა, რაც მაშინვე გადაითარგმნა რუსულად რაფიელ ერისთავის მიერ და გა-

მე დავაკმაყოფილე მისი ცნობისმოყვარეობა და დავეკითხე, თან ხომ არ ჰქონდა ახალი მოთხოვობა რამ, ანუ მოთხოვობის დასაწყისი, რომ სტამბაში გამეგზავნა ხვალინდელი ნომრისათვის.

ის შეწუხდა და მომიგო: რატომ დროზე არ გამაგებინე, დიდი სიამოვნებით დავწერდი რამეს და მოგაწილებდიო. ვთხოვე, დაეწყო რამე და იქვე დაეწერა სამასიოდე საგაზეთო ბწერი.

— განა მე ასეთ შემთხვევაში თხოვნა მჭირია, რომ გუნდზე ვიყო და თავი ხელად მქონდესო, მომიგო მან და დააპირა რედაქციიდან გასვლა.

უცებ გამიელა თავში აზრმა – შემეტყუებინა ის რედაქტორის კაბინეტში ჩამეკეტა იქ და არ გამომეშვა, სანამ რამეს არ დამიწერდა გაზეთისათვის.

ასეც მოვიქეცი.

ორი საათის შემდეგ მან გადმომცა სწორედ მაშინ დაწერილი ის პატარა, ერთი საუკეთესო მისი ესკიზთაგანი, რომელსაც სახელად ჰქვია „ციცა“.<sup>68)</sup>

ჩავთვალოთ, რომ ის ორი საათი ყაზბეგი თავისი მწერლობის „დაბადების მოწმობას“ ავებდა, პირველ განაცხადს იმ უბადლო ნიჭისა, რომლითაც განგებამ, ბედის ყველა უკულმართობის საზღაურად დააჯილდოვა.

ავტორზე არანაკლებ ბედნიერი, ვგონებ, სერგეი მესხი იყო: „უნდა შეგვეწიო, სანდრო! – პირველალმომჩენის პათოსით ამხნევებდა იგი „დროების“ დებიუტანტს, – უნდა შეეწიო მამულს, საყვარელ ხალხს, ლიტერატურას, პრესას. შენ ბევრი ისეთი რამე იცი, ან დაწერილი გაქვს, როგორიც „ციცაა“! დღეიდან ყველაფერი განზე უნდა გადასდო, ყოველივე პირადი დაივიზუყო და წერო, წერო და მხოლოდ წერო!“


## **ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1880 წ. სექტემბრის 18**

– პირველად ქვეყნდება აღ. ყზბეგის მხატვრული ნაწარმოები, ეს არის მოთხრობა „ციცქა“ (გაზ. „დროება“, № 197).

ყაზბეგის გმირთა პროტოტიპების ძებნა და აღმოჩენა ხომ ცალკე სფეროა – ზოგჯერ დეტექტიურ რომანს მიმსაცემული: მაგალითად, ვახტანგ კოტეტიშვილთან ამოიკითხავთ, რომ ციცქას პროტოტიპი ყოფილა სანდროს ბიძაშვილის – „ბიბო ყაზბეგის „უკანონო“ ძმა, რომლის შესახებ შექმნილია ხალხური ლექსი, და ამ ლექსში თითქმის იგივე სიუჟეტია, რაც აღ. ყაზბეგის მოთხრობაში“.

„ციცქა“ – ალექსანდრე ყაზბეგის „კავკასიური საგის“ ტრაგიკული უვერტიურა – **დავით კარიჭაშვილმა**, მწერლის ლიტერატურული დებიუტის გახსენებისას მის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებს დაუწყვილა: „ციცქაში“, ...რა თქმა უნდა, ფრიად მცირე სამზღვრებში, მოთავსებულია პლანი, ხასიათი, მიმართულება და ლირსება მის საუკეთესო ნაწერებისა. ამ ორის თხზულებითგან შეიძლებოდა კაცა და ენახახა რა ლირსების და მიმართულების მწერალიც უნდა ყოფილიყო ალექსანდრე ყაზბეგი, მაგრამ ბევრმა, ან უკეთ ვთქვათ, ვერავინ დაინახა და ყაზბეგის შესახებ ისევ იმავე აზრისა იყვნენ, როგორც წინად, ე. ი. წარმოედგინათ როგორც ერთი ფუქსავატი და ქარაფშუტა კაცი, რომელსაც არაფრის რიგიანის დაწერის შემ არა აქვს და არც არავითარი აზრი არ უტრიალებს თავში. მხოლოდ ს. მესხი თუ გრძნობდა, რომ ა. მოჩხუბარიძეს შეეძლო „დროებისათვის“ სამსახური გაეწია თავის თანამშრომლობით და აკი ამიტომაც უყვავებდა და აქეზებდა საწერად. ამ წაქეზებამ გაჭრა და ყაზბეგმა 1881 წლის იანვრის 18-ითვან (უნდა იყოს: „ივნისის 18-ითვან“ – ზ. ა.) „დროებაში“ იწყო ბეჭდვა დიდის მოთხრობისა, რომელსაც ჰქვია „ელგუჯა“. „ამ

მოთხრობის მკითხველი აღტაცებაში მოვიდნენ. ასეთის მარჯვე კალმით, ასეთის მხატვრობით და ასეთის ოსტატობით ჯერ კიდევ არ დაწერილიყო მოთხრობა ქართულს ენაზე“.<sup>69)</sup>



დავით კარიჭაშვილი  
© (ლმ)



„ელგუჯა“. 1920 წ. გამოცემა  
© (ლმ)

**ელგუჯა** სახელი სამუდამოდ დაამახსოვრდათ გაზეთ „დროების“ იმ მკითხველთ, რომელიც სუნ-თქვაშეკრული ადევნებდნენ თვალს მოხევე რა-ინდის საპედისწერო თავგადასავალს და სულმო-უთქმელად ელოდნენ გაზეთის მორიგი ნომრის გამოსვლას; ან მარტო ის ეპიზოდი რად ლირს, „დროების“ სტამბაში ასოთამწყობნი ელგუჯას სიკ-ვდილს რომ ვერ შეეგუვნენ და ავტორი აიძულეს მოთხოვნის გაგრძელება დაეწერა.

ლიტერატორთა გამოხმაურებათაგან ყველაზე ყურადსალები გრიგოლ ორბელიანის აღტაცებული მინაწერებია „დროების“ არშიებზე: „კარგია“; „ძა-ლიან კარგია“; „მშვენიერება არის“; „დიდად მია-მა“; „უფალო მოჩეუბარიძევ, გიხაროდეს, შენა ხარ პირველი მწერალი, ღრამატიკი საქართველო-ში, აკლია მხოლოდ ზოგიერთი მართლწერა შენს მშვენიერ ქართულს ენას. ნუ დაიზარებ, შეისწავ-

ლე ესეცა, რომელიც სრულიად არ არის ძნელი“; დაბოლოს: „ლმერთმა გაკურთხოს მოჩეუბარიძევ, იმ გულის დატებობისათვის, რომელიცა მომეცა ამ მოთხოვნის წაკითხვის უამს. ჯერ ქართულს ენაზედ მზგავსი არა დაწერილა რა“.

სერგეი მესხი ავტორს გულში იკრავს – „ამასაც მოვესწარი, რომ გრიგოლ ორბელიანი „დროებას“ აქებს, „შენი ელგუჯასთვის“, მადლობას გვიცხა-დებს! ასეთი აღტაცება ჯერ არ მსმენია!“. ეხლა გადმომცეს წერილი, ამონაწერებიც შემატყობინეს, რომლებიც კითხვისას არშიებზე წაუწერია“ (დავით კარიჭაშვილი). 70)

**გიორგი გაჩეჩილაძე:** „დელიკატური აქ არის არა გრ. ორბელიანის სიტყვების გახმაურების ფაქტი, არამედ ამ გახმაურების გამომწვევი მიზეზების საიდუმლოება. ამ საიდუმლოების მაგიური ძალა კი იმ ნიშნობრიობაში იყო დაფარული, რომელიც გრიგოლ ორბელიანის სიტყვებში იგრძნეს, დაინახეს ან სურდათ დაენახათ მაშინდელ საქართველოში. გრ. ორბელიანი იმპერიის ნიშნობრივი ფიგურა იყო. ამიტომ ყაზბეგით მის აღტაცებაში ხალხმა დაინახა შემოტრიალება არა ლიტერატურაში, არამედ სა-ქართველოს პოლიტიკური სტრატეგიის კურსში. როდესაც ინფანტერიის გენერალი ისეთი მწერლის წინაშე იხრის ქედს, რომლის შემოქმედებაში ღიად არის გახსნილი კავკასიის ხალხების წინააღმდეგ მიმართული იმპერიული „დაყავი და იბატონე“ – ს კურსი, რომელშიც წარმოჩენილია კავკასიის ხალ-ხთა ერთობლივი ინტერესები და მენტალური ნა-თესაობა, ბუნებრივია, ასეთი მწერლით გრ. ორ-ბელიანის აღტაცებაში ხალხმა დაინახა უფრო მეტი, ვიდრე მისი ლიტერატურული ნაწარმოების მიმართ კომპლიმენტია“. 71)

**ბიოგრაფიულიქრონიკიდან: 1881. დეკემბრის 1 – გაზ. „დროება“ (№ 251) ბეჭდავს მოთხრობა „ელგუჯას“ დასასრულს.**

„ელგუჯას“ გამოქვეყნების შესახებ ავტორი აღნიშნავს: „ზოგი გაზეთში ადგილის სიმცირის გამო, ზოგიც სხვადასხვა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ეს მოთხრობა ისე ვერ დაიბეჭდა, როგორც მომზადებული იყო. ამ ცოტა ხანში კი ცალკე წიგნად, უფრო ვრცლად და შესწორებული გამოვა.“

**დავით კლდიაშვილმა აღნერა „ელგუჯას“ დაწერის ისტორია:** „ელგუჯა“ თავდაპირველში თავდებოდა ეხლანდელი პირველი თავის ბოლოში [იგულისხმება „დროების“ პუბლიკაცია] ელგუჯას სიკვდილით. სტამბაში ასოთამწყობებმა განაცხადეს, რომ ფელეტონს არ ავანყობთ, თუ გმირი ვაჟუაცის ელგუჯას ამბავი არ განაგრძო სანდრომ. ამისთანა ვაჟუაცს არ მოვაკვლევინებთო. გაუგზავნეს რედაქციაში სანდროს დიორმიდე კილაქე და ორი ასოთამწყობი, სთხოვეს, რომ ელგუჯა არ მოეკლა და მისი ამბავი გაეგრძელებინა.

– ელგუჯას ასე ადრე არ მოგაკვლევინებთო! მითხრესო, – გადმომცა სანდრომ. – თან მეტის-მეტად მიამა ასეთი მომართვაო, – სთქვა სანდრომ, თან კი გასაჭირში მაგდებდაო. ცოტა ყოყმანის შემდეგ, რაკი არ მეშვებოდნენ, იქვე გადავაკეთე ფელეტონის ბოლო და ქვეშ მივაწერე „გაგრძელება იქნება“. მძიმედ დაჭრილი ელგუჯა წაიყვანეს მოსარჩენად ვითომც გადაღმა სოფელში. რამდენიმე დღის შემდეგ მოთხრობის გაგრძელებაც მზად მქონდა და სტამბის ასოთამწყობებმა დამაწერინეს დიდი მოთხრობა. სიამოვნებით, სიცილით მითხრა ეს სანდრომ“. 72)

**ვახტანგ კოტეტიშვილი** გვაცნობს ძალიან საინტერესო ვერსიას, რომლის მიხედვითაც ყაზბეგისეული ელგუჯას პროტოტიპი ლეგენდარული სვიმონ ყაზბეგი იყო.

**ელგუჯას პროტოტიპი – სვიმონ ყაზბეგი:** „ამ სვიმონ ყაზბეგის შესახებ არსებობს შემდეგი ლეგენდა: ერეკლე მეფის დროს, სპარსეთიდან საქართველოში ჩამოსულა განთქმული ფალავანი, რომლმაც გალახა ყველა ჩვენი მოქიდავე, რომელ კუთხიდანაც კი მოვიდა. ამ გარემოებას დიდად დაუფიქრებია ერეკლე მეფე. ეძებენ ისეთ ფალავანს, რომ სპარსელი გალახოს, თორემ სახელმწიფო ვარდება სირცხვილში. სწორედ ამ დროს ხევიდან ტფილისში მოდის სათხოვნელად ახალგაზრდა სვიმონ ყაზბეგი, რაღაც 18 წლისა, მოხუცი მოხევის თანხლებით. ეს სვიმონი უზარმაზარი ვაჟუაცი ყოფილა და ისეთი დიდი ხმა ჰმა ჰქონია, რომ სტეფანწმინდიდან მეორე სოფელში ადიოდა იმისი ხმაო. ეს სვიმონი შესულა ერეკლესთან თავის საქმის გამო, ერეკლეს თვალში მოსვლია ვაჟუაცი და უთქვამს: ჯერ ნურასა მთხოვ, რადგან სათხოვარი მე მაქვსო, უთქვამს სპარსელი მოქიდავის ამბავი და უთხოვნია, დაეჭიდეო. სვიმონ ყაზბეგს შორს დაუჭერია: მოხევე გაბლავარ, ჭიდაობისა არა ვიცი-რა, და ხმალში კი დიდის სიამოვნებითაო. მაგრამ ხმალი კი არ იყო საჭირო, არამედ ჭიდაობა. ბოლოს სვიმონს მოუსხენებია, ვიფიქრებო და მოგახსენებთო. სახლში დაბრუნებულს უამბინია ყველაფერი მოხუც მოხევისათვის. მოხუცს უფიქრია და უთქვამს, ჯერ წავიდეთ, ის სპარსელი ვნახოთ და გადავწყვიტოთ. წასულან დიდუბეში, სადაც ჭიდაობა იმართებოდა. ყველას უურადღება მიუქცევია სვიმონისათვის, რადგან იმოდენა ხალხში მხრებ-ზევით მაღალი იყო. სვიმონი შეუმჩნევია სპარსელსაც. იქიდან გამობრუნებულებს ჰქონიათ ბჭობა, და სვიმონს

უთქვამს: დავეჭიდები კი, მაგრამ თუ გამლახა, თავს აღარ ვიცოცხლებო. მოხუციც დასთანხმებია, რომ გალახულ კაცს აღარ ეცოცხლებისო და ასეთ დასკვნამდე მისულან: სვიმონი იწვევს საჭიდაოდ სპარსელს, მხოლოდ დიდუბის მოედანზე კი არა, ავლაბრის ხიდზე და პირობით, რომ გალახული გადაგდებულ უნდა იქმნეს მტკვარშიო. ეს პირობა უცნობებიათ ერევლესთვისაც, სპარსელისთვისაც და ჯარისთვისაც. სპარსელი დათანხმებულა. მეორე დღეს კი მომსკდარა აუარებელი ხალხი, ზურნა, განგაში... სვიმონი საჭიდაოდ მზად არის... სპარსელი არ ჩნდება. აფრენენ კაცებს და ამბავი მოაქვთ: წუხელ გაიპარა სპარსეთშიო. ერევლესაც ეს უნდოდა, და გახარებულმა, სვიმონ ყაზბეგი დიდად დაასაჩუქრა. ასე იხსნა სვიმონ ყაზბეგმა სირცხვილისგანაო“. 73)

მეორე ვერსიის თანახმად, „ელგუჯა... ყოფილა ცნობილი მეცხვარე, რომელსაც დიდი გმირობა გამოუჩენია, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლს. მისი სახელი დღესაც ცოცხალია ხევში, და ჩონგურზე დღესაც დამდერიან:

„ელგუჯამ ცხვარი აჰყარა,  
მწყემსებს გაუყო ზიარი,  
ადგა და გამოემართა,  
ეგ მადლიანი, ღვთიანი“ -ო. და სხვ.“ 74)

1884 წელს „ელგუჯა“ ცალკე წიგნად გამოვიდა. უკვე დაბეჭდილი წიგნი ცენზურამ აკრძალა, ხოლო მთელი ტირაჟი გაანადგურა. ერთადერთი ეგზემპლარი გადარჩა, ისიც შემთხვევით.

**სვიმონ ჩოფიკაშვილის პროტოტიპი:** „იმის მიუხედავად, რომ გაბრიელ ყაზბეგი რუსეთის სამსახურში მოქმედი რეალური პიროვნება იყო, ხოლო სვიმონ ჩოფიკაშვილი მწერლის მიერ შექმნილ პერსონაჟად ფიგურირებს, ქართულ სალიტერატურო კრიტი-

კაში გაჩნდა ამ ორი პიროვნების იდენტიფიკაციის მცდარი ვერსია. ამ შეხედულების ავტორად გვევლინება ცნობილი კრიტიკოსი და მწერალი გიორგი ნატროშვილი, რომლის კატეგორიული მტკიცებით, „გაბრიელი არის პროტოტიპი „ელგუჯას“ ერთ-ერთი მთავარი გმირისა. ამ მოთხოვნის პერსონაჟი სვიმონ ჩოფიკაშვილი, რომლის მისწრაფებებს მწერალი იზიარებს, იგივე გაბრიელ ყაზბეგია“. გ. ნატროშვილი შემდეგ აგრძელებს: „საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლამდე, სვიმონ ჩოფიკაშვილი იყო მიღებული კაცთაგანი მეფესთან. ამას ებარა მთის ხალხი და მთის სიმაგრეები, რომელსაც კავკასიის კარს უწოდებდნენ – დარიალა.“ [.....] გაბრიელი ასევე ერთგულ მსახურად დაუდგა რუსეთის ხელისუფლებას და 1804 წლის აჯანყებაში მონანილე მთიელებს დაუნდობელი ბრძოლით დაუპირისპირდა. განა შესაძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ცარიზმის პოლიტიკის მამხილებელ ალ. ყაზბეგს თავისი პაპის ამგვარი ქმედება მოსწონებოდა და მისი პორტრეტი სვიმონ ჩოფიკაშვილის ტიპში განესახიერებინა?“ (**ცალერიან იომინშვილი**). 75)

„ხევის საგაში“ რომანტიკულ სულსაც და რეალისტურ სურათებსაც დრამატიზმის ფესვი ჰქონდას, და მოისმის დროდადრო ტრაგიზმის სუნთქვა და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ბევრია მკვლელობა და სისხლი, ბევრია ტანჯვა და წამება და, ორიოდ გამონაკლისის გარდა, თთქმის ყველა მთავარი გმირი იღუპება. მთავარი მაინც ისაა, რომ ხელიდან გეცლება ის ძვირფასი და სანუკვარი, რაც ისედაც ნაშთია გარდასული დიდებისა, ამ ნაშთს შეფარებია თვითმყოფადობის ნიშნები და იმასაც არ განებებენ, ვერა და ვერ შეგიკრავს დარიალის კარი და მოდის და მოედინება წამლეკავი ნაკადი“ (**როსტომ ჩხეიძე**). 76)

**გიორგი ნათაძე იხსენებდა, როგორ დაეძებდნენ იმ-დროინდელი სემინარიელები ცენტურის მიერ აკ-რძალულ „ელგუჯას“:** „ჩვენ გვენატრებოდა ამ წიგნის ხელში ჩაგდება, მაგრამ ვინ გვალირსებდა მის წაკითხვას? ერთი ჩვენი ამხანაგის ძმა მსახურობდა ქართულ დაწესებულებაში. იმის ოჯახში ეცნობოდა ჩვენი ამხანაგი ქართველ ინტელიგენციას. მოხერხებული ბიჭი იყო და როგორლაც კვალი მიაგნო „ელგუჯაზე“. სიხარულით შეგვატყობინა: –„აბა, ბიჭებო, ვიშოვე წასაკითხად, მისი პატრონი ხუთ მანეთს თხოულობს წაკითხვაში, ჩეარა ფული, თორემ წიგნი ხელიდან წაგვივა.“ საჩქაროდ შევკრიბეთ საჭირო თანხა. ვაფრინეთ ამხანაგი წატვრის სტვალის მოსატანად, მოუთმენლად ველოდით მის დაბრუნებას და სანატრელ წიგნს. ამხანაგი ჩეარა დაბრუნდა და პალტოს შიგნითა ჯიბიდან დიდის სიფრთხილით დაგვანახა ლურჯ, სქელ ქალალდისყდიანი წიგნი, რომელზედაც მოზრდილი ასოებით ეწერა „ელგუჯა“... მივამურეთ მთაწმინდას. გაზაფხული იყო. მთის კალთაზე, მოფარებულ ადგილას მოვიყარეთ თავი და წავიკითხეთ. ერთი კითხულობდა, სხვები ყურს უგდებდნენ. ვკითხულობდით გატაცებით. წიგნის შინაარსი ძლიერ ნაპერწკლად მოხვდა ჩვენს ახალგაზრდა გულს და შიგ უცნაური ძლიერი ჭიაკოკონა გააჩინა. ასეთი რამ ძლიერი ჩვენ ჯერ არ განგვეცადა.“<sup>77</sup>

**ბიოგრაფიული ქრონიკიდან:** 1881, აპრილის 1 – გაზ. „დროება“ (№ 69) ბეჭდავს ა. მოჩხუბარიძის წერილს – „ლექციები ქართულს ენაზე“, რომელიც მიმართულია აკ. წერეთლის „ვეფხისტყაოსანზე“ წაკითხული ლექციების წინააღმდეგ.

**1881, აპრილის 2** – აკ. წერეთელი გაზ. „დროებაში“ (№ 70) აქვეყნებს საპასუხო წერილს ალ. ყაზბეგის წინა დღით გამოქვეყნებულ წერილზე – „ბატონო რედაქტორო!“ აკაკი აღნიშნავს: „...თუ ჩემი შენიშ-

ვნები „ვეფხისტყაოსანის“ გმირების შესახებ ოდესმე დაიბეჭდა, მაშინ, რასაკვირველია მკითხველები თავისთავად დაინახავენ, რომ „დროების“ № 69-ში დაბეჭდილი ბ-ნი მოჩხუბარიძის სტატია ჩემი ლექციების შესახებ, თავიდან ბოლომდე ცილისწამება არის“.

**1881, აპრილის 5** – გაზ. „დროება“ (№ 73) „ახალ ამბებში“ საზოგადოებას აუნებს, რომ ალ. ყაზბეგისაგან მიიღო წერილი აკ. წერეთლის საპასუხოდ (წერილი არ დაბეჭდილა).

**1881, დეკემბრის 22** – გაზეთი „დროება“ ბეჭდავს იონა მეუნარგიას [„ლელოს“ ფსევდონიმით] „ელგუჯას“ გარჩევას, სათაურით – „საუბარი“.

იონა მეუნარგიას კეთილგანწყობაში ფრიად დაეჭვებული ყაზბეგის პასუხში ამ რეცენზიაზე ეწერა: „მე დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევ ამ სიტყვებს და არც დიდ ლირსებად მიმაჩნია მათი გაგონება, რადგანაც არც საკვირველ და არც თავმოსაწონებელ ლირსებად ჩაითვლება ბ. მეუნარგია, რომ თქვენისთანა მწერალთ შორის, უანგაროს და გულით მოყვარე ქართველს, ქართულ ლიტერატურაში ახალი რამ ომიროსის ნაწარმოებად ეჩვენოს“. <sup>78</sup>

**„არსენა“:** 1881 წლის დამლევს, ალექსანდრე ყაზბეგი სულ ორი კვირის განმავლობაში დაწერს სამმოქმედებიან დრამას „არსენა“ („ყაჩალი არსენა“), რომელსაც საეტაპო მნიშვნელობა ექნება მისი, როგორც დრამატურგის, კარიერისათვის.



იონა მეუნარგია  
© (ლმ)

1882 წლის 1 იანვარს „ყაჩალი არსენა“ საბენეფისოდ წარმოადგინეს, იმავდროულად „ივერიაში“ ქვეყნდება; „დროება“ იუწყება, რომ – „საზოგადოებამ მობენეფისე დასაჩუქრა მრავალის ტაშით და ძვირფასი ნივთებით.“ პიესამ თბილისელი თეატრალების ყურადღება მიიპყრო და მაღვევე თვით ივანე მაჩაბელი გამოეხმაურა რეცენზით „ივერიის“ 1882 წლის პირველ წომერში.

კვლავ „დროება“: „ჩვენ არ შეგვიძლიან მადლობა არ განვუცხადოთ ამ ახალ მწერალს, როგორც „ელგუჯასათვის“, ისე დრამა „არსენასთვის“. მოჩხუბარიძემ დაამტკიცა ამ თავის თხზულებებით, რომ ის კარგად იცნობს კაცის გულს და შეუსწავლია იმისი მოძრაობას“. აქვე ენერა, რომ პიესა „ერთს უპირველეს ადგილს დაიჭერს ჩვენს რეპერტუარში“.

სტეფანე ჭრელაშვილმა, ყაზბეგის ერთგულმა გულშემატეკევარმა, თავის რეცენზიაში („იმედი“, №1) „არსენა“ დავით ერისთავის „სამშობლოს“ შეადარა და ამ გაბედული პარალელით საკუთარი თავის რწმენა შემატა ნირნამხდარ ავტორს. სხვათა შორის, უნდა ითქვას, ყაზბეგის ამ პიესას მართლაც ხანგრძლივი და საკმაოდ წარმატებული სცენური სიცოცხლე ჰქონდა.

მაგრამ, აი – ქუთაისიდან გაზეთ „შრომის“ კორესპონდენტი იუწყებოდა: „არსენაზედ“ უსუსტესი პიესა არ არის ჩვენს რეპერტუარში“.

უნდა ითქვას, რომ ეს ქუთაისში გამომავალი გაზეთი იქცა მთავარ ტრიბუნად ილია ხონელისა და დავით კეზელისათვის ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურულ თუ თეატრალურ საქმიანობაზე საქილიკოდ. ამ დუეტს ავქსენტი ცაგარელიც „წაეშველა“: ქართული ბომონდის ნებიერი „ასიკო“, „ხანუმას“ ავტორი, ასე ცუდად რომ დაგვამახსოვრა თავი სოსიკო მელიქიშვილის მოგონებიდან –

არსაქებ ლექსებს რომ უქებდა მიამიტ სანდროს ოქროს ჩუქურთმიანი ხანჯლის „დასაცანცლავად“ ...

„მტრების ბანაკი“: „მაშინდელი ცნობილი ლიტერატორები: დავით კეზელი („ზოილი“, „სოსლანი“), ილია ბატაძე („ხონელი“), ვალერიან გუნია („ვალიკო – ია“), იონა მეუნარგია („ლელო“), და სხვები ერთპირად ყაზბეგის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი“ (ი. გრიშაშვილი). 79)



დავით კეზელი  
© (ლმ)

**ბიოგრაფიული ქრონიკიდან:** 1882 იანვრის 5 – გაზ. „დღოება“ (№ 2) აქვეყნებს ლელოს [იონა მეუნარგიას] ვრცელ ფელეტონს სათაურით „თე-ატრალური ქრონიკა“, რომელიც იწყება მოჩ-ხუბარიძის მოხსენიებით: „მას აქეთ, რაც ბატ. მოჩხუბარიძემ „დღოების“ თეატრალურ რეცენ-ზენტრებს („დღოებაშივე“) „ენის ნაგრძელება გვი-თხრა“, ჩვენ პირველათაა, რომ თეატრალურ ქრო-ნიკას ხელს ვკიდებთ. იმ ხანათ ისე მოხთა, რომ სიტყვა ჩამოგვართვა ბატ. ემბე, რომელიც თეატ-რალურ საქმეში ძლიერ განვითარებულია და ჩვენ ენა დავიმოკლეთ“.

**ავტორის რეაქცია:** „რამდენად მიიღო საზოგადო-ებამ ეს პიესა [„არსენა“] რა ღირსება და გავლენა იქნია, ეგ თვითონ წარმოდგენაზე დამსწრე საზო-გადოებამ იცის და მე არც მინდა, იმაზე ლაპარაკი, მაგრამ რომ სრულის სიჩქმით გვერდი ავუქციოთ იმ ვითომდა კრიტიკოს რეცენზიტებს... არ შემიძ-ლიან... იმისათვის, რომ დაგანახოთ რამდენათ სხვადასხვა რიგათ ესმისთ და ხედავენ ერთსა და იგივეს?“.

**1882, იანვრის 6 – გაზ. „დღოება“ (№ 3) ლელოს (იონა მეუნარგიას) საპასუხოდ აქვეყნებს ა. მოჩ-ხუბარიძის „წერილს რედაქტორთან“, რომელ-შიც აღნიშნავს: „ამ პ. ლელოს წერილმა მე იქამდინ მასიამოვნა და იმედი მომცა შემდეგისათვისაც, რომ მე ეხლაც არ დავიზარებ კიდევ რამდენიმე რჩევა მივცე... ეს რჩევა გახლავს შემდეგი: თქვენი რეცენზიები არ ვარგა და გირჩევთ ისევ გონიერად ენა დაიმოკლოთ“.**

**„წრეში მომწყვდეული მგელი“:** ალექსანდრე ყაზ-ბეგის ბიოგრაფიის ერთი ყველაზე გულისშემა-ღონებელი სფერო მისი განუწყვეტელი ბატალიებია ურნალისტებთან, პუბლიცისტებთან, კრიტიკო-სებთან: „ბატონი ხონელ-ბნელოები, ილო-ტი-

ლოები... ვანო მჭედლიშვილი, დავით კეზელი... და სხვანი.“ ამ ჩამონათვალში (და ეს მართლაც დამაფიქრებელია!), დავით კეზელი (სოსლანი) და ილია ხონელი (ბახტაძე) „დროების“ რედაქტორი ალექსანდრე ყაზბეგის გვერდიგვერდ მუშაობდნენ (ეს სოსიკო მელიქიშვილის მოგონებებიდან ვი-ცით). აი, როგორ მოახერხა „მოჩხუბარიძემ“ თანამ-შრომლები მოსისხლე მტრებად გადაეცია – ეს ცალკე კვლევის საგანია. და, არცთუ უინტერესო....

საფიქრებელია, რომ „სიტყვიერ დუელებში“, რომლებიც კოლეგათა ნებისმიერ წრეში იმართება ხოლმე, მისთვის უცხო სოციუმში მოხვედრილ, გულფიცხ, სიდინჯეს და ფსიქოლოგიურ ტაქტიკას მოკლებულ ყაზბეგს, ზღვარსგადაცდენილი სიც-ხარე შეჰქონდა პოლემიკაში და ესოდენ მხსნელი იუმორით ვერ ანეიტრალებდა გარდაუგალ კონ-ფლიქტს... ამ ლოგიკით, ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ვერბალური შეხლა-შემოხლა გასცდა ლიტერა-ტურისა თუ თეატრის პრობლემათა ფარგლებს და მოკამათეებს შორის პიროვნული (შესაძლოა, უპა-ტიტობელი) წევნის კედელი აღმართა. ახლა უკვე ყო-ველი მომდევო პოლემიკა აათმაგებდა მოკამათეთა ურთიერთსიძულვილს და გამორიცხავდა ნებისმიერ კომპრომისს.

სხვანაირად, უბრალოდ ვერ ავხსნით ჩვეულებრივ სიტუაციებში სრულიად პოზიტიურ ადამიანთა მიერ კოლეგის ისეთ „კონსოლიდირებულ“ დევნას, როცა ყაზბეგი სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა მო-ნადირეთა წრეში მომწყვდეულ, განწირულ მგელს.

**რას ფიქრობს ეს ალყაშემორტყმული „მგელი“:** „საკვირველ ბედზედა ვარ გაჩენილი, ღმერთმან იცოდეს!.. არ ვიცი, რა ვარსკვლავი მიშუქებდა ამ დღეს, რომელი იმ ღმერთთაგანი თანაგრძნობის და რომელი უთანაგრძნობის სხივთა ჰუნდა ჩემს მომავალს... უეჭველად უნდა აღიჭურვონ ჩემს

წინააღმდეგ სხვა და სხვა ხარისხის და ღირსების გმირნი, ჩემზედ უნდა სცადონ თავიანთი ჭკუა-მახ-ვილობის მჭრელობა, თავიანთი ხუმარ-მასხარობის ფხანობა და ყველა... სცდილობს, უეჭველად თავის მოვალეობად პხდის... ცოცხალი მიწაში ჩამფლას, თუნდაც თავისი მოქმედების მიზეზად საბუთიც არა ჰქონდეს!...”<sup>80</sup>

„მამის მკვლელის“ გამოქვეყნება „დროებაში“ 1882 წლის იანვრიდან იწყება (კვლავ გრიგოლ ორბე-ლიანი წააწერს საგაზეთო გვერდის არშიაზე – ქართველი პომეროსიან!). იმავე წელს „დროე-ბაში“ ერთომერის მიყოლებით ქვეყნდება „ფათი“, „ელბერდ“, „ჩინოვნიკი ლურიძე“, ხოლო ურნალ „ივერიას“ მეათე ნომერში კი – „ელისო“, რომლის განწყობა და გარემოც ასე ეხმიანებოდა ყაზბეგის „კავკასიური საგის“ მეორე შედევრს – „ელბერდს“.

სწორედ ამ პუბლიკაციების შეფასება იტვირთა „ევროპას ნაზიარებმა“ იონა მეუნარგიამ, რომელ-საც ევროპიზმის ადეპტად მიაჩნდა თავი და თუმცა „ელგუჯას“ პუბლიკაციას, პრინციპში, პო-ზიტიური რეცენზიით გამოხსაურა, ერთი წლის შემდეგ (თითქოს იმ პირველი აღტაცების გატრი-ზავება უნდაო), გამოაქვეყნა უსიამოვნო მენტო-რული ტონით დაწერილი სტატია ყაზბეგის ბოლო-დროინდელი შემოქმედების შესახებ („ალექსანდრე ყაზბეგი“, „ივერია“, 1883 №1).

**გიორგი გაჩეჩილაძე. ყაზბეგი და კობა-სტალინი:** მე-19 საუკუნის რუსულ ლიტერატურაში შეიძლება მივაკვლიოთ იმ ადამიანთა ფსიქოტიპების და ქცევის მოდელების წინასწარმეტყველებას, რომელთაც მე-20 საუკუნის ისტორიაში დიდი როლი შეასრულებს. ამ ფონზე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სტალინის ფიგურის ერთ-ერთი პირველი კონტურული მო-ნახაზი ყაზბეგის „მამის მკვლელში“ გამოიკვეთა. ყაზბეგის „მამის მკვლელი“ განეკუთვნება არა „მამის

მკვლელის“ მითის პირდაპირ, არამედ რიკოშეტულად წარმოსახვის ნიმუშთა კატეგორიას. ყაზბეგის „მამის მკვლელს“ სიუჟეტურად „მამის მკვლელის“ მითთან არაფერი აკავშირებს, გარდა მამისმკვლელობის თავზარდამცემობით გამოწვეული ფსიქოლოგიური ეფექტისა. „მამის მკვლელში“ ყაზბეგის ინტერესის საგანი არის არა შვილის მიერ მამის მოკვლით გა-მოწვეული დრამა (რომანში ასეთი რამ არ ხდება), ან მამის მიერ შვილის მოკვლით გამოწვეული ფსიქოდრამა (როგორც ეს არის „ხევისბერ გოჩაში“), არამედ დრამა, რომელსაც იწვევს საზოგადოების მხრივ შვილისადმი (თანაც ქალიშვილისადმი) მამის მკვლელობის უსამართლოდ წაყენებული ბრალდება.

ყაზბეგი გვეუბნება, რომ კულტურის ფასეუ-ლობანი არ არის საკმარისი გარანტია იმისთვის, რომ ადამიანი ყოველთვის დაცული იყოს საზოგა-დოების მხრივ ამგვარი უსამართლო ბრალდების წაყენებისგან. მეტიც, „სამართლებრივი ნიჰილიზ-მის“ პირობებში ყოველთვის არსებობს რეალური მუქარები, რომ არასმართლებრივი საზოგადოების ხელში კულტურის ფასეულობანი უსამართლო დასჯისა და აგრესის ბარბაროსულ ინსტრუმენტად იქცეს.

„მამის მკვლელი“ ამერიკული ვესტერნის ტიპის მოთხოვნაა, სადაც შესანიშნავი ხუთეულია: კობა, იაგო, მთიული, ელბერდი და ჩეჩენი ფარჩო. ხევის დიანბეგი და კობას და იაგოს მტერი გირგოლა აბრაგების განადგურების გეგმას შეიმუშავებენ და ჯარი ალყას შემოარტყამს სასტუმროს, რომელშიც ისინი არიან გაჩეჩებული. ჯარის უფროსმა ალ-ყაშემორტყყმულებს დანებებისკენ მოუწოდა. სას-ტუმროდან პასუხად ხუთი თოფი გავარდა და ხუ-თი ჯარისკაცი წაიქცა. ალყაშემორტყყმულების სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლის კვამლზე ხუთი აბრაგი ფანჯრიდან გადმოეშვა, მათ ჯარი გააპეს და ის იყო სამშვიდობოს უნდა გასულიყვნენ, რომ

თავდამსხმელები გონს მოეგნენ და ერთიანად შემოეხვივნენ მათ. „რამდენიმე წუთს ხალხი გაიშალა და იქ მყოფების თვალს წარმოუდგა სხვა დახოცილებს შორის იაგო თავისი სამი ამხანაგით, რომელიც გულადმა ეყარნენ და შესაზარს სურათს წარმოადგენდნენ. არა სჩანდა მათ შორის მარტო კობა, რომელიც ამ არეულობაში რაღაც მანქანებით გასხლტომოდა, გამჯდარიყო პირველ ცხენზედ და სუბუქად დაჭრილი, შეჰქარებოდა ფუთხუზის ტყეს“. ამას მოსდევს „მამის მკვლელის“ წარნერით წუნუს სიკვდილით დასჯის სცენა. ამ ამბიდან მეორე თუ მესამე დღეს გამარჯვებული დიანძეგი და გირგოლა ხევში ეტლით ბრუნდებიან. გირგოლა შეშფოთებულია კობას გადარჩენის ფაქტით. დიანძეგი ოფიცრის წოდებას ულოცავს გირგოლას. ამ დროს „ტყიდან გავარდა თოფი, გახვრიტა დიანძეგი, რომელიც გადმოვარდა ტროიკიდან და გვერდში დასჭრა გირგოლა, რომელმაც გაიგონა ხმა: – მე ვარ კობა! ორნივ მე განაცვალეთ იაგოს!“

ამ სიტყვებით ის გაქრა, როგორც მოჩვენება, რომ თავის დღეში აღარ გამოჩენილიყო“.

ამრიგად, ყაზბეგის „მამის მკვლელს“ წერტილი ესმება სწორედ იმ ადგილას, საიდანაც იკვრება ახალი რომანის კვანძი. დაიხოცნენ რომანის პერსონაჟები, მაგრამ გადარჩა მთელი რომანის გენერატორით მამოძრავებელი კობა. მაგრამ რაკი ბუნებაში არაფერი იკარგება უკვალოდ, არ შეიძლება უკვალოდ გაქრეს კობაც. ყაზბეგმა „მამის მკვლელი“ დაასრულა, როგორც რომანის დაუწერელი მეორე ნაწილის დასაწყისი.

მაგრამ რომანის დაუწერელი მეორე ნაწილი ყაზბეგის სიკვდილის შემდეგ, ისტორიამ დაწერა და დაასრულა.

1932 წელს ბერლინში გამოქვეყნდა სტალინის სემინარიელი მეგობრის, იოსებ იორემაშვილის წიგნი

„სტალინი და საქართველოს ტრაგედია“, სადაც წერდა: „სოსოს იდეალი და ოცნების საგანი იყო გამხდარიყო მეორე კობა, მებრძოლი და გმირი, სახელგანთქმული, როგორიც იყო ეს უკანასკნელი. კობა მასში უნდა აღმდგარიყო. ამ მომენტიდან სოსომ დაირქვა კობა და გვაიძულებდა მხოლოდ ამ სახელით მიგვემართა მისთვის“. 81)

„ელისო“. გავა წლები და ბოსლეველისა თუ იონა მუნარგიასაგან განსხვავებით (ირონიულად რომ წერდა ყაზბეგ ზე: „მისი ნაწერების ტერიტორია ლარსით იწყება და დუშეთში მთავრდება“-ო), კიტა აბაშიძე „ელისოს“ ყაზბეგის საუკეთესო ნაწარმოებად ჩათვლის და დაწერს, რომ მოხევე ვაჟიას და ჩეჩენი ელისოს სიყვარული „ეჩვენება მთელი კავკასიის ხალხის შეერთების სიმბოლოდ“.

ეს კავკასიური ერთიანობა ხომ საერთოდ იდეა-ფიქსი იყო ალექსანდრე ყაზბეგის, მხოლოდა მის „კავკასიურ საგაში“ განხორციელებული... მარტო ის რად ლირს, სახელი „ელბერდ“ როგორ გასდევს მთელ მის ცხოვრებას: „ჩეკიენთ სიმონასადმი“ მიწერილი გულდათუთქული წერილი გავიხსენოთ...

გიორგი გაჩეჩილაძე. „ელბერდ“ – „ჯალათი და მსხვერპლი“: „კითხვაზე, თუ რა არის ყაზბეგის შემოქმედების მთავარი პრობლემა, არსებობს ერთადერთი პასუხი: ძალადობის ეგზისტენციალური პრობლემა. ლაპარაკია ჯალათისა და მსხვერპლის, როგორც გამარჯვებულისა და დამარცხებულის, იმ ფსიქოდრამის შესახებ, რომელიც ორივეს ერთმანეთის მძევლებად აქცევს. ჯალათი და მსხვერპლი ერთობლივი წყვილია. ცალკე არც ჯალათი არსებობს და არც – მსხვერპლი. საფუძველი, რაც მათ აერთიანებს – ძალადობაა.

მოთხოვთ „ელბერდ“ მწერლის ახლობლის ტრაგიულ ბედზეა დაწერილი. ტრაგედია სახელმწიფოებრივ დონეზე აყვანილმა ცილისწამებამ და

უსამართლობამ გამოიწვია. ყაზბეგის ახლობელი ჩეჩენი ელბერდი საჯაროდ ჩამოახრჩვეს. ყაზბეგმა მშვენივრად იცოდა, რომ ჩამოხრჩობილ ელბერდს ვეღარ გააცოცხლებდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ხალხიდასახელმწიფო, რომელსაც თავისიმოქალაქის უფლების მიმართ პატივისცემის გრძნობა არ აქვს, თავად არის განკითხვის ლირსი. სახელმწიფოში, სადაც ადამიანს უსამართლოდ აყოფინებენ ყულ-ფში თავს, ხმის ამოულებლობა განა არ ნიშნავს არა მხოლოდ უსამართლობასთან კაპიტულაციას, არამედ მასთან ფარულ წილნაყარობასაც? ყაზბეგმა ასეთ მდგომარეობასთან შერიგება ვერ შეძლო. მან მიიღო გამოწვევა და სიცოცხლის რისკის ფასად, სახეში ესროლა ხელთათმანი მთელ იმპერიულ რეჟიმს. ეს მოხდა 1882 წელს. გაიღოს კიდევ 16 წელი და 1898 წელს საფრანგეთის არმიის ეპრაელი ოფიცრის, დრეიფუსის, მიმართ ფრანგული მართლმასაჯულების მიერ ჯაშუშობაში უსაფუძვლოდ წაყენებული ბრალდებების გამო ემილ ზოლა ღია წერილით მიმართავს საფრანგეთის პრეზიდენტს: „მე ბრალს ვდებ!“ ამ წერილის გამო საფრანგეთის სასამართლომ 1989 წლის 23 თებერვალს საცყრობილები ჩასმა მიუსაჯა ემილ ზოლას. მაგრამ ემილ ზოლას ზურგს უმაგრებდა ფრანგული და დასავლური დემოკრატიის ინდივიდუალურ დონეზე გამოხატული ტრადიციები. ვინ უმაგრებდა მხარს და ვისი მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონოდა იმპერიის პირისპირ მარტო დარჩენილ ა. ყაზბეგს?

ღიად არავინ!

ცენზურის შიშით გამოწვეული მიზეზები, რის გამოც კრიტიკა დუმილით შეხვდა „ელბერდს“, გასაკირი არ არის. საკვირველი იმ თემებზე ხმის ამოღებაა, რომელიც ყაზბეგმა გაპედა და ის რისკი, რომელზეც ამ მოთხოვის დაბეჭდვით „დროების“ რედაქცია წავიდა.

ამ პატარა მოთხოვის გამოხატულია ყაზბეგის შემოქმედების მთავარი პრობლემა: ძალადობა კაცობრიული ყოფიერების უღრმეს შრეებში – დაწყებული „დაბადების ტრავშიდან“, დამთავრებული სოციალური ძალადობის ფორმებით. ყოფიერების ამ თავისებურებისთვის თვალის გასწორებას ბეჭნიერების მაძიებელი ყაზბეგის გმირები მიჰყავს ბიბლიური ფორმულის – „ადამიანი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“ – თავიდან აღმოჩენამდე.

არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ რა სიმძაფრითაც ყაზბეგმა ძალადობის ფენომენი განსჯის საგნად აქცია, იმ სიმძაფრით აქციეს პოლიტიკურმა რეჟიმებმა მისი შემოქმედება ძალადობის ობიექტად. უნინარეს ყოვლისა, ეს ესება ყაზბეგის შემოქმედების ეთნიკური ინტერესების ჩარჩოებამდე დავიწროების ცდებს. ეს იყო კაცობრიული კულტურის საერთო კონტექსტიდან ყაზბეგის მონაცემების დივერსია. ყაზბეგის როგორც ქართველ, ისე რეს მკვლევარებს მხედველობიდან გამორჩათ ფაქტი, რომ იმპერიული რეჟიმის კრიტიკის საქმეში ყაზბეგი თუ ვინმესგან არის დავალებული, ქართული მწერლობის შემდეგ, პირველ რიგში, დოსტოევსკისა და ტოლსტოისგან. პირველთან მას აახლოვებს იმპერიის რეჟიმში ჩამოყალიბებული რუსი ხალხის „იატაკვეშური“ ფსიქოლოგიის მიმართ ინტერესი, მეორესთან – რუსეთის „სხვისი თვალით“ ხედვის ობიექტივიზმი“. <sup>82)</sup>

„ციკო“ ილიას „ივერიაში“ დაიბეჭდა, მომდევნო, 1883 წლის იანვარში. ამ მოთხოვის პროტოტიპების მოსაქებნად ყაზბეგს შორს წასვლა არ დასჭირდებია: გიორგი ნათაძის თქმით (რომელიც მასწავლებლობდა სტეფანწმინდაში ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ), ციკოს ეტყობოდა, რომ „ახალგაზრდობაში საოცარი სილამაზისა უნდა ყოფილიყო... თავის რძალ სალმესთან ერთად ხშირად იყო ყაზბეგიანთას, მიხეილის

ოჯახში და არწევდა სანდროს აკვანს...“. მრავალი თაყვანისმცემელი ჰყოლია...

**ანდრია კობაიძე ყვებოდა:** „....ციკო, რომელზედაც მოგვითხრობს ალ. ყაზბეგი, ისევ ცოცხალი არის, რომელიც ქალობაში მოიტაცა თავისმა მეზობელმა ვასილი ზალიაშვილმა. სოფ. სტეფანწმინდაში სანდრო მონაძე იყო იმისი თუ როგორ აიღო ქრთამი ცხრა თუმანი მისმა მამამ, მიხეილმა, იმიტომ, რომ სამართალში მფარველობა გაენია ვასილი ზალიაშვილისათვის. მაშასადამე ალექსანდრემ დაწერა ის, რაც ნახა თავისი თვალითა. ალექსანდრესთან ნამყოფმა ივანე ვალიაშვილმა მიამპო, რომ დღე რასაც მოინახამდა, იმას დამე სწერავდაო“.<sup>83)</sup>

**იოსებ ბურდულსაც ჰყოლია ნანახი ციკო:** „ციკო – ეს ის სახელოვანი ციკო იყო, რომლის მოტაცება საფუძვლად დაედო ყაზბეგის ერთ-ერთ საუკეთესო ხელოვნებით დაწერილ მოთხრობას „ციკოს“. ციკო ამ ბოლო წლებში იქნებოდა 95 წლისა. მაინც ეტყობოდა, რომ ეს მოხუცებული ახალგაზრდობაში საოცარი სილამაზის უნდა ყოფილიყო“.<sup>84)</sup>


ლიტერატურულ „ციკოს“ არანაკლებ დრამატული ბიოგრაფია ჰქონდა. გავეცნოთ, რას წერდა ყაზბეგის ახალი მოთხრობის შესახებ გაზეთ „შრომის“ მიმოხსილველი ფსევდონიმით – ბოსლეველი.

**ბოსლეველი:** „ეს პატარა, ლაზათიანის ენით დაწერილი მოთხრობა, სადაც დაცულია მოხევეთა ლაპარაკის კილო, ბევრი კარგი მხარეებით არის შემკობილი, მოთხრობაში აქა-იქ მეითხველს შეხვდება მარგალიტივით სწორად, ხელოვნურად დაწერილი სურათები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ავტორისათვის ბუნებას არ მოუკლია პოეტური ნიჭი და ფანტაზია“.

მაგრამ ამ სასიამოვნო „უვერ-ტიურას“ ანეიტრალებდა ფინალი ავტორის შეგონებებით: „ჩვენ ვურჩევთ ბატ. მოჩხუბარიძეს, რომ შეყვარებულს ყმანვილ კაცებს თავი დაანებოს და გამოიყვანოს გმირებად დაცოლ-შვილებულები, რომელთაც ვარდბულბულიანობა კარგა ხანია გამოუცდიათ. ჩვენ ვგვინია, რომ ამგვარის გმირების საშუალებით, უფრო გულ-დინჯად და დაწყინარებით გაგვაცნობს იგი მოხევეების საზოგადოებრივს ცხოვრებას, მათს აზრსა და შეხედულებას ქვეყნიერებაზედ. ჩვენ მასაც ვფიქრობთ, რომ ბატონ მოჩხუბარიძეს ალარ დასჭირდება თავის გმირების განსხვავებულ პირობებში ჩაყენება, მათი ერთად დახოცვა და ისიც საშინელის სიკვდილით. გვიჩვენოს ერთი, რომ მოხევეების ცხოვრება მარტო ქალების მოტაცებიდნაც არ შესდგება. თორემ ის მალე დაცლის თავის არსენალს და კიდევ უფრო ადრე მოაბეზრებს თავს მკითხველებს თავისი ერთგვარის მოთხრობებით“. <sup>85)</sup>

გაზეთ „შრომის“ ასოთამწყობს, სადაც ბოსლეველის „კრიტიკული მიმოხილვა“ გამოქვეყნდა, 1883 წლის ნაცვლად, შეცდომით, 1933 წელი რომ აეკრიფა, საუკუნის შემდეგ ვინმე მიამიტი სოცრეალისტური კრიტიკის ნიმუშად მიიჩნევდა ამ ტექსტს.

ასე ჩაუშხამა „ხევის ბეთჟოვენს“ კიდევ ერთი დღე „ზელირებული“ იდეებით უკვე მონუსხული ახალ-თაობის არცთუ უნიჭო წარმომადგენელმა „ბოსლეველმა“ – ევსტათი მჭედლიძემ.



ბოსლეველი  
(ესტატე მჭედლიძე)  
© (ლმ)

**ბიოგრაფიულიქრონიკიდან – 1883:** მაისის 8-გაზეთი „დროება“ (№ 91) იწყებს მოთხრობა „ციციას“ ბეჭ-დვას.

მაისის 24 - გრძელდება მოთხრობა „ციციას“ ბეჭ-დვა („დროება“, № 96).

**კიტა აბაშიძე:** „ეს ერთადერთი მოთხრობაა ყაზბეგისა, რომლის შემდეგაც გამსნევებული და დამშვიდებული გულით მივდივართ, ვინაიდან გვწამს, რომ „სიცოცხლე, ბედნიერება“ კვლავ შესაძლებელია, იგიც ცხოვრების ფატალური, აუცილებელი და საიდუმლო ძალია. ბუნება „სიკვდილით შეიქმს სიცოცხლეს“, ეს მისი წესი და კანონია და, მაშასადამე, ცხოვრებაც სანეტაროა და სასიამოვნო, ვით დაუსრულებელი მოძრაობა, მიმდინარეობა, დაუბოლოვებელი ცვლილება სიკვდილისა და სიცოცხლის შუა.[.....].

„გადაშალეთ „ციცია“ და თქვენ იქაც ნახავთ ქალს, რომელსაც უყვარს ერთი, ხოლო მეორის გატაცებული, თავდავიწყებული, გაშმაგებული გრძნობის წინაშე, მოჯადოებული სდგას და, ეჭვი არ არის, მისდა უნებურად, მისდა შეუგნებლად, მის ბუნების ჯურლმულსა და უფსკრულში უკვე სწარმოებს მოძრაობა. ამ ძლიერ ძალისაგან წარმოებული მოძრაობა და მღელვარება, რომელიც მორჩილი თანაგრძნობით არის აღსავსე და ნეტარის გაოცებით შემკული. ძალა სიყვარულისა ისეთი რამ არის ყაზბეგის თვალში, რასაც უძლეველად მომხილველი თვისება აქვს: მისი წინააღმდეგობა არავის შეუძლია, თვით უფრო ურჩი და უკმეხი ამ ქალის წინაშე ქედს იხრის და მუხლს იყრის“. <sup>86)</sup>

კიტა აბაშიძის ერთტომეულის წინათქმაში აღინიშნა: „კ. აბაშიძემ ალ. ყაზბეგს მხოლოდ ერთი შენიშვნის გაკეთება შებედა: „არა მგონია, იყოს ჩვენში მეორე მწერალი, რომელსაც უარესი ენით დაეწეროს თავისი თხზულებანი, ვიდრე ყაზბეგსაო“. <sup>87)</sup>



კიტა აბაშიძე  
© (ლმ)



ძველი თბილისი

**თეატრის კულტი – ილია ჭავჭავაძე:** „ხომ იცი თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემულ ხალხისათვის. მაგის მეტი ნაციონალობის ნიშან-წყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს-რა! ეგ ერთი ადგილი, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიდოს, თორემ თეატრს ხომ სხვაც ბევრი სიკეთე მოსდევს“. 88) და კიდევ: „ჩვენი თეატრი, რაც უნდა იყოს, ჩვენის ეროვნების საჯარო ნიშანია. ეს ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს, თუ თავისი ქვეყნის ბედზე გულაცრუებული და გულ-აყრილი არ არის“. 89)

**კოტე ყიფანი,** თავის მხრივ, ილიას მიერ ნაგულისხმევ „ბევრ სხვა სიკეთეს“ ჩამოთვლის: „...თეატრი არის ხალხის სასწავლებელი უმაღლესი სკოლა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება ადამიანის სულსა და გულსა. თეატრი, ამისთანა თვისებით ადამიანის გუნებაზე უფრო ძლიერად ჰმოქმედებს, ვიდრე სხვა რამე საშუალება, ადამიანის ჭკუით გამოგონილი. უკეთესი შემაქცევარი, უკეთესი დროის გასართობელი, სულსა და გულის ამამაღლებლი, უკეთესი მსაჯული ადამიანის ნაკლოვანებისა, უკეთესი გამამხნევებელი ჩვენს ცხოვრებაში სხვა ისეთი არა არის რა – თეატრის მეტი!“ 90)

არ არის გასაკვირი, რომ სწორედ იმ დროიდან, რაც ქართული თეატრის აღორძინების პროცესში ილია და აკაკი ჩაერთვნენ, თეატრი კულტურის კერიდან, ნელინელ, საკულტო კერად გადაიქცა. ეს მხოლოდ სიტყვათთამაში არ არის, მართლაც ასე იყო და ამის ყველაზე მკაფიო ილუსტრაცია გახლდათ დავით ერისთავის ისტორიული პიესის, „სამშობლოს“, პრემიერა 1882 წლის 20 იანვარს, რომელმაც ეროვნული მანიფესტაციის ხასიათი მიიღო. „სამშობლო“ ორიგინალური პიესა არ იყო:


დავით ერისთავმა გადმოაქართულა ფრანგი დრა-  
მატურგის ვიქტორიენ სარდუს დრამა „ფლანდრია“;  
ამასთანავე პიესას ეროვნული კოლორიტი შესძინა  
და მაყურებელს წინაპართაგან სამშობლისათვის  
თავდადება მაგალითად დაუსახა.

„XIX ს. 80-იან წლებში თეატრის არსებობამ ის-  
ტორიულ-პატრიოტული ნაწარმოებების შემდგომი  
ზრდა განაპირობა. დაიდგა: აკაკი წერეთლის „პატარა  
კახი“, ალექსანდრე ყაზბეგის „ქეთევან წამებული“,  
ანტონ ფურცელაძის „დიდი მოურავი“. კოტე მეს-  
ხის „რუსთაველი“ და „თამარ ბატონიშვილი“. გან-

საკუთრებული წარმატება ხედა წილად დავით  
ერისთავის „სამშობლოს“ (გადმოქართულებული  
სარდუს „ფლანდრიიდან“) – სცენიდან პირველად  
გაისმა სამშობლოსთვის თავგანწირვის მოწოდება!  
მაყურებელმა დაინახა გმირი და რწმენა ესახებოდა  
სვიმონ ლიონიძის ამ სიტყვებზე: „ქართველები  
ეგრე მალე არ ამოინყვიტებიან!.. ქართველები აგრე  
ადვილად როდი დასთმობენ თავის სამშობლოს!..  
ბევრი ამისთანა შავი დღე უნახავს საქართველოს,  
მაგრამ ისევ და ისე ფეხზე დამდგარა, ისევ გამო-  
ბრუნებულა, ისევ ისე ამაღლებულა!..“ ამიტომაც,  
შეთქმულთა მიერ ბრძოლის წინ აღსრულებული  
ლოცვის ხილვისა ი. მეუნარგიას გადმოცემით „სა-  
ზოგადოება ფეხზე წამოდგა და ისე მოისმინა ეს  
ლოცვა“ (გუბაზ მეგრელიძე). 91)



არტისტული საზოგადოების თეატრი  
გოლოვინის პროსპექტზე (სკმდეს)



აღ. ყაზბეგის ხელნაწერი © (ხეც)

მაყურებელთა პატრიოტული ზეატაცება და განსაკუთრებით კი – სცენაზე ეროვნული დროშის ფრიალი ადგილობრივ ხელისუფლებას რომ არ მოეწონებოდა, ცხადზე ცხადია, აკრძალეს კიდეც სპექტაკლი. მაგრამ შეშფოთდა „ცენტრიც“, განებივრებული „პოლიტიკურ რომანტიზმთან“ კარგა ხნის წინ გამოთხოვებული ქართველობის ლიიალობით. ინიციატივა „გამაფრთხილებელი სიგნალისა“ იმუამინდელი რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ პუბლიცისტს, გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორს – მიხეილ კატკოვს ეკუთვნოდა. ისიც გავიხსენოთ, რომ კატკოვი ამასთანავე რუსეთის სამპერატორო კართან დაახლოებული პირი იყო და „საიდუმლო მრჩევლის“ ტიტულს ატარებდა.

„...ვედომოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ყველაზე უფრო შეურაცხმყოფელი იყო ფრაზა, რომ „აჯობებს, გაჭირვებულმა ქართველებმა ის თავისი ეროვნული დროშები სცენიდან მოამორონ და გოდორუას ცირკს მიჰყიდონონ“. 92

რა რეაქცია იქნებოდა ამ „სილის გაწვნაზე“ საქართველოში, ადვილი წარმოსადგენია. გასცეს კიდეც საკადრისი პასუხი კატკოვის პასკვილს ილია ჭავჭავაძემ („კატკოვის პასუხად“) და აკაკი წერეთლმა („ვერ ხედავთ?“).

**მოჩეუბარიძე** ამასობაში, გზადაგზა იგერიებს ოპონენტებს და ფანატიკური გატაცებით განაგრძობს წერას და სცენაზე თამაშს. აქ, სცენაზე, იგი უკვე „ა. მოხევის“ ფსევდონიმითაა ცნობილი და ისედაც მგრძნობიარე ნატურა, ავადმყოფურად განიცდის, როდესაც თეატრალური რეცენზენტები ყოვლად უდიერად იხსენიებდნენ მის გვარს; ყოველი მსახიობისათვის ესოდენ ნანატრ აპლოდისმენტებსა და საქებარ სიტყვებს კი პრესაში, როგორც წესი, მხოლოდ მოცეკვავის ამპლუაში იმსახურებს.

– „გუშინ ხომ არ დაწყებულა! შორიდან მოდის! ეს არის ხალხი, რომელსაც პირად მტრად მივაჩინივარ, რადგანაც მათ ყბედობას ყბედობითვე არ შეეპასუხებივარ, თავი არ გამიყადრებია, ისინი ვერ შეურიგდებიან ამას, მაგრამ საზოგადოება დაინახავს ჩემს სინდისიერს წადილს სამსახურისას და თანაციგრძნობს, დაუფასებელის და გენიოსის ნიჭის ნაწარმოებებს ვერ ვაძლევ, მიხვდება, რომ ვაძლევ ყველაფერს, რაც მაქვს, და რისი მიცემის საშუალება და მდგომარეობა გამაჩინია, დამაცადეთ, მე მხოლოდ ვიწყებ. ხალხი გონიერია და დღეს თუ ხვალ, უეჭველად დაინახავს კეთილსინდიდიერ შრომას, უფრო მეტად, ვიდრე დღევანდელი კრიტიკოსები, რომელთა მოქმედება ტალახის, ლაფის, ლვარძლის, შურისა და სრულის უმეცრებისაგან შედგენილა. პირველის მოქმედების შემდეგ მე ხალხი მიწვევდა და მიკრავდა ტაშს, დარბაზი აღტაცებულის ძახილით მეგებებოდა, ქვეყნის გულშემატკივარნი იქ იმყოფებოდნენ!“. 92

თუ გვინდა ბოლომდე გავერკვეთ, სინამდვილეში რა ხდებოდა ყაზბეგის გარშემო, „ქართული სცენის ტრფიალთ“ მოვუსმინოთ:

**მაკო საფაროვ-აბაშიძისა:** [ყაზბეგს] „განსაკუთრებით უყვარდა სცენა, მაგრამ, როგორც მსახიობი, ძალიან სუსტი იყო სანდრო. ხანდახან ვეტყოდი ხოლმე: სანდრო, მე რომ შენს ადგილას ვიყო, სცენას დავანებებდი თავს და წერას მივყოფდი ხელსა-მეთქი. ეს იყო მისი მკვლელი აზრი: ძალიან სწყინდა, არტისტობას რომ ვუწუნებდი“. **93)**

**იოსებ გრიშაშვილი:** „ყაზბეგს არავითარი ამპლუა არ გააჩნდა: იგი თამაშობდა ახალგაზრდას და ხნიერსაც, გმირსა და ფუქსავატსაც, ფრანგისა და გლეხსა. მას უთამაშნია სამოცდაათი როლი ერთ-მანეთის საწინააღმდეგო, სხვადასხვა ტიპისა და ხასიათისა... მას უმღერია ვასო აბაშიძესთან ერთად ლიკაშვილის პარტია ოპერეტაში („მეჯლისი იტალიელებით“), მაგრამ ყველგან შინაურულად, პერსონაჟების შინაგანი ბუნების გაუცნობლად, ნაჩერარევად, ერთი სიტყვით, ძველი რეცენზენტის ტერმინი რომ ვიხმარო, „ანსამბლს ხელს უწყობდა“ და, როგორც აქტიორს, თვალსაჩინო კვალი არ დაუტოვებია ქართული თეატრის ისტორიაში... [.....]. და მართლაც, ყაზბეგი თუ მკრთალი იყო, როგორც მსახიობი, სამაგიეროდ, განსაცვიფრებელი ყოფილა როგორც მოცეკვავე. ძველად ქართული წარმოდგენა ცეკვით უნდა დამთავრებულიყო: ლეკური, ჩაჩნური, აფხაზური... აი ამ ცეკვების პირველი ორგანიზატორი და შემსრულებელი იყო ჩვენი დიდი ბელეტრისტი. [.....]. ...სამი რამ იყო განსაცვიფრებელი ალექსანდრე ყაზბეგში: ლოველას გენერალ ჯამბარაშვილის როლის შესრულება პიესა „ეხლანდელ სიყვარულში“, ჩაჩნური ცეკვა და დიდი ბელეტრისტის ნიჭი. თითქოს ეს სამი რამ საკმაო უნდა ყოფილიყო ქართველი საზოგადოებისათ-

ვის, რათა პატივისცემით მოქცეოდნენ ამ პროზის ფენომენს და აბუჩად არ აეგდოთ მისი სცენისადმი მისწრაფება“. **94)**




იოსებ გრიშაშვილი  
© (ლმ)

**„თეატრის მაგნეტიზმი“** – ესაა ერთადერთი ახსნა ალექსანდრე ყაზბეგის სცენისადმი დაუოკებელი ლტოლვისა. „თეატრის მაგნეტიზმი“ იმდენად სპე-ციფიკური ფენომენია, რომ აშკარად იმსახურებს საგანგებოდ მიუვარუნდეთ: „თეატრი – ვერავითარი მონათხრობი, ან, გნებავთ, მოემისა თუ ბულგაკოვის რომანები ბოლომდე ვერ აგიხსნიან, მაინც რა ხდება აქ?! შენი თვალით უნდა ნახო. ის, რაც მე ვნახე, მართლაცდა კიდევ ერთი რომანის თემა იყო და ნამდვილად ვნანობ, პროზაკოსი რომარა ვარ“. ამ, ჩემსავე ადრინდელ ტექსტს, აქ ისიც უნდა დავუმატო, რომ, როგორც ჩანს, ყაზბეგის დროინდელი ეპოქიდან გასული საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ქვეყანაზე ყველაფერი შეიცვალა – გარდა თეატრისა. ამას ლამაზი ფრაზისათვის არ ვწერ – მართლა ასე ვფიქრობ, ისევ და ისევ ყაზბეგის თანამედროვე თეატრალების მოგონებებიდან გა-მომდინარე.

**„განკიცხულის“** გამოქვეყნება უურნალ „ივერიის“ 1884 წლის პირველი ნომრიდან დაიწყო. თავისი ავ-ტობიოგრაფიული რომანით ალექსანდრე ყაზბეგს, როგორც ჩანს, „საქართველოს ბომონდთან“ უნდოდა ანგარიშსნორება და, იმავდროულად, თუ შეიძლება ასე ითქვას, „თვითრეაბილიტაციაც“ იმ მკითხველის თვალში, რომელსაც (ყაზბეგის ვარაუდით, სწორედ „ბომონდის“ მცდელობით) ეგზომ შებლალულად ნარმოესახა მისი ბიოგრაფია. ამიტომ იყო, რომ „განკიცხულში“ ავტორმა მინიმუმადე დაიყვანა ლიტერატურული პირობითობები და პრაქტიკულად წაშალა ზღვარი რომანის პროტოტიპებსა და პერ-სონაჟებს შორის. ეს გარემოება ხაზგასმულია რო-მანის კომენტარებშიც: „პორფირიუშკად ავტორის მიერ მონათლულია პორფირე ბარ-შვილი, სოფიოდ – ელისაბედ ყაზბეგი და ლევანად – თვითონ ავ-ტორი... ალ. ყაზბეგს შეყვარებია თავისი ნათესავი ქალი, მაგრამ ნათესავები ამხედრებიან მას და

შერთვის ნება არ მიუციათ. ქალი კი გაუთხოვებიათ პორფირე ბარ-შვილზე“.



უურნალი „ივერია“ (საუბ)

თბილისი  
ექვთიმე ხელაძის სტამბა

„განკიცხული“ ერთგვარი ლაპმუსის ქაღალდი-ვითაა: ან ძალიან მოსწონდათ, ან ყოვლად გულგრილი იყვნენ და, ისე მგონია, რომ ეს „ლაპმუსის ქაღალდი“ ამჟღავნებდა ლატენტურ სიმპათია-ანტიპათიას ყაზბეგის ბელეტრისტიკის რომანტიკული პათოსის მიმართ. კიტა აბაშიძე, რო-მელიც საერთოდ თვლიდა ყაზბეგს ქართულ ლი-ტერატურაში ნეორომანტიზმის წამომწყებად, „გან-კიცხულს“ ევროპული ყაიდის „ბულვარულ რომანად“ მიიჩნევდა (ვგონებ, სავსებით სამართლიანად) და არასოდეს შეჰქონდა მისი კერპის საუკეთესო ნა-ნარმოებთა ნუსხაში. აი, დავით კლდიაშვილი კი ისე ადფირთოვანდა, რომ, წაკითხვისთანავე, 1884 წლის 14 აპრილს, ბათუმიდან მისწერა ყაზბეგს: „...თუ არ გენტინებათ, იმასაც მოგახსენებთ, რომ თქვენს ნაწერებში, რომლებიც მე თითქმის ყვე-ლა წაკითხული მაქვს, ერთი ვერ აჯობებს „გან-კიცხულს“. იგი ამასთანავე სთხოვდა ადრესატს, – „ცენზურის მიერ ამოღებული ორი თავის შინაარსი მაინტერესებს და როგორმე მომწერე რა ხდებოდა იქო....“.

ყაზბეგი, რაღა თქმა უნდა, მაინც დიდად ემად-ლიერებოდა კლდიაშვილს, რაც მისი საპასუხო წერილიდანაც ჩანს. აი, „განკიცხულის“ გამოტო-ვებული თავების შინაარსი კი, რაღაც მიზეზების გამო, არ გაუგზავნია.

არ არის გასაკვირი, რომ ისეთი სევდანარევი იუმორის პატრონი, როგორიც დავით კლდიაშვილი იყო, ვერ ჰერობდა ვერც ყაზბეგის ჰეროიკულ „ფორტეს“, ვერც იუმორისაგან შორსმდგომ ჰერსო-ნაჟებსა და კოლიზიებს. ეს კარგად შენიშნა ვახტანგ კოტეტიშვილმა: „ალექსანდრე ყაზბეგის გმირები არ იცინიან. მის შემოქმედებაში არის ისეთი მომენტები, როდესაც შეიძლება სიცილი, მაგრამ არავინ არ იცინის, თითქოს ყველა გრძნობს, რომ მათ თავზე საბედის-წერო ხმალი არის გადმოკიდებული“. 95)

1884 წლის საახალწლო დღეებში ალექსანდრე ყაზბეგს ერთი უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა: თე-ატრის მიერ უკვე დაანონსებული მისი ბენეფისი, რომელზეც მისივე „წამება ქეთევან დედოფლისა“ უნდა წარმოდგენილიყო, გადაიდო, „რადგან სასუ-ლიერო მთავრობისაგან აკრძალული იქმნა“.

„ხევისბერი გოჩა“ 1884 წლს „განკიცხულის“ გა-მოქვეყნებას მოჰყვა. „დროების“ ერთგული მკით-ხველი აგვისტოდან ნოემბრამდე ეცნობოდა ამ მოთხრობას და, უკვე წლის ბოლოს გამოქვეყნდა „ელეონორა“ – აქ ავტორი ცდილობდა ერთგვარი უან-რული სიმბიოზი შეექმნა ისტორიული მოთხრობის, მითისა და იგავისაგან (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „დროებას“ 1883 წლიდან, სერგეი მესხის ნაცვლად, უკვე ივანე მაჩაბელი რედაქტორობდა, რომელიც, თავისი წინამორბედის მსგავსად, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ყაზბეგისადმი).

„ხევისბერი გოჩა“, შეიძლება ითქვას, საკულტო ნაწარმოებად იქცა, ხოლო ხევისბერის შეგონება, – გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო, – სამუდამოდ შთა-ინერგა ქართულ ცნობიერებაში. ყაზბეგის არც ერთ სხვა მოთხრობაში ასეთი ფატალური ულმობლობით არ წარმოჩენილა დილემა, რომელიც მას ყველაზე უფრო აწუხებდა: არჩევან გრძნობასა და მოვალეო-ბას შორის. როცა კი დამდგარა მის წინაშე ეს არჩევა-ნი, ყაზბეგში, როგორც ჩანს, გრძნობა იმარჯვებდა და არაა გასაკვირი, რომ მისთვის გაუნელებლად მტკიცნებული იყო მარადიული კითხვები გრძნობისა და მოვალეობის (შესაბამისად – დანაშაულისა და სასჯელის) შესახებ. ეს კითხვა მან უპასუხოდ და-ტოვა „ელგუჯაში“ (რაც არ გამორჩენია კიტა აბაში-ძეს!), სამაგიეროდ, მათ მკაფიოდ უპასუხებს „მოძ-ლვარში“, რომლის გამოქვეყნებაც სწორედ ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ სიმბოლურ აქტად აღიქმება.

**ბიოგრაფიული ქრონიკიდან – 1885 წლის ივლისის**  
**ბოლო:** – გამოდის უურ. „ივერიის“ „მეშვიდე ნომერი, რომელშიც ა. მოჩხუბარიძის ხელმოწერით იწყება „მოძღვარის“ ბეჭდვა.

**„მოძღვარი“:** „ამ მოთხრობაში ვხატავ იდეალურ მოძღვარს და უმაღლესი მოვალეობის აღსრულების დროს დახლზე არ ფიქრობს. ჩემი მოძღვარი ხალხისა და ქვეყნისათვის თავგანნირულია“, – ამბობს ალ. ყაზბეგი.

გამოხმაურებათაგან ყველაზე მოულოდნელი ანტონ ფურცელაძისა იყო, რომელიც, „არც გულითა და არც გონებით არ იყო ყაზბეგზე კარგი აზრისა“ და პრინციპულად არ კითხულობდა მის ნაწარმოებებს.


შემდგომ, ანტონ ფურცელაძე იგონებდა, როგორ შემოათენდა ამ მოთხრობის კითხვისას: „იმავე დილით გავექანე ყაზბეგისაკენ. ის დამიხედა რედაქციის კარებთ. მე აღტაცებით ვეცი მას და დაუუწყე კოცნა. სანდროს სიამოვნებისაგან მოერია თვალებში ცრემლი. იმას არა სჯეროდა, რომ მე, ანტონ ფურცელაძე, იმისი ნაწერებით ასეთს აღტაცებაში შევიდოდი“. 96

იონა მეუნარგიამ ამჯერადაც არ დააკლო თავისი „შხამის წვეთი“: „უკანასკნელს მოჩხუბარიძის მოთხრობაზე „მოძღვარზე“ ბევრს ვერაფერს ვიტყვი კარგს. გარდა ორისა თუ სამისა პოეტურის ფურცლისა... მე ვერაფერი ვიპოვვე მოთხრობაში შესანიშნავი. ნაკლუვანება კი ცოტა არ არის“. – კატეგორიულად ასკვნიდა იგი. 97

ახლა მოვუსმინოთ კიტა აპაშიძეს, რომელიც ერთ სულმოუთქმელ მონოლოგში გვაუწყებს იმასაც, თუ რა იყო ამ მოთხრობაში „შესანიშავი“ (ამ ომონიმის ორივე მნიშვნელობით). თავის საკრამენტულ კითხვებს იგი ონისეთი იწყებს: „...ნუთუ ეს კაცი არ იყო ლირსი მაყვალასი, ნუთუ მარტო და მხოლოდ ამ კაცს

არ ეკუთვნოდა მაყვალა? მაშინ, როდესაც, თვით მაყვალაც ამ გრძნობას დამონებოდა მთლად და უშიშრად, თამამად გაიძახოდა: „მე მინდა ონისესთან შეერთება, იმიტომ, რომ მიყვარს, ნამუსზედაც კი მეტად მიყვარსო“. ნუთუ ვისმე ჰქონდა ნება, მათ გრძნობაში გარეოდა? ნუთუ ან თემს, ან დედას, ან მამას, ან ქმარს ნება ჰქონდა, ხელი შეეშალა იმ უმნვერგვალესი ნეტარებისათვის, რომლისკენაც მიისწრაფოდა მათი მშვენიერი სული და ხორცი? ან კი რა გამოვიდოდა ამ წინააღმდეგობიდან, თუ არ გაცამტვერება ამ ადამიანთა სიცოცხლისა, მათი ცხოვრების დასახიჩრება, მათი ბედნიერი არსებობის დამხობა და დალუპვა? მაგრამ საზოგადოება, მახინჯ პრინციპებზე აგებული, დამპალი ზნების მოსარჩევე, თემია იგი თუ ინგლისის „ჰაილაიფი“, სულ ერთია, იგი იცავს ანტიბუნებრივ კანონს და უიმისოდაც ათასგვარად ბუნების ძალებისაგან განაწამებს ადამიანს სულს უხუთავს. ეს დარგი მოვლენათა – ქალ-ვაჟთა ურთიერთ შორის კავშირი – იმდენად ინტიმურია, იმდენად ინდივიდუალური, რომ ამაში გარევის ნება არავის არ უნდა ჰქონდეს, მას უნდა ანესრიგებდეს ბუნება და ბუნებავე უნდა უდებდეს მას საზღვარსა და კანონს“. 98)

„მოძღვარი“ უკანასკნელი მოთხრობაა ალექსანდრე ყაზბეგის „დიდ ნაწარმოებთაგან“ და, ფაქტობრივად, დასასრული მისი „კავკასიური საგისა“, ისევე, როგორც მისი განსაცვიფრებელი, ხუთწლიანი შემოქმედებითი ზეალსვლისა...



„მოძღვარი“ ვალერიან გუნიასადმი მიძღვნილი წარწერით  
© (ლმ)

**გიორგი აპხიანიძე:** „საქართველოს მთების მონუ-  
მენტურმა ტილოებმა, უცნობი სულიერი სამყაროს  
ჩვენებამ, ტინის ლოდიდან გამოკვეთილმა ადამი-  
ანებმა, რომელთაგან კრთოდა ზნეობრივი სინ-  
მინდის შუქი, ანდამატური ძალით მიიზიდეს ქარ-  
თული საზოგადოება. მაგრამ ეს პირველი გატაცება  
ადვილად გაივლიდა, რომ ალ. ყაზბეგს მთის არაჩ-  
ვეულებრივი სამყაროს მხატვრული ისტორიის  
თხრობისას, არ წამოეყნება დიდი პრობლემები,  
რომლებიც აღელვებდნენ მაშინდელ ქართულ სა-  
ზოგადოებრივ აზრს“. 99

ახლა კი გავიხსენოთ, რომ იმდროინდელი ქარ-  
თული საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი ტრიბუნა  
— გაზეთი „დროებაა“, რომელსაც განუყოფლად  
დაუკავშირდა ალექსანდრე ყაზბეგის სახელი.

**„ახალი დრონი“ „დროებაში“:** „მთელმა საქართვე-  
ლომ იცის, რომ „დროებაში“ საქმაოდ მიმუშავნია  
და თუ კარგი მწერლის სახელი არ დამიმსახურებია,  
დადამბლებულს და ზოზონა მუშადაც არავის ჩა-  
უთვლივარ, — წერდა ალექსანდრე ყაზბეგი, — დიახ,  
ბევრი, ძალიან ბევრი ვიმუშავე „დროებაში“. მის  
სტატიებს ჩავაწყალე ჩემი თვალის სინათლე. ამ  
გაზეთში დავიწყე შრომა, მას შევთვისდი და ეს გა-  
ზეთი შეიქმნა თითქმის ჩემი არსების ნაწილი.

მაგის გარეთ მე დავიწყე [მუშაობა] „დროებაში“  
სწორედ იმ დროს, როდესაც რედაქტია ყოველ  
ნაკლულოვანებას ხედავდა. ვმუშაობდი ყინვაში,  
სიცივეში, მთელს ლამეებს ვატარებდი უძილობაში,  
რადგანაც ყველა ჩამოცილებული ჰყვანდა და დღე-  
დღეზე მოელოდა მის მოსპობას.

ისეთი წუთებიც შემხვედრია, როდესაც გაცხარე-  
ბულს მუშაობაში სანთელი ჩამქრალა, ლამის სინე-  
ლეს გახურებული გონების მუშაობა შეუწყვეტია.  
ამაռდ მიძებნა სანთელი, ლამპებიდან ერთითან  
მეორეში ჩამიწურავს ნავთის ნაძირალები და იმითი  
შეწეობით გამითავებია სამუშაო.

მაშინ გვერდსა მდგომია მეტის მუშაობით დაოსებული „დროების“ რედაქტორი და მისი ძმა დ. მესხი. იმათთან ერთად გვიჩვია ულელი. ამ ყოფით მოგვიტანია იმ დღემდის, სანამ ახალ რედაქციას გადავცემდით“ (**ალექსანდრე ყაზბეგი**). 100)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქ მოყვანილი ციტატა იმ სტატიიდანაა, რომელიც უკვე „დებიუტის შემდგომ“ პერიოდს ეკუთვნის: 1883 წლის ივლისია, ალექსანდრე ყაზბეგის „პირველადმომჩენი“ და მფარველი – 37 წლის სერგეი მესხი სიკვდილის პირასაა, ხოლო „ახალი რედაქცია“, ანუ ივანე მაჩაბელი, მაქსიმალურ „პოლიტკორექტულობას“ იჩენს „მოჩხუბარიძის“, – ამ უნიჭიერესი, თუმცა კონფლიქტური ავტორის უურნალისტური „გარჩევებისას“, მაგრამ რედაქციის ინტერესებსაც ითვალისწინებს და რადიკალური ნაბიჯებისაგან თავს იკავებს. თავის მხრივ, განაწყენებული ყაზბეგი „ახალ რედაქციას“ არაობიერტურობასა და გულმავინყობაში ადანაშაულებს: – „ვაჲ, „დროებანი“, „დროებანი“...

**ბიოგრაფიული ქრონიკიდან:** „1886 წლის ოქტომბერის 16 – ქართული დრამატიული დასი მაყურებელს ნარუდენს შექსპირის „მეფელიოს“. ნარმოდენაში მონაწილეობს ილია ჭავჭავაძე. იგი ასრულებს კენტის როლს. დანარჩენ როლებს ახორციელებენ: ლიორს – კოტე ყიფიანი, ხუმარას – კოტე მესხი, ედმუნდს – ა. მოხვევე (ყაზბეგი), კორდელიას – მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ედგარს – ვასო აბაშიძე“.

როგორი საზოგადოებაა?! საინტერესოა, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ყაზბეგმა თუ დაურიგა სახსოვრად პრემიერის მონაწილეებს იმ დროისათვის უკვე გამოცემული თავისი წიგნები – ან თხზულებათა პირველი ტომი, ან „მოძლვარი“, ან „განკიცხული“, ან „ელისო“, ან „ციკო“?! ეჭვი მეპარება... ისე კი, თანამედროვეთა თქმით, მარ-

თლაც, რაღაც ბავშვური მინდობით და მონდომებით ურიგებდა გარეშემოთ თავის წიგნებს, თითქოსდა ამით მათ თავისი სულიერი ზეობის თანამონაწილეებად იწვევდა...

საქართველოს ორი ქალაქი განსაკუთრებით იზიდავდა ალექსანდრე ყაზბეგს – ბათუმი და თელავი. ბათუმის ვეზვიოთ.

**ბათუმში:** „ბათომი, ბათომი (ალ. ყაზბეგის შენიშვნა: „აქაურები ბათომს უწოდებენ და მეც ბათომს ვეძახი“), ეს საოცნებო ბათომი, რომელიც თითქოს მაქანებით იცვლება, შემცობილი ბუნებისაგან უნარჩინებულეს ნავთსაყუდარით ამ მხარის სიმდიდრეს შეადგენს. შემოზღუდული უზარმაზარი ტყით დაბურვილის მთებით შეუფასებელს სანახავადა ხდის“ (**ალ. ყაზბეგი – „მგზავრის წერილებიდამ“**). 101)

„ბათუმში მაშინ თეატრისათვის შესაფერისი შენობა არ იყო. წარმოდგენები იმართებოდა ერთ პატარა სახლში, რომელიც მხოლოდ ასამდე მაყურებელს თუ დაიტევდა. თეატრს დიდალი ხალხი ესწრებოდა. [.....]. რაც გასაკვირი არ იყო, რადგან თამაშობდნენ ისეთი მსახიობები, როგორიც მარ. საფაროვი-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე და ლადონ მესხიშვილი. მესხიშვილს საოცარი, ლამაზი ტკბილი ხმა ჰქონდა – ბარიტონი და მის სიმღერას აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი. მშვენიერი, წკრიალა ხმა ჰქონდა საფაროვ-აბაშიძესაც და როცა ამათთან ჩამოვიდოდა ხოლმე ნატო გაბუნიაც, მაშინ ესენი თამაშის გარდა საზოგადოებას ხიბლავდნენ თავიანთი სიმღერებით. ძრიელ იზიდავდა საზოგადოებას აგრეთვე ქეთო ანდრონიკაშვილის ლეკური; ლეკურს ანდრონიკაშვილისა განსაკუთრებული მოხდენილობით ცეკვავდა. ხანჯლებით პირდაპირ გიჟური მოთამაშე იყო სანდრო ყაზბეგი“ (**დავით კლდიაშვილი**). 102)

**ივანე მჭედლიშვილი:** „რაც დრო გადიოდა, იმდენად შინაური კაცი ხდებოდა ჩემს ოჯახში სანდრო. ჩვენ ასე ვცხოვრობდით თითქმის სამ თვეს. ხშირად გველაპარაკებოდა თავის თავგადასავალს, როცა ის მთებში მწყემსობდა. თუ არ მასთან დაახლოებული კაცი, ძნელად მიხვდებოდა მისის სულის ღელვას. ხშირად, იმის თხელ ტუჩებზედ ღიმილის გამომხატველი თრთოლვა მისი სულის, გულის შფოთის აღმნიშვნელი იყო. ძნელად გაუგებდა ადამიანი მოწყენას, თუმცა საიმისო მხიარულიც არ იყო. ბევრჯელ არ იყო წერის გუნებაზედ, როგორც ამას თვითონ იტყოდა ხოლმე, მაგრამ სიკვდილად მიაჩნდა, თუ წერის დროს ვინმე ხელს შეუშლიდა. სანდახან ნაკუნ-ნაკუნ ქალალდებზე იცოდა წერა და ბოლოს საკვირველის ხელოვნებით ერთად თავს მოუყრიდა და შეადგენდა ერთს ვრცელ ამბავსა“.<sup>103)</sup>



ძელი ბათუმი

**თელავში. საგანგაშო მინიშნებანი:** [ყაზბეგი] „თელავში ხშირად ჩამოდოდა. ცხოვრობდა მსახიობ ვიქტორ გამყრელიესთან, რომელიც თელავის ბიბლიოთეკის გამგებ მუშაობდა. სან კარგად ეცვა, სან, ცუდად, უფრო კი ნაბადს ატარებდა. ვიქტორი დამიძახებდა, მთხოვდა ჩაი გამეკეთებინა პატარა საუზმით და ალექსანდრესათვის ამით მაინც მეცა პატივი. მაშინ წაკითხული მქონდა მისი რომანები. გულით მინდოდა მასთან საუბარი, მაგრამ პატარა რომ ვიყავი, ვერ ვძედავდი. ერთხელ, როგორც იქნა, შევეკითხე „განკიცხულის“ შესახებ. ნუთუ მართალია, რაც დაწერილია „განკიცხულში“. სანდრო ჩაფიქრდა, თავი ჩაღუნა და მიპასუხა: – მართალია, ცხოვრებიდან მაქს აღებულიონ.

თელავში ალექსანდრე სტუმრად დადიოდა ილია აბრამის ძე ზარაფიშვილთანაც. ის ყაზბეგს, როგორც მწერალს, დიდ პატივსა სცემდა. თავისთან სადილზე იწვევდა კიდეც. ერთხელ მას წვეულება ჰქონდა და ალექსანდრეც მასთან იყო სტუმრად. მასპინძელი ყველანაირად ცდილობდა სტუმრების გამხიარულებას. სულხანიშვილები შესანიშნავად მღეროდნენ. ალექსანდრე ერთხანს დალვრემილი იყო, მაგრამ კახურმა სიმღერებმა მალე აღტაცებაში მოიყვანეს. ფეხზე წამოდგა და ლექსი თქვა:

მარტო ვარ, მარტო ვიმღერი,  
არავინა მყავს მობანე;  
მაისის წვიმავ, წამოდი,  
გული სევდისგან მომბანე!  
ნიავო, წყნარად დაჰქროლე,  
ფოთოლს ტაშ დააკვრევინე...  
სწორის არ გამტანს, უფალო,  
ცხვირი სამ წააკვრევინე!!..

სანდროს ახლო ურთიერთობა ჰქონდა, აგრეთვე მაიკო რუსიშვილთან, რომელიც ქისტაურელი ერისთავების დეიდა იყო და ყაზბეგსაც შორეულ

ნათესავად მოხვდებოდა. ეს მაიკო ავადმყოფ ყაზბეგს პატივსა სცემდა. მას არ უნდოდა მწერალი ხალხში ცუდად გამოჩენილიყო, პირს ძალად ჰპანდა, თმას უვარცხნილა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ოდესლაც კეკლუცი სანდრო თავის თავს ყურადღებას აღარ აქცევდა.

სანდროს მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ვასილ ბარნოვი. ის იმ დროს თელავის სასულიერო სასწავლებელში იყო მასწავლებლად. მეგობრულად ექცეოდა ყაზბეგს: თავისთან მიჰყვანდა დასაძინებლად, ასმევდა და აჭმევდა“ (ელენე ანდრონიკაშვილი). 104)



ძველი თელავი

### ელისაბედ თარხნიშვილის უკანასკნელი წერილი:

„საყვარელო შვილო ალექსანდრე! შენს დიდხანს სიცოცხლეს ყოვლის შემძლებელს ღმერთსა ვსთხოვ, ყოვლის ბედნიერებით. შვილო... როგორ არ გებრალები? სულ ავათ ვარ მთელი ზამთარი არის. რა სასოებით მოგელოდი და არ მოხველ! წიგნის მოუწერლობა რაღა არის, რომ არა მნერ? შე დალოცვილო, რა ვქნა მე შენი სიყვარულით? და რა გიამება? აღარა ვარ და შენ უფრო რითაც დამშორდე, იმისი მონადე ხარ. მეც დავბერდი ჯანითაც, სხეულითაც აღარა შემიძლიან რა. თვალთაც დამაკლდა ამთენი მწუხარებით და შენი ასე მოშორებით. რათა შვები შვილო, რათ დადიხარ გარე-გარე? მოდი და ვიცხოვროთ ერთათ. რაც მამიშენის სისხლით ნაშოვნი პენცია მაქს, შენც იხმარე და მეც. არც ტანთ დაგაკლდება, არ ფეხთ. ბევრნი არიან და ყოფილან ლარიბნი. ჩვენ თუ ერთათ ვიცხოვრებთ და ერთმანეთს გაუგონებთ, ვიცხოვრებთ. განა აქ კი არ შეგიძლიან წერებათ... იცი, რომ მე შენთვის სიცოცხლეს არ დავიშურებ. ღმერთი არის მონამე, და მე შენ არც ჩაცმას, არც დახურვას არ დაგაკლებ, მაგრამ შენი ბრალია, არ მატყობინებ, არა მნერ სად გამოგიგზავნო. რათა შვილო, რათ ამყარე აგრე გული? განა მე მაგისთანა უწყალო დედა ვარ შენი, რომ თუ ლონისძიება მექნება შენთვის დავიშურვო?.. სხვებრ იყავ ბედნიერათ [და კარგათ ჯანის სიმრთელით...]

შენი დედა ე ლ ი ს ა ბ ე დ ყ ა ზ ბ ე გ ი ს ა ვ.

23 იანვარს, 1888 წელსა სტეფან წმინდით.“ 105)

**ბიოგრაფიული ქრონიკიდან:** 1888 წელი. ივნისის 23- გაზ. „ივერია“ (№30) ბეჭდავს სამგლოვიარო განცხადებას – „ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი აუზყებს გარდაცვალებასა დედისა თვისისა ელი-საბედ ესტატეს ასულ ყაზბეგისას“.

წავიდა ამ ქვეყნიდან უკანასკნელი ადამიანი, რო-  
მელიც დღემუდამ ფიქრობდა თავის ერთადერთ ვა-  
ჟიშვილზე და, მუხლმოყრილი, უფალს ევედრებო-  
და, როგორმე დაენდო და არ გაეწირა მამისეულ  
კერას განრიდებული უძღები შვილი... დააკლდა ეს  
ლოცვები მის სანდოს, ნამდვილად დააკლდა და  
ჯერ კიდევ სიჭაბუისას ნაგრძნობი „აწმყო დროის  
დედინაცვლობა“ ახლა, სიჭარმაგისას, ულმობლად  
შემოუბრუნდა...

**ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1890 წ. თებერვლის 20**  
— ალ. ყაზბეგს მიხეილის საავადმყოფოს სულით  
ავადმყოფთა განყოფილებაში ათავსებენ.

ივნისის დასაწყისი — თითქოს გამოკეთებული  
და გამოჯანმრთელებული ალ. ყაზბეგი საავადმყო-  
ფოდან გამოჰყავთ.

**თედო სახოვა** ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრა-  
ფიის სწორედ ამ მონაკვეთს (ფსიქიატრიულ კლი-  
ნიკაში პირველად და მეორედ წაყვანას შორის) ასე  
იგონებდა:

„...სრულებით უსახსროდ დარჩენილ ალ. ყაზბეგს,  
დამე თავშესაფარებელი ბინა რა არის, ბინაც კი  
არა ჰქონდა!.. მართალია, სიძე ჰყავდა, დის ქმა-  
რი, საინტენდანტოს მოხელე, ვინმე ფურმანი,  
მრავალოთახიანი ბინის პატრონი, მაგრამ იმ მრა-  
ვალოთახიან ბინაში ერთი, თუნდაც სულ პატარა  
ოთახი არ აღმოჩნდა ისეთი, რომ დაავადებულ ყაზ-  
ბეგს დამე გაეთია. ყოფილა შემთხვევა, რომ სი-  
ძეს კარზე მისდგომია, იმას კიდევ შინ არ შეუშ-  
ვია, და ყაზბეგს სამზარეულოში ან პირდაპირ  
დერეფანში უთენებია დამე, თავის ნაბდის ამარა  
...დაავადებული მწერალი ყოველდღიური სტუმარი  
იყო სარძევესი, რომელიც მოთავსებული იყო მა-  
შინდელ სასტუმრო „პეტერბურგის“ ნომრების ქვეშ.  
ამ სარძევის პატრონი იყო ვინმე ადამია... ალ.

ყაზბეგი მოითხოვდა ჩაის ან მანონს, შესატანებლად  
მისცემდნენ ფრანგულ ფუნთუშა... სულ ნახარჯი  
შეადგენდა სამ შაურს, მაგრამ არც ის სამი შაური  
გააჩნდა ყაზბეგს. ადამიას გაუგონია, რომ მისი ლა-  
რიბი მუშტარი ქართველი მწერალია, გაზეთში მისი  
ნაწერები იბეჭდებაო. ხან გადაახდევინებს, ხანაც  
სამადლოდ არაფერს გამოართმევს, ხან კიდევ „და-  
ანერს“. ასეთი „დაწერილები“ 3 მანეთამდე მოგ-  
როვდა. ყაზბეგს თავისი ხელნაწერი ლექსების რვე-  
ული მოაქვს გირაოდ: როცა ფული მექნება, მოგიტან  
და დამიბრუნეო... ადამიას გუმანი გაუმართლდა:  
თავისებური გირაო გირაოდ დარჩა და 3 მანეთის  
ვალი მისმა მუშტარმა საიქიოში თან წაიტანა“. 106)



თედო სახოვა  
© (ლმ)

**ალუზიები:** „მხოლოდ გიუებს ვთვლი ადამიანებად, ვისაც სიგიურემდე უნდა იცხოვროს, ვინც შეშლილივით გელაპარაკება, ვისაც გაგიუებით უნდა, შეამჩნიონ და თან ყველაფერს დახარბებულია, ყველაფერი ერთბაშად უნდა, რომ მიიღოს. ისინი არასოდეს ამთქნარებენ მოწყენილობისაგან და არც გაცვეტილი ფრაზებით ლაპარაკობენ. მხოლოდ იწვიან, იწვიან, იწვიან რომაული სანთელივით და მერე ფეხდებიან, რათა ვარსკვლავებს ობბას ქსელის მაგვარი შუქი მოაფრქვიონ“ (ჯევ კერუაკი – „გზაზე“).

**„Бедная Лиза“:** „Саңყალი ლიზა“ ერქვა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის რუსული ლიტერატურის კლასიკის, ნიკოლოზ კარამზინის ამავე სახელწოდების მოთხოვნას, რომლის მთავარი გმირი – ქალაქელი არის ტოკრატისაგან ჯერ მოხიბლული და მერე კი მიტოვებული სოფლელი ქალიშვილი, ვერ გადაიტანს სულიერ ტრავმას და თავს დაიხრჩობს. ეს სენტიმენტალური და შემდგომში იშვიათად პოპულარული მოთხოვნა აქ შემთხვევით არ გამხსენებია. ისე მგონია, რომ რუსულენოვან ლიზა ყაზბეგს, რომელსაც „Бедная Лиза“, რაღა თქმა უნდა, ნაკითხული ჰქონდა, არაერთხელ უღვრია ცრემლი ამ დრამატულ სიუჟეტზე და „შეცდენილ სოფლელ გოგოში“ თავის თავს ხედავდა – „მიმნდობ არის ტოკრატკას“, რომელსაც სიცოცხლე გაუმწარა ყოვლისმკადრებელმა დიდგვაროვანმა ბიძაშვილმა!

სხვათა შორის, „ქართველი ლიზას“ შემთხვევაში „რომანტიკული ვერსია“ სწორედაც რომ ბოლო ადგილზე გადადის (ერთადერთი, რაც შეიძლება კაცმა ამ სიტუაციაში გაიფიქროს – გაუცნობიერებელი ეჭვიანობაა, რადგან ლიზაც საკმაოდ აქტიურად ერეოდა სანდონს რომანებში). გაცილებით მეტია ალბათობა, რომ სანდომ, თავისი „არაპროგნოზირებადი იმპულსურობით“, უნებლიერ

მაგრამ გამოუსწორებელი წყენა მიაყენა ლიზას, რაღაცით უხეშად ჩაერია მის ცხოვრებაში. რა იყო ეს: გათქვა ლიზას ისეთი ინტიმური საიდუმლო, რომელიც ლიზამ მხოლოდ მას გაანდო, როგორც უახლოეს მეგობარს; ლიზასგან სამომავლოდ შერჩეული მამაკაცი დაფირთხო და გააქცია თავისი მორიგი „გამოხდომით“, თუ კიდევ სხვა რამ მისივე „ასორტიმენტიდან“, – ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ! მაგრამ, როგორც ჩანს – ისეთი უპატიებელი წყენა იყო და ისეთი ფატალური შედეგი ჰქონდა, რომელსაც ქალი ვერასოდეს აპატიებს მამაკაცს – და თუ აპატია – ის ქალი არ არის! ის ანგელოზია!

ლიზა ყაზბეგი ანგელოზი ნამდვილად არ იყო, და არც აპატია „გადარეულ ბიძაშვილს“ ის დაწყევლილი დღე! ჩანაფიქრის თანახმად, შურისძებასაც ფატალური შედეგი უნდა ჰქონდა, ოღონდ ეს „პროლონგირებული მკვლელობა“ უნდა ყოფილიყო, ანუ ისეთი სასტიკი მორალური სასჯელი, როცა ბანალური მკვლელის მიგზავნა მსხვერპლისათვის შვებად ჩაითვლება.

ისეთი შეგრძნება გაქვთ, რომ „ანგარიშსწორების სცენარი“, თავისი სისასტიკით, არა „საწყალი ლიზა ყაზბეგის“, არამედ „ერინია ყაზბეგის“ დაწერილია: ცხადზე ცხადია, აქ მინიშნებაც კი არ უნდა ყოფილიყო რეალურ მიზეზზე – ასეთ შემთხვევაში, „საწყალი ლიზა“ თვითონ დაზარალდებოდა. გონიერმა „ერინია ყაზბეგმა“ მზერა „Бедная Лиза“-დან „ჰამლეტზე“ გადაანაცვლა და ცოტა ხანში მის ზურგსუკან – განსვენებული ძმის, დიმიტრი ყაზბეგის აჩრდილი დაილანდა.

ელისაბედ ყაზბეგი (1844-1915) არცთუ ჩვეულებრივი ქალი გახლდათ: მისი უფროსი ძმის, ცნობილი სამხედრო და საზოგადო მოღვანის ბიოგრაფიიდან ვიგებთ, რომ: „1877-1878 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს გიორგი ყაზბეგი

იყო ქობულეთის რაზმის შტაბის უფროსი. რაზმი ბათუმის მიმართულებით მოქმედებდა და ყველა ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას. [...] ამ ომში გომრგი ყაზბეგის გვერდში იპრძოდა მისი და ელი-საბედი, პეტერბურგის სამეანო სასწავლებლის კურსდამთავრებული“. ასეთივე თავდადებით ევლებოდა თავს ელისაბედ ყაზბეგი მის მიერ დაარსებულ სკოლას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობასა და საქველმოქმედო წამოწყებებში.

ისიც უნდა ითქვას, რომ ელისაბედ ყაზბეგი მართლაც ნაკითხი ქალი იყო, მშვენივრად წერდა (რასაც მისი ოპონენტებიც კი აღნიშნავდნენ) და „მანდილოსანი ავტორის“ (ვახტანგ კოტეტიშვილის თქმით) მემუარები დიდი ინტერესით იკითხება (უფრო დაწვრილებით მის შესახებ იხ. ჩვენს „დამატებაში“: ნინო შიოლაშვილი – „ყაზბეგების საგვარეულო ისტორიიდან“).

ვაი, რომ მთელი ეს ტალანტები ანტიკურ ერი-ნიად გარდასახულმა ელისაბედ ყაზბეგმა თავისი ბიძაშვილის მორალურ განადგურებას შეაღია.

მაგრამ იქამდე, მოდი, გავეცნოთ ამ მტერ-მოყვარე ბიძაშვილთა ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდს: ჯერ ყურადღებით გადავიკითხოთ ლიზა ყაზბეგის სტეფანწმინდიდან „მისი“ სანდროსათვის გამოგზავნილი წერილი.

**წერილი:** «Я недавно получила один очень хороший подарок, дорогой Сандро, чернильницу и подсвечники. Письма не было. Я не знаю от кого, но догадываюсь. Никто не может быть так внимателен и так много думает обо мне даже в дали. как мой милый Сандро. Если это ты, то премного благодарю. Подарок мне очень понравился и еще больше понравилось и обрадовало твое внимание; хотя всему

этому я была рада, но были и неприятности: это, то, что ты должно быть думаешь, что ты и твои дела нисколько не интересуют меня, иначе ты написал бы и письмо с подарками. Впрочем, может быть ты хотел заинтересовать меня, а письмо напишешь отдельно. Я бы много хотела написать тебе, но торопят меня. Другой раз напишу подлинное письмо. Теперь напишу только то, что мы устраиваем спектакль, в котором я тожеучаствую. Я была бы рада, чтобы и ты поспел к спектаклю... Целую тебя в лоб. Когда ждать тебя к нам. Наши целуют тебя. Твоя Лиза Казбек.». 107

საგანგებოდ მომყავს ამ 1877 წლის დეკემბრით დათარილებული წერილის დედანი, რადგან თარგმანში, შესაძლოა, რაღაც ნიუანსი დაკარგულიყო. არადა, როგორი სითბოთი და ხალისიანი შეთამაშებით სავსე წერილია. რა შეიცვალა ბიძაშვილების ურთიერთობაში ისეთი 3-4 წლის განმავლობაში, რომ ლიზა პირველი ახლობლიდან პირველ მტრად იქცა!?

**ლიზა ყაზბეგის ვიზიტი რედაქციაში:** „1881 წლის გასულში თბილისს ჩამოვედი. პირველ ხანებში სანდროს ბინას ვერ მივხვდი: სწორედ არავინ იცოდა იმისი ნამდვილი ბინა, მაგრამ მწერლის სახელი კი, ყველას გაეგონა. ჩემთვის ეს ხმა ახალი გასაგონი იყო; ჩემდა სავალალოდ და სამარცხვინოდ უნდა ვალიარო, როგორც რომ ქართული ლიტერატურის უურნალ-გაზეთებს თვალყურს არ ვადევნებდი და როგორც უმეტესობა იმ დროის ინტელიგენციისა, ისე მეც, ქართველი მწერლებისა და იმათი ვინაობისა არა გამეგებოდა რა. [...].

ერთს დღეს, უეცრად, სანდროს შევხვდი, ჩოხით და თუშური ქუდით, უსწორ-მასწოროდ ჩაცმული, ბულვარზედ დაიარებოდა. ჩოხის ერთი კალთა მხარზე ჰქონდა შეგდებული და თითქოს უბეში რაღაც საგანი ეჭირა. მეამა იმის ნახვა და შორიდანვე

შევსცინე, გამოვეხმაურე – იმან ბეცობის გამო ჯერ ვერ მიცნო და შედეგ კი მომეხვია, მაკოცა.

– სანდროჯან, რამდენი ხანია შენი ნახვა მინდა და ვერ მივაგენი, სად დგეხარ?

– მე? „დროების“ რედაქციაში ვსდგევარ, ვისაც ჩემი ნახვა უნდა, იქ მომნახოს. სანდრო ძალიან მხიარული იყო, დიდი კმაყოფილებით იცინოდა და მახვილობდა. ახლო დავაცერდი და სახე მოსვრილი ჰქონდა კოსმეტიკით.

– ქა, რა დაგმართვია სანდროჯან, სახე რათა გაქვს შეღებილი?

– რას ანბობ, მართლა?! წუხელ თეატრში ვთა-მაშობდი, და ალბათ, გრიმიროვეა ისევ ზედვე შემრჩა... დამავიწყდება ხოლმე, ქალო, პირი კარგად ვერ დამიბანია. საქმე ბევრი მაქვს, ვერ ვიცლი...

– ეგ უბეში რადა გიჭირავს?

– ეს არის ჩემი უპირველესი მეგობარი! – ჩამოიგდო მხრიდან და დამანახვა პატარა მაიმუნი, რომელიც ცეკვიტად გამოიყურებოდა. ამ პატარა სულიერს ისე ვუყვარვარ, რომ უჩემოთ ველარ სძლებს. ეხლა სასადილოდ მივდივარ და თან მიმყავს. მიმითითა მაიმუნზე და მითხრა:

– ეს გახლავს ჩემი მეგობარი უაკო! გთხოვთ, სწალობდეთ.

ვიცინეთ, ვიოხუნჯეთ და პატარა მანძილი ერთად გავიარეთ, მე გულმოდგინედ ვაკვირდებოდი, თითქოს პირველადა ვხედავდი ჩემს სანდროს. [.....].

სანდროს შეხვედრის შემდეგ, ორ-სამ დღეს იმის ლოდინში გავატარე: მოუთმენლად ველოდი, მესნრაფებოდა იმის ნახვა, მაგრამ ვერა და ვერა მეშველა-რა, არსად გამოჩნდა, თუმცა სანდრომ ჩემთვის გაუგებარის მიზეზების გამო ამიკრძალა რედაქციაში მისვლა, მაგრამ იმის ნახვის სურვილმა დამძლია და ერთს დღეს გავსწიე სანდროსაკენ. [.....].

...დიდის კრძალვით რედაქციის კარები შევაღე, კითხვით მივაგენ სანდროს ოთახს. მოსამსახურემ შემიწვია ცოტა დაბალს და ბნელს ოთახში, ოთახი საკმაოდ დიდი იყო, ლარიბად მოწყობილი... არა, ლარიბად მოწყობა, ეს წარმოსადგენად ადვილია, მაგრამ იქ არაფერი მოწყობილობა არ იყო, არც ლარიბისათვის და არც მდიდრისათვის. აქ ყველაფერი აყრილ-დაყრილი, ანენილ-დანენილი იყო, სანდროს დოლლარობა, იმისი დაუდევარი ცხოვრება კარგად მქონდა შესწავლილი და ამიტომ სრულებითაც არ გამკვირვებია: აქა-იქ მიყრილ-მოყრილი ტანისამოსი, გაფანტული წიგნები... ეს სანდროს წესი იყო და მაშინვე მივხვდი, რომ ეს იმისი საკუთარი ოთახი უნდა ყიფილიყო.

მე აქ მეუცხოვა და გამაკვირვა ერთმა სანახაობამ: შეუა ოთახში იდგა დიდი უბრალო ხის მაგიდა, რომელზედაც ეყარა აუარებელი, დომხალივით არეული რვეულები!... გულმოდგინედ, დაკვირვებით დავუწყე თვალიერება ამ სამუშაო ტაძრის კუთხეს, სადაც მოთავსებული იყო ჩვენი მოჩხუბარიძე. [.....].

...ვიდექი გაჩუმებილი, პირველად ცოტა სიბნელის გამო ვერაფერი გავარჩიე რა, ყველაფერი ნახული მეუცხოვა და ანგარიშმუცემლად პირდაპირ მაგიდასთან მივედი, ის იყო ხელი მივაწვდინე ერთს გაშლილ რვეულს, მინდოდა მენახა, რა იყო დანერილი, როდესაც უცარი, სასტიკი ხმა მომესმა: „ხელი არ ახლო“. მე შევკრთი, უკან დავიწიე, მხარ მარჯვნივ, ფარდა მიფარებული საწოლი იდგა, რომელზეც სანდრო გულალმა იწვა და რაღაცა რვეულსა კითხულობდა. საწოლის სათაურზე იჯდა მაიმუნი – უაკო. სანდრომ, – როგორც თვითონ შემდეგ მითხრა, – თვალი მაშინ შემასწრო, როდესაც ქალალდების ასალებად ხელი გავინდე, და შემინბულმა, გველნაკბენივით შეჰვეივლა: „ხელი არ ახლო“, ამ სიტყვების თქმის უმაღ წამოვარდა კიდეც. ფარდის

უკან მწოლიარემ ფეხის ხმა რომ გაიგონა, ჯერ თურმე ბიჭი ვეგონე (თვითონ მითხრა) და არაფერი ყურადღება არ მომაჟცია, მაგრამ როგორცვე მე დამინახა, ნამოიჭრა! მე გამიკვირდა იმისი შეშფოთება და დავეკითხე: „ყმანვილო, რისა შეგეშინდა, ქალალდებს ხომ არ შევჭამ?“ სანდრომ პასუხის მაგივრად მჭიდროდ ხელი წელზედ მომხვია და თავის საწოლისაკენ ციბრუტივით მიმატრიალა ამ სიტყვებით: „შენ შორს მაგ ქალალდებთან, ნუ მიხვალ!.. ნუ გაგიკვირდება ჩემი თხოვნა. რედაქციაში ათასნაირი ქალალდები არის ხოლმე და უცხო პირს იმათთან საქმე არა აქვს... რადგანაც სხვებმა დამარწმუნეს სანდრო თვალსაჩინო მწერალიაო, მეც იმ დღიდან საზოგადოების მუშაკად ვსახავდი და ვფიქრობდა: მწერალს და მოგაზეთეს ათასნაირი დარღი უნდა ჰქონდეს, ათასი მოვალეობა ანუხებს. ჩვენი ლაპარაკის საგანი გახდა მაიმუნი – უაკო“. 108)

უაკოს „პიროვნებას“ ჩვენ აუცილებლად მიუვადნებით, ახლა კი გავიხსენოთ, რომ ლიზა ყაზბეგი თბილისში 1881 წლის ბოლოს ჩამოვიდა, ანუ სწორედ იმ დღეებში, როდესაც „დროების“ ფურცლებზე „ელგუჯას“ გამოქვეყნება დამთავრდა და ალექსანდრე ყაზბეგი, ლიტერატურული დებიუტიდან ერთი წლის შემდეგ ქართველ მწერალთა ოჯახის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად იქცა. ზემოთქმულის დასტურად, ერთი აღტაცებული შეფასება მოვიხმოთ.

**„პანეგირიკი“:** „...მთელს თბილისში ყაზბეგის ქება ისმოდა, მთელს საქართველოში მოჩხუბარიძის მწერლობის ხმა ქუხდა და ელავდა. ყაზბეგის ნიჭის თაყვანისმცემლები თანდათან მრავლდებოდნენ, მოჩხუბარიძის ნაწერებს მთელი საქართველო კითხულობდა, მკითხველი საზოგადოება ამათ აღტაცებაში მოჰყავდა!

ყაზბეგმა ააფრიალა გულწარმტაცი მშვენიერი ფერადებით ნახატი დროშა და ჩადგა საპატიო ალაგას მწერლობის რაზმში. ყაზბეგის მწერლობამ ქართველებს მოაგონა ერთი თავისი სხეულის ნაწილი, დავიწყებული საქართველოს კუთხე: მკითხველები მიიწვია მთისკენ, მიუთითა, დაანახვა ძველებული წესწყობილება, თუ როგორ ბჭობდა თემი, როგორ ირჩეოდა სათემო საქმეები. დავიწყებული მოგვაგონა და მძლავრის კალმით, სისწორით დაგვიხატა ის შეურყეველი ძმობა-ერთობა, რომელიც ძველს დროს საქართველოში სუფევდა გაურჩევლად სქესისა და წოდებისა“. 109)

**ავტორი?!?** უთუოდ დაინტერესდით, ყაზბეგის ცნობილ კოლეგათაგან ვის ეკუთვნის ეგზომ ზეატაცებული, თუმცა ზუსტი და ხატოვანი შეფასება მისი „კავკასიური საგისა“?! გაგიკვირდებათ, მაგრამ ვერცერთ სახელს ვერ დაგისახელებთ იმდროინდელ ლიტერატორთაგან. ვერ დაგისახელებთ, რადგან ამ ტექსტის ავტორი ელისაბედ ყაზბეგი გახლავთ. ციტატა კი მისი მემუარების რევულიდანაა, სწორედ იმ პასაჟის გაგრძელებაა, სტუმრად რომაა თავის სანდროსთან (ერთი შენიშვნა: ინტრიგის შესანარჩუნებლად ლიზა ყაზბეგის ტექსტში შინაურული „სანდრო“ განგებ შევანაცვლე „ყაზბეგით“) და გულწრფელად აღიარებს, რომ მისი არცერთი სტრიქონი არ წაუკითხავს. ამავე პასაჟს აგვირგვინებს ასეთი ფრაზა: „დიახ, სანდრომ 4-5 წელიწადი ლიტერატურის ასპარეზზე დიდის უნარით იმუშავა! ნუ დავიკიწყებთ, რომ ამავე დროს, დიდის ერთგულობით, გულმოდგინეთა შრომობდა ჩვენის ტეატრისათვის...“.

ლიზას ვიზიტისას, 1881 წელს, ალექსანდრე ყაზბეგს არა 4-5, არამედ, პრაქტიკულად, „ერთნლიანი

ლიტერატურული სტაჟი“ აქვს, ანუ ყოველივე ზე-  
მოთქმული აღწერილი ეპიზოდიდან რამდენიმე  
წლის შემდეგ ჩაიწერა – ეს უნდა დავიმახსოვროთ!



ალ. ყაზბეგის ბიძაშვილი – ელისაბედ  
(ლიზა) ყაზბეგი  
© (ლმ)

**დეტექტივის დასაწყისი:** კაცმა რომ თქვას – რა არის  
აქ „სადეტექტივო“?! – ვთქვათ, არ ჰქონდა წაკითხ-  
ული იმხანად ლიზას „თავისი სანდროს“ მოთხოვბე-  
ბი, მერე ხომ წაკითხა და დააფასა კიდევ?! საქმე ის  
არის, რომ დიდი ხნის უნახავი ბიძაშვილების შეხვე-  
ლრა, მემუარების ავტორის ჩანაფიქრით, იდილიურ  
შთაბეჭდილებას უნდა ტოვებდეს... და მართლაც,  
საფიქრებელია, 1881 წლის დეკემბერში სანდროსა  
და ლიზას შორის მეგობრულ-ნათესაური სითბო  
ჯერ კიდევ არ იყო განელებული და მთლიანობა-  
ში „გიზიტი რედაქციაში“ საესებით რეალისტურად  
აღინიერა. იყო ერთადერთი „მაგრამ“!

ტექსტის სანდოობის „კონტენტ-ანალიზის“  
მეთოდით დადგენით (რომელიც „საკვანძო სიტყვე-  
ბის“ მიგნებაზეა აგებული) გატაცებული მკვლევარი  
1881 წლის დეკემბრის ბოლოს ლიზა ყაზბეგის სან-  
დროსთან ვიზიტის აღნერისას აუცილებლად გა-  
მოარჩევდა ორ პასაუს –

**„გაშლილი რვეული“** და „შეშინებული სანდრო“: ეს  
ორი „ნაღმი“, ჟაკოს „მაიმუნობების“ ფონზე, რამ-  
დენიმე ხნის შემდეგ უნდა აფეთქდეს: მოგონე-  
ბების ტექსტის პირველად გაცნობისას მკითხველს,  
წესით, უნდა დამახსოვრებოდა მიზანსცენა „გაშლი-  
ლი რვეულითა“ და „შეშინებული სანდროთი“ (ისეთი  
ემოციური აქცენტია იქ!), მაგრამ ამაში ვერანაირ  
ვერაგობას ვერ დაინახავდა, თუნდაც იმიტომ, რომ  
ამ პასაუს „კეთილგანწყობილი მემუარისტის“ მიერ  
მწერალი-ბიძაშვილის შემოქმედების აღტაცებული  
შეფასება – ნამდვილი „პანეგირიკი“ მოსდევდა.

აი, მერე კი, ელისაბედ ყაზბეგის მოგონებების  
იმ ნაწილში, სადაც „კავკასიური საგის“ „რეალური  
ავტორი“ დასახელდება, ერთდღოულად იფეთქებს  
ეს ორი „ნაღმი“, და შეძრნუნებულმა მკითხველმა,  
რომელიც უკვე ენდო გულდადაგულ მემუარისტს,  
რომ „გაშლილი რვეული“ სანდროს არ ეკუთვნოდა,

უნდა თანაუგრძნოს მიამიტ ლიზას, მაშინვე რომ ვერ ამოხსნა „გაშლილი რვეულისა“ და „შეშინებული სანდროს“ დილემა...

**კიდევ ერთი საიდუმლო:** „ახალი ადრესატის“ ვინაობაზე მალე მოგახსენებთ. ახლა კი – ერთ საიდუმლოზე, რომელიც მწარედ დააფიქრებს ნებისმიერ მკვლევარს ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიისა: თუ გავიხსენებთ, რომ ლიზა ყაზბეგი თბილისში 1881 წლის ბოლოს ჩამოვიდა, ანუ იმ რუსულენოვანი წერილის დაწერიდან ოთხი წლის შემდეგ, ნამდვილად შევამჩნევთ ნაკლებ სითბოს და ოდნავ ირონიულ ტონს, მაგრამ რა მტრობაზე ლაპარაკი?! აქედან გამომდინარე, ჩვენ შევგიძლია დავასკვნათ, რომ ბიძაშვილთა ურთიერთობა რადიკალურად შემდგომ, 1883 წელს უნდა შეცვლილიყო, სწორედ იმ წელს, როდესაც იწერებოდა ყაზბეგის ავტობიოგრაფიული რომანი...

კიდევ ერთი საიდუმლო ყაზბეგის ბიოგრაფიაში, რომელშიც, ვგონებ, იმალება უმთავრესი მიზეზი „განკიცხულის“ შექმნისა (ეს რომანი უურნალ „ივერიაში“ 1884 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა).

**„ოჯახური ვატერლოო“:** „განკიცხულის“ მთავარი ინტრიგა „პროტოტიპების ხლართშია“: „სოფიოდ“ მონათლული ლიზა ყაზბეგი ულმობლად ანგრევს „განკიცხულის“ გმირის ბედნიერებას... „განკიცხული“ 1883 წლთაა დათარიღებული და, უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ დროიდან იწყება ყაზბეგების „ოჯახური ვატერლოო“.

**„ცრუ-დიმიტრი“:** ერთი „ცრუ-დიმიტრი“ თუ გვახსოვს რუსეთის ისტორიდან, მეორე, ქ-ნი ელისაბედის ჩანაფიქრით, საქართველოს ისტორიაში უნდა დამკვიდრებულიყო – უპრეცედენტო ლიტერატურული პლაგიატის ნიმუშად. ლიზა ყაზბეგის ვერსია ასეთი გახლდათ: მის „ძვირფას“ ბიძაშვილს 1880-იანი წლების დასაწყისშივე უკვე ისეთი ინტე-

ლექტურული დეგრადაცია ემჩნეოდა, რომ ის ვერასგზით ვერ შექმნიდა იმ პერიოდში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს და ბელეტრისტიკის ეს შედევრები, სინამდვილეში მის განსვენებულ მმას – დიმიტრი ყაზბეგს (1838-1880) ეკუთვნოდა.

როდესაც ეს „მეტად ნიჭიერი, განათლებული, დარბასისელი, იდეური, წყარი მოღვაწე“ 1880 წლის თებერვალში სტეფანწმინდაში გარდაიცვალა, ამ დროს იქ დიმიტრის ახლობელთაგან არავინ იმყოფებოდა, გარდა ალ. ყაზბეგისა და მოურავ ალოშკა შადურისა. ამ სიუჟეტში იყო დიმიტრის გარდაცვალებისთანავე მომენტალურდ გატეხილი განჯინაც, საიდანაც სანდრომ ხელნაწერები გაიტაცა ალოშკა შადურის თვალწინ; დეტექტირური უანრის ყველა კანონის დაცვით, რაღა თქმა უნდა, იყო მკვლელობაც: შადური, როგორც არასასურველი მონბე, უნდა გამქრალიყო და გაქრა კიდეც! სინამდვილეში მომხდარი მკვლელობა მართლაც შემართუნებელი გახლდათ – ალოშკა 1888 წელს, ივლისის 30-ში, ღამით მისივე მანიაკმა შვილმა, ვანიამ მოკლა. აი, ვისი დაკვეთით მოკლა, ეს უკვე ლიზა ყაზბეგის „მწერლური ტალანტის“ მიგნება იყო: – „შესაძლებლად მიმართა ფიქიურად ძლიერის ხასიათის მქონე სანდროს, დაემონავებინა სუსტი ხასიათის პატრონი ახალგაზრდა ჭაბუკი ვანია“, – ამტკიცებდა იგი თავის მოგონებებში და იქვე განმარტავდა, რომ ყაზბეგმა ეს ამაზრზენი დანაშაული ჰიპონოზის საშუალებით განახორციელა...110)

აქვე, ალბათ, ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამ კრიმინალური დრამის ფინალში, როგორც ხდება ხოლმე, ლიზამ სენტიმენტალური ნოტა შეიტანა და ალექსანდრე ყაზბეგის „პროგრესირებადი დამბლის“ გამოვლინებები „სინდისის ქენჯინით“ ახსა... როგორი წასაკითხია ყველაფერი ეს საღ გონებაზე?!

დიახ, ეს სანდროსთან თანწეზრდილი ლიზა ყაზბეგია! ოლონდ, დიმიტრის სიკვდილიდან 14

წლის შემდეგ თვალი აეხილა და ირჩმუნება, რომ  
მისი „მიტკას“ ხელნაწერთა მიმტაცებელი სანდრო  
„ცრუ-დიმიტრია“! ნამდვილი დიმიტრი, ავტორი ამ  
შედევრებისა, უსამართლოდ დავიწყებული, განის-  
ვენებს სტეფანწმინდის სასაფლაოზე...



ალ. ყაზბეგის ბიძაშვილი – დიმიტრი (მიტკა)  
ყაზბეგი  
© (ლმ)

„დეტექტივის სცენარი“, ბევრი გარემოების გა-  
მო, ფსიქოლოგიურად ზუსტად იყო გათვლილი:  
დიმიტრიმ თავისი ბრწყინვალე სტუდენტობით  
პეტერბურგში ისე დაამასხოვრებინა თავი იმ-  
დროინდელ მეგობრებს (ილია ამბობდა: „მთელი  
თავით მაღლა იდგა ჩვენში“-ო), რომ სამშობ-  
ლოში დაბრუნების შემდეგ მისგან რაღაც განსა-  
კუთრებულს ელოდნენ; ალექსანდრემ, როგორც  
ვნახეთ, პირიქით, ახალგაზრდობისას თავი ვე-  
რაფრით გამოიჩინა; სტეფანწმინდას შეფარებული  
დიმიტრი იდუმალ ფიგურად აღიქმებოდა; ირაციო-  
ნალური და ფეთქებადი ალექსანდრე – აშკარად  
გამაღიზიანებელი იყო: დასაწყისში – განებივრებული  
ბავშვის მანერებით და „თეთრი ჩოხით“, ბოლოს კი  
– „უაკოთი“, ძველმანებით და კლეპტომანიით.

„ფიგურების განლაგება“ „საჭადრაკო დაფაზე“  
ლიზა ყაზბეგისგან ერთადერთ სვლას მოითხოვდა:  
„უსიმპათიო კლეპტომანს“ ხურდა ფულსა და ფერად  
ნაჭრებთან ერთად, „სიმპათიური სტუდენტის“  
ხელნაწერებისა და მწერლური სახელის მითვისება  
უნდა დაბრალებოდა! ლიზამ გააკეთა ეს სვლა, მით  
უმეტეს, იმდროინდელი საზოგადოების ერთი ნაწილი  
(ყაზბეგის ტერმინოლოგიით – „საქართველოს ბო-  
მონდი“) და, ნაწილობრივ, შემდეგდროინდელი  
მკვლევარნიც მზად იყვნენ დაეჯერებინათ მისთვის.

**დავით კარიჭაშვილი:** „ის გარემოება, რომ ალექ-  
სანდრე ყაზბეგი შეიქნა შემთხვევითი მექვიდრე  
დიმიტრი ყაზბეგის ქალალდებისა, თავის თავად  
არას ამტკიცებს... ძნელი დასაჯერებელია, რომ  
ამ ქალალდებში ყოფილიყვეს ის სხვილი და წვრი-  
ლი მოთხოვნები, რომლებიც ალექსანდრე ყაზ-  
ბეგმა დაბეჭდა ხუთი წლის განმავლობაში. თუ-  
კი 1872 წელს დიმიტრი ყაზბეგმა შესაძლებლად  
სცნო, დაებეჭდვინებინა „კრებულში“ პატარა სცენა  
მოხევეთა ცხოვრებიდამ – **მავნე სული**, რატომ

არ დაინახა საქოროდ გამოექვეყნებინა დიდი და საკითხავად ფრიად საინტერესო მოთხოვბები „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „მოძღვარი“, „ხევის პერი გორია“, „ციკა“? ჩვენ ეჭვიც არა გვაქვს, რომ დიმიტრი ყაზბეგის ქალალდებში იქნებოდა მისი ნაწერებიც, მაგრამ ჯერ არ გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ ეს ნაწერები იყო სწორედ ის მოთხოვბები, რომლებითაც ისახელა თავი ალექსანდრემ. ჩვენის ფიქრით დიმიტრი ყაზბეგის ნაწერები უნდა ყოფილიყვნენ სახალხო ლექსები, ლეგენდები, რწმუნებანი, ჩვეულებანი და ისტორიული გარდმოცემანი. ყველა ეს ალექსანდრეს შექმლო გაეხადა მასალად თავის მოთხოვბებისათვის.

იმ ფაქტს, რომ ალექსანდრემ, დიმიტრის სიკვდილის შემდეგ წაილო მისი ქალალდები და აღარ დაუბრუნა მემკვიდრეებს, ფაქტს, არა საქებურს და დასაგმობს, ჩვენ ვხსნით იმავე მიზეზით, რითაც აიხსნება მისგან სხვის წერილების მიმაღვა. ხოლო იმ ფაქტში, რომ ალექსანდრე ყაზბეგმა გამოიყენა თავის მოთხოვბებისათვის მასალად დიმიტრის ნაწერები, თუ ასეთი ფაქტი არსებობს, არაფერი დამამცირებელი არ არის იმის ლიტერატორულის სახელისათვის“. 111)

**პეტრე უმიკაშვილის** ელისაბედ ყაზბეგთან გაზავნილი წერილიც ნიშანდობლივია: „იქნება მართლა რამე აღმოჩნდეს დიმიტრისა. რა მოხარული ვიქნები, რომ იცოდე! მე დარწმუნებული ვარ, კარგი რამ უნდა იყოს მისი ნიჭის ნამოქმედარი. თუმცა, ვინ იცის, შემუშავებას აპირებდა და დარჩა შეუმუშავებელი. სტეფანწმინდას ჩემს ყოფნაში მისი ნაწერი ვთხოვე დიმიტრის და, როგორც მახსოვს, მითხრა, რომ ვაპირებო თუ დაწყებული მაქსო, მაგრამ გუნებაზე, წერის გუნებაზე ვერ მოვდივარ, რომ დაუჯდეო. ძალად ნამუშავრობა კი არ ვარგაო“.

1894 წლის 30 ივნისს პეტრე უმიკაშვილი ლიზა ყაზბეგს მისწერს: „მეკითხები, სანდროს და დიმიტრის ერთად რად ახსენებო, რად გინდა იცოდე იმათი ამბავიო? სწორედ უნდა გითხრა, ძალიან ღრმად ვიგრძენი და გულში ჩამეჭრა შენი გამწარებული სიტყვები. დიმიტრის კარგი თავი გაჰქრა, არაფერი დასტოვა და არავინ იცნობსო, სანდროს ვარსკვლავი სხვა სახით განათდა, მთელი საქართველო დასტირისო და საუკუნიდ სახსნებელი იქნებაო... სანდროს ცხოვრება მინდა გავიგო... ჩვენის მწერლობის და მწერლების ვითარების გაგებისათვის. დიმიტრის ცხოვრება მინდა გავიგო, როგორც კაცისა, თავისი ლირსებით და ნაკლულევანებით, რომელიც გამოუყვანია ჩვენის ხალხის და საზოგადოების ნიადაგს და მინა-წყალს... ილია ჭავჭავაძე დღესაც იტყვის ხოლმე, რომ ამსანაგებში მთელი თავით მალლა იდგა ჩვენშიო. ამისთანა კაცის ავი და კარგი რომ ვიცოდეთ, გამოგვადგება, საერთოდ ჩვენ, ქართველობას... განა მარტო მწერალი არის სადიდებელი, იმიტომ, რომ ისა სწერს? რატომ არ უნდა ვიცოდეთ სხვა, არა – მწერლის ცხოვრებაც... აი, რად ვახსენე დიმიტრი და სანდრო ერთად.“ 112)



პეტრე უმიკაშვილი  
© (ლმ)

**ვახტანგ კოტეტიშვილმა** კარგად ახსნა ამ „მზაობის“ მქეანიზმი: „საქართველომ ყაზბეგის მოსვლა სხვანაირად მიიღო: შეიძლება ეს არ იყო შეგნებული, მაგრამ განცდილი კი იყო. ყველამ იგრძნო, რომ „ელგუჯას“ ავტორი დავიწყებული ქვეყნიდან მოდიოდა და როცა ნახეს ჩვეულებრივი ქართველი კაცი, ჩოხაში გამოწყობილი, ხანჯლებით მოცეკვავე, დარდიმანდი, ალარავის სჯეროდა მისი ავტორობა. ყველას უნდოდა, რომ ავტორი ვინმე სხვა ყოფილიყო, რომელიც არავის უნახავს და რომელიც აღარ არის. ეს გამოძახილი დღესაც ისმის, მაგრამ ამას თავის ახსნა აქვს. ადამიანი, რომელმაც დაწერა „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ელისო“ და სხვა, თავის დროისათვის უცხო იყო და იქნებ ჩვენთვისაც ჯერაც არ იყოს დაახლოვებული“. 113)


**ალექსანდრე ყაზბეგის** გარდაცვალებიდან უკვე ოცდათი წელი იყო გასული, როდესაც უურნალმა „მნათობმა“ წამოიწყო ლიზა ყაზბეგის მემუარების ბეჭდვა (1924 წლის აპრილიდან – 1926 წლის იანვრამდე), ხოლო თბილისის „სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგო ფაკულტეტის ნებართვით“, ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა მიხეილ ზანდუკელმა 1924 წელს გამოაქვეყნა წიგნი, სათურით: „ალ. ყაზბეგის (ა. მოჩხუბარიძის) ორიგინალობა და დიმ. ყაზბეგი“. ალექსანდრე ყაზბეგთან „ნაგვიანევი ბატალიის“ წამომწყებ ავტორს, საომარი არსენალი, პრაქტიკულად, ლიზა ყაზბეგისაგან დარჩა მემკვიდრეობით; თავის მხრივ, „მეტი სოლიდურობისათვის“ მან წიგნის მეორე ნაწილი ისეთ ლიტერატურათმცოდნებით შტუდიებს დაუთმო, რომლებიც, მისი რწმენით, ამყარებდნენ ელისაბედის „ბიოგრაფიულ კომპრომატს“.

**პროფესორი მიხეილ ზანდუკელი (1889–1969)** ამ-ტკიცებდა, რომ ა. მოჩხუბარიძის ფსევდონიმით 1880–1885 წელს „დროებასა“ და „ივერიაში“ გამოქვეყნებული მოთხოვების რეალური ავტორი გახლდათ არა „კლეპტომანი, პლაგიატორი, სიმულიანტი, სულითა და ხორცით ავადმყოფი და ფეხენერატი“ ალექსანდრე, არამედ – მისივე ბიძაშვილი, „ხალხოსანი მოღვაწე“ დიმიტრი ყაზბეგი.

თავის ტექსტოლოგიურ „შტუდიებს“ მან დაურთო ამონარიდები დავით კარიჭაშვილისა და გიორგი ნათაძის მიერ შედგენილი ბიოგრაფიებიდან და ლიზა ყაზბეგის „ბიოგრაფიული მასალა“.

დღეს, ასი წლის შემდეგ იმ პუბლიკაციებიდან, ის „შტუდიებიცა“ და მთელი ის წიგნიც, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ლვანლმოსილი მკვლევრის და „წითელი პროფესურისგან“ განსხვავებით, უზადო რეპუტაციის ადამიანის ერთგვარ „კაპრიზად“ აღიქმება. მაგრამ ნუ დავიწყებთ, რომ ყველაფერი ეს 1924 წელს ხდება, აქ, საქართველოში, უკვე დაკარგული დამოუკიდებლობისათვის უკანასკნელი გაბრძოლების უამს..

ამიტომაც ალექსანდრე ყაზბეგის სახელის დაცვა ისეთსავე პათოსს მოითხოვდა, როგორითაც იცავენ ხოლმე ეროვნულ სიმბოლოებსა და ინსიგნიებს. სწორედ ამგვარი პათოსი აღმოაჩნდა **ვახტანგ კოტეტიშვილს** და ამის დასტურია მისი „საპასუხო გასროლა“ ერთი წლის წინ წამოწყებულ „ლიტერატურულ დუელში“ – მონოგრაფია „ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი“. 203



ვ. კოტეტიშვილის ნიგნი „ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი“

1925 წელს გამოცემული ეს 250-გვერდიანი გამოკვლევა ნაბიჯ-ნაბიჯ აცამტვერებდა პროფ. ზანდუკელის არგუმენტებს და გრაალის მცველის პათოსით ღირსებას უბრუნებდა „მოჩხუბარიძის“ შებალულ სახელს.

**მიხეილ ზანდუკელმა,** საპასუხოდ, იმავე წელს გამოსცა თავისი „ალექსანდრე თუ დიმიტრი ყაზბეგი“, რომელშიც არაფერი იყო ახალი, გარდა გულდა-საწყვეტი „დამატების“, სადაც

**ნიკო ნიკოლაძე** ავტორისადმი

გამოგზავნილ წერილში (დათარილებულია 1925 წლის 4 აგვისტოთი) სრულ სოლიდარობას უცხადებდა მას და მეტიც, საერთოდ იწუნებდა „ყაზბეგების“ პროზას (იმისდა მიუხედავად, ალექსანდრესი იყო ის თუ დიმიტრის); ანაქრონიზმად, „გადაჭარბებით გაკოხტავებულად“ მიაჩნდა და, ვგონებ, მხოლოდა „ზრდილობისათვის“ აღნიშნავდა, რომ ეს ნანარმოებები „ენის სიმშვენითა და სიმდიდრით გამოირჩევაონ“. 114)

**ნიკო ნიკოლაძე,** ქართველ „თერგდალეულთა“ სახელოვანი ნარმომადებენელი, „ულმობელი საქმის კაცი“ (როგორც არჩილ ჯორჯაძე ამბობდა) და თავად რაციონალიზმის განსახიერება – ალმაცერად რომ უყურებდა „ირაციონალურ ნეორომანტიკულს“ – გასაკვირი არა. გასაკვირი ისაა, რომ გარეშე-მოთა განწყობა ნიკოლაძისათვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ვახტანგ კოტეტიშვილის კონტრარგუმენტები პროფ. ზანდუკელის „თეორიის“ საპასუხოდ.



მიხეილ ზანდუკელი  
© (ლე)

როგორ არ დააფასებ აქ ილიას, რომელსაც, მიზეზთა გამო, პირვენულად არანაირი სიახლოვე (და არც სიმპათია) ჰქონია ყაზბეგთან (წერია კიდეც ამაზე მანსვეტაშვილის მემუარებში), მაგრამ დიდად აფასებდა, როგორც მწერალს, სათანამშრომლოდ მიიწვია „ივერიაში“ და ყველაფერს აკეთებდა, რათა შეემსუბუქებინა მისი დუხქირი ყოფა. რაც შეეხება „ცრუ-დიმიტრის სიუჟეტთან“ მის მიმართებას, როგორც ითქვა, ილია სტუდენტობის დროიდან იცნობდა დიმიტრის და, ნიკო ხიზანიშვილისა არ იყოს, გული სწყდებოდა, რომ ესოდენ იმედისმომცემი ახალგაზრდისგან არაფერი გამოდნა (უფრო დაწვრილებით ილიასა და ყაზბეგის ურთიერთობათა შესახებ იხ.: ლადო მინაშვილი, „ლიტერტურული ნარკვევები და წერილები“, თბ., 2003).

**ნიკო ხიზანიშვილს** უნდოდა, ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგების „პარალელური ბიოგრაფიების“ მაგალითზე ახალგაზრდა მკითხველისათვის განკუთვნილი ერთგვარი „მორალიტე“ შეექმნა ქართული დაუდევრობით მინავლებულ ნიჭზე (დიმიტრი) და თავდავიწყებული გზნებით მიღწეულ მოულოდნელ გამონათებაზე (ალექსანდრე). „ავტორობასთან“ დაკავშირებული კითხვები მას ნამდვილად არ აწუხებდა: ჯერ ერთი, კარგად იცნობდა და „გრძნობდა“ ალექსანდრეს და, სულაც, თვითმხილველი იყო, როგორ „აცხობდა“ თავის „ფელეტონებს“ გაზეთის სარეადაქციო ორომტრიალში „დროების“ ეს „მოუთვინიერებელი“ ავტორი.

სწორედ ამ „პარალელური ბიოგრაფიების“ შექმნაში დახმარებისთვის მიმართა ნიკო ხიზანიშვილმა 1894 წელს ლიზა ყაზბეგს, რომელმაც ამ თხოვნაში „განგების ხელი“ დაინახა და შეუდგა მემუარების წერას, რასაც 18 წელი მოანდომა. სანდროს სიჭაბუჟების წლებიდან მას მართლაც ბევრი რამ საინტერესო ახსოვდა და აღნერა კიდეც. თუმცა შემდგომ ხიზანიშვილის დაკვეთა დიამეტრულად საპირისპირო მიზნისაკენ მიმართა.



ნიკო ხიზანიშვილი  
© (ლმ)

**„ცრუ-დიმიტრის“** ისტორიულ-ლიტერატურული ექსკურსი ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ ვიტყვით, რომ ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნში მოხმობილი კონტრარგუმენტები ყოველგვარ საფუძველს აცლიდა ლიზა ყაზბეგისა და მას მინდობილი პროფ. ზანდუკელის „ბრალდებებს“.

**მიხეილ ასათანძეა,** გამოჩენილმა ქართველმა ფსიქიატრმა, იმავე წლებში თავის ორ ახალგაზრდა ასისტენტს – **ტიტე ლორნგტსა** და **ლადო კოტეტიშვილს** (ვახტანგის ძმას) დაავალა ფსიქიატრიულ ასცექტში შეესწავლათ „ყაზბეგთა ავტორობის“ საკითხი, რომელმაც იმჟამად ეგზომ ააფორიაქა ქართველი წიგნიერი საზოგადოება.

ლადო საერთოდ ჩამოშორდა ამ თემას, ტიტემ კი კვლევა განაგრძო და გასული საუკუნის 40-იან წლებში დაასრულა გამოკვლევა, რომელიც ადასტურებდა ყაზბეგისათვის დასმულ დაგნოზს – „პროგრესული დამბლისა“ (თანამედროვე ტერმინოლოგიით – „პროგრესირებადი დამბლის“) და ასახელებდა ერთადერთ მიზეზს ასეთი დიაგნოზისა: „აქ... თავის ბოროტ საქმეს შეუმჩნევლად აკეთებდა ტვინში ადრე ჩასახლებული მერთალი სპიროქეტა. ჯანგატეხილ ორგანიზმს მან უფრო ადვილად დარია ხელი. ცენტრალურ ნერვულ სისტემაში დაიწყო საბედისიწერო რღვევა, რომლის საგანგაშონიშნები შეერივნენ პიროვნების უკმარისობიდან გამომდინარე ქცევის უცნაურობებს. ამ მოვლენებში გაურკვევლობამ საპაპი მისცა და დიდხანს ასაზრდოვა ის უმართებულო აზრი, რომ ა. ყაზბეგი 1880 წლიდან პროგრესული დამბლით გონებაშერყეულ ავადყოფს წარმოადგენდა. სინამდვილეში, ამ ავადყოფობამ გაცილებით უფრო გვიან, არაუადრეს 1888 წლისა, იჩინა თავი. ამდენად, მას არ შეეძლო ა. ყაზბეგისათვის ხელი შეეშალა მის შემოქმედებით მუშაობაში“ (ამ გამოკვლევის საუკუნალო ვერსია მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ გამოქვეყნდა

ჟურნალ „ცისკარში“ – 1996 წ., №9-10).

ცხოვრების დასალიერს ყაზბეგს გაუჩნდა ერთი ბათუმელი მეგობარი, რომელიც თითქმის ათი წელი განუყრელად თან ახლდა და ბევრი წევნისა და შეურაცხყოფის გადატანა გაუადვილა. ყაზბეგის მკითხველთაგან ცოტაა ისეთი, ვინც არ იცოდეს მისი სახელი – ჟაკო.

**ჟაკო** ნამდვილად ლირსია, მასზე ცალკე შევჩერდეთ, რადგან ყაზბეგის ბიოგრაფიაში ამ არსებას სრულიად უნიკალური როლი ეკუთვნის.

აკაკი წერეთლის თქმით, ჟაკო ყაზბეგმა ბათუმიდან თვითონ ჩამოიყვანა, სხვათა აზრით კი, იგი ბათუმიდან საჩუქრად ჩამოუყვანეს. ასე თუ ისე, 1880-იანი წლებში დასაწყისში საგანგებოდ შეკერილ ჟილეტში გამოწყობილი ჟაკო თბილისში დასეირნობს ყაზბეგთან ერთად, დადის რეპეტიციებზე და რედაქციებში, უზომოდ თავნება „ყმანვილია“ და, სასაცილოა, მაგრამ მისდამი დამოკიდებულება საინტერესო რაკურსით დაგანახებთ პატრონის პორტრეტს: იაკობ მანსვეტაშვილი იგონებდა ყაზბეგის ნათქვამს: „რა ვქნა, მე უმაგისოდ გაძლება არ შემიძლიან...“ ახლა, ალექსანდრე ყაზბეგის მეგობარსა და კოლეგას, პოლივექტოს კარბელაშვილს (ცხვილოელს) მოვუსმინოთ: „...საწერი მაგიდა ცოცხმოსმული იყო; საწერელი, კალამი, ფანქარი, მელნის საშრობი ქალალდები, წიგნები, რვეულები ერთნაირად აქეთ-იქით იყო ნატყორცნი და ნაღრღენი, – სანდროს არა თუ ეწყინა ჟაკოს ასეთი თავხედობა, პირიქით დაუწყო კოცნა და გულში მიიკრა“.

როგორ გვაგონებს ყველაფერი ეს სტეფანწმინდის „სასახლეს“, პატარა სანდროს მორიგ, ჭირვეულ „სცენას“, აფორიაქებულ დედ-მამას და უკმაყოფილო დეიდების ერთმანეთში გადალაპარაკებულს: „Infant terrible!“...

შესაძლოა, უაკოს სრულიად ბუნებრივად დაეკის-რა პირადი ფსიქოთერაპევტის ფუნქცია. ისევ ცხვი-ლოელს მოვუსმინოთ: „როდესაც გაჯავრებული იყო სანდრო, „უაკო“ გაქანდებოდა და აქეთ-იქიდან ახტებოდა ზედ, ხან ტანისამოსს ეწეოდა, ხელზედ სწვდებოდა, ხან წინ აემართებოდა ორ ფეხზედ და... უცინოდა, თუ ასე ვერ გააცინებდა სანდროს... თავის გრძელ, გალეულ კუდს ხან წინ, პირისახეზედ გადმოუკიდებდა და ხან სხვა მხრივ. მხოლოდ მაშინ გაეცინებოდა სანდროს და დაუწყებდა ალერსს გონიერს უაკოს. როცა გაჯავრებული მოვიდოდა შინ და მე ვერ შევძლებდი მის დამშვიდებას და გაჯავრებისაგან გამოფხილებას, განგებ სადმე მძინარე უაკოს ავტექსავდი ხოლმე“. 115)

ისიც არაა გამორიცხული, რომ (თავდაპირველად, ყოველ შემთხვევაში) ეს ერთგვარად ეპატაური ჟესტი იყო: გროტესკული დეტალის შემოტანა აბსოლუტურად შეუსატყვის ატმოსფეროში; „მო-ნესრიგებულ საზოგადოებასთან“ თავისი განსხვა-ვებულობის, არმსგავსების ხაზგასმა (თუ ასეა – ცეცხლთან თამაშია: სიტყვა „უმსგავსის“ სემანტიკას ჩავუკირდეთ!).

დაბოლოს, არსებობს კიდევ ერთი, უაკოს, „რეპუ-ტაციის შემლახავი“ მოსაზრება ტიტე ღლონტისა, რომელმაც ყაზბეგის ავადმყოფობის ისტორიაში მი-სი „მანიების“ ჩამონათვალს საწყალი უაკოც მიუ-მატა: „ასეთივე მნიშვნელობის ფაქტია ყაზბეგის უცნაური დამოკიდებულება „უაკოს“ სახელით ცნობილ მაიმუნთან. მთელი წლების მანძილზე ალექსანდრე უბით დაატარებდა ამ არასიმპატიურ პირუტყვს და თავს მშვენივრად გრძნობდა იმ სი-ბინძურები, რომელსაც ეს უშნო ცხოველი ავრცე-ლებდა მის ირგვლივ“. 116)

ვაპატიოთ პატივცემულ ექიმს ამ უდანაშაულო არსებისადმი გამოვლენილი ანტიპათია. მან, თა-ვისი ფსიქიატრობის მიუხედავად, რატომღაც ვერ

იგრძნო, ყაზბეგის ამლვრეულ ცნობიერებაში რო-გორ შეანაცვლა უაკომ ნანატრი, არდაბადებული ვაჟიშვილი და ზუსტად ისევე ანებივრებდა ამ „უშნო ცხოველს“, როგორც მამამისი ყოვლად აუტანელ სანდროს.

ძნელია სიცოცხლეზე ხელჩაქნეული ადამიანის ყურება და კიდევ უფრო ძნელია, როდესაც ერთს რომელსამე ჟესტი ან ქმედებაში თვითმკვლელობის ნაირსახეობას ხედავ. ისე მგონია, ტოტალური სი-მარტოვისას ყაზბეგისათვის ეს უაკოს გაყიდვა იყო: „იმისთანა გაჭირვებაში ჩავარდა ა. ყაზბეგი, რომ ის თავისი საყვარელი უაკო თუმნად გაყიდა“, – ნერდა აკაკი, რომელსაც, მაინცდამაინც, არც უაკო ეხატებოდა გულზე და არც მისი პატრონი... ისე, „უაკოს გასხვისების“ რიცხვიც რომ დახსომებოდა, ჩვენც გვეცოდინებოდა, როდის დამთავრდა ალექ-სანდრე ყაზბეგის გაცნობიერებული სიცოცხლე... რაღაც თავისთავად გადავედით იმ გულსაკლავ თემაზე, რომელსაც ჩვენი თხრობის ტრაგიკული პერსონაჟის სიცოცხლის დასალიერი ჰქვია...

**დასალიერი. ვახტანგ კოტეტიშვილი:** 1880-86 წლამდე, – ეს არის ალ. ყაზბეგის შემოქმედების უმაღლესო პერიოდი, რის შემდეგაც იწყება დაფან-ტვა, დაწყვეტა და გონებრივ-ზნეობრივი პიროვ-ნების თანდათანობითი გაუქმება. მაგრამ ეს შე-მოქმედებითი პერიოდი ისეთი ინტენსიური იყო, მოვარდნილი და საოცარი, რომ ალ. ყაზბეგს, ეს შემოქმედებითი პროცესის ხასიათი ანათესავებს შემოქმედების ტიტანებთან, რომელნიც ვულკანისე-ბურად ამოხეთქავენ და მალევე ცივდებოდნენ“. 117)

**დავით კლდიაშვილი** დაღმასვლის სიმპტომებს ჩა-ინიშნავს თავის მემუარებში. რამდენიმე მინიშნებით უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს 1885 წელია: [ბათუმში] „...დასის ჩამოსვლისას გავიცანი მსახიობად მყოფი, ჩვენი სიამაყე, დიდი მწერალი სანდრო ყაზბეგი.

მაღალი, გამხდარი, ბეჭებში ცოტათი მოხრილი, მოკლე ჩოხით. იგი ვერაფერ კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი გარეგნობით; ამასთანავე თვალშიც კარგად ვერ იხედებოდა – ეს ერთ დროს თურმე შნოიანი, ლამაზი, კოხტა ყმანვილი, ამ ხანებში სულ გამოცვლილიყო. არ დაიჯერებდით მისი მნახველი, რომ ეს იყო „ელგუჯას“ და „მამის მკვლელის“ ავტორი. ლაპარაკიც კი შნოიანი არ იცოდა და სიტყვის წარმოთქმა სრულიად არ ეხერხებოდა. მახსოვს, ერთხელ ექიმ გიგო გაბაშვილის ოჯახში სუფრაზე საზოგადოებაში სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ ისეთ-ნაირად, რომ მისმა მოსიყვარულე ექიმმა უთხრა: „– სანდრო, თუ გიყვარდე შენებურად წერე და ხმა-მალა ლაპარაკას თავი დაახებე!“. 118)

გავა კიდევ რამდენიმე წელი და ჩვენი თხრობის მთავარ გმირს, მიუსაფარს და ცხოვრებაზე ხელ-ჩაქნეულს თბილისის ქუჩაში გადავაწყდებით...

**თედო სახოვა:** „ყაზბეგს ხშირად ვხედავთ ქუჩაში: დახეული ჩოხა-ახალუხი აცვია, თავზე ბუხრის ქუდი ჰელიავს, ისიც შებერტყილი, ზემოდანაც ხანგრძლივი ხმარებისაგან შელანძლული ნაბადი წამოუსხამს. ბეც თვალებს, მორღვეულებს, უსი-ცოცხლოდ აცეცებს. ერთ დროს ლამაზ სახეზე ტანჯვის, განუსაზღვრელი ტანჯვის ბეჭედი აზის. ეტყობა, არც ხალისი აქვს და ალარც ღონე, რომ თავის გარეგნობისათვის იზრუნოს, და მით უფრო, არც სხვა ზრუნავს მისი არსებობისათვის“. 119)

ცნება „შინ“ – ყაზბეგის სიციცოხლის მიწურულს – მისი დისა და სიძის (ავადსახსენებელი ფურმანის) სახლის დერეფანია, ოთახი „დროების“ რედაქციის მანსარდაში, იქამდე და მერეც – იაფფასიანი სასტუმროების ნომრები...

„ინტერიერი“ განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს! რამდენიმე აღწერა არსებობს, ზოგიერთი უკვე მოვიხმეთ. ბოლოდროინდელ სურათს პროფ.

ივანე ლოლაშვილის ჩანაწერი წარმოგვისახავს.

**ივანე ლოლაშვილი:** „1888 წლიდან ა. ყაზბეგს... თანდათანობით ნერვიული მოშლილობა დაეწყო, შემოქმედებითი მუშაობისათვის საჭირო ნებისყოფა დაკარგა, აზრისა და სიტყვის დაბოლოებას ვერ ახერხებდა, შიშის გრძნობა დაუუფლა და მისი ცხოვრება რაღაც უცნაურობების შემცველი გახდა. ყაზბეგი ჯერ ვერა გრძნობდა დაავადებას, მუშაობას არ ანელებდა, პირიქით, ბევრსა წერდა, დღე და ღამე ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა, ახალ-ახალ მოთხოვნებს იწყებდა, მაგრამ ნებისყოფა ალარ შესწევდა, რომ დაწყებული სამუშაო ბოლომდე მიეყვანა, უმიზეზოდ ანჩხლობდა, დაწერილი ქაღალდის ფურცლებს აქეთ-იქით ისროდა, თავის მოვლაზე არ ზრუნავდა, საათობით იჯდა გაჩუმებული, გარინდებული, გადა-სალებ ფერად სურათებს ეტანებოდა, ერთნაირ უმნიშვნელო საგნებს (ასანთის კოლოფებს, ფერად ნაქრებსა და მისთანებს) აგროვებდა, კლეპტომანიის სენი იპყრობდა“. 120)

ვახტანგ კოტეტიშვილი – დავით კლდიაშვილი – თედო სახოვა – ივანე ლოლაშვილი... როგორ მონიშებას იწვევს ამ ლიტერატორთა სახელებიც და მათი მიმართება ჩვენს დიდ წინაპართან.

ასე, ერთი ამოგმინვით თუ გავიხსენებთ ჩვენს მეხსიერებაში სათუთად დაგმანულ, ყველაზე მტკივნან, ძნელადამოსათქმელ და არასაღიარებ ეპიზოდებს ჩვენთვის ყველაზე ახლობელი და ყველაზე საყვარელი ადამიანების ცხოვრებიდან. შესაძლოა, ამ „საყვარელ ადამიანებს“ საუკუნე გვაშორებდეს, მაგრამ მათი ტრაგედიის ყრუ გამოძახილი თან გვდევს და არ გვასვენებს, როგორც მოუშუშებელი იარა ან ფანტომური ტკივილი.

ახლა – ერთი ყაზბეგისეული ტექსტი, რომელიც ბოლოსათვის შემოვინახეთ – მისი დაუმთავრებელი მოთხოვნების – „სულის მჭმუნვარების“ ტრაგიკული

უვერტიურა. ყოველივე ის, რის გაცნობიერებასაც მისმა მკითხველებმა საუკუნე-ნახევარი მოვანდო-მეთ, მან კი ტრაგიული სიმძაფრით წარმოთქვა ერთ უწყვეტ მონოლოგად თუ თვითგანაჩენად:

„ტიალო გულო!. ჩაკვდი და ჩაიბუგე: ჩამწვარი ჩაიფერფლე!.. რა გნადის და სად მიიბრძი?... რო-დემდის ჰერძნობდე, როდემდის იბრძოდე, როდემ-დის წადილობდე?...“

სულო აღშფოთებულო, შესდექ!.. იქმარე, ზვირთ-ნო სისხლისანო სხეულში მთებად აშენებად და მომქუხად დანგრევას. ფიქრთა და ოცნებათა ქა-რიშხა ო, მოსპეც გრგვინვით ტრიალი, რევა და ქროლვა... არ არის გზა თქვენ თქვენთვის. არ არის ბოლო. მეტად შორს წახტომი უფსკრული გიძევს შუა. ვერ მისწვდე ვარდს აღვსილსა სურნელებით!.. ვერ სწვდე ედემსა სულის დამტკბობსა, ვერ იგრძნო ნეკტარი სულის დამშვიდებისა!.. შორს, შორს განგ-შორებია იგინი... მიხედე ბულბულს და შესაძლებ-ლის მიუღწეველმა მიმართე სხვასა... არა?... არ მი-ჯერებ? მაშ გაგიხსნას ყბა დედამინამ, რომ თავის ჩახვევაში მოგცეს განცხრომა!.. მაშ გასკდეს ცა და ნიაღვარმა წალეკ-ჩაქროს დაუდეგარი ცეცხლი ცხოვრებისა... დაგრგვინვოს მეხმა ელიასამა, რომ ჩასწვას გაშმაგებული წადილი შენი, რად გასჩნდი განუსაზღვრელის წადილით?.. რად ვერ ახერხ-ებ შენის მიბრძოლების შეყენებას. რათა გლორნის წადილი ერთისა და მას ემონები?.. რისხვას ზეცი-სას მოვიწევ შენს თავზედ მოუსვენარო, ცეცხლის მფრქვევო წადილო, გამტეხო და აღმაშფოთებელო ჩემის არსებისავ!... ქმნილებავ ჯოჯოხეთის მომ-ცემო და სამოთხეთ მოსალოდნელო!.. გნახამსლა გული დღემდის ტანჯვით შენი მომლოდინე?!...“<sup>121)</sup>

ამ ტექსტის კითხვისას ცხადლივ ვხედავთ აცახ-ცახებულ, მის მიერვე გაცხადებული თვითგანაჩენის აღსრულების მომლოდინე აღექსანდრე ყაზბეგს.

**განაჩენის აღსრულების ქრონიკა: 1890 წლის 3 თებერვლიდან აღექსანდრე ყაზბეგს „ჭკუიდან შეშ-ლის აშკარა ნიშნები გამოაჩინდა, რის გამოც, ნაც-ნობ-მეგობრები იძულებული გახდნენ, რომ სა-ავადმყოფოში მოთავსებაზე ეზრუნათ“.**

**1890 წლის 8 თებერვალს** ა. ყაზბეგის მეგობარმა იოსებ მელიქიშვილმა (ცოლის ძმა სერგეი მესხისა, გაზ. „დროების“ კორექტორი) თბილისის პოლიც-მეისტერის სახელზე შეიტანა შემდეგი შინაარსის განცხადება:

„თავად აღექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგს ხუთი დღის წინ გამოაჩინდა სიგიფის შეტევები. ავადმყო-ფობამ სწრაფად მიიღო მწვავე სასიათი... ავად-მყოფი გარსშემორტყმულ ხალხზე იარაღით იწევს. ამას შეიძლება სამწუხარო შედეგი მოჰყვეს. მაქვს პატივი გთხოვთ: გამოიძიოთ ა. ყაზბეგის ავად-მყოფობის მდგომარეობა მისი საგიურთში მოთავ-სებისათვის. 1890 წ., რვა თებერვალი. იოსებ მელი-ქვევი“.

„იმავე დღეს ამ განცხადების საფუძველზე თბილისის მესამე უბნის ბატონ პრისტავის დავა-ლებით ამავე უბნის ზედამხედველმა სიმჩენკომ გამოვიძიე თავად აღექსანდრე მიხეილის ძე ყაზ-ბეგის მდგომარეობა და გამოირკვა შემდეგი: საად-გილმამულო ბანკის დირექტორმა თ. ივანე გიორგის ძე მაჩაბელმა და იმავე ბანკის წევრმა თ. დავით ზაქარიას ძე ბარათოვმა მოგცეს ჩვენება, რომ ბა-ტონი ყაზბეგი ამბობს: „ცოლსა ვთხოულობ, ქორ-ნილი მექნება მარხვაში“. მაღაზიაში 50 კაბიკიანი ჩითის ყიდვას აპირებდა და თითო არშინში ოთხ მანეთს აძლევდა. საერთოდ, უსაფუძვლოდ ლაპა-რაკობს.

სასტუმრო „საბადურის“ პატრონმა, სამსონ გამ-ცემლიძემ და მისმა მსახურმა დავით აბუთიძემ მოგ-ცეს ჩვენება, რომ „ა. ყაზბეგი უკანასკნელ დროს

„საბადურში“ იდგა ბინად. მან ორი სკამი დაწვა ღუ-  
მელში, ღამით ოთახში მდეროდა და თამაშობდა,  
საერთოდ სისულელეს ლაპარაკობს. ამ მოქმედებებს  
ისინი სთვლიან სიგიჟის ისეთ მოვლენად, რომელიც  
მის გარშემო მყოფ პირთათვის სრულიად არ არის  
საშიში“...

**10 თებერვალს** თბილისის პოლიცმეისტერმა იოსებ  
მელიქიშვილის განცხადება და საუბნო ზედამხედ-  
ველის ოქმი გადაგზავნა თბილისის გუბერნიის  
მმართველობის საექიმო განყოფილებაში.

**13 თებერვალს** ამის საფუძველზე გუბერნატორმა  
გიორგი შერვაშიძემ ზემოხსენებული დოკუმენტების  
დართვით წერილობით სოხოვა კავკასიის სამო-  
ქალაქო უწყებათა სამედიცინო ნაწილის სამმარ-  
თველოს უფროსს, რომ ავადმყოფი ა. ყაზბეგი დაუ-  
ყოვნებლივ, ურიგოდ მოეთავსებინათ თბილისის  
მიხაილოვის საავადმყოფომში.

**22 თებერვალს**, როგორც თბილისის მესამე უბნის  
პრისტავის მიმართვა ადასტურებს, „ავადმყოფი  
ყაზბეგი შეიპყრეს და ფსიქიატრიულ განყოფი-  
ლებაში მისთვის გამზადებულ ოთახში გამოამ-  
წყვდიეს“. ნინო ბიბოს ასული ყაზბეგის გადმოცე-  
მით, ეს მძიმე მოვალეობა ვაჟა-ფშაველას უკისრია.  
ოთახში შემწყვდეულ ალ. ყაზბეგს ბევრი უანჩხლია,  
მაგრამ ექიმების სხვადასხვა დაპირებით ძლივს და-  
უმშიდებიათ“. **122)**

ვინ არ იჩემებდა ყაზბეგთან მეგობრობას, მაგ-  
რამ ყველაზე მძიმე – დელიკატურ და ქალაქელი  
ინტელიგენტისათვის ძნელად საყურებელ სიტუაცი-  
აში, სწორედ ეს ჩარგლიდან ბედად ჩამოსული გე-  
ნიალური გლეხი უპატრონებს თავის განწირულ თა-  
ნამოკალმეს...

არა გასაკვირი, რომ ყველაზე წრფელი და გულ-  
შიჩამწვდომი ლექსი ალექსანდრე ყაზბეგს სწორედ  
ვაჟა-ფშაველამ უძლვნა:



ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა  
ალ. როინაშვილის ფოტო © (ლმ)

„მსოფლიო ლიტერატურაში ვაჟა და ყაზბეგი განმარ-  
ტობით არიან, და მათანვე არის მთას შეფარებული  
ქართული სულიც...“

(კიტა აბაშიძე)

## ალექსანდრე ყაზბეგის

შვილო ტანჯულის ქვეყნისავ,  
სული დაპლიე ტანჯვითა,  
მიუხვალ მამა-პაპათა  
ამოღებულის ხანჯრითა,  
ცრემლად დამდნარის გულითა,  
დაღლილი მტრისა ჯავრითა!..  
ჯავრი ტანს ნაბდად გეხვევა,  
ცრემლი მიგყვება საგძლადა  
და ტრფობა შენის ქვეყნისა  
უქმს და ხელუყურელს აბჯრადა.  
თავს დგმული ეკლის გვირგვინი  
ფერხთ-წინ დაუგდე გმირებსა,  
მამულისათვის გამწყდართა  
იმ საქართველოს შვილებსა.  
ცოცხლად იმედით მცხოვრებო,  
გთხოვ, იმათაც სცე ნუგეში!  
პირობა ქართველებისა,  
ვგონებ, მიგყვება უბეში!..  
უჩვენე შენი კალამი,  
ნაწები სისხლის გუბეში!

„ბიოგრაფიული ქრონიკიდან“: 15 თუ 16 ივნისს ალექ-  
სანდრე ყაზბეგი საავადმყოფოდან გამოწერეს.  
ნინო ყაზბეგი წერს: „გამოჯანმრთელებული სანდრო  
ისევ ჩვენთან (ბიბო ყაზბეგის ოჯახში – ი. ლ.) დაბ-  
რუნდა. ძლიერ გახარებული იყო. [...] მეორე დღეს  
სანდრო ბიბო ყაზბეგმა ბაზარში წაიყვანა, უყიდა  
თეთრი ჩოხა და, უკან რომ ბრუნდებოდნენ, გზა-  
ში შეხვდათ ვაჟა-ფშაველა. სამთავემ როინიშვილის

ფოტოგრაფიაში შეიარეს. სურათი ჯერ სანდრომ  
გადაიღო ცალკე თეთრი ჩოხით, მერმე – ვაჟასთან  
ერთად ხელგადახვეულმა“. 123)



ალ. ყაზბეგის თხზუ-  
ლებათა დ. კარიჭაშვი-  
ლისეული გამოცემა  
(1904 წ.)

„ბიოგრაფიული ქრონიკიდან“: 1891 წლის 7 თებერ-  
ვალსა. ყაზბეგი ისევ საავადმყოფოში მიიყვანეს.  
ავადმყოფობა სწრაფი პროგრესით განვითარდა.  
ერთ წელიწადში ა. ყაზბეგი ისე შეიცვალა, რომ  
გონება მთლად დაუქვეითდა.

„ბიოგრაფიული ქრონიკიდან“: 1892 წლის 4 მაისს  
თბილისის მიხაილოვის საავადმყოფოს უფროსი  
ორდინატორი წერს: „Александр Казбек доставлен в  
больницу 7 февраля 1891 года и находится в отделении  
до настоящего времени. Он страдал с самого на-  
чала и до сего времени страдает паралическим  
слабоумием, т. е. неизлечимой формой болезни.  
Настоящее его состояние такое, что он лишен почти  
способности ясно говорить и умственная сторона его  
окончательно в упадке...“. 124)

**„ბარაკის ბალკონზე“:** „1893 წელს გორიდან თბილისში ჩამომიყვანეს, მიმაბარეს სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში, ბინად კი – სულით ავადმყოფთა სამკურნალოს უფროს მრეცხავთან, რომელიც იქვე ცხოვრობდა, – იგონებდა ნიკოლოზ ტლაშაძე. – სამკურნალო მტკვრის პირას იყო, ნათლი კლდით ნაშენი. იქვე ახლოს ხის შენობა იყო, რომელსაც „ბარაკს“ ეძახდნენ. ქვის შენობაში მწვავე ავადმყოფი იყვნენ მოთავსებულნი, „ბარაკში“ – მშვიდნი. ექიმობდნენ ექ. პავლოვსკი, ორბელი და გედევანიშვილი, უკანასკნელი – განსაკუთრებით „ბარაკში“.

ამ „ბარაკის“ ბალკონზე ხშირად ვხედავდი ერთ კაცს, რომელიც იჯდა სკამზე, მარცხენა ხელზე ყბით ჩამოყრდნობილი, იდაყვით დაბჯენილი ბალკონის მოაჯირზე, თეთრი წვერით, უქუდოდ. ის იჯდა მუდამ ჩუმად და გასცემროდა ბალკონის წინ ხეებით და ბუჩქნარებით ნარგავ ფართობს.

ჩვევად მქონდა ავადმყოფთა გაღიზიანება. ამ კაცის მიმართ კი რაღაც მოკრძალებას ვგრძნობდი. მას ხშირად დიდხანს ვუცემროდი თანაგრძნობით. რაღაც წინა-გრძნობა მიზიდავდა მისკენ. მაშინ ქართულ მწერლობას არ ვიცნობდი და არც ის ვიცოდი, თუ ეს დიდი ა. ყაზბეგი იყო“ (ნიკოლოზ ტლაშაძის მოგონება). 125)

**ერთმა ლამაზმა მითმა** წამით გამოაცოცხლა ეს დამთრგუნავი ერთფეროვნება: თითქოს ყაზბეგმა თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა პარიზში, მარიოს ფსიქიატრიულ კლინიკაში მწოლიარე მოპასანს, რომელიც იმავ დიაგნოზით 18 თვე ეთხოვებოდა სიცოცხლეს და ბოლოს, 43 წლისამ, განისვენა 1893 წლის 6 ივნისს.

**ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1893 წ., დეკემბრის 10 – გარდაცვალება ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგისა, დაბადებიდან ორმოცდამეექვსე წელს.**

მოკვდა ყაზბეგი და ყველაფერი დალაგდა – მისი პირველი მტრები პირველ გულშემატკიცვრებად იქცნენ: ყაზბეგის გამამწარებელი დავით კეზელი ხომ გვახსოვს? როგორ მითქვამს „Тифлисский листок“-ში უყურადღებოდ მიტოვებულ და უდროოდ გარდაცვლილ ყაზბეგზე?! გამოსათხოვარ წერილებშიც და სახელდახელოდ დაწერილ მოგონებებშიც ბევრი იყო ბადაგი და ნაკლები – გულწრფელობა...

ზოგადქართული მიმართება კი ილიას „ივერიამ“ გამოხატა: „ორჯელ დაბადებულს ერთი სიკვდილი ვერას უზამს. ყაზბეგი კი მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი ნიჭიერი კალამი უძლვნა ქვეყანას, დაიბადა ისე, რომ მისი აკვან ყოველი ქართველის გულში ირხოდა, და ასეთს აკვანში გამოზრდილს ადამიანს კი სიკვდილი ხელს ვერ შეახებს“ („ივერია“, 1893, №269). სხვა, დანარჩენი, ყველაფერი წესითა და რიგით წარიმართა.

**თედო სახოკია** მოგვითხობს, თუ როგორ წარიმართა: „დიმიტრი ყიფიანის შემდეგ საქართველოში ასეთი ამბით მარტო ალ. ყაზბეგს ეღირსა დასაფლავება! ზღვა ხალხი, ქალი, კაცი, შეგირდობა, მწერლობის მსახურნი, საზოგადო მოღვაწენი. კუკის ხიდთან რომ იყო სამგლოვიარო პროცესის თავი, ბოლო ისევ მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოსთან ჩანდა დიდი მთავრის ქუჩაზე. გვირგვინები, გვირგვინები და კიდევ გვირგვინები!.. მანდილოსნების ხელით მოტანილ ცოცხალ ყვავილთა შორის კუბო არც ჩანდა. პროცესიამ გაიარა კუკის ხიდი, აუხვია ბარიატინსკის (ამჟამად ჯორჯიაშვილის) ქუჩას, გაიარა გოლოვინის პროსპექტი, დასაკრძალავად თავის სამშობლო სოფელ ყაზბეგში მიასვენებდნენ საქართველოს სამხედრო გზით.

ვერაზე, ჯვართან კუბო დაასვენეს. პანაშვიდი გადაუხადა სამღვდელოებამ და მოსკდა სიტყვები...

ქართველი ერი დაობლდა... გაფასებდით, გაფასებთ  
და კვლავაც დაგაფასებთ... მოიგონეს ყველაფერი,  
ხოლო არავის მოჰკონებია ფურმანი, ყველას დაა-  
ვიწყდა ადამიას სარძეო... სამ მანეთში ლექსთა  
კრებულის დაგირავება...“. 126



სამგლოვიარო პროცესია თბერასთან © (ლმ)

**19 დეკემბერს** აღ. ყაზბეგი ქვაშვეთის წმინდა გი-  
ორგის ეკლესიაში გადასვენეს. გასვენებას უამრავი  
ხალხი ესწრებოდა და არა მარტო თბილისელები  
და ქართველები. „ვერის ჯვართან“ სამგლოვიარო  
პროცესის წინაშე გამოსათხოვარი სიტყვები  
წარმოთქვეს აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ,  
გიორგი წერეთელმა, გრიგოლ აბაშიძემ, ვალერიან  
გუნიამ და სხვებმა.

**უანდარმერიის აგენტის თვალით:** „...გასული წლის  
დეკემბერში გარდაიცვალა ტფილისის საავადმყო-  
ფოში ქართველი ბელეტრისტი ალექსანდრე  
ყაზბეგი. ეს მწერალი დიდი ხანი იყო სულით

ავადმყოფი და იტანჯებოდა. სიცოცხლეში მას-  
ზე სრულიად არავინ არ ზრუნავდა და არც ფიქ-  
რობდა. მაგრამ მოკვდა თუ არა, ქართველებმა  
ასტებეს ერთი განგაში. მისმა სიკვდილმა მისცა  
საშუალება ქართველებს თუ მთელი ქვეყნისათვის  
ვერა, კავკასიისათვის მაინც, რომ ისინიც არსე-  
ბობენ (როგორც ეს ჩაიდინეს სომხებმა არნუნის  
გასვენებაზე). მიცვალებულის გვამის დაკრძალვა  
ერთი კვირით შეაჩერეს და ყოველ დღე რამდენი-  
მეჯერ იხდიდნენ პანაშვიდებს, რომლებსაც დიდ-  
ძალი საზოგადოება ესწრებოდა (განცხადებანი ამის  
შესახებ ყოველ დღე იძეჭდებოდა ადგილობრივ გა-  
ზეთში).



ქაშვეთის ტაძარი © (სკმდეს)

როგორც ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება,  
აგრეთვე ყაზბეგის გვამის დიდი პატივით დასაფ-  
ლავება, უნდა ვიგულისხმოთ, მოხდა სომხების  
ზეგავლენით, რომელთაც იმდი ჰქონდათ, რომ  
ეს ამბები გამოიწვედა პოლიციასთან შეტაკებას,  
რომლის დროსაც უეჭველათ ექნებოდა ადგილი დიდ

სისხლის ღვრას, თუ სახეში მივიღებთ ქართველების თავმოყვარეობას და სიფიცხეს“. 127)

**ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1893 წ., დეკემბრის 22 – დაკრძალვა სოფელ სტეფანწმინდაში, მამა-პაპის გვერდით, თავისივე სახლის ეზოში.**

„ქართველ მწერლებს უნდოდათ მისი დაკრძალვა თბილისში, მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიის ეზოში, მაგრამ ბიბო ყაზბეგმა განაცხადა: მე რომ დაგთანხმდეთ, მთელი ხევი გადამასახლებსო. ალ. ყაზბეგი დაკრძალეს თავის სამშობლო სოფელ სტეფანწმინდაში“. 128)



სამგლოვიარო პროცესია ვერის ჯვართან © (ლმ)

„დეკემბრის თვის მრისხანე თოვლ-ქარ-ბუქში, სწორედ იმ დროს, როდესაც ყოველ მგზავრს უჭირს და ერიდება სამხედრო გზით მოგზაურობას, რადგანაც ბიდარის მთაზე ზვავების გამო ხშირია უბედური შემთხვევები, ყაზბეგელები (ე. ი. სტეფანელნი) და მათთან ერთად სიონისა და სწორის მაშინდელი საზოგადოება, სულ ორასზე მეტი ცხენოსან-ფეხსანი მოხევე, მიეგება ბიდარის მთაზე სანდროს ცხედარს, რომელსაც ბიძაშვილები ბიბო (ადამ) და რაფიელ (ფილო) ყაზბეგები მოაცილებდნენ თბილისიდან. ყოჩალმა მთიელებმა ცხედარი ეტლითურთ ხელ და ხელ გადმოიტანეს ჯვრის უდელტეხილზე. სოფ. სწორი დახვდა დიდალი ხალხი: მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი. მანდილოსნები მოთქმით ტიროდნენ. ერთი მათგანი გულსაწვავი სიტყვებით მოიხსენიებდა რომელიმე ქართველ მწერალს ან მეფეს და სხვანი მანდილოსანნი ბანს ეუპიროდნენ სიტყვებით „სადარო იმისააო“...“. 129)

**„ყაზბეგის ფენომენი“ ვახტანგ კოტეტიშვილის თვალით:** „ასე იცხოვრა და შემოქმედების ცეცხლით დაიფერფლა ადამიანი, რომელსაც სულ რომ არა-ფერო დაეწერა, მხოლოდ ბიოგრაფია შეინახავდა მკაცრი ისტორიის ხსოვნაში. ხოლო რაც დაწერა, ეს იყო და არის ქართული გზნების, ფანტასტიკის და ტკივილების დაუშრეტელი აუზი, ეროვნული რომანტიკა, გმირობის აპოლოგია, და ადამიანურის, ნამდვილ ადამიანურის დაკარგვის გამო აგოდებული სული. ეს არის მოცემული იმ საზღვრებგადალახულ შემოქმედებით, რომელიც გვიტაცებს და გვაოცებს კიდეც“. 130)



გერონტი ქიქოძის  
© (ლმ)


რდობის დროს ცრემლები არ დაეღვაროს ყაზბეგის მოთხრობებზე, მაგრამ იშვიათია ისეთიც, რომელიც მის მოთხრობებს ატყვია და რომელიც მათს ემოციურ ზეგავლენას აძლიერებს, მაგრამ მათს მხატვრულ სრულყოფას ხშირად ზიანს აყენებს. იშვიათია ისეთი ქართველი მყით-ხველი, რომელსაც ახალგაზ-

რდობის დროს ცრემლები არ დაეღვაროს ყაზბეგის მოთხრობებზე, მაგრამ იშვიათია ისეთიც, რომელსაც მათი ნაკლი არ ეგრძნო უფრო გვიან“. 131)

**თამაზ ჭილაძის თვალით:** „არიან მწერლები, რომელთა შემოქმედებაც თითქოს თავისთავად მოითხოვს ორჯერ ნაკითხვას – ერთხელ ბავშვობაში, მეორედ კი ხანდაზმულობის ჟამს. თითქოს მათ მთლიანად გაგებისათვის საჭიროა, როგორც ყრმის ნდობა, ასევე ჭარმაგი კაცის გამოცდილება თუ სიბრძნე“. 132)

„საოცარ ვარსკვლავზე დაბადებული“ ალექსან-დრე ყაზბეგის თვითდახასიათება: „ჩემი არსება გა-დაბმულია ჩემი ქვეყნის არსებასთან უხილავის ძალით... სადაც უნდა ეტკინოს ჩემს ერს, მისივე ტკივილი მეც მაგრძნობინებს და მის გუნების გვარად მოაწყობს ჩემს გუნებასაც. ამ დღეში მყოფის წადილი ნაღველის ამოღვრისა, თავის მახლობელთან, თავის არსების შემადგენელს ნაწილთან, არის წესიერი, ჩვეულებრივი და აუცილებელი მოვლენა! მისი გამოთქმის უფლება აქვს ცველას, საერთო ტკივილის დროს კვნესა ერთისა, არის უფლება თვითონულისა

და წმინდა მოვლენის შეხება უწმინდურის ხელითა არის კაცისათვის უღირსი საქციელი, მისივე დამამ-ცირებელი საქციელი. ამ ფიქრებმა, ამ აზრმა დაბადა ჩემი პიესები, მოთხრობები და ლექსები“. 133)



ალექსანდრე ყაზბეგის საფლავის ძეგლი (1894)  
ირმა დოლიძის ფოტო

1886 წელს, კრიტიკოსთაგან გაპეზრებული ყაზბეგი სასონარკვეთით წერდა: „...რაღაც გზას მიღობავთ? გამიშვით სხვაგან, იქნება იქაც სადმე შეხვედე ელგუჯას ან კიდევ მის პროტოტიპს, ანმყო სავაგლახ-სატირალს წარმომადგენელთ! გამიშვით დავიტირო ჩემი მკვდრები ამისთვის, რომ ჩემნი არიან და ჩემი გული მიიბრძვის მათკენ!..“.

ნეტა, თუ შეხვდა?! თუ შეხვდა იმათ, ვისზედაც ამნაირი ექსპრესით ყვებოდა; იმათაც, რომლებსაც კარგად იცნობდა და რომლებთანაც ცხოვრების ყველაზე წარმტაცი დღეები აკავშირებდა, და იმათაც, ვინც თვალით არ ენახა, მაგრამ არანაკლებ უყვარდა?!

ალბათ, მართლაც უფრო ბედნიერი იყო იმ წარმოსახულ სამყაროში, სადაც ალმაცერად არავინ უყურებდა; სადაც ეგულებოდა რაინდები, ვისთანაც ძმობა და მეგობრიბა ენადა ამ მარტოსულ და ნატანჯ იდალგოს... იმ სამყაროში, სადაც ასე გაშინაურდა მოჩხუბარიძის გვარით ცნობილი მისი ორეული, ალექსანდრე ყაზბეგს ეგულებოდა ოდენ იქ შემორჩენილი ქართულ-კავკასიური რაინდული პირველსაწყისი. სადღაც, სულის სილრეში, სიყმანწილიდანვე სჯეროდა, რომ მთელ ცხოვრებას ამ საწყისის მსახურებას შესწირავდა, წმინდა გრაალის მაძიებელი რაინდის მსგავსად და საძულველ „საქართველოს ბომონდს“ სულიერი სრულყოფის შარავანდედმოსილი წარუდგებოდა; ოდესლაც, ჭაბუკური ამპარტავნების წამს, გაუმჯდავნებია კიდეც თავისი ეს ფარული მიზანი... მაგრამ, მერე, ფრთხებმოტეხილს, სწორედ იმ ბომონდისაგან განკიცხულს და განრიდებულს, როდესაც მზალოსავით „სიცოცხლის ისევე ეშინოდა, როგორც სიკვდილის“, მხსნელ სავანედ ისევ და ისევ კავკასიის მთები ესახებოდა; ის მთები, სადაც თავის გმირებს მიუჩინა ბინა და მათთან იმქვეყნიურ შეხვედრას ლამობდა.

ერთ თავის გაუგზავნელ წერილში ამ გატანჯულ ადამიანს აღმოხდა: „**მე არც ცოლი, არც შვილი, არც თუ სხვა რომელიმე გულის შემატევარი არ დამრჩება, თუ საქართველოში ჩვენი დროის პირველის ბელეტრისტის სახელი არ დამრჩა...“.**

ყოველივე ამას წერდა 1886 წელს, როდესაც მისი ბელეტრისტიკის ყველა შედევრი უკვე შექმნილი იყო, თვითონ კი, უკვე დაღმასვლის ნიშნებით დამფრთხალი, თავგანნირვით ებლაუჭებოდა იმ წარმოსახულ ქიმს, სადაც თავისი წიგნები ეგულებოდა და სადამდე ასვლასაც მთელი ცხოვრება მოანდომა...

„ყოფნა-არყოფნის“ დილემა ალექსანდრე ყაზბეგს „აღიარება-არაღიარების“ კითხვად შემოუბრუნდა და არავინ იცის, როგორი იყო თავად ყაზბეგის საბოლოო პასუხი...

ეგების იდუმალმა ხმამ მაინც აუწყა, რომ მისი სახელი – „თავისი დროის პირველი ბელეტრისტისა“ სამარადისოდ დამკაიდრდა და ქართული პრიზის ოლიმპს მწვერვალ ყაზბეგზე გადაანაცვლებს.

იმ მწვერვალიდან, თუ გავირინდებით, შესაძლოა, ჩვენც გავიგონოთ ერთი, დაუოკებელი გულის წინასწარმეტყველური ამოძახილი: „...და შემოვალ საქართველოს კარებში დიდებით!“

რამდენიმე მოგონებაში ამოიკითხავთ, რომ როდესაც სიცოცხლის ბოლო დღეებში ალექსანდრე ყაზბეგს „მიხეილის სავადმყოფოს“ პალატაში მისი ახალგამიცემული წიგნი მიუტანეს, მან გადაშალა, დააჩერდა თავის ფოტოს, „მერე ამოხია იგი და გადაყარა იქით“.

აგრძესიული ჟესტი, რაღაც თქმა უნდა, ავტორის შეშლილობას მიაწერეს. არადა, ხომ შეიძლება ეს დაბინდული გონების წამიერი გამონათება ყოფილიყო: სიმბოლური აქტი-მინიშება, რომ მისი სურათი ისევე შეუშლის ხელს მისი წიგნის მკითხველს, როგორც თავად გარიყული ყაზბეგი უშლიდა ხელს მისი შემოქმედების ღირსეულ აღქმას.



ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი სტეფანწმინდაში  
ავტორი – ირაკლი ოჩიაური. XX ს. 80-იანი წე.

## ბიბლიოგრაფია და კომენტარები:

ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებანი და კომენტარები  
ციტირებულია მწერლის

თხზულებათა სრული კრებულიდან (თსკ):

ალ. ყაზბეგი, თსკ., ტ. 1. თბ. 1948.

ალ. ყაზბეგი, თსკ., ტ. 2. თბ.: 1948ა.

ალ. ყაზბეგი, თსკ., ტ. 3. თბ.: 1949.

ალ. ყაზბეგი, თსკ., ტ. 4. თბ.: 1950.

ალ. ყაზბეგი, თსკ., ტ. 5. თბ.: 1950ა.

აგრეთვე: ალ. ყაზბეგი, თხზულებანი. წინასიტყვაობის  
ავტ. დ. კარიჭაშვილი. თბ.: 1904.

„ქართული ყაზბეგიანადან“ განსაკუთრებული მადლიერებით უნდა მოვიხსენიო ორი დოკუმენტური ნაშრომი, რომელთა გარეშეც, უბრალოდ ვერ გავრის სავდი ნამომენცყო მუშობა ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიაზე. ესაა – ი. გორგაძისა და ნ. გურგენიძის 1998 წელს გამოცემული „ალ. ყაზბეგი – ცხოვრებისა და შემოქმედების ბიობიბლიოგრაფიული ქრონიკა: მატიანე (1848-1893) და ეთერ ავსაჯანიშვილის მიერ 1988 წელს შედგენილი „ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა“ (მის თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით). რაც შეეხება „მფარველ ანგელოზს“ ალექსანდრე ყაზბეგის ნაკვალევის ძებნაში საბედისწერო ბილიკზე შემდგარი მკვლევრისათვის, ეს, რაღა თქმა უნდა, – ვახტანგ კოტეტიშვილი იყო!

## სრული ბიბლიოგრაფია ასე გამოიყურება:

- 1) ა. ფრონელი, „მთიულეთი“, თბ., 1896, გვ. 7.
  - 2) დიმიტრი კარიჭაშვილი, ელისაბედ თარხნიშვილის ვაჟიშვილისადმი გაგზავნილ წერილზე (14. XI. 1869 წ.) დაყრდნობით, მიჩნევდა, რომ მწერალი დაიბადა 1847 წლის 14 ნოემბერს. დ. კარიჭაშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია“ – წიგნში ა. ყაზბეგი (ა. მოჩხუბარიძე), თბილებანი, ტფ., 1903. გვ. I. (შემდგომში: დ. კარიჭაშვილი და შესატყვისი გვერდი რომაული ციფრებით).
  - 3) ვ. კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი“, ტფ., 1925, გვ. 10. (შემდგომში: ვ. კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი...“).
  - 4) ზ. ჭიჭინაძე, „ალექსანდრე ყაზბეგი“. „ლიტერატურის მატიანე“, წიგნი 3-4, თბ., 1942 წ. გვ. 292. (შემდგომში ზ. ჭიჭინაძე, „ალექსანდრე ყაზბეგი“).
  - 5) ელ. ყაზბეგი, „მასალები ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიისათვის“, უურნ. „მნათობი“, 1924, №7-8, გვ. 313.
  - 6) თსკ., ტ. 5., გვ. 209.
  - 7) ვ. კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი...“, გვ. 16.
  - 8) ზ. ჭიჭინაძე, „ალექსანდრე ყაზბეგი“, გვ. 209.
  - 9) ი. გრიშაშვილი, „ლიტერატურული ნარკევები“, თბ., 1952, გვ. 303
  - 10) ელ. ყაზბეგი, „მნათობი“, 1924, №7-8, გვ. 313.
  - 11) ელ. ყაზბეგი, „მნათობი“, 1924, №5, გვ. 206).
  - 12) თსკ., IV, გვ. 253.
  - 13) ვ. კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი...“, გვ. 12.
  - 14) ზ. ჭიჭინაძე, „ალექსანდრე ყაზბეგი“, გვ. 293.
- შენიშვნა:** „50 ცხენი ყაზბეგების „სასახლის“ საჯინიბოში“, რაღა თქმა უნდა, ავტორისეული გადამეტებაა.

- 15) ი. ჭავჭავაძე, თბილებები 20 ტომად, ტ. XIV, გვ. 444 (ავტობიოგრაფია ბროკვაუზის ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის).
- 16) ზ. ჭიჭინაძე, „ალექსანდრე ყაზბეგი“, გვ. 293.
- 17) ზ. ჭიჭინაძე, „ალექსანდრე ყაზბეგი“, გვ. 294.
- 18) კრებული: „ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა“, თბ., 1988., გვ. 78-79 (შემდეგში – „ცხოვრება...“).
- 19) „ლიტერატურის მატიანე“, წიგნი 5, ნაკვეთი პირველი, თბ., 1949, გვ. 70.
- 20) ელ. ყაზბეგი, მოგონებანი, ტ. I, ლიტერატურის მუზეუმის ფონდი № 022823.
- 21) თსკ., ტ. 5., გვ. 175.175
- 22) ნ. ბარათაშვილი, „პირადი წერილები“, თბ., 2015, გვ. 16.
- 23) „ცხოვრება...“, გვ. 82.
- 24) თსკ., ტ. V, გვ. 177-178.
- 25) თსკ., ტ. 5., გვ. 177.
- 26) იქვე.
- 27) თსკ., ტ. 5., გვ. 179.
- 28) თსკ., ტ. 5., გვ. 117-180.
- 29) თსკ., ტ. 5., გვ. 183.
- 30) თსკ., ტ. 5., გვ. 180.
- 31) თსკ., ტ. 5., გვ. 200.
- 32) თსკ., ტ. 5., გვ. 201.
- 33) თსკ., ტ. 5., გვ. 541  
დედის პასუხი [24]
- 34) ვ. კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი...“, გვ. 30-31. [34]
- 35) თსკ., ტ. 4., გვ. 245-246.
- 36) თსკ., ტ. 5., გვ. 203-207.
- 37) დ. კარიჭაშვილი, გვ. XXIX.

- 38) რ. ჩხეიძე, „ყაზბეგიანა“, თბ., 2005, გვ. 539
- 39) („ცხოვრება...“, გვ. 41)
- 40) გაზ. „ივერია“, 1898, № 52
- 41) ვ. კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი...“, გვ. 40
- 42) თსკ., ტ. 3., გვ. 177
- 43) თსკ., ტ. 3., გვ. 219
- 44) თსკ., ტ. 1, გვ. 13-14
- 45) „ცხოვრება...“, გვ. 173-174
- 46) ი. ღადუა, „ალექსანდრე ყაზბეგის დრამატურგია“. კრებულში – „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“, თბ., 2017. გვ. 45
- 47) ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალ. ყაზბეგის ფონდი, №24.
- 48) თსკ., ტ. 1., გვ. 443-469.
- 49) თსკ., ტ. 5., გვ. 212-213.
- 50) დ. კარიჭაშვილი, გვ. XXII
- 51) გაზ. „ქართული სიტყვა“, 1924, № 4-9.
- თარგმანი: „ალექსანდრე ყაზბეგის სავაჭრო: აქ იყიდება არაყი და ღვინო“.
- 52) იქვე.
- 53) „ცხოვრება...“, გვ. 180.
- 54) იქვე, გვ. 135.
- 55) „ბიოგრაფიული ქრონიკა“, გვ. 29.
- თარგმანი რუსული ორიგინალიდან:
- „გაცნობებთ, რომ წერილი დაგნერე დუშეთის მომრიგებელი მოსამართლის, თავ. ილიკო ჭავჭავაძის სახელმწი, რათა მან გაიძულოთ სასწავლოდ დამიპრუნოთ ვალი და რომლისგანაც პასუხს ველი; ამასთანავე, გაფრთხილებთ, რომ კვირანასევრის შემდეგ ჩემს ძმას დავავალებ, ეს ვალი გადაგახდევინონ პროცენტებისა და სასამართლო ხარჯების ჩათვლით, თამასუქის ვადის გასვლის დღიდან; ამ უკანაკნელ ქმედებას არ

- ვაპირებდი, მაგრამ ეს თქვენ თვითონ მაიძულეთ [.....] ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩემი 2000 მან. დაახლოებით, 3 წელია, რაც გმართებთ, სინდისიც კარგი საქონელია!“
- 56) ელ. ყაზბეგი, „მნათობი“, 1924, №7-8, გვ. 206.
- 57) ვ. კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი...“, გვ. 54-55
- 58) ი. გრიშაშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც მსახიობი“. წიგნში: „ლიტერატურული ნარკევები“, თბ., 1952. გვ. 303
- 59) ორიგინალი რუსულ ენაზე: Г. Туманов Характеристика и воспоминания. кн. I. 2-е изд. 1913. გვ. 119-121.
- 60) თსკ., ტ. 5., გვ. 186
- 61) თსკ., ტ. 5., გვ. 195
- 62) პიესას ერქვა „ერთი უბედურთაგანი“.
- 63) „ცხოვრება...“, გვ. 39.
- 64) თსკ., ტ. III, გვ. 621.
- 65) გ. ტაბიძე, თხზ. 12 ტომად, ტ. XII, გვ. 67.
- 66) „ცხოვრება...“, გვ. 254-255.
- 67) დ. მესხი, „მოგონებანი“, თბ., 1940, გვ. 75-79.
- 68) ი. ჭყონია, „ჩემი დღე და სოფელი“ (ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი), ჟურნ. „მნათობი“, 1928, №8.
- 69) დ. კარიჭაშვილი, გვ. XXVI.
- 70) იქვე.
- 71) გ. გაჩეჩილაძე, „თოკის ხსენება ჩამოხრმიბილის სახლში“, ჟურნ. «Литературная Грузия», 2003, № 4-6. ქართული ორიგინალი.
- 72) დ. კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების გზაზე“ (მოთხოვბები და პიესები), თბ., 1947, გვ. 646-647.
- 73) ვ. კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი“, გვ. 124-125
- 74) იქვე
- 75) ვ. ითონიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი“ (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები), თბ. 2006. გვ. 78.

- 76)** რ. ჩხეიძე, „ყაზბეგიანა“, თბ., 2005, გვ. 79.
- 77)** გ. ნათაძე, „მოგონებანი“, ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი №989-6.
- 78)** თსკ., ტ. 5., გვ. 112
- 79)** ი. გრიშაშვილი, „თეატრალური წერილები“, თბ., 1960. გვ. 62.
- 80)** თსკ., ტ. 5. გვ. 153.
- 81)** გ. გაჩეჩილაძე, „თოკის ხსენება ჩამოხრმობილის სახლში“, უურნ. «Литературная Грузия», 2003, № 4-6. **ქართული ორიგინალი.**
- 82)** იქვე-ქართული ორიგინალი.
- 83)** ან. კობაიძე, გაზ. „ქართული სიტყვა“, 1924, №4-9,
- 84)** ი. ბურდული, „მოგონებანი“, „ცხოვრება...“, გვ 182.
- 85)** გაზ. „შრომა“, 1883, № 12.
- 86)** კ. აბაშიძე, „ეტიუდები“, თბ., 1962, გვ. 306.
- 87)** დ. გამეზარდაშვილი, ნინასიტყვაობა წიგნისა – კ. აბაშიძე, „ეტიუდები“, გვ. 064.
- 88)** წერილიდან ილია ოქრომჭედლიშვილისადმი. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 7, თბ., 1991 გვ. 87
- 89)** გაზ. „ივერია“, 1881 წ. ნოემბრის მონინავე სტატია.
- 90)** კ. ყიფიანი, „მოგონებები, წერილები“, თბ., 1965, გვ. 34
- 91)** გ. მეგრელიძე, „ქართული თეატრი და ეროვნული მოძრაობა“ – კრებულში – „ჩვენი ღირსებანი“ (წიგნი VII), თბ., 2016, გვ. 100.
- 92)** თსკ., ტ. V, გვ. 111
- 93)** მ. საფაროვა-აბაშიძე, „მოგონებანი“, უურნ. „მნათობი“, №5, 1947.
- 94)** ი. გრიშაშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, თბ.; 1952 წ. გვ. 303.
- შენიშვნა:** ავტორისული მტკიცება, რომ „ყაზბეგს არა-ვითარი ამპლუა არ გააჩნდა“ – უზუსტობაა, რადგან „ა. მოხევის“ კოლეგათა მოგონებებში ხშირადაა ნახსენები მისი ძირითადი ამპლუა – „უან-პრემიერის“ ანუ „ახალგაზრდა მოარშიყისა“.
- 95)** ვ. კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი...“, გვ. 10
- 96)** ა. ფურცელაძე, „მცირე მოგონება ალექსანდრე ყაზბეგზე“, „ცხოვრება...“, გვ. 2810
- 97)** გაზ. „ივერია“, 27 აპრილი, 1886.
- 98)** კ. აბაშიძე, „ალექსანდრე ყაზბეგი“. წიგნში „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბ., 1962, გვ. 325.
- 99)** გ. აბზიანიძე: „ალექსანდრე ყაზბეგი“ – წიგნში „ქართველი კლასიკოსები“, თბ., 1950, გვ. 259.
- 100)** თსკ., ტ. 5., გვ. 195 **101)** თსკ., ტ.V, გვ. 552.
- 102)** დ. კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების გზაზე“, თხზ. სრული კრებ. ორ ტომად. ტ. II, თბ., 1952, გვ. 143.
- 103)** „ალექსანდრე ყაზბეგი ბათუმში“ (მოგონება.). „ცხოვრება...“, გვ. 354-355.
- 104)** ელ. ანდრონიკაშვილი, მოგონება, „ცხოვრება...“, გვ. 364-365
- 105)** „ალწერილობა“, გვ. 165-166.
- 106)** თ. სახოკია, „ჩემი საუკუნის ადამიანები“, თბ., 1989, გვ. 57.
- 107)** თარგმანი რუსული ორიგინალიდან:
- „ძვირფასო სანდრო, ამ ცოტა ხნის წინ ერთი ძალიან კარგი საჩუქარი მივიღე, სამელნე და შენდლები. წერილი არ ახლდა. არ ვიცი ვისგანაა, მაგრამ უხვდები. არავის შეუძლია იყოს ასეთი ყურადღებანი და ამდენი იყოქროს ჩემზე, თუნდაც შორსმყოფმა, როგორც შენ, ჩემო საყვარელო სანდრო. თუ ეს შენა ხარ, დიდად გემადლიერები. საჩუქარი ძალიან მომენტონა და კიდევ უფრო მომენტა და გამიხარდა შენი ყურადღება; ყველაფერმა ამან კი გამახარა, მაგრამ უსიამოვნებანიც იყო: ეს ისაა, რაზეც შენ ალბათ ფიქრობ, რომ შენ

და შენი საქმენი მე სულ არ მაინტერესებს, ასე რომ არ ყოფილიყო, იმ საჩუქარს წერილსაც დაურთავდი. თუმცა, შესაძლოა, ჩემი დაინტერესება გინდოდა და წერილს ცალკე გამოაგზავნი. ბევრი რამის მოწერა მინდოდა შენთვის, მაგამ მაჩქარებენ. მეორე ჯერზე ნამდვილ წერილს მოგწერ. ახლა მარტო იმაზე მოგწერ, რომ ჩვენ აქ სპექტაკლს ვდგამთ, რომელშიც მეც ვმონანილეობ. გამიხარდებოდა, შენც რომ მოგეხერხებინა სპაქტაკლზე დასწრება... გაკოცებ შუბლზე. როდის გვენვევი. ჩვენებიც გკოცნიან. შენი ლიზა ყაზბეგი“.

**108)** ელ. ყაზბეგი. მოგონებანი. ტ. II, ლიტერატურის მუზეუმის ფონდი № 022823.

**109)** იქვე.

**110)** ელ. ყაზბეგი. მოგონებანი. ჟურნ. „მნათობი“, 1925, №11-12

**111)** დ. კარიჭაშვილი, გვ. XXXIV.

**112)** მიხ. ზანდუკელი, „ალექსანდრე თუ დიმიტრი ყაზბეგი?“, ტფ., 1925, გვ. 110-111.

**113)** ვ. კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი“, გვ. 145.

**114)** მიხ. ზანდუკელი, „ალექსანდრე თუ დიმიტრი ყაზბეგი?“, ტფ., 1925, გვ. 175.

**115)** „ცხოვრება...“, გვ. 276-277.

**116)** ჟურნ. „ცისკარი“, 1996 წ., №9-10.

**117)** ვ. კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი“, გვ. 70.

**118)** დ. კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების გზაზე“, თხზ. სრული კრებ. ორ ტომად. ტ. II, თბ., 1952, გვ. 144.

**119)** თ.სახოკია, „ჩემი საუკუნის ადამიკანები“, თბ., 1984, გვ. 61.

**120)** ი. ლოლაშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრების უკანასკნელი წლები“, კრებ-ში „ლიტერატურის მატიანე“, №7-8, თბ., 1982, გვ. 317-318.

**121)** თსკ., ტ. 4., გვ. 112.

**122)** დოკუმენტები „განაჩენის აღსრულების ქრონიკა-ში“ ციტირებულია ივანე ლოლაშვილის გამოკვლევიდან „ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრების უკანასკნელი წლები“.

**123)** „ცხოვრება...“, გვ. 370.

**124)** თარგმანი: „1891 წლის 7 თებერვალს ალექსანდრე ყაზბეგი სავადმყოფოში მოიყვანეს და იგიამდრომდე განყოფილებაში იმყოფება. მას თავიდანვე და ამ დრომდე პარალიტიური გონებრივი დაქვეითება აქვს, ანუ მოურჩენელი ავადმყოფობა. ამჟამად მისი მდგომარეობა ისეთია, რომ თითქმის წაერთვა გარკვევით მეტყველების უნარი და გონებრივი მხრივაც საბოლოო დაღმასვლაა...“.

**125)** „ცხოვრება...“, გვ. 392

**126)** თ. სახოკია, „ჩემი საუკუნის ადამიანები“, თბ., 1969. გვ. 61.

**127)** ი. გრიშაშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, გვ. 319.

**128)** ი. ლოლაშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრები...“, გვ. 332.

**129)** ნაწყვეტი იაგორ ლუდუშაურის მოგონებიდან, ციტირებული ი. ლოლაშვილის გამოკვლევაში, „ლიტერატურის მატიანე“ 7-8, გვ. 332.

**130)** ვ. კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი“, გვ. 77.

**131)** გ. ქიქოძე: რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტომი I. თბ., 1963. გვ. 220.

**132)** თ. ჭილაძე, „პირველად იყო სიტყვა“, თბ., 1993. გვ. 188.

**133)** თსკ., ტ. 5., გვ. 203-207.

## დამატებანი:

მეფე ერეკლეს წერილი გაბრიელ ყაზბეგს (1791 წ.)

„ჩვენს მაგივრად ყაზბეგიშვილს გაბრიელს მოკითხვა ეუწყოს. მერე შენი წიგნი მოგვივიდა, რაც მოგენერა, ყველა შევიტყვეთ. შენ როგორც ჩვენი სიტყვა გაქვს, ისე ყველას დაუარე და შეატყობინე მზად იყვნენ. თაგაურებისა რომ მოგეწერა ზოგიერთის კაცისა, ცალკე დაპირდით რამეო, ჩვენგან ეგ არ იქნება, ამიტომ რომ მაგათ ჩვენი წყალობაც სჭირო, ჯამაგირებიც აქვთ. მოვლენ თავიანთ ჯამაგირსაც აიღებენ ხოლმე და სხვაც მიეცემათ ხოლმე. ნიადაგ ჩვენი მადლიერნი წასულან და ახლა მაგგვარი ლაპარაკები რად უნდათ?

როდის უნახავთ, რომ ჩვენ მაგათოვის გვემტყუნებინოს და, თუ მაგათ არ უნდათ, ჩვენ სხვა გზასაც ვიშოვნით და იმაზე მოვიყვანთ ჯარს. მძევლების რომ მოგიწერია, როგორც კვლავ მომხდარა, ახლაც ისე უნდა მოხდეს. ხიდების გაკეთებისა ჩვენის შვილის ალმასხანისათვის მიგვიწერია და ალბათ, რომ გააკეთებინებს. შენ ყველას ახლავ შეატყობინე, რომ ყველანი მზად იყვნენ და როგორც ჩვენი კაცი მოუვიდესთ, ისე წამოვიდნენ“.



გენერალ-ლეიტენანტი გაბრიელ ყაზბეგი

## ნინო შიოლაშვილი

### ყაზბეგების საგვარეულო ისტორიდან (ყაზბეგთა გენეალოგია)

XX საუკუნის დასაწყისში სტეფანწმინდის მოსახლეობა დაახლოებით 100 კომლს შეადგენდა. სოფელში იდგა სადგურის ორსართულიანი ქვის შენობა, რომლის პირველ სართულზე რესტორნის დიდი დარბაზი და მგზავრების საერთო ოთახები, ხოლო ზედა სართულზე სასტუმროს ნომრები იყო განთავსებული. სოფელში იყო ფოსტა-ტელეგრაფის შენობა, კეთილმოწყობილი ორი სასტუმრო – „გრანდ-ოტელი“ და „ევროპა“, კარგი რესტორნებით. სასტუმროს ტერასებიდან მყინვარწვერისა და სამების ტაძრის ლამაზი ხედები მოჩანდა. სადგურის წინ მოედანზე ყვავილნარით მოწყობილი იყო ძეგლი-შადრევანი, რომელიც 1888 წელს იმპერატორ ალექსანდრე III-ისა და მისი ოჯახის წევრების კავკასიაში მოგზაურობის აღსანიშნავად იქნა დადგმული.



ალ. ყაზბეგის ნათესავები ② (ლმ)



ალ. ყაზბეგის სანათესაო — ადამ (პიბო), გიორგი, ვახტანგ და სანდრო ყაზბეგები ③ (ლმ)

რუსთის საიმპერატორო ხელისუფლებამ სოფელ სტეფანწმინდასა და მწყინვარწვერს მწერლის პაპის, გაბრიელ ყაზბეგის პატივსაცემად სახელი შეუცვალა და ყაზიბეგი, ყაზბეგი უწოდა.

ალექსანდრე ყაზბეგის წინაპარი საისტორიო დოკუმენტებში პირველად XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან, თავდაპირველი გვარით – ჩოფიკაშვილით იხსენიება.

ხევში არსებული ცნობის თანახმად, ჩოფიკაშვილების წინაპარი ყოფილა ვინმე ჩოფიკა, რომელიც ჩრდილო კავკასიოდან, ინგუშეთის სოფელ არწივიდან (არწი-იდან) საქართველოში გადმოსახლებულა და სტეფან-შმინდაში დამკვიდრებულა. ჩოფიკაშვილების გვარი-დან დაწინაურდა ყაზი, იგივე ყაზიბეგ 1) და ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის მეფობის დროს ხევის ოთხი სამოურავოდან ერთ-ერთის, სტეფანშმინდის მოუ-რავი იყო. ლტოლვილობაში მყოფი მეფისთვის ყაზი-ბეგს გარკვეული დახმარება აღმოუჩენია და ამის სანაცვლოდ მას მეფისთვის თავისი მამულის, ყმის და სახელოს ხელმეორედ დამტკიცება უთხოვია. იგი 1733 წელს რუსეთში ხლებია მეფეს და მადლიერების სანაცვლოდ ვახტანგის შვილს, ბაქარს მამის მიერ ბოძებული მოურაობის წყალობის სიგელი განუახ-ლებია და კვლავ სტეფანშმინდის მოურავად დაუდ-გენია – „უამთა ვითარებისაგან რუსეთს მივედით, შენ, ყაზიბეგ, ჩვენის ერთგულებისა და სამსახურის გულისათვის მოსკოვს მოხვედი: და რაოდენი ძალ გედვა დიდად ერთგულად გვემსახურე: ამა შენისა მრავალ გარჯილობისა და ნამსახურობის სანუგე-შოდ მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და შე-ნისავე ნაქონის ყმისა და მამულისა სახელოების მო-უშლელობასა და სიმტკიცეს დაგვეაჯენით: ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და დაგიმტკიცეთ რომელიც სახელოდ გჭეროდეს – სტეფანშმინდა და გერგეტი, ცდო და გველეთი სამოურავოთა“. თუ რა სამსახური გაუწია ყაზიბეგმა ქართლის სამეფო კარს – უცნობია. საინტერესოა, რომ იმავე 1733 წელს მთიელ თავკაცებს – გუდამაყრელებს, მთიულებს, მოხევებს, თაგაურებს და ქისტებს, ერთად დაუდვიათ ფიცი რუსეთში გადახვენილი ვახტანგ VI-ის ერთგულებასა და ქვეშვერდომობაზე და საქართველოში დაბრუნებას სთხოვდნენ მას – „ქ. სულ ერთპირათ შეყრის ამ მოხვეთ თაყვანისცემა მოგვიხსენებია და თქვენს ერთგულებაზედ დაგვიფიცავს და ეს კაცი გვიახ-

### ლეგიან. ჩვენს სიტყვას ეს კაცი მოგახსენებენ...“.

არაა გამორიცხული ყაზიბეგს მისიონერული როლი ეკისრა და მთიელ თავკაცთა მიერ დადგებული ფიცისა და ერთგულების პირობის თანხმობა პირადად მოეხ-სენებინა მეფისათვის.

სტეფანშმინდის მოურავობა ყაზიბეგ ჩოფიკაშვილმა ერეკლე II-ის მეფობის პერიოდშიც შეინარჩუნა, იგი 1774 წლის არაგვის ხეობის ხალხის აღნერის დავ-თარში სტეფანშმინდის მოურავია, ხოლო შემდგომი დროის, 1781 წლის, აღნერაში ყაზიბეგ ჩოფიკაშვილი აღარ იხსენიება, სავარაუდოდ ამ დროისათვის ის გარდაცვლილია.

ყაზიბეგ ჩოფიკაშვილს ცოლად ჰყავდა კობიევის ასული (მეუღლის სახელი უცნობია), და ვაჟიმშვილები, 1774 და 1781 წლების აღნერებში ყაზიბეგის ოთხი შვილია მოხსენიებული – იასე, ბაადური, გაბრიელი და ივანე, ხოლო მიხეილ გაბრიელის ძის, ალექსანდრე ყაზბეგის მამის, მიერ 1820 წელს შედგენილ ყაზბეგთა გენეალოგიური (ცხრილის მიხედვით („ნათესავ-მეტყველება აზნაურთ ყაზიბეგოვთა“) დასახელებულია ექსი ვაჟიმშვილი – იასე, ბაადური, გაბრიელი, ივანე, მიქეილი და გიორგი (ბოლო ორი ვაჟიმშვილი მცირე-ნლოვნები გარდაიცვალნენ).

თავად ყაზიბეგი რუსულენოვან დოკუმენტებში დიმიტრის სახელით იხსენიება.

ყაზიბეგ ჩოფიკაშვილის გარდაცვალების შემდეგ სტეფანშმინდის მოურავობა მის შუათანა შვილს გაბ-რიელს გადაეცა. ყაზიბეგის შვილებმა თავდაპირ-ველი გვარი ყაზიბეგიშვილით შეცვალეს და ამით გაე-მიჯნენ თავიანთ მონათესავე სახაზინო გლეხებს – ჩოფიკაშვილებს. ყაზიბეგის შთამომავლები ქართულ წერილობით წყაროებში ყაზიბეგიშვილად, ხოლო რუსულ დოკუმენტებში – ყაზიბეგოვად, ყაზიბეგად, ყაზიბეგად და ყაზბეგად იხსენიებიან.

ალექსანდრე ყაზბეგის პაპის, გაბრიელის დაბადე-

ბის ზუსტი თარიღი ცნობილი არაა, იგი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა დაბადებულიყო. სტეფანწმინდაში მისი მოურავობა ქართლ-კახეთისა და რუსეთის სამეფოების ურთიერთობის გააქტიურების პერიოდს ემთხვევა. გაბრიელი მამის სიცოცხლეშივე აქტიურად იყო ჩართული საქართველო-რუსეთის დიპლომატიურ ურთიერთობებში. იგი 1772-1773 წლებში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით მონვეულ ცნობილ მეცნიერსა და მოგზაურს იოჰან გიულდენშტეტს თან ახლდა ჩრდილო კავკასიის ექსპედიციაში და სამი თვის განმავლობაში თარჯიმნობას უწევდა მას. მოგზაური გაბრიელს ყაზბეგ ცობიკაის/ნობიკაის შვილად იხსენიებს.

გაბრიელს ხშირი მიმოწერა ჰქონდა საქართველოს სამეფო კართან. იგი ერეკლე II-სთან, გიორგი XII-სთან და ბატონიშვილებთან დაახლოებული პირი იყო. მათი წერილები ჩვენს დრომდეა მოღწეული, დაცულია კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში. სამწუხაროდ, სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში გაბრიელ ყაზბეგის საბუთები არ არის დაცული. საჭიროდ ვთვლით ალვნიშნოთ, რომ, რადგან გაბრიელ ყაზბეგის სხვა მემორიალური ნივთები არ მოგვეპოვება, სტეფანწმინდის რეაბილიტირებული ისტორიული მუზეუმის ექსპოზიციაში, უმჯობესია, გატანილ იქნეს ზემოთ ხესნებულ სიძველეთსაცავებში დაცული დოკუმენტების ასლები.

სტეფანწმინდის მოურავ გაბრიელ ყაზბეგის მოვალეობაში შედიოდა საქართველოს სამხედრო გზის სოფელ ლარსიდან სოფელ სტეფანწმინდამდე მგზავრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გზის მოწესრიგება, ხიდების შეკეთება, ჯარისთვის დახმარების აღმოჩენა. მეფე გიორგი XII 1800 წელს გაბრიელ ყაზბეგს სწერდა: „ქ. ჩვენი ბრძანება არის, ყაზბეგიშვილო გაბრიელ!

...მომავალი რუსის ჯარისათვის მარხილი და საპალნის ცხენები უნდა გამოგზავნო. ეს მარხილები და ცხენები რომ მოგივიდეს, შენ უნდა გაუძღვე და ლარს მიიყვანო... როგორც შენის ერთგულებისაგან ვიცოდეთ, ამ საქმეზე ისე ბეჯითად უნდა მოიქცე და შენის ჯამაგირის მაგიერს წყალობას ჩვენგან მიიღებ“.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდგომ გაბრიელ ყაზბეგმა „შეუდრეველი ერთგულება გამოიჩინა რუსეთისადმი“. მან რუსეთის განსაკუთრებული ნდობა 1804 და 1812 წლების აჯანყებების დროს მოიპოვა. ორივე აჯანყებისას სტეფანწმინდა მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა.

გაბრიელი და მისი ძმები აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოვიდნენ. გაბრიელს ალექსანდრემ, იულინმა და ფარნაოზ ბატონიშვილებმა მოციქულები გაუგზავნეს და გვერდით დგომა შესთავაზეს. მაგრამ გაბრიელმა უარით უპასუხა – რუსეთს ერთგულება შევფიცე და არ შემიძლია ფიცის გატეხაო. ამბოხებულებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, სტეფანწმინდა აიღეს, რუსები გაძარცვეს და დაატყვევეს. გაბრიელმა ტყვეების გამოსახსნელად საკუთარი ხარჯი გასწია, ხოლო მძევლად თავისი შვილი და ძმიშვილი მისცა. გაბრიელის ერთგული საქციელი პავლე ციცანოვმა იმპერატორ ალექსანდრე I-ს აცნობა: „მაიორი ყაზბეგი შეუდრეველ ერთგულებას იჩენს რუსეთისადმი, თავისი ჯიბიდან გაიღო 1000 მანეთი რუსის ტყვეთა გამოსასყიდად და საკუთარი შვილი მეამბოხებს მძევლად მისცა...“ ამ ერთგულებისათვის რუსეთის ხელისუფლებამ გაბრიელს, მის ძმას და ძმიშვილებს სამხედრო წოდებები უბოძეს: გაბრიელ ყაზბეგს 1803 წელს – მაიორის, 1808 წელს – პოდპოლკოვნიკის და 1813 წელს გენერალ-ლეიტენანტის წოდება ებოძა. სამხედრო წოდებები მიენიჭა გაბრიელის ძმასა და ძმიშვილებს: იაგორ (იგივე გიორგი) იასეს ძემ 1804 და იოსებ ივანეს ძემ 2) 1805 წლებში მიიღეს კაპიტანობა,



ყაზბეგიანთ ქალები ⑧ (ლმ)

ხოლო ივანე ყაზბეგის (დიმიტრის) ძემ, მისმა შვილმა ლაზარე ივანეს ძე და სიმონ გიორგის (იაგორის) ძე ყაზბეგებმა 1813 წელს – პოდპორუჩიკობა. გარდა სამხედრო წოდებისა მათ დაენიშნათ წელიწადში გარკვეული ჯამაგირი.

გენერალ-ლეიტენანტი გაბრიელ ყაზბეგი გარდაიცვალა 1817 წლის 10 მარტს სტეფანწმინდაში. დაკრძალულია საგვარეულო სასაფლაოზე, თავისივე აშენებულ კარის ეკლესიის წინ, გალავნის ეზოში.

გაბრიელ ყაზბეგს ცოლად ჰერქეზთა ბატონის მურთაზოვის ასული, რომელსაც ნათლობის შემდეგ ელისაბედი დაარქვეს. შეეძინათ ხუთი შვილი: მიხეილი, ნიკოლოზი, სოფიო, ეკატერინე და ნინო. გაბრიელის უფროსი ქალშვილი სოფიო ცოლად გაჰყვა დუშეთში მაცხოვრებელ აზნაურ გრიგოლ ყარანგოზის (ყარანგოზოეს), ხოლო ეკატერინე და ნინო ჩრდილო კავკასიაში ოს აზნაურებზე – დუდაროვსა და ესენოვზე გათხოვდნენ. 3)

გაბრიელის უფროსმა შვილმა მიხეილმა, ალექსანდრე ყაზბეგის მამამ, სრუნლოვანების ასაკში მამის თანამდებობა ჩაიბარა და „ხევის გამგებელი“ გახდა. ერთი ცნობის თანახმად, იგი 1802 წელს, ხოლო მეორე ცნობით 1805 წლის 15 ივნისს დაიბადა. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში; მიხეილმა თავი გამოიჩინა გენერალ ერმოლოვის მიერ მთიელების წინააღმდეგ წარმოებულ ომში და ამის გამო 1819 წლის 13 თებერვალს ებოძა პრაპორშჩიკის წოდება; მთელი სამხედრო მსახურება გაატარა კავკასიაში. მონაწილეობდა მთიელთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში, მიიღო შემდეგი სამხედრო წოდებები: 1820 წელს პოდპორუჩიკის, 1836 წელს – პორუჩიკის, 1842 წელს – შტაბ როტმისტრის, 1843 წელს – როტ-მისტრის, 1845 წელს დალესტნის ექსპედიციაში თავის გამოჩენისათვის მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება; 1850-1859 წლებში იყო თბილისის გუბერნიის მთიელი ხალხის უფროსი; 1859 წელს გათავისუფლდა აღნიშნული თანამდებობიდან და იმავე წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება; მიხეილი 1852 წლის 1 თებერვალს დააჯილდოვეს წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით.

მიხეილ ყაზბეგი გარდაიცვალა 1866 წლის 18 ივნისს, 4) სოფელ ფასანაურში, ინსულტის შედეგად. დაკრძალულია სტეფანწმინდაში, საგვარეულო ეკლესიის ეზოში, მეუღლის, ელისაბედ თარხნიშვილის, გვერდით. მან სიცოცხლეშივე თავისი და მეუღლის სახელ-



აღ. ყაზბეგის ბიძაშვილი  
– ადამ (ბიბო) ყაზბეგი  
© (ლმ)

ზე გუმბათიანი საფლავი ერთ ბერძენ ხელოსანს შეუკვეთა, მაგრამ შეპირებული თანხა არ გადაუხადა, ხელოსანმაც მიატოვა საქმე, საფლავის გუმბათზე ჯვარი აღარ გააკეთა და საფლავი დაუმთავრებელი დატოვა, იგი დღემდე პირვანდელ მდგომარეობაშია.

მიხეილ ყაზბეგი ორჯერ იყო დაქორწინებული, მისი პირველი მეულეო გახლდათ ქეთევან დიმიტრის ასული საგინაშვილი (ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილი და გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე საგინაშვილის და), დაქორწინდნენ 1819 წელს. ქეთევანთან მიხეილს შეეძინა ორი შვილი კონსტანტინე და ბარბარე, რომლებიც მცირენლოვნები გარდაიცვალნენ. ადრეულ ასაკშივე გარდაეცვალა მეუღლეც. ქეთევანის გარდაცვალების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, სავარაუდო იგი 1843 წელს უნდა გარდაცვლილიყო. მიხეილ ყაზბეგს 1843 წლის 1 აპრილს დაუწერია ლექსი „საყვარლის განშორებაზედ მწუხარება“, რომელშიც კარგად ჩანს საყვარელ ადამიანთან განშორებით გამოწვეული მისი შინაგანი განცდა (ლექსი

დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ 1859 წლის №7-ში). მიხეილმა მეორედ ესტატე თარხნიშვილის ასულ ელისაბედზე 5) იქორწინა, რომელიც იყო მეფე გიორგი XII-ის შვილთაშვილი ქალიშვილის ხაზით და იოსებ თუმანიშვილის ქვრივი, ელისაბედთან მიხეილს 1848 წლის 8 იანვარს ალექსანდრე შეეძინა.



ნინო ადამის ას. ყაზბეგი ქმარ-შვილთან ერთად  
© (ლმ)

რაც შეეხება გაბრიელის მეორე ვაჟიშვილს, ნიკოლოზს, იგი პორუჩიკის ჩინით გარდიცვალა. ნიკოლოზი დაიბადა 1808 წელს. სწავლა-განათლება თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში მიიღო. ერთხანს სამხედრო სამსახურში იყო. მონაწილეობას იღებდა 1826 წელს გენერალ-ლეიტენანტ თავად მადათოვის ხელმძღვანელობით დევნილ ალექსანდრე ბატონიშვილის შეპყრობაში, იმავე წლის 13 სექტემბერს მონაწილეობა მიიღო ელიზავეტპოლთან 6) ბრძოლაში სპარსეთის ჯარის წინააღმდეგ; 1830 წლის 8 ივლისიდან 6 აგვისტომდე იმყოფებოდა გენერალ-მაიორ აფხაზოვის სადამსჯელო ექსპედიციაში თაგაურელი ოსებისა და ქისტების წინააღმდეგ. დაჯილდოებული იყო ხელმწიფე-იმპერატორის ვერცხლის მედლით



ალ. ყაზბეგის ბიძა-  
შვილი – რაფიელ  
(ფიდო) ყაზბეგი  
© (ლმ)

1826 წლის სპარსეთთან ომში მონაწილეობისათვის. გარდაიცვალა 1868 წლის შემოდგომაზე, დაკრძალულია სტეფანწმინდაში, საგვარეულო სასაფლაოზე. 7)

თავისი ქალიშვილის, ელისაბედის დახასიათებით ნიკოლოზი „...ნამდვილი ტიპიური მთის კაცი იყო ჩოხა-ახალუხით, უთუოდ ხანჯალ შემოკრული (უხანჯლოთ არც დღე და არც ღამე ფეხს არსად გასდგამდა, ძილის დროსაც კი თავქვეშ ედო ხანჯალი) დამასურათებელი იყო ყველა მთის წეს-ჩვეულებათა... თავის დროს დაგვარათ კარგათ იყო გაზრდილი: პირველათ რომ რუსებმა თბილისში სასწავლებელი გახსნეს (მგონი ფცორიანსკი შკოლას ეძახდნენ, რომელიც შემდეგ | კლასიკურ გიმნაზიათ გარდააკეთეს) იქ სწავლა დამთავრებულმა რუსულ-ქართული ზედმინევნით იცოდა: განსაკუთრებით ლა-მაზად სწერდა ქართულად. მშვენიერი მოლაპარაკე იყო და განვითარებული, კარგი ცხენოსანი, კარგი და მარჯვე თოვფის მსროლელი, შესანიშნავი მუხლ-მაგარი და მარტო ჯიხვებზე მონადირე იყო...

ნიკოლოზ ყაზბეგი პირველად 27 წლის ასაკში და-ქორწინდა. 8) ჰყავდა სამი მეუღლე, შეეძინა რვა შვილი.

ნიკოლოზის პირველი მეუღლე იყო სოფელ ლარ-სში მცხოვრებ აზნაურ ჯახოთან დუდაროვის ასუ-ლი სალომე, დაქორწინდნენ 1835 წელს, სალომე გარდაიცვალა 1850 წელს, მასთან ნიკოლოზს შეეძინა ექვსი შვილი: დიმიტრი (მიტკა), გიორგი, გაბრიელი, ელისაბედი, ოლდა და რაფიელი (ფიდო).

1853 წელს ნიკოლოზმა მეორედ იქორწინა კავკავის ოლქის სოფელ სანიბაში მცხოვრებ აზნაურ თემურყო კუნდუხოვის ასულ სოფიოზე, რომელიც ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მისგან ნიკოლოზს შვილი არ ჰესაძენია.

1857 წელს მან მესამედ იქორწინა კავკავის ოლქის სოფელ ხუმალაქში მცხოვრებ აზნაურ ეგორ დუდაროვის ასულ ელენეზე, რომელთანაც შეეძინა კიდევ ორი შვილი: იოანე, იგივე ივანე (იანის სახელით ცნობილი) და ქალიშვილი ელენა.

ყაზბეგების საგვარეულოდან ყველაზე ცნობილი და საზოგადო მოღვაწეები ნიკოლოზის მემკვიდრეები იყვნენ. მისმა უფროსმა შვილმა დიმიტრიმ, რომელიც სტეფანწმინდაში ახალგაზრდა მოხევეების სწავლა-განათლებაზე ზრუნავდა, 1857 წელს დაამთავრა თბილისის გაუთა | გიმანაზია, შემდეგ უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთს გაემგზავრა, მაგრამ პოლიტიკური მოძრაობის გამო სწავლა გერმანიაში გააგრძელა. დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი. 1865 წელს სამშობლოში დაბრუნდა და საკუთარ სახლში გახსნა სკოლა. (ცნობილი სასულიერო პირი და პედაგოგი გიორგი ნათაძე, 9) რომელიც 30 წელი პედაგოგიურ მოლ-ვანეობას ეწეოდა სტეფანწმინდაში, დიმიტრი ყაზბეგის შესახებ წერდა: „დიმიტრის ფიქრი და მისწაფება მუდამ სახალხო იყო; სოფელი, სოფლის ხალხში ყოფნა, მათი ჭირსა და ლხინში მონაწილეობის მიღება და მათი ცხოვრების შემსუბუქება ენატრებოდა, ერის ცხოვრების უმთავრეს დედაბურჯად დიმიტრის

სოფელი მიაჩნდა; დაბინავდა სოფელში და დაიწყო ხალხის ცხოვრებაში მოყვანა და მათი ქონებრივი გაუმჯობესება: „შეადგინა პატარა წრე გლეხებისაგან და უნდოდა მათი დახმარებით გაეტარებინა ხალხში თავისი აზრები“. გიორგი ნათაძე დიმიტრის დას ელისაბედს სწერდა: „დიმიტრის სახელი ხალხის თვალში შარავანდედით არის შემკული: მისი სიტყვები ანდაზებად არის გადაქცეული“.

დიმიტრი ყაზბეგი წერდა მოთხრობებს, შემორჩენილია მისი მხოლოდ ერთადერთი ნაწარმოები „მავნე სულები“, რომელიც მოხევეთა ცხოვრებას ეხება, დაიბეჭდა მისსავე სიცოცხლეში უურნალ „კრებულის“ 1872 წლის ნომერში. იყო ილია ჭავჭავაძის მეგობარი. მისი ცხოვრება საკმაოდ ტრაგიკულად წარიმართა. მან თავისი ცხოვრება დაუკავშირა თავის შინამოსამსახურე გლეხის ქალს, რის გამოც საკუთარმა და-ძმებმა გარიყეს. დიმიტრის დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა თავის მეუღლესთანაც. „რაც დრო და ხანი გადიოდა, ეს უსიამოვნება უფრო მძლავრი და აუტანელი ხდებოდა, რადგანაც დიმიტრი ჯვარს არ იწერდა, ტასო (ცოლი) კი ამას დაუზინებით თხოულობდა. ტასო სამშობლოში წასვლას და შვილების წართმევას დღემუდამ თურმე ექადდა. გააფთრებული მანდილოსანი აღარაფრად თურმე ზოგავდა“. ოჯახური უთანხმოების გამო 1869 წლიდან დიმიტრიმ თავის და-ძმებთან კავშირი გაწყვიტა, გარდაიცვალა 1880 წლის თებერვალში, სტეფანწმინდაში, ფილტვების ანთებით, მეუღლისა და და-ძმებისგან მიტოვებული. დიმიტრის ჭირისუფალი მისი ბიძაშვილი ალექსანდრე იყო და მანვე დაკრძალა. დაუკრძალავთ ეკლესიის გალავანში, საკურთხევლის მხარეს. სამწუხაროდ, მისი საფლავი დაკარგულია. ცნობილი პუბლიცისტი პეტრე უმიკაშვილი 1894 წელს საყვედურით სწერდა დიმიტრი ყაზბეგის დას, ელისაბედს, „1881 წელს სტეფანწმინდას ვიყავი ერთი კვირა და დიმიტრის საფლავი ვნახე (უბრალო ჭაჭის ქვა ედვა წარწერით, ქვა ნუთუ ვერ დაადებინეთ?)“.



ალ. ყაზბეგის ბიძაშვილი – გენერალი გიორგი ყაზბეგი  
© (ლმ)

დიმიტრი ყაზბეგს ანასტასიასთან შეეძინა შვიდი შვილი, დიმიტრის შვილებს თავის ნათესავებთან მამის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შექმნათ. საბოლოოდ დიმიტრის და-ძმებმა მისი შვილები ძმიშვილებად აღიარეს და დიდი ბრძოლის შემდეგ მამულიდან წილიც მიიღეს.

ნიკოლოზ ყაზბეგის სამი ვაჟიშვილი (გიორგი, გაბრიელი და ივანე) სამხედრო მოსამსახურები იყვნენ. შედარებით უკეთესად არის შესწავლილი გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ყაზბეგის (1840-1921 წწ.) ცხოვრება და მოღვაწეობა. აღსანიშნავია, რომ მან სტეფანენინდის სახლში დის, ელისაბედის, დახმარებით გახსნა დაწყებითი სკოლა.

გიორგი ნათაძე 1897 წლის 12 ივლისის გაზეთ „ივერიაში“ წერდა: „ჯერ სამოცდაათ წლებში განსვენებული დიმიტრი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი ცდილობდა ჩაეგონებინა როგორმე ხალხისათვის, რომ სკოლა დაეკარსებინათ. მთელი თავისი სიცოცხლე ამის მეცადინეობაში იყო, მაგრამ ვერაფერს გახდა, შემდეგ მისმა ძმამ გიორგი ყაზბეგმა ...1880-1881 წელს დაარსა საკუთარი სკოლა... ამ სკოლაში ბატონი გიორგი ყაზბეგი, მისი მეუღლე და ერთიც გლეხი პავლე ლუდუშაური ასწავლიდნენ ბავშვებს...“.

გიორგი ყაზბეგს აქვს ნაშრომები სამხედრო გეოგრაფიის, ისტორიისა და ტოპოგრაფიის დარგში. 1874 წელს ისტორიულ სამხრეთ საქართველოში მოგზაურობის დროს აღმოაჩინა XII-XVII საუკუნეებში შედგენილი „ტბეთის სულთა მატიანე“.

1908-1918 წლებში გიორგი ყაზბეგი უცვლელად თავმჯდომარეობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. გამგეობის ყოფილი წევრი, ღვანლმოსილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იპოლიტი ვართაგავა თავის მოგზაურებში გიორგი ყაზბეგის შესახებ წერს: „თითქმის ცხრა წლის განმავლობაში ვმუშაობდი



ალ. ყაზბეგის  
ბიძაშვილი ელისაბედ  
(ლიზა ყაზბეგი).  
გურია, 1877/78 წწ.  
© (სპეც)

გიორგი ყაზბეგთან და სინდისის ქვეშ ვამპობ, რომ მან სრულიად გაამართლა საზოგადოების ნდობა და პატივი. ...იმ დიდ ეროვნულ საქმეს, რომლის სათავეში ქართველმა საზოგადოებამ ის დააყენა, იგი ჭაბუკური ენერგიით, გატაცებითა და წინდახედულად უძღვებოდა. ყველა საქმეს, ყველა საკითხს, რაც „საზოგადოებას“ ჰქონდა გასაკეთებელი და გადასაწყვეტი, ყაზბეგი წინასწარ დეტალურად სწავლობდა. საკითხების განხილვისა და გადაჭრის დროს საღ აზროვნებას, ნათელ გონებას და ღრმა ანალიზის უნარს იჩინდა. ის სრულებით არ იყო სადეკორაციო თავმჯდომარე, ფიქტორი წინამძღვრი. ის ნამდვილი, ფაქტორი სელმძღვანელი იყო გამგეობის მუშაობისა“.

გიორგი ყაზბეგი გარდაიცვალა 1921 წელს სტამბოლში, დაკრძალულია იქვე, მისი საფლავი დღეს უკვე დაკარგულად ითვლება.

გიორგი ყაზბეგის მეუღლე იყო ელისაბედ მალაპავლი, შეეძინათ ოთხი შვილი: ერთი ქალიშვილი – ელენე და სამი ვაჟიშვილი. მისი სამივე ვაჟიშვილი

დაიღუპა პირველ მსოფლიო ომში: უფროსი შეიღი ნიკოლოზი, თათართა პოლკის უფროსის ადიუტანტი, დაიღუპა კარპატებში 1915 წლის 16 იანვარს. გად-მოასვენეს ყაზბეგში. მეორე ვაჟიშვილი ალექსანდრე, პოდპოლკოვნიკი, ერთ-ერთი ბრძოლის დროს უგზო-უკვლოდ დაიკარდა, მესამე ვაჟი კონსტანტინე, კა-პიტანი, მსახურობდა სარკინიგზო ბატალიონში, და-იღუპა ავტოკატასტროფის დროს 1915 წლის 14 ივნისს.

ნიკოლოზ ყაზბეგის ვაჟიშვილი გენერალ-მაიორი გაბ-რიელ ყაზბეგი (1842/3-1905წ.). იყო 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. მსახურობდა კავ-კასიის სამხედრო ოლქის ჯარში, 1887 წელს დაინიშნა ტამანის 150-ე ქვეითი პოლკის მეთაურად.

რაც შეეხება ნიკოლოზის ნაბოლარა ვაჟს, გენე-რალ-მაიორ ივანე ყაზბეგს (1860-1943 წწ.) (მას ძირი-თადად იან ყაზბეგის სახელით იცნობენ), დაამთავრა პეტერბურგის I სამხედრო გიმნაზია; 1912 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება; მონაწილეობდა 1914-1918 წლების პირველ მსოფლიო ომში. 1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, სამხედრო სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსად. 1921 წლიდან ნავიდა ემიგრაციაში, ჯერ თურქეთში, შემდეგ პოლონეთში; 1921-1931 წლებში ქართველ ოფიცერთა ჯგუფთან ერთად კონტრაქტორად მსახურობდა პოლონეთის ჯარში. გარდაიცვალა 1943 წლის 2 დეკემბერს ქ. ვარშავაში, დაკრძალულია იქვე. ნიკოლოზ ყაზბეგის ერთ-ერთი ვაჟიშვილის, რაფიელის (ფიდო) (1850-1918 წწ.), შესახებ საზოგადოებისთვის თითქმის არაფერია ცნობილი. იგი გახლდათ საზოგადო მოღვაწე; ინჟი-ნერ-გამომგონებელი. 1879-1899 წლებში იყო ქარ-თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. წერდა მოთხოვნებსა და ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას, რუსულიდან თარგმნა ნარკვევი იან ჰუსზე; „Новое Обозрение“-ში დაბეჭდა

მოთხოვნები „ხანჯალი“, რაფიელი აქტიურად იყო ჩარ-თული ქართული ხალხური სიმღერების აღდგენა, ალორძინება, შეგროვების საქმეში. გაზეთ „ივერია“-ში გამოაქვეყნა საინტერესო ნარკვევი ქართული ხალხუ-რი მუსიკის შესახებ.

ნიკოლოზის უფროსი ქალიშვილი ელისაბედ (ლიზა) ყაზბეგი, დაიბადა 1844 წელს სტეფანწმინდაში. 1872 წელს წავიდა პეტერბურგში საბებიო ინსტიტუტში სწავლის მისაღებად. სწავლობდა პეტერბურგის სამე-ანო კურსებზე. იგი თავის ძმა რაფიელთან (ფიდოს-თან) ერთად მონაწილეობას იღებდა ხალხოსნურ ორ-განიზაციაში, რის გამოც 1874 წელს დაპატიმრეს და ციხეში ორი წელი დაჲყო, 1876 წელს პატიმრობი-დან გაათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნდა. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს მოხალისედ ჩაენერა წითელი ჯვრის ქართულ რაზმში. 1887/8 წელს ახალციხის მაზრაში დაიწყო ბებიაქალად მუშაობა. 1904-1905 წლებში პორტ-არტურის ბრძო-ლების დროს მოწყალების დად მუშაობდა. ეწეოდა ქველმოქმედებას, სოფელ სტეფანწმინდის სამკითხვე-ლოსა და სკოლისთვის გაიღო ფულადი შენირულობა და წიგნები. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელები საზოგადოების წევრი. გარდაიცვალა 1910 წლის 25 ივლისს, დაკრძალა 28 ივლისს სტე-ფანწმინდაში, საგვარეულო სასაფლაოზე.

აქვს მემუარული უანრის ჩანაწერები, სადაც იგი ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა ავტორად საკუთარ ძმას, დიმიტრის აცხადებდა. გამოქვეყნდა ურნალ „მნათობის“ 1924-1926 წლების ნომრებში.

ნიკოლოზის ქალიშვილი ოლღა მონაწილეობას იღებდა ქართული თეატრალური დასის წარმოდგენებ-ში, გათხოვდა ალექსი-მესხიშვილზე და ცხოვრობდა სოხუმში.



გიორგი ყაზბეგი ცოლ-შვილთან ერთად.  
მარცხნიდან სხედან: მეუღლე – ელისაბედ მალალაშვილი,  
გიორგი და მათი ვაჟიშვილი ნიკოლოზი;  
დგანან: კონსტანტინე, ელენე და ალექსანდრე © (სპებ)

## შენიშვნები:

- 1) სახელი შედგება ორი სიტყვისგან ყაზი და ბეგი. ბეგი გახლავთ ტიტული, რომელიც თურქულ ენაზე ბატონს, მბრძანებელს ნიშნავს. ყაზი ჩიფიკაშვილს ბეგის ტიტული, გადმოცემის თანახმად, ჩრდილო კავკასიის ხალხებს შეურქემევიათ მის სამეფო კართან დაახლოების გამო. ყაზბეგების საგვარეულო სასაფლაოს დათვალიერების დროს, სამწუხაროდ, ნიკოლოზ ყაზბეგის საფლავს ვერ მივაკვლიეთ.
- 2) 1804 წლის მთიულეთის აჯანყების დროს იოსებ ყაზბეგი თავის ბიძას, გაბრიელს ედგა მხარში. თუმცა, შემდეგ, იგი სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილთან გაიქცა. 1813 წელს დაბრუნდა უკან, დანაშაული მოინანია და ითხოვა პატიება. საქართველოს მთავარმართებლის ნიკოლაი რტიშჩევის განკარგულებით მას დანაშაული ეპატია და მიენიჭა უფლება მიცემული სამხედრო წოდების ტარებისა.
- 3) ეკატერინე ყაზბეგმა ტრაგიკულად დაამთავრა ცხოვრება. გათხოვდა მაპმადიან ოსზე, გათხოვებიდან მალევე დაქვრივდა. მაპმადიანური წესის თანახმად დაქვრივებულ რძალს მისი მაზლები ირთავდნენ, რაც ქრისტიანისთვის შეურაცხყოფათ ითვლებოდა, ეკატერინემ ამ მიზეზის გამო თავი მოიკლა.
- ნინო ყაზბეგის შვილი იყო სოფიო თარხნიშვილი, რომელსაც ეკუთვნის მემუარული ხასიათის ნაშრომი „დიმიტრი და ალექსანდრე ყაზბეგები (მოგონებანი)“. იგი გათხოვდა თავად გიორგი თარხნიშვილზე, მისი ქალიშვილი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნინო თარხნიშვილი-გელოვანისა (გარლამ გელოვანის მეუღლე).
- 4) მიხეილ ყაზბეგი თბილისში იმყოფებოდა, როდესაც შეუძლოდ გახდა, დაემართა ინსულტი, მოისურვა სტეფანინდაში წასვლა, ექიმების რჩევით დროებით

გადაიყვანეს ფასანაურში, სადაც გარდაიცვალა.

5) ელისაბედ (კეკე) ესტატეს ასული თარხნიშვილი გარდაიცვალა 84 წლის ასაკში, სტეფანწმინდაში, 1888 წლის 22 ივნისს, დაიკრძალა 26 ივნისს.

6) დღევანდელი ქალაქი განჯა. აზერბაიჯანის რესპუბლიკა.

7) სამწუხაროდ, ნიკოლოზ ყაზბეგის საფლავს ვერ მივაგენით.

8) ელისაბედ ყაზბეგის სიტყვით, მამამისი საკმაოდ ახალგაზრდა დაქორწინებულა, ის თავის უფროს შვილ დიმიტრიზე თითქოს 20 წლით უფროსი იყო. ეს ცნობა სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს, რადგან დიმიტრი ყაზბეგი დაიბადა 1838 წელს, მამამისი თუ 20 წლით იყო უფროსი მასზე, გამოდის, ნიკოლოზი დაბადებულა 1818 წელს, რაც არასწორია, ამ დროს ნიკოლოზის მამა გაბრიელი უკვე გარდაცვლილა, ნიკოლოზი კი მამის სიცოცხლეშივე დაიბადა. გარდა ამისა ჩვენს დრომდეა მოლწეული მისი ჯვრისწერის ცნობა, სადაც ირკვევა, რომ იგი პირველად 1835 წლის 20 იანვარს დაქორწინებულა, ხოლო 1838 წელს მას შეეძინა პირველი ვაჟიშვილი დიმიტრი.

9) გიორგი ნათაძე აგროვებდა ცნობებს დიმიტრი ყაზბეგის შესახებ, განზრახული ჰქონდა დიმიტრი ყაზბეგის ბიოგრაფიის დაწერა.

10) სამეცნიერო ლიტერატურაში ელისაბედ ყაზბეგის დაბადების თარიღად უთითებენ 1842/4 წლებს. სინამდვილეში ელისაბედი დაიბადა 1844 წელს. 1842/3 წლებში დაიბადა მისი ძმა გაბრიელი (გაბრიელი მეტრიკული წიგნის დაბადების გრაფაში ორჯერ 1842 და 1843 წლებში გაუტარებით სხვადასხვა თარიღდით), გარდა ამისა ელისაბედ ყაზბეგის მემუარებიდან ირკვევა, რომ იგი თავის ბიძაშვილ ალექსანდრეზე 4 წლით უფროსი ყოფილა. ალექსანდრე კი, როგორც საზოგადოებას მოეხსენება, 1848 წელს დაიბადა.

11) არასწორია ასევე ელისაბედ ყაზბეგის გარდაცვალების წელიც – 1915 წ. რომელიც აღებულია ჟურნალ მნათობიდან (1924 წლის №5-ის, გვ.180). საეკლესიო მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით, ელისაბედი გარდაიცვალა 1910 წელს. ცნობა მისი გარდაცვალების შესახებ გენერალ ყაზბეგის სახელზე 1910 წლის 10 ოქტომბერს გაუციათ. აღსანიშნავია, რომ ჟურნალ „მნათობში“ გიორგი ყაზბეგის გარდაცვალების თარიღადაც, ნაცვლად 1921 წლისა, წერია 1923 წელი (ჟურნალი „მნათობი“ 1924 წლის №5, გვ. 188).

(„კავკასიის კარი“, თბილისი, 2018 წ.)

## ია ლადუა

### ალექსანდრე ყაზბეგის არქივი

(ლიტერატურის მუზეუმში დაცული მასალების  
მიხედვით)

„არასოდეს არ დაგვჭირვებია მუზეუმი ისე, როგორც ახლა, როდესაც ნაირფერი უცხოელი მოდის ჩვენს გასაცნობად. ბაგრატის სობოროს ნანგრევები და გელათი ჩვენს ძეგლებს ამართლებს. ჩვენ გაგვამართლებს მუზეუმი“ – ვალერიან გაფრინდშვილის 1919 წელს წარმოთქმული ეს სიტყვები სწორედ ლიტერატურის მუზეუმის საჭიროებასა და დაარსებას უკავშირდება.

მართლაც, ათი წლის შემდეგ, 1929 წელს, დაარსდა ლიტერატურის მუზეუმი, რომელშიც თავი მოიყარა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი მწერლების არქივებმა. დღესდღეობით ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ასი ათასზე მეტი ხელნაწერი; ოცდაათ ათასამდე ფოტო, სამი ათასამდე ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრი; ათასზე მეტი მემორიალური ნივთი; თხუთმეტი ათასამდე უნიკალური წიგნი და ჟურნალ-გაზეთი; ასობით ვიდეო და აუდიომასალა. ეს შთამბეჭდავი მემკვიდრეობა, რომელიც არა მხოლოდ ჩვენს ლიტერატურას, არამედ ისტორიასა და, ზოგადად, ქართულ კულტურას წარმოადგენს, ხელმისაწვდომია მკვლევრებისთვის სხვადასხვა გამოფენის, გამოცემისა თუ ელექტრონული ვერსიების მეშვეობით.

რაც შეეხება ლიტერატურის მუზეუმში დაცულ ალექსანდრე ყაზბეგის არქივს, ის მოიცავს ხელნაწერებს, ფოტომასალას, მემორიალურ ნივთებსა და უნიკალურ გამოცემებს. რასაკვირველია, ერთი სტატიის ფარგლებში სრულად ვერ ჩავატევთ მთელ არქივს, ამიტომ შევეცდებით, ძირითადი ნაწილი წარმოგიდგინოთ.

**ხელნაწერი მასალა:**

მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, ალექსანდრე ყაზბეგის არქივში, დაცულია სხვადასხვა მასალა – მოთხოვნები, დრამატული თხზულებები, ლექსები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები, პირადი წერილები, თარგმანები, ალბომები; ასევე, სხვა პიროვნებების მასალები, რომლებიც უშუალოდ ალექსანდრე ყაზბეგს უკავშირდება. ეს ხელნაწერები არის როგორც ავტოგრაფები, ისე ავტორიზებული ნუსხები (ავტორის მიერ ჩასწორებული ვარიანტები).

**ავტოგრაფები:**

- „დილა ქორწილის შემდეგ, ვოდევილი 1 მოქმედებად“<sup>1</sup> – რვეული (დაშლილი); 11 ფურცელი, ზომა 21X17,5 სმ; უთარილო; ტექსტი სრულია;
- „ვაი მზის ჩასვლამდინ. ვოდევილი 1 მოქმედებად, გადმოღებული სხვა ენით“<sup>2</sup> – რვეული (დაშლილი); 18 ფურცელი, ზომა 21X17,5 სმ; უთარილო; ტექსტი სრულია;
- „გამოცდა ნიშნობის წინ დღით. კომედია ვოდევილი 1 მოქმედებად“<sup>3</sup> – რვეული (დაშლილი); 9 ფურცელი, ზომა 21X17,5 სმ; უთარილო; ტექსტი სრულია;
- „ძალუა გადმოვიყვანოთ“<sup>4</sup> – რვეული (დაშლილი); 1 ფურცელი, ზომა 20,5X17 სმ; უთარილო; დასაწყისია მხოლოდ.

საინტერესოა ავტოგრაფული ხელნაწერი “მგზავრის

<sup>1</sup> სსლმ 17978-б, 1რ-10v

<sup>2</sup> სსლმ 17979-б

<sup>3</sup> სსლმ 1778-б, 11რ-20v

<sup>4</sup> სსლმ 17976-б

წერილები“<sup>5</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ის ფრაგმენტულია (5 ფურცელია მხოლოდ), დაუსრულებელი და უთარილო, საინტერესო წყაროს წარმოადგენს ალექსანდრე ყაზბეგის დოკუმენტური პროზის კვლევისთვის: ხელნაწერის ტექსტის დასაწყისი: „იგნისის 18 გამოველ თბილისიდგან და გავემგ ზავრე ვლადიკავკაზისაკენ. დიდი ხანი იყო რაც რკინის გ ზამ შემთხვევა წამართვა ვერის ბალებზედ გამევლო, დავმტკარიყავ იმათ გაცხოველებულის შეხედულებით, კიდევ მენახა გაჭიმული და კაცის მომწყენი დიღმის მინდორი, სადაც ტრიოკის ზარებიც თითქოს ამ მდებარეობას შესთანხმებიან და მხიარული წერიალის ხმის მაგიერ სევდიანად გამოისმოდენ...“ (1რ).

გარდა მხატვრული თხზულებებისა, ფონდში დაცულია ავტოგრაფული ნუსხა „ზღაპრები და ანდაზები, შედგენილი და შეკრებილი ა. მ. მოჩხუპარიძისაგან (ყაზბეგი)“<sup>6</sup>. როგორც ცნობილია, ალექსანდრე ყაზბეგი ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგე გახლდათ და მის მიერ ჩანსრილი ფოლკლორული ნიმუშები უხვად იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში. ალნიშნულ ხელნაწერსაც ბოლო გვერდზე ელისაბედ ყაზბეგის მინაწერი ახლავს: „გადავეცი ჯეჯილის რედაქციას დასაბეჭდათ. ე. ყაზბეგი“ (46რ). ხელნაწერი შეიცავს ორ ზღაპარს – „ოხრაკა“ (1რ-3რ) და „ოქროს ქოჩიანი და-ძმა“ (4რ-45ე). სხვათა შორის, მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, ვახტანგ კოტეტიშვილის არქივში, ინახება ალექსანდრე ყაზბეგისა და სხვათა მიერ ჩანსრილი ხალხური ლექსები, რომლებიც თავის დროზე გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ და გაზეთებში: „ივერია“, „თეატრი“.

ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა თარგმანებიდან მუზეუმში დაცულია ნაწყვეტი მოთხოვილია „მოძღვარი“, რუსულ ენაზე, თარგმნილი ივანე პოლ-

ტორაცეის მიერ.<sup>7</sup> ხელნაწერი წარმოადგენს პოლტორაცეის ავტოგრაფს.

ალექსანდრე ყაზბეგის პირადი წერილებიდან ალვიშნავთ წერილს ვასილ მაჩაბლისადმი<sup>8</sup>, რომელშიც ის სთხოვს ვასო მაჩაბლეს, დაეხმაროს ერთ ბათუმელ კაცს, რომელსაც, მართალია, ამისთვის ფულის გადახდა არ შეუძლია, მაგრამ „საქმის წასამართებელს“ აძლევს მამულების მეათედს. ამავე წერილში მოიხსენიებს ილია ჭავჭავაძესა და ივანე პოლტორაცეს; ასევე ალვიშნავთ ალ. ყაზბეგის წერილს ანტონ ფურცელისადმი<sup>9</sup>, რომელიც ჩართულია ელისაბედ ყაზბეგის ავტოგრაფულ ხელნაწერში „მოგონება ალექსანდრე ყაზბეგზე, ნაწილი მეორე“, 75რ-ზე. ამავე ხელნაწერში, 73რ-ზე, ჩაკრულია ალექსანდრე ყაზბეგის ხელნაწერი „მონოლოგი ა. მ.“

**მკვლევართათვის არანაკლებ საინტერესოა ავტორიზებული ნუსხები** – ხელნაწერები, რომლის ტექსტიც ავტორის შესრულებული არაა, მაგრამ მის მიერაა ჩასწორებული. თუკი მათ გადავხედავთ, ვნახავთ, როგორი პასუხისმგებლობითა და რუდუნებით ეპყრობოდა ალექსანდრე ყაზბეგი თითოეულ სიტყვას. ასეთებია: „თავის მახში“<sup>10</sup>; [„დავითის სახლობა, დრამა 4 მოქმედებად“]<sup>11</sup>; „ყველაფერი ბედზედ არის დამოკიდებული. კომედია ვოდევილი“<sup>12</sup>; „გრძნობა და მოვალეობა. კომედია 5 მოქმედებად“<sup>13</sup> – ავტორის მიერ ჩასწორებულია რამდენიმე გვერდი 1რ-ზე. ტექსტის პირველი მოქმედების მხოლოდ დასაწყისია,

<sup>7</sup> სსლმ 1947-ბ, 2 ფურცელი

<sup>8</sup> სსლმ 17987-ბ

<sup>9</sup> სსლმ 13499-ბ, რვეული, 85 ფურცელი

<sup>10</sup> სსლმ 17975-ბ, რვეული; 24 ფურცელი

<sup>11</sup> სსლმ 17983-ბ, 57 ფურცელი, 22×18, უთარილო.

<sup>12</sup> სსლმ 17982-ბ, 22 ფურცელი, 32,5×28, უთარილო.

<sup>13</sup> სსლმ 17981-ბ, 45 ფურცელი, 21×17, უთარილო, ნაკლული

<sup>5</sup> სსლმ 17977-ბ

<sup>6</sup> სსლმ 17973-ბ

ბოლო აკლია. იძლევა ვარიანტულ სხვაობას. მეორე მოქმედების დასაწყისიდან აკლია 1-4 გამოსვლა, დანარჩენი ბოლომდე სრულია; მე-3 და მე-4 მოქმედებები სრული ტექსტია; მე-5 მოქმედება კი მთლიანად აკლია. ეს კომედია კიდევ ერთი ხელნაწერის სახით არის დაცული ფონდში,<sup>14</sup> რომლის ტექსტი სხვისი გადაწერილია, ხოლო თავფურცელი თავად ალექსანდრე ყაზბეგის მიერაა შესრულებული.

ხელნაწერთა ფონდში, ასევე, დაცულია ალექსანდრე ყაზბეგის საბუთები:

- სოფ. სტეფანწმინდის მთავარანგელოზის ეკლესიის მეტრიკული ამონაწერი ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებისა (ასლი), დათარიღებული 1848 წლის 8 იანვრით;
- ცნობა ალესანდრე ყაზბეგის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 1890-1893 წლებში<sup>15</sup>;
- ხელშეკრულების ასლი ქართულ თეატრსა (რომელსაც წარმოადგენს ვასო აპაშიძე და კოტე მესხი) და ალექსანდრე ყაზბეგს შორის,<sup>16</sup> დაბეჭდილი რუსულ ენაზე, პირველ ფურცელზე ხელშეკრულებაა, მეორეზე კი ქართული თეატრის მსახიობთა მთავარი მოვალეობები და ჯარიმა დარღვევის შემთხვევისას;
- მონმობა ალექსანდრე ყაზბეგის აგრძესიული პარალიზისგან გარდაცვალების შესახებ,<sup>17</sup> გაცემული „მიხაილოვის“ საავადმყოფოს მიერ, 1893 წლის 10 დეკემბერს.

<sup>14</sup> სსლმ 17980-ბ, 46 ფურცელი, 32X28, უთარილო, სამი რვეული აკინძული.

<sup>15</sup> სსლმ 17987-ბ

<sup>16</sup> სსლმ 2094-ბ

<sup>17</sup> სსლმ 18529-ბ

### ფოტომასალა და მემორიალური ნივთები:

ლიტერატურის მუზეუმში ალექსანდრე ყაზბეგთან დაკავშირებული 50-მდე ფოტომასალა და მემორიალური ნივთები ინახება. აქ წარმოსადგენად რამდენიმე მათგანი შევარჩიოთ:

- ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის ცნობილი ფოტო (ალ. როინიშვილი). ის გვხვდება ალ. ყაზბეგის თხზულებათა 1924 წლის გამოცემაში;
- ალექსანდრე ყაზბეგი გრძელლულიანი თოფით (ძმები რუდნევები, ვლადიკავკაზი) – ეს ფოტო ახლავს ალ. ყაზბეგის თხზულებათა 1904 წლის გამოცემას;
- ალექსანდრე ყაზბეგის ფოტო (ალ. როინიშვილი) – ცნობილი ფოტოა;
- პავლე ანტონოვსკი, მისი მეულლე ზინაიდა ბაჟენოვა, ტიციან ტაბიძე და ვიქტორ გოლცევი ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლთან, 1935 წ. ყაზბეგი;
- ალ. ყაზბეგის სახლი და ეკლესია სტეფანწმინდაში;
- ალექსანდრე ყაზბეგის ქანდაკება გახტანგ კოტეტიშვილისა);
- ალექსანდრე ყაზბეგის კულა, ქამარზე დასამაგრებელი ვერცხლის საფულე „საქონე“; სანერი მოწყობილობა, სასანთლები და მისი ნაქონი ქვის თლილი ჭიქა.

2013 წლიდან ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ალექსანდრე ყაზბეგის სტეფანწმინდის სასახლისა და კარ-მიდამოს მაკეტი, რომლის ავტორია გაოზ ფაფუაშვილი.

## გამოცემები:

ლიტერატურის მუზეუმის უნიკალურ წიგნთა კოლექ-  
ციაში ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა 30-მდე  
გამოცემაა დაცული. უმრავლესობას ახლავს ავტორის  
მიძღვნითი წარწერები და ავტოგრაფები. მათ შორის:

- „ელისო, მოთხრობა ჩეჩენთ ცხოვრებითგან“ (1882 და 1884 წლების გამოცემა, მიძღვნითი წარწერითა და ავტოგრაფით);
- „განკიცხული“ (1884წ. მიძღვნითი წარწერითა და ავტოგრაფით);
- „მოძღვარი“ (1885წ. ავტოგრაფით);
- „ციკო“ (1883წ. მიძღვნითი წარწერითა და ავტოგრაფით);
- „თხზულებანი ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)“ (1885 წ.);
- „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (ა. მოჩხუბარიძე)“, სამ-  
ტომეული, ქართველთა ამხანაგობის გამგეობის მიერ  
გამოცემული 1891 წელს. სამივე ტომის ახლავს ერთი  
და იგივე ორი მინაწერი – 1. „წიგნის გამომცემელი  
ქართული ამხანაგობის მმართველობისგან ავტორს.

1891 წელსა, მარიამობისთვის 22 დღესა“; 2. „და-  
ვით ალექსანდრეს ძე გედევანიშვილს სახსოვრად იმ  
ზრუნვისა, რომელიც მან აღმოუჩინა ალექსანდრე  
ყაზბეგს, არა როგორც მეურნალმან, არამედ როგორც  
ნამდვილ ძმამ და მეგობარმან. მისგან დავალებული  
განსვენებული ავტორის ნათესავები. 1894 წ. იანვრის  
1-ს დღესა“.

როგორც ვხედავთ, ლიტერატურის მუზეუმში და-  
ცული მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია და მდი-  
დარი წყაროა ტექსტოლოგებისა თუ ლიტერატურათ-  
მცოდნეებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან  
ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების  
შესწავლა-გამოკვლევით.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ალექსანდრე ყაზბეგის ხელნაწერთა აღწერილობა; შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შალვა გოზალი-შვილმა; მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960;
2. ლიტერატურის მუზეუმში დაცული ალექსანდრე ყაზბეგის საარქივო მასალები.